14
943

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანიფესტი

2

თბილისი
1943

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცე

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
3961

2

19 თებერვალი 43
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ალიო მაშაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)
სერგო დოლნაძე
ირაკლი აბაშიძე
კონსტ. გამსახურდია
ილო მოსაშვილი
დემნა შენგელაია
კარლო კალაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-43. შეკვ. № 509. ფე 1581. ტირაჟი 3.800.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ეორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ეორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელეფ. 3-04-64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წ. 23 თებერვალი № 95 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის არსებობის 25-ე წლისთავს.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც შეიქმნა წითელი არმია. იგი შეიქმნა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობდნენ დაემონებინათ ჩვენი ქვეყანა. 1918 წლის 23 თებერვალი, როდესაც წითელი არმიის რაზმებმა პსკოვთან და ნარვასთან სასტიკად დაამარცხეს გერმანელ დამპყრობთა ჯარები — გამოცხადებულ იქნა წითელი არმიის დაბადების დღედ.

1918 — 1921 წლებში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში წითელმა არმიამ დაიცვა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაიცვა ჩვენი ქვეყნის ხალხთა უფლება ეშენებინათ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც გვასწავლიდა დიდი ლენინი.

ორი ათეული წლის განმავლობაში წითელი არმია იცავდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. ჩვენი ქვეყნის ხალხები არასოდეს არ ივიწყებდნენ უცხოელ დამპყრობთაგან ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას და დაუცხრომლად ზრუნავდნენ წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებისათვის, პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აიარაღებდნენ მას და სიყვარულით ზრდიდნენ საბჭოთა მეომრების კადრებს.

წითელი არმია არის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის დაცვის არმია. იგი შექმნილია არა უცხო ქვეყნების დასაპყრობად, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად. წითელი არმია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას.

მაგრამ 1941 წლის ივნისში ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, უხეშად და საზიზღრად დაარღვია რა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. და წითელი არმია იძულებული აღმოჩნდა გაელაშქრნა, რათა დაეცვა თავისი სამშობლო გერმანელ დამპყრობთაგან და განედევნა ისინი ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან. ამ დროიდან წითელი არმია

გადაიქცა ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის არმიად, იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელთა არმიად, რომელსაც გერმანელი ფაშისტი არამზადები აყენებენ ჩვენს ძმებსა და დებს ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ რაიონებში.

ბიბლიოთეკა

თავისი არსებობის 25-ე წლისთავს წითელი არმია ეგებება ჰიტლერული გერმანიისა და მის მსახურთა — იტალიელების, უნგრელების, რუმინელებს, ფინელების წინააღმდეგ სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში.

20 თვე გავიდა, რაც წითელი არმია ისტორიაში უმაგალითო გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოსევის წინააღმდეგ. ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობის გამო წითელ არმიას მარტოდმარტო გადააქვს ომის მთელი სიმძიმე. მიუხედავად ამისა, წითელმა არმიამ არა მარტო გაუძლო გერმანელ ფაშისტთა ურდოების მოძალებას, არამედ ომის მსვლელობაში რისხვადაც გადაიქცა ფაშისტური არმიებისათვის.

მძიმე ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე წითელმა არმიამ გზა გადაუღობა ფაშისტ მხეცებს. ჩვენი ხალხი სამარადისოდ შეინახავს ხსოვნას სევასტოპოლისა და ოდესის გმირული დაცვის შესახებ, მოსკოვთან და კავკასიის მთის ძირებში, რჟევის რაიონში და ლენინგრადთან შეუპოვარი ბრძოლების შესახებ, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლის შესახებ სტალინგრადის კედლებთან. ამ დიდ ბრძოლებში ჩვენმა მამაცმა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა უჭკნობი სახელი მოუხვეჭეს წითელი არმიის საბრძოლო დროშებს და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს გერმანელ ფაშისტთა არმიებზე გამარჯვებას.

სამი თვის წინათ წითელი არმიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს სტალინგრადის მისადგომებზე. მას შემდეგ საომარი მოქმედების ინიციატივა ჩვენს ხელშია, ხოლო წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების ტემპები და დარტყმითი ძალა არ სუსტდება. ამჟამად წითელი არმია ზამთრის მძიმე პირობებში უტევს 1.500 კილომეტრ ფრონტზე და თითქმის ყველგან წარმატებებს აღწევს. ჩრდილოეთში, ლენინგრადთან, ცენტრალურ ფრონტზე, ხარკოვის მისადგომებზე, დონბასში, როსტოვთან, აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროზე წითელი არმია ზედიზედ აგემებს დარტყმებს ჰიტლერელთა ჯარებს. სამი თვის განმავლობაში წითელმა არიამ მტრისაგან გაათავისუფლა ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქების, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალკარეთისა და ყალმუხთა ავტონომიური რესპუბლიკების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ჩერქეზეთის, ყარაჩაისა და ადიღეს ავტონომიური ოლქების ტერიტორია, თითქმის მთელი როსტოვის, ხარკოვისა და კურსკის ოლქები.

დაიწყო მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა ქვეყნიდან.

რა შეიცვალა ამ სამი თვის განმავლობაში? საიდან არის გერმანელთა ასეთი სერიოზული წარუმატებლობანი? სად არის ამ წარუმატებლობათა მიზეზები?

შეიცვალა ძალთა შეფარდება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. საქმე იმაშია, რომ ფაშისტური გერმანია სულ უფრო და უფრო იფიტება და უფრო სუსტი ხდება, საბჭოთა კავშირი კი ეწევა თავისი რეზერვების — სულ უფრო და უფრო გაშლას და უფრო ძლიერი ხდება. დრო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მუშაობს.

ჰიტლერულ გერმანიას, რომელმაც აიძულა ევროპის სამხედრო მრეწველობა მისთვის ემუშავნა, უკანასკნელ დრომდე უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ტექნიკის მხრივ და უწინარეს ყოვლისა ტანკებისა და თვითმფრინავების - მხრივ. ამაში იყო მისი უპირატესობა. მაგრამ ომის 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა. სსრ კავშირის სამხედრო მრეწველობის მუშების, მუშა ქალების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების თავდადებული შრომის მეოხებით, ომის განმავლობაში გაიზარდა ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების წარმოება. ამავე ხნის განმავლობაში მტერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უდიდესი ზარალი მოუვიდა საბრძოლო ტექნიკის, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავებისა და ქვემეხების მხრივ. 1942 — 1943 წლის ზამთარში წითელი არმიის შეტევის მარტო სამი თვის განმავლობაში გერმანელებმა დაჰკარგეს 7.000-ზე მეტი ტანკი, 4.000-ზე მეტი თვითმფრინავი, 17.000-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი.

რასაკვირველია, გერმანელები შეეცდებიან დაჰფარონ ეს დანაკლისი, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილი იქნება, ვინაიდან ცოტა დრო როდი დასჭირდება იმას, რომ მტერმა მოახერხოს ტექნიკის მხრივ ამ უდიდესი დანაკლისის შევსება. დრო კი არ იცდის.

ჰიტლერულმა გერმანიამ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო ისე, რომ რიცხვობრივად ჭარბი, უკვე მობილიზებული და ბრძოლისათვის მზადმყოფი ჯარები ჰყავდა წითელ არმიასთან შედარებით. ამაში იყო მისი უპირატესობა. მაგრამ 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა ამ დარგშიც შეიცვალა. თავდაცვითსა და შეტევითს ბრძოლებში წითელმა არმიამ ომის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა 9 მილიონამდე გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათგან — სულ მცირე 4 მილიონი ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით. სავსებით განადგურებული არიან რუმინეთის, იტალიისა და უნგრეთის არმიები, რომლებიც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტს მოაყარა. მარტო უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში წითელი არმიის მიერ დამარცხებულია მტრის 112 დივიზია, ამასთან მოკლულია 700.000-ზე მეტი და ტყვედ წამოყვანილია 300 ათასზე მეტი კაცი.

რასაკვირველია, გერმანელთა სარდლობა ყველა ზომას მიიღებს, რომ დაჰფაროს ეს კოლოსალური დანაკლისი. მაგრამ ჯერ-ერთი, გერმანელთა არმიების სუსტ ადგილს წარმოადგენს ადამიანთა რეზერვების ნაკლებობა, რის გამოც გამოურკვეველია, რა წყაროებიდან იქნება დაფარული ეს დანაკლისი.

მეორეც. კიდეც რომ დავუშვათ, რომ გერმანელები ყოველნაირი ღონისძიებებით მოხვეტენ ადამიანთა საჭირო რაოდენობას, ცოტა დრო მაინც იქნება საჭირო იმისათვის, რომ შეაგროვონ და გაწვრთვნან ისინი. დრო კი ის იცდის.

ჰიტლერული არმია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმულია ... ოთხ ... ომ თითქმის ორი წლის გამოცდილება ჰქონდა დიდი საომარი ოპერაციების წარმოებისა ევროპაში ომის უახლეს საშუალებათა გამოყენებით, წითელ არმიას ომის პირველ პერიოდში, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი საომარი გამოცდილება. ამაში მდგომარეობდა გერმანელ ფაშისტთა არმიის უპირატესობა. მაგრამ 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა ამ დარგშიც შეიცვალა. ომის მსვლელობაში წითელი არმია კადრის არმია გახდა. მან ისწავლა მტრის წინააღმდეგ აუცდენლად დარტყმა მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სამხედრო მეცნიერება. წითელი არმიის ასიათასობით და მილიონობით მებრძოლი გახდა ოსტატი თავისი იარაღისა, — შაშხანის, ხმლის, ტყვიამფრქვევის, არტილერიის, სანაღმმტყორცნო საქმის, სატანკო საქმის, სასანგრო საქმის ავიაციის. წითელი არმიის ათიათასობით მეთაური ჯარების გაძღოლის ოსტატი გახდა. მათ ისწავლეს პირადი მამაცობისა და გულადობის შეხამება ბრძოლის ველზე ჯარების ხელმძღვანელობის ცოდნასთან, ხელი აიღეს რა სულელურ და მავნე სახაზო ტაქტიკაზე და მტკიცედ დადგნენ რა მანევრირების ტაქტიკის ნიადაგზე.

არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წითელი არმიის სარდლობა არა მარტო ათავისუფლებს მტრისაგან საბჭოთა მიწა-წყალს, არამედ მტერს ცოცხალსაც არ უშვებს ჩვენი მიწა-წყლიდან, ანხორციელებს რა მტრის არმიების გარშემორტყმისა და ლიკვიდაციის ისეთ სერიოზულ ოპერაციებს, რომლებიც შეიძლება სამხედრო ხელოვნების ნიმუშად გამოდგეს. ეს, უეჭველია, ჩვენი მეთაურების სიმწიფის ნიშანია.

ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ წითელი არმიის სარდლობის სწორ სტრატეგიას და ჩვენი მეთაურ-შემსრულებლების მოქნილ ტაქტიკას შეეძლო გამოეწვია ისეთი შესანიშნავი ფაქტი, როგორიც არის გარშემორტყმა და ლიკვიდაცია სტალინგრადთან გერმანელთა უდიდესი რჩეული არმიისა 330.000 კაცის შემადგენლობით.

ამ მხრივ გერმანელებს სრულიადაც არა აქვთ რიგზე ყველაფერი. მათი სტრატეგია დეფექტიანია, ვინაიდან იგი, როგორც წესი, ჯეროვნად არ აფასებს მოწინააღმდეგის ძალებსა და შესაძლებლობებს და ზედმეტად აფასებს თავის საკუთარ ძალებს. მათი ტაქტიკა შაბლონურია, ვინაიდან იგი ცდილობს ფრონტის ამბები წესდების ამა თუ იმ პარაგრაფს მიუყენოს. გერმანელები აკურატულნი და ზუსტნი არიან თავიანთ მოქმედებაში, როდესაც ვითარება საშუალებას იძლევა განახორციელონ წესდების მოთხოვნები. ამაშია მათი ძალა. გერმანელები უმწეონი ხდებიან, როდესაც ვითარება რთულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, „აღარ შეესაბამება“ წესდების ამა თუ იმ პარაგრაფს და მოითხოვს წესდებით გაუთვალისწინებელი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას. ამაშია მათი ძირითადი სისუსტე.

ასეთია ის მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს გერმანიის ჯარების დამარცხება და წითელი არმიის წარმატებანი ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ ჰიტლერელთა არმიას ბოლო მოეღო და წითელ არმიას ისდა დარჩენია, რომ სდიოს მას ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებამდე. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ მივეცეთ უგუნურ და მავნე თავისმოტყუებას. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ ზედმეტად შევაფასოთ ჩვენი ძალები, ჯეროვნად არ შევაფასოთ მოწინააღმდეგის ძალები და ავანტიურიზმში ჩავვარდეთ. მტერმა დამარცხება განიცადა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ძლეული. გერმანელ ფაშისტთა არმია კრიზისს განიცდის წითელი არმიისაგან მიყენებული დარტყმების გამო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია ღონე მოიკრიბოს. ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, — იგი მხოლოდ ახლა ფართოვდება და ჩაღდება. სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა, რომ გერმანელები უბრძოლველად დასტოვებენ ჩვენი მიწა-წყლის თუნდაც ერთ კილომეტრს.

წითელ არმიას მოელის მკაცრი ბრძოლა ვერაგი, სასტიკი და ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მოითხოვს დროს, მსხვერპლს, ჩვენი ძალების დაძაბვას და მთელი ჩვენი შესაძლებლობების მობილიზებას. ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლება გერმანელთა ჩაგვრისაგან, მაგრამ მილიონობით უკრაინელი ჯერ კიდევ იტანჯება გერმანელ დამშონებელთა უღელქვეშ. ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, მოლდავეთში, ყირიმში, კარელიაში ჯერ კიდევ თარეშობენ გერმანელი ოკუპანტები და მათი მსახურნი. მტრის არმიებს მძლავრი დარტყმები ვაგემეთ, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. გერმანელი დამპყრობნი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, კონტრიერიშებზე გადმოდიან, ცდილობენ ფეხი მოიკიდონ თავდაცვითს ზღუდეებზე და შეუძლიათ ახალი ავანტიურები ჩაიდინონ. აი რატომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს რიგებში უზრუნველობას, უდარდელობას, ყოყოჩობას.

მთელ საბჭოთა ხალხს ახარებს წითელი არმიის გამარჯვებანი. მაგრამ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვიმტკიცოთ გამარჯვება, მესამე — საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“.

საძულველი მტრისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისათვის,

ვბრძანებ:

1. დაუღალავად სრულჰყოთ საბრძოლო წრთვნა და განამტკიცოთ დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა მთელ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გააძლიეროთ დარტყმები მტრის ჯარების წინააღმდეგ, დაუღალავად და შეუპოვრად სდევნოთ მტერი, არ მისცეთ მას საშუალება ფეხი მოიკიდოს თავდაცვითს ზღუდეებზე, არ მისცეთ მას მოსვენება არც დღისით, არც ღამით, გადასჭრათ მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყათ მტრის ჯარებს და მოსპოთ ისინი, თუ იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ.

3. უფრო ფართოდ გააჩაღოთ პარტიზანული ბრძოლის ცეცხლი მტრის ზურგში, ანგრიოთ მტრის კომუნიკაციები, აფეთქოთ რკინიგზის ხიდები, ჩაშალოთ მტრის ჯარების გადმოყვანა, იარაღისა და საომარი მასალების მოტანა, აფეთქოთ და ცეცხლი წაუკიდოთ სამხედრო საწყობებს, თავს დაესხათ მტრის გარნიზონებს, არ მისცეთ საშუალება უკანდახეულ მტერს დასწვას ჩვენი სოფლები და ქალაქები, მთელი ძალებით, მთელი საშუალებებით დაეხმაროთ შემტევ წითელ არმიას.

ამაშია ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ წითელი არმიის 25 წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, ჩვენს მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჩვენს გულად პარტიზან კაცებსა და ქალებს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას, წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი ი. სტალინი.

ბ. სტურუა
საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაციონალური დღესასწაული

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი მეორეჯერ აღნიშნავენ თავიანთ დიდ ნაციონალურ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავს — გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სასტიკი სამამულო ომის ვითარებაში.

ქართველი ხალხი, დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად გმირულად და მამაცურად იცავს თავის საბჭოთა ხელისუფლებას, თავის დამოუკიდებლობას, ღირსებასა და თავისუფლებას.

რა იყო საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და რას წარმოადგენს იგი ამჟამად?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო იყო უუფლებო, მეფის ლატაკი კოლონია, რომელსაც თითქმის არავითარი მრეწველობა არ გააჩნდა და ჰქონდა ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა.

საქართველოს მშრომელნი მეფის წესწყობილების დროს ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ — კლასობრივ და ეროვნულ ჩაგვრას.

რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა — ქართველი ხალხის ამ მოსისხლე მტრებმა — მოახერხეს დროებით მოეწყვიტნათ ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხისათვის.

საქართველოს მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ საქართველოში 1918 წელს გერმანელი ბანდიტი ოკუპანტების, ჰიტლერის ამ წინამორბედთა თარეშის პერიოდს, გერმანელი ბანდიტი ოკუპანტებისას, რომელთაც ქართველი მენშევიკების — ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — დახმარებით პირდაპირ გაძარცვეს საქართველო და აბუჩად იგდებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა სრულიად-რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წლის 9 ივლისს სთქვა:

„...საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარა მოტყუებად გადაიქცა, ნამდვილად ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან“... (იხ. ლენინი, თხზ. ტ. XXIII, გვ. 155, რუს. გამ.).

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი აღსდგა მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ და, თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის — და მისი სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, დაამხო მენშევიკთა ბატონობა, გარეკა უცხოელი ინტერვენტები. ამის შედეგად, 1921 წელს, 25 თებერვალს, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

დღეს ქართველი ხალხი აღნიშნავს თავის დიდ ნაციონალურ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXII წლისთავს — და აჯამებს 22 წლის განმავლობაში მოპოვებულ თავის მიღწევათა შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები — მანქანათმშენებლობის, ნავთის მოპოვების, ნავთის გადამუშავების, ფეროშენადნობისა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველომ დიდი წარმატებით იწყო თავისი ენერგეტიკული რესურსების ათვისება.

მუშების რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით, წლითი-წლობით მატულობდა შრომის ნაყოფიერებაც. მაგალითად, 1940 წელს შრომის ნაყოფიერება საბჭოთა საქართველოს დიდ საწარმოებში ერთი-სამად და კიდევ მეტად გადიდდა 1927 წელთან შედარებით.

მრეწველობის ზრდისა და განვითარების შესაბამისად, ფართოდ გაიშალა რკინიგზებისა და გზატკეცილთა მშენებლობა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ტექნიკური კულტურების ფართობი 1940 წელს 52.000 ჰექტარამდე გადიდდა, ნაცვლად 1923 წლის 8.000 ჰექტარისა, ხოლო ციტრუსოვანთა კულტურების ფართობმა 1940 წელს 24.622 ჰექტარს მიაღწია, ნაცვლად 1922 წლის 500 ჰექტარისა.

საბჭოთა საქართველოს ფრიად სერიოზული წარმატებანი აქვს ჩაის კულტურის განვითარების დარგში, რასაც სრულიად-საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ ჩაის პლანტაციების ფართობი 1921 წელს სულ ბევრი 1.020 ჰექტარს შეადგენდა, 1940 წლის დამლევს ჩაის პლანტაციებს უკვე 49.636 ჰექტარი ეკავა.

ასეთივე წარმატება აქვს საქართველოს მევენახეობის დარგშიც. 1928 წელს ვენახებს 35.400 ჰექტარი ეკავა, 1940 წელს კი ამ კულტურას უკვე 54.000-მდე ჰექტარი ეკავა.

იმასვე ვამჩნევთ მეთამბაქოობის დარგშიც. თამბაქოს საერთო მოსავალი 1939 წელს თითქმის 20.000 ტონას შეადგენდა, ნაცვლად 1933 წლის 13.000 ტონისა.

ფართოდ განვითარდა საქართველოში აგრეთვე მეაბრეშუმეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც.

ამ წარმატებათა შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ გვაქვს პირუტყვის საერთო სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საკოლმეურნეო მშენებლობამ. საქართველოს კოლმეურნეობები აერთიანებენ გლეხთა მთელი მეურნეობების 95 პროცენტს. კოლმეურნეობებში ფართოდ იყენებენ მიწის დამუშავების მექანიზებულ ხერხს (ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები).

კოლმეურნეობათა შემოსავალი და შრომადღის ღირებულება წლითი-წლობით მატულობს.

სოციალისტური მეურნეობის მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს კულტურული მშენებლობის და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის დარგში. მაგალითად, 1940 წელს სკოლების რაოდენობა ორნახევარჯერ გადიდდა 1921 წელთან შედარებით. რესპუბლიკაში 5.000-მდე სკოლაა, სადაც 807.000 კაცი სწავლობს. პედაგოგთა რიცხვი 4,5-ჯერ გადიდდა 1921 წელთან შედარებით.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში აგებულია 525 ახალი სასკოლო შენობა.

ამჟამად რესპუბლიკაში არის 21 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ასწავლის 2.500 მაღალკვალიფიციური მასწავლებელი — პროფესორი, დოცენტი და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში 23.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ესენი არიან მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენტების შვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე უმაღლესი სასწავლებლებიდან 29.000-მდე ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი, ეკონომისტი და სხვა კვალიფიციური მუშაკი მიიღო ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის.

აქ აღვნიშნავთ საბჭოთა საქართველოს კულტურული ზრდისა და განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. ეს ის არის, რომ თუ 1921 წელს წიგნების წლიური ტირაჟი სულ 390.000 ცალს შეადგენდა, 1940 წლისათვის მან 7.200.000 ცალს გადააჭარბა.

საბჭოთა ხელოვნებამ და ლიტერატურამ განსაკუთრებით ფართო განვითარება ჰპოვა საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში.

საქართველოში 46 სახელმწიფო თეატრია.

კულტურის დარგში მიღწეულ წარმატებათა შედეგად საბჭოთა საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია ფართოდ განშტოებული სამეცნიერო-საკვლევო ქსელით.

დიდია აგრეთვე მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის დარგში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ექიმთა რაოდენობა 1940 წლისათვის 13-ჯერ გადიდდა 1913 წელთან შედარებით, ხოლო საავადმყოფო დაწესებულებათა ქსელი ერთიშვიდად გაფართოვდა. საქართველოში 140-ზე მეტი კურორტია, ბევრ მათგანს საკავშირო მნიშვნელობა აქვს, ხოლო ისეთი კურორტები, როგორიც არის აბასთუმანი, ბორჯომი, წყალტუბო, გაგრა, სოხუმი და სხვ., ფართოდ არიან ცნობილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც.

აი ჩვენი ზრდის ფაქტები და ციფრები. მთელი ეს მიღწევები არის შედეგი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარებისა ცხოვრებაში და სტალინურ ხუთწლედთა გრანდიოზული გეგმების განხორციელებისა.

ამ მიღწევებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირის ძლიერსა და სახელოვან მთავრობას, ჩვენს უფროს ძმას — დიდ რუს ხალხს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და დიდ **სტალინს**, რომელნიც სისტემატურად ეხმარებოდნენ და ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა საქართველოს.

ამ მიღწევებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქართველი ხალხის სახელოვან და საყვარელ შვილს — დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას**, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას, აღზარდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხალხები ბოლშევიკების პარტიისა და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ეს მიღწევები არის ბრწყინვალე და დამაჯერებელი პასუხი კითხვისა, თუ საბჭოთა ხალხი რატომ იცავს ასე თავდადებით თავის საბჭოთა ხელისუფლებას, თავის საბჭოთა წყობილებას, თავის სოციალისტურ სამშობლოს ჰიტლერელ ყაჩაღთა გამხეცებული ურდოებისაგან.

ქართველი-ხალხის ასიათასობით შვილი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა

შვილებთან ერთად მწყობრში გმირულად, გულადად და მამაცურად იბრძვის და იცავს ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს.

საუკუნეებში იოცხლებს საბჭოთა კავშირის გმირების: უფროს ლეიტენანტ ვ. კ. ხარაზიას, კაპიტან ა. ს. გეგეშიძის, უმცროს პოლიტხელ ი. ბ. ბოკიძის, ზემდეგ ნ. პ. ადამიას, პოლიტხელ ვ. ს. ლურსმანაშვილის, უფროს ლეიტენანტ ა. ზ. პირმისაშვილის, პოლიტხელ ვ. ა. კანკავას, წითელარმიელ ნ. ი. გოგიშვილის, პოდპოლკოვნიკ მ. ს. დიასამიძის, ავიაციის გენერალ-მაიორ ვ. ვ. ნანეიშვილის, უმცროს მეთაურ ა. ს. სულაბერიძის, პოლიტხელ ი. გ. ხმალაძის, მაიორ ს. პ. კეთილაძის, უფროს ლეიტენანტ ა. ე. ოსტაევის სახელი, რომლებმაც უჭკნობი დიდება მოიხვეჭეს საბჭოთა ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი ხალხი ამაყობს თავისი შვილებით—დიდი სამამულო ომის გმირებით — გენერალ-მაიორ პ. გ. ჩანჩიბაძით და გენერალ-მაიორ ნ. ტ. თავართქილაძით, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან სუვოროვის ორდენით, გენერალ-მაიორებით მ. გ. მიქელაძით, გ. ი. ყუფარაძით, აბრამიძით, მჟავანაძით, გენერალ-ლეიტენანტ კ. ნ. ლესელიძით და სხვ.

საბჭოთა საქართველომ სახალხო მეურნეობის მთელი ძალები ჰიტლერელი ბანდიტების გასანადგურებლად დარაზმა. მთელი სახალხო მეურნეობა სამხედრო ყაიდაზეა გადაყვანილი და ფრონტის სამსახურშია დაყენებული.

საქართველოს კოლმეურნეებმა, რომელთაც მაღალი პატრიოტიზმის გრძნობა ამოქმედებთ, სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად და თვითმფრინავების შესაძენად შეიტანეს თავიანთი პირადი დანაზოგი 261 მილიონი მანეთი, აგრეთვე მრავალი ათასი ფუთი სხვადასხვა სასურსათო პროდუქტი — მარცვლეული, ხორცი, ერბო-კარაქი, ყველი, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვ.

წითელი არმიის წარმატებები აღაფრთოვანებენ ქართველ ხალხს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის გმირული ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

სტალინგრადთან 330.000 ჰიტლერელ შეშლილს მტკიცედ ჩავაცვით დამამშვიდებელი ხალათები. ასეთივე ბედი ეწიათ ჰიტლერელებს როსტოვთან, ვორონეჟთან, კურსკთან, კრასნოდართან, ხარკოვთან და მრავალ სხვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტთან, რომლებიც წითელმა არმიამ გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უღლიდან.

ქართველი ხალხი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავდადებულად იბრძოლებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და მთელი კაცობრიობის უბოროტესი მტრების — გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მათს სრულ მოსპობამდე.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით, სსრ კავშირის ხალხთა გენიალური ბელადის, სწორუპოვარი სტრატეგის, დიდი მხედართმთავრის **ამხანაგ სტალინის** წინამძღოლობით ჩვენ გავიმარჯვებთ!

გაუმარჯოს დიდ ნაციონალურ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXII წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი გმირი წითელი არმიის XXV წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველი მხედართმთავრები

მარცხნიდან მარჯვნივ

ზემოდან პირველ რიგში:

1. რ. ი. ბაგრატიონი
2. ლ. მ. იაშვილი
3. ვახტანგ ბატონიშვილი

მეორე რიგში:

4. პოეტი ა. ჭავჭავაძე
5. პეტრე ბაგრატიონი
6. ა. ს. შალიკაშვილი

მესამე რიგში:

7. ს. გ. განგებლიშვილი
8. ილია გიორგისძე, გიორგი XIII-ს შვილი
9. ი. დ. ფანჩულიძე

მეოთხე რიგში:

10. ს. დ. ფანჩულიძე
11. ი. ს. ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

სვაღინგრაღი

შემოგვივარდნენ კაცისმკვლელები
უსულო რკინის გაბედულებით,
აღჭურვილები რკინის ხელებით,
რკინის თავებით და ქვის გულებით.

ხოცავენ მოხუცთ, ბავშვებს და ქალებს
და თავი მოაქვთ საქმით ნაძრახით,
არ შერჩენია სისხლიან თვალებს
ადამიანურ გრძნობის ნასახი.

როგორ-ღა გაჩნდა ჩვენს დროში, ახლა,
ასე უხეში, ცივი ქვა-გული?
ალბათ ჰქონიათ ბინად და სახლად
ველურთა ბნელი გამოქვაბული.

მოითარეშეს ბევრი სოფელი,
ბევრი ქალაქი მოსწვეს, მოსთხარეს,
ქვაც არ დასტოვეს გაუპობელი, —
ქვეყნის გული-კი ვეღარ მოჰხარეს.

მოადგნენ ვოლგას და იკვეხნიდნენ,
რომ დაიპყრობენ სტალინის ქალაქს,
რომ აქ მოვიდნენ რკინის ქვეყნიდან
და არა სცნობენ აქაურ ძალას.

მაგრამ აქ დახვდა რკინის მდნობელი
მამულიშვილთა გული მგზნებარი,
ქვის გულისათვის შეუგრძნობელი,
რკინის თავებსთვის გაუგებარი.

აქ გროვდებოდა სისხლის ტბორივით
გულმა რაც ბოღმა ტვირთივით ზიდა,
შურისძიების ცეცხლის მორევი,
რასაც ქვეყანა დღითი-დღე ზრდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირ-ქალაქს ძველიც მოსდევს ნათება, —
გარდასულ გრგვინვის გამოძახილი.
ყოველგვარ ჯილდოს აღემატება
უბრწყინვალესი მისი სახელი.

აქ ყველაფერი, თვით ქვაც და ქვიშაც
როგორც სინათლეს იცნობს ამ სახელს,
ქვეყნის მძლეობის წარუშლელ ნიშანს,
ჩვენი დიდების დღეთა ამსახველს.

მან განსაცდელში კრთომა არ იცის,
არც უკუდგომა საფრთხის წინაშე,
წინათაც მტერი გმირულ ცარიცინს
ჩაულეწია ქვა და რკინაში.

ახლაც ის გაჰყვა გმირობას ნაცადს,
ახლაც იბრძოლა ვეფხმა ვეფხურად,
მაშინაც, როცა ლაჟვარდის ნაცვლად
მგრგვინავი ცეცხლი გადაეხურა.

ჯერ მტერს დაუხვდა თავშეკავებით,
და ვიდრე მხეცი ტორებს გაშლიდა,
თვითონ გაშალა რკინის მკლავები
და მომწყვდეული მტერი გაჟლიტა.

გაფითრებული, და პირგამშრალი,
თავზე მუზარადგადამსხვრეული,
დადგა სარდლის წინ ტყვე ფელდმარშალი,
თავდახრილი და ხელაწეული.

სთქვა სტალინგრადმა, რაც უნდა ეთქვა,
ცხადჰყო ვერაგთა უილაჯობა.
მგზნებარე გულის მრისხანე ფეთქვას
უსულო რკინამ ვეღარ აჯობა.

ურჩხულის თავი აქ გაისრისა,
მტრის ხერხემალიც გადატყდა აქვე,
ცას გადაენთო შუქი ცისკრისა,
ძლეული ღამე დაეშვა თავქვე.

ვოლგის ნაპირიც თითქო ამაღლდა,
ძლევამოსილი ქალაქი ბრწყინავს,
და გადასცქერის მზნედ და ამაყად
გაჟლეტილ მტერს და დამსხვრეულ რკინას.

თებერვალი, 1943 წ.

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა

ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
შემოვეფარე შენ სიმართლესა,
შენ საფარველსა ვარ მონდობილი,
ცოტა მაჩუქე ღალა და ზეთი,
ეგებ ავანთო სინათლის წვეთი
ჩემი გულიდან გამოდნობილი...
დე, ჩემმა ლექსის ნერგმა მარადღე
შენი წიალის წვენით იხაროს,
გამფოთლე შენი ძუძუს წყაროთი,
თავზე მზისცვარი გადავიყარო.
შენი სიმაგრის კარზე ვიმღერი:
მომეცი შენი ლერწამის ღერი.
რომ ჩემს კაბადონს ზე დაჰნათოდეს
ნათელი შენგან გამოტეული,
შენი ოცნება გულზე მათოვდეს
შენ, დამტევნელო დაუტევნელის...
მე ჩავისუნთქე შენი მზის სიტკბო,
დე, გულის ოქრო დამიბადაგოს,
დე, მან დაფერფლოს გული, დადაგოს,
თავისუფლების ღროშის ქადაგო,
ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
ჩემო დიდებავ სანიადაგო.

ლეო ქიაჩელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინამორბედნი

(ცხრაასხუთის ნოველებიდან)

ცხრაასხუთის ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა თბილისს. ეს იყო პეტერბურგიდან კერძო მოქალაქეების მიერ დეპეშით მიღებული ცნობა. თვითონ მანიფესტი კი ჯერ კიდევ არავის ენახა. დღეს მოელოდნენ მის გამოცხადებას გაზეთებში.

გოლოვინის პროსპექტი ბილიდანვე ხალხს გაეჭედა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა დაგვიანებული გაზეთის გამოსვლას ელოდებოდა. ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა.

განსაკუთრებულად ბორგავდა ახალგაზრდობა. მას თავი ისე ეჭირა, როგორც ომში გამარჯვებულს შეეფერება. ეს ის თაობა იყო, რომლის შეგნება რევოლუციური მოძრაობის პერიოდში გაფორმდა. მას მტკიცედ სწამდა თავისი ადგილი ახალი საქართველოს ისტორიაში და რევოლუციის დროშაც ხელში ამაყად ეჭირა. ამ ახალგაზრდობას არაფერი სწამდა მეფის მთავრობისა. მანიფესტი მას მხოლოდ იმ მხრივ აინტერესებდა, თუ რა ცვლილებას შეიტანდა იგი არსებულ საერთო რევოლუციურ განწყობილებაში და საჭირო იქნებოდა თუ არა ამასთან დაკავშირებით ბრძოლის ზოგიერთი ტაქტიკური საკითხების გადასინჯვა.

რევოლუციის ამ დაუღალავ აგიტატორებს პროსპექტზე მოზღვავებული ხალხი მფრინავი მიტინგების მოსაწყობად გამოეყენებინათ. მათ მიზანს შეადგენდა მეფის წყალობის წინასწარ გაბათილება და საზოგადოების გულისყურის გამახვილება თვითმპყრობელობასთან ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობაზე.

ხალხის ნამდვილი თავისუფლების წყარო რევოლუცია არისო, ამბობდნენ ისინი, — და არა ძირგამომპალი მეფის ტახტიო.

საკმარისი იყო ქუჩაში სადმე ხალხი შექუჩებულიყო, რომ ისინიც უმალვე იქ გაჩენილიყვნენ თავიანთი შეუპოვარი რევოლუციური ლოზუნგებით. მათ აგზნებულ სიტყვას ხალხი ვაშას ძახილითა და ტაშისცემით ეგებებოდა.

მთელი პროსპექტის გაყოლებაზე მარსელიეზას გუგუნი გაისმოდა, სად ხმამაღლა, გაბედულად, სად კიდევ ჩუმად, ფარულად, — იმისდა მიხედვით, თუ ქუჩის რომელ მხარეს იმყოფებოდა ცხენოსანი პოლიციელებისა და ყაზახების რაზმი, რომელიც მთავრობას დღეს წესრიგის დასაცავად გამოეყვანა. გუნდ-გუნდად მიმოდიოდნენ ეს რაზმები ფილაქნების გასწვრივ და სადაც კი თვალს მოჰკრავდნენ შექუჩებულ ხალხს, ან რევოლუციურ სიმღერას გაიგონებდნენ, იქ მივარდებოდნენ ჩვეული შეძახილით:

— „რაზოიდის!“

მაგრამ მიტინგი და სიმღერა ერთ ადგილას რომ შეწყდებოდა, უმალვე

მეორე ადგილას დაიწყებოდა. პოლიციელები თავს ვერ ართმევდნენ ამ ოინს.

პროსპექტის შუატანით კი ამ დროს ეტლების ბრწყინვალე ქარავანი კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის უმაღლესი წარმომადგენლებს ოჯახებითურთ სამხედრო ტაძრისკენ მიაქანებდა. ეტლ ქუჩაში გამდგარიყო საპარადო ფორმის უცხო ბრჭყვიალება უთვალავი, ოქროსა და სირმის ეპოლეტების, ორდენების, აქსელბანტების, ქალთა ბრილიანტისა და მარგალიტის სამკაულების, ოქრომკედით ნაკერი ფარჩისა და ატლასის კაბების.

მანიფესტის გამოცხადების გამო დღეს სამხედრო ტაძარში თვითონ საქართველოს ეგზარხოსი საზეიმო პარაკლისს იხდიდა კავკასიის უმაღლესი მთავრობის თანადასწრებით. — ნაბრძანები იყო, როგორც სამხედრო პირნი, ისე სამოქალაქო მოხელენი პარაკლისს საპარადო ფორმაში დასწრებოდნენ.

ის იყო გამწკრივდა თუ არა პროსპექტზე წარჩინებულ გვამთა კორტეჟი, რომ ერთ-ერთ კუთხეში კიოსკთან გაზეთის გამყიდველი გამოჩნდა და სადღაც ვიღამაც ხმამაღლა დაიყვირა:

— ახალი გაზეთი!

ხალხი უცებ აირია. ზღვასავით აიქოჩრა და ღმუილით მიაწყდა იმ კუთხეს, სადაც საგაზეთო კიოსკი ეგულებოდა. გაზეთის გამყიდველმა მაშინვე იგრძნო საშიშროება. კიოსკის კარს მივარდა, რომ თავშესაფარი გაეჩინა. მოასწრო. კიოსკში შევარდა და კარი მოიხურა. ხალხის პირველი ტალღა ჯიქურ შეეხეთქა ხის კოპწია ნაგებს. პირველს მეორე მოჰყვა უფრო ძლიერი. შეირხა კიოსკი, ჭრიალით შეჭანდა ერთ ადგილზე, მერე გადაიზნიქა და შუა ქუჩაში გადაყირავდა. გაზეთის გამყიდველი გააფთრებულ ხალხს პირისპირ შერჩა. ჭკუა იხმარა მარჯვე ბიჭმა: იქვე დააგდო გაზეთის შეკვრა და უვნებლად გაუჩინარდა.

* * *

ალექსანდროვის ბაღის მოაჯირზე ვინმე შუახნის კაცი შემდგარიყო ცხვირზე პენსნე ჩამოცმული, გაზეთი გაეშალა და მის გარშემო მოაჯირის ძირში თავმოყრილ უგაზეთო მოქალაქეებს ხმამაღლა უკითხავდა მეფის მანიფესტის ტექსტს:

„წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოზ...“

ვერ მოასწრო მკითხველმა პირველი წინადადების დასრულებაც კი, რომ სად იყო სად არა ორი ახალგაზრდა ლურჯხალათიანი მოაჯირს მიუახლოვდა. ისინი რაღაც უცნაურად მოაბიჯებდნენ — ჯიუტად, მოურიდებლად, გაბედული გამოხედვა ჰქონდათ, და გაშლილი ბეჭების თამამ რხევაში შეუპოვარ ძალას ამჟღავნებდნენ. მოქალაქეთა წრე გაარღვიეს და გაზეთის მკითხველისკენ გზა გაიკაფეს. ერთი მოაჯირს შეახტა კატის სიმარდით და პენსნიანს გვერდში ამოუდგა. პირველად ირიბად გადახედა, დამცინავად. მერე უცებ სახე გაირისხვიანა და ხმამაღლა შეტევით მიმართა:

— შესწყვიტეთ, მოქალაქენ! ნუ თუ არ იცით, რომ ყალბ მანიფესტს კითხულობთ, და ხალხი შეცდომაში შეგყავთ!

ამ სიტყვებით მაღლა ასწია ხელი, რომელშიც კედლის ძალნერგის ზომის ქაღალდის შეკვრა ეჭირა და ხალხს მიუბრუნ[illegible]

Библиотека

— ნამდვილი მანიფესტი აი, ეს არის, მოქალაქენო!

წარმოსთქვა მან და ქაღალდის შეკვრა მაღლა ჰაერში შეისროლა.

ფარფატით გაიშალნენ თეთრი ფურცლები ჰაერში და გაკვირვებულ მოქალაქეთა თავზე ნელ-ნელა დაეშვნენ.

ყველა მიხვდა, რომ ეს რევოლუციონერების პროკლამაცია იყო. გაბედული მკითხველი მოქალაქე უმალვე ჩამოხტა თავის ადგილიდან და მეფის მანიფესტიანად სადღაც მიიმალა.

— ეს ჩვენი, მუშათა კლასის, მანიფესტია, მოქალაქენო! მოისმინეთ! — განაგრძო ლურჯხალათიანმა, ხელში ერთი ფურცელი მოიმარჯვა და დაიწყო:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ყველა მუშას.

მხოლოდ მაშინ, როცა შეიარაღებული ხალხი პროლეტარიატს გაჰყვება და საყოველთაო აჯანყების დროშას ამართავს, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ხიშტით გამაგრებული მეფის მთავრობის დამხობა...“

ხალხი სმენად გადაქცეულიყო. არაფერი არღვევდა სიჩუმეს, გარდა ლურჯხალათიანის მაღალი ხმისა. მაგრამ ეს გაგრძელდა სულ რამდენიმე წამი. უცებ მსმენელთა უკანა რიგი შეირხა და სადღაც შეშინებული ხმა გავარდა, როგორც თოფის გასროლა:

— პოლიცია!

დამფრთხალი მსმენელების ნაწილი უმალვე მოსწყდა ბაღის მოაჯირის არეს და ფარასავით გაიფანტა. იმ ადგილს კი პოლიციელთა გუნდი გამოჩნდა ბოქაულის მეთაურობით. ბოქაულს მოაჯირზე შემდგარი ლურჯხალათიანი ამოეღო ნიშანში და მისკენ სწრაფად მოიწევდა.

— ჩამოდი! — შესძახა მოაჯირის ძირში მდგომმა ამხანაგმა პროკლამაციის მკითხველს, რომელიც ისე გაეტაცნა თავის საქმეს, რომ ბოქაულის გამოჩენა ჯერ კიდევ ვერ შეემჩნია. გაიგონა თუ არა ამხანაგის დაძახება, უმალვე დასტოვა მოაჯირი და ხალხის უკანასკნელ ტალღას მიჰყვა. მაგრამ გაფანტული ხალხი თავშესაფარად არ გამოადგა. სხვა გზა არ იყო: ისე გაჰყვა პროსპექტის ქვაფენილს, თითქოს არაფერიაო.

— შესდეგ! — უყვირა კვალდაკვალ მიმდევარმა ბოქაულმა. ლურჯხალათიანმა იგრძნო მისი მიახლოვება.

ცხადი იყო, პირდაპირი გზით გაქცევა ვერ იხსნიდა დევნილს განსაცდელისაგან. თავის შველა შეიძლებოდა მხოლოდ პროსპექტის გადაჭრით და მეორე მხარეზე გადასვლით. ამის გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. ქუჩაში გამწკრივებული ეტლებისკენ თავგანწირულად გაექანა. ერთ მსუბუქ ეტლს წაბლისფერი ბედაურები მოაქროლებდნენ ისეთი თქარათქურით, რომ მთელი ქუჩა ძვრას აეტანა. კინაღამ გაიტანეს ლურჯხალათიანი. ბედზე გაასწრო. ბოქაულიც არ აპირებდა ჩამორჩენას. მაგრამ ამ დროს მოულოდნელად დადგა ეტლი.

— რა ამბავია? — გაისმა უმალვე მრისხანე ხმა. ეტლის საფეხურზე ცალი ფეხით გადმოდგა ყაზახთა პოლკის საპარადო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ოფიცერი, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, მარცხენა მკერდზე გადმოშვებული ვერცხლის აქსელბანტებით.

— რა ამბავია მეთქი? — ახლა უფრო სასტიკად მიმართა მან შუა ქუჩაში უძრავად გამოჭიმულ პოლიციელს და შავი თვალები მიანათა.

— უკაცრავად, თქვენო ბრწყინ... ბრწყინ... ვალებავ! აგიტატორი გამექცა... — წაილუღლუღა ამ მოულოდნელი სანახაობით დაბნეულმა ბანაელმა.

— რაო? დაიკარგე აქედან ახლავე! ცხენები დამიფრთხე! თვითონ არ-ღვევ წესრიგს!

სთქვა თუ არა ეს, ისევ ეტლში მიიქცა. მეეტლეს შესძახა:

— წადი!

— ხაბარდა! — ლაღად დასჭექა მეეტლემ და ოთხო დასძრა წინ თავისი ბედაურები.

ოფიცერმა გამარჯვებული ამაყი სახით გადახედა მის გვერდით მჯდომ ქალს, რომლის ლამაზ სახეს შიშისაგან ოდნავი გაფითრება დატყობოდა.

— უპირველესად ყოვლისა არ უნდა შეგეშინდეს, ჩემო ლიზა! — ქართულად მიმართა ქალს ოფიცერმა და, თითქოს ამხნევებსო, მოფერებით გაუცინა.

— ვერ დავფარავ, შემეშინდა! — უპასუხა ქალმა და საიდუმლოდ დასძინა: — დაინახე, ვინც იყო?

— მაშ! საქმეც ისაა, რომ დავინახე! — უთხრა ოფიცერმა თავმომწონედ და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა:

— შემთხვევაც სწორედ ასეთი უნდა!.. ჩინებულია!

* *

ის ეტლი სამხედრო ტაძრის რკინის ალაყაფის კარების წინ დადგა ქუჩაში. შესავალთან მეფისნაცვლის თეთრყაბალახიანი და მუქშინდისფერ ჩოხიანი ამალა ჩარიგებულიყო ვიდრე ტაძრამდე.

ოფიცერი ჩამოხტა ეტლიდან, ქალს ხელი მიაწოდა და ძირს ჩამოსვა.

ალაყაფის კარებთან მცველებმა სამხედრო სალამი მისცეს მათ და ასე გაატარეს. — ყველას, განურჩევლად ხარისხისა, მდგომარეობისა და ასაკისა, თვალი რჩებოდა ქალზე, რომელიც ოფიცერს მკლავში ხელამოდებული მიჰყავდა ტაძრისკენ.

საზეიმო სამადლობო პარაკლისი დაწყებულიყო.

აღსავლის კართან გამოჭიმული ვეება ტანის მთავარდიაკონს ოლარის წვეტი თითზე გადმოეკეცა და მაღლა შეემართა. იგი მგრგვინავი ხმით მეფისა და მისი ოჯახისათვის ასამაღლებელს ამბობდა.

რაკი ტაძარი სავსე აღმოჩნდა, დაგვიანებით მოსულ ყაზახთა ოფიცერს და მის თანამგზავრ ქალს უკან მოუხდათ დადგომა, დიდი სვეტის შებნელებულ არეში, მთავარ შესავალთან ახლოს.

ტაძრის ამ ნაწილში არ სჩანდა მაღალი ოფიცრობა, გარდა ერთი მოხუცებულობით მიხრწნილი არტილერიის გენერლისა, რომელსაც ბნელში სვეტთან ახლოს დადგომა, ალბათ, იმისთვის აერჩია, რომ დროგამოშვებით მას მიჰყრდნობოდა და მუხლები შეესვენებინა.

ყაზახთა ოფიცერი ქალითურთ ამ გენერალს რომ მიუახლოვდა, წელში შემკვრივებით გაიმართა და დეზები ოდნავ გააჩხარუნა. ამ სახით სალამი მისცა ჯეროსს და ამავე დროს ნებართვაც სთხოვა ახლოს დადგომისა. გენე-

რალმა არც კი შეხედა ახალგაზრდა ოფიცერს. მხოლოდ ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია ოდნავ შესამჩნევად.

ის იყო მთავარდიაკონმა დაამთავრა ასამაღლებელის ერთგვარ [illegible] და ხორომ მთელი ხმით „მნოგაია ლეტა“ შემოსძახა, რომ [illegible] ზომის ქაღალდის ფურცლები, ბეთრი მტრედის გუნდივით, ტაძრის მთავარ კანდელს შრიალით მიაწყდნენ და ანთებული ელექტროსანთლების გარშემო ფარფატით გაიშალნენ. მერმე სულიწმინდის მოფენასავით კანდელის ქვეშ მდგომ მლოცველთა თავზე რხევით ჩამორიგდნენ.

პირველად ვერავინ მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ ერთ წამსაც არ გაუვლია, რომ ტაძარში არაჩვეულებრივი არევ-დარევა მოხდა.

ორიოდე ცალი ფურცელი კანდელზე გაიჩხირა და იქიდან ისე გადმოიშალა, რომ ერთზე მკაფიოდ გამოჩნდა მსხვილი შავით დაბეჭდილი:

„ყველა მუშას“,

ხოლო მეორეზე ასეთივე ასოებით ბოლოში მიწერილი:

„გაუმარჯოს რევოლუციას“.

სვეტზე მიყრდნობილმა არტილერიის გენერალმა ამის დანახვაზე უცებ დამბლა-დაცემულივით ფეხები გააქლასუნა და ჩავარდნილი გულმკერდი უცნაურად გამოფშიკა. თვალები დასჭყიტა. ამ სახით ერთი ნაბიჯი წინ წადგა და აცახცახებული ხელი კანდელისკენ გააშვირა. სჩანდა, რაღაცის ბრძანება უნდოდა სასტიკად, მაგრამ ხმა პირიდან არ ამოუვიდა. მაშინ მთელი ტანის კანკალი აუვარდა. ერთიც შექანდა და, ის იყო, უნდა დაცემულიყო, რომ ყაზახთა ოფიცერი სწრაფად მივარდა, ხელი წელზე მოხვია და შეამაგრა.

— მი... შვე... — ძლივს წარსთქვა გულწასულმა გენერალმა და ოფიცრის მკლავზე გადააწვა.

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, თქვენო აღმატებულებავ? — ხმამაღლა, მაგრამ თანაგრძნობით ჰკითხა ოფიცერმა. მერმე იქვე მდგომ ქალს ფიცხლად მიმართა: — მერი, ალექსი პეტრეს-ძეს გული შეუწუხდა! მომეშველე...

— ღმერთო ჩემო, ჩემო ძვირფასო ალექსი პეტრეს-ძევ! ჩემო ბიძიავ, რა მოგვივიდა? არ შეგეშინდეს... არაფერია! — ახლა მეორე გვერდში ქალი ამოუდგა გენერალს, მარაო გაშალა, სახესთან დაუქნია.

— გზა, გზა! — ამბობდა ოფიცერი და მკლავზე გადაწვენილი ბებერი გენერალი გასავალისკენ მიჰყავდა.

საერთო დაბნეულობასა და არევ-დარევაში მაინც გამოჩნდნენ ისეთებიც — ზოგი მოხელე, ზოგი სამხედრო — რომლებიც დიდის თანაგრძნობით მიეშველნენ ახალგაზრდებს და გულწასული გენერალი ტაძრის კიბეზე მშვიდობით ძირს ჩააყვანინეს.

* *

ამრიგობაზე ეტლი გოლოვინის პროსპექტით სამ ადამიანს მიაქროლებდა. გენერალს გვერდით უჯდა ქალი, ხოლო მათ პირდაპირ სკამზე ოფიცერი მოთავსებულიყო.

პროსპექტი ისევ ხალხით იყო გაჭედილი. ყრუ გუგუნი კუთხიდან კუთხეში გადადიოდა. იგრძნობოდა, როგორც მეხის გავარდნის წინ: აი, ეს არის, დაიჭექებსო. სადაც კი ის გუგუნი ცოტათ-თუ ბევრად გაიშლებოდა, ცხენოსანი პოლიციელების რაზმები მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ, და პროსპექტის

მთელ გაყოლებაზე გაისმოდა რუსული მკაცრი შეძახილი: „[illegible]“..

ქუჩა მაინც თავისას არ იშლიდა.

როცა ეტლმა ვერის დალმართს მიაღწია, თითქოს მასში [illegible]ბრ-ზე, მოსაქცევთან კუთხეში ძალზე მაღალმა ხმამ თამამად [illegible]

„ზურგი ვააქციოთ ძველ ადაათ წესებს“...

აქამდის საჯდომის ზურგზე თვალებმილულულად მიწოლილმა ბებერმა გენერალმა ამის გაგონებაზე მკვირცხლად გაახილა თვალები და მიმოიხედა. მერმე ლოტბარივით ორი თითი გამართა კომერტონივით და თანამგზავრებს სახის მკაცრი გამომეტყველებით ანიშნა, აბა მომყევითო. ნიშნებასთან ერთად ახალგაზრდული ანკარა ხმით ქუჩის კუთხეში წამოწყებულ მარსელიეზას მიაყოლა.

„ჩამოვიიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი...“

— ადრეა ბიჭო, შე ოხერო! ცოტა დაიცა, ბესო, — გააწყვეტინა ოფიცერმა და თითებზე ხელი წაავლო.

— აღარ შემიძლია, ხალხო! მოთმინება არ მყოფნის! ლიზიკო, შენ მაინც შემაწიე შენი წკრიალა ხმა!

„ჩვენ მხარი მივცეეეთ ჩვენს ჩაგრულ მოძმეთ...“

— ბანი არ გვყოფნის! შაქროჯან, კოფოდან მოგვძახე ერთი შენებურად, თუ ძმა ხარ! — მიმართა გენერალმა ახლა მეეტლეს, რომელიც ძლივს უჭერდა თავს დალმართზე დაქანებულ ცხენებს.

„მშიერ ძმას ხელიიი ჩვენ გავუწოდოთ...“

დაბლად ჩააგუგუნა მეეტლემ, როცა დალმართი მშვიდობით გალია და ვერის ხიდს გაუპირისპირდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრიგოლ ჩიქოვანი

მეორედ შეხვედრა

მუიას მხარზე გადაკიდულ საფოსტო ჩანთისათვის ხელი ამოედო და გულზე სათუთად მიეკრა. ჯიქურად მიაბიჯებდა თავაღებული. არაფერს არა ხედავდა, არაფერი არ ესმოდა. ბოგირზე ერთმანეთზე მიწოლილ ღორებს გადაალაჯა და მაშინ გამოერკვა, როცა კოლმეურნეობის გამგეობის ოთახის კარებს მიადგა. შეყოყმანდა — შევიდე თუ არაო. ერთბაშად წახდა. სხეული როგორღაც დაუმძიმდა. სად მიხვალ, მუია, კიდევ დაფიქრდიო, ეწეოდა უკან რაღაც უხილავი ძალა.

განა ცოტა იფიქრა მუიამ. ასჯერ ასწონ-დასწონა. მაგრამ არა, არა, კიდევ დაფიქრდება. ფიქრის დროს კი მუიას უსაქმოდ გაჩერება არ შეეძლო. წაღის ჭვინტზე სკვინჩასავით წამოსკუპებულ გამხმარ ტალახს შეჰკიდა თვალი, სარმასავით გამოჰკრა ფეხი კიბეს. გამხმარი თიხა საფეხურიდან ხტომით დაეშვა ძირს. ახლა მუიამ ფეხები გაუსვა ერთმანეთს. შემხმარი ტალახის ნატეხები მრავალხმიანად ახმაურდნენ ფიცრის კიბეზე, თითქოს ტაშს უკრავენო უნებურად აცეკვებულ მუიას. შემდეგ საბუდიდან რქისტარიანი დანა ამოიღო. ფხეკა დაუწყო. არ მოეშვა, სანამ მთელი წლის მიმხმარი ტალახი არ გააცალა და წაღებს პრიალი არ დააწყებინა. სიბერეში ფეხი ჩადგა და წაღები ჯერ არ გაეწმინდა. მეტისმეტი ფურთხებისაგან ქვედა ყბა გაუშშდა. დაიდალა.

დაობებული სამგის პრიალმა თვალი რომ მოსჭრა, იამა, შეიმშვენა. მხრებში გაიშალა და მაღალ კისერზე შემდგარი თავი ამაყად ასწია. ქამრის მოჭერაც სცადა, მაგრამ ამაოდ, უზომოდ წამოწეულ მუცელზე ხელები მოიფათურა მხოლოდ და აჩეჩილი ხალათის კალთის ნაჭრები უკან დაიტაგა. ყაბალახი თავიდან მოიგლიჯა, მერე ხელახლა წაიკრა. ყოველთვის მეგრულ ყაიდაზე იკრავდა ყაბალახს, ახლა რატომღაც არ ეჭაშნიკა. გურულად სცადა, არ გამოუვიდა. სიბერემდე ასე ვიკრავდი ყაბალახს, ჩემს რჯულზე და ჩემს ადათზე და ახლა რავა შევირცხვინო თავიო. რა ვუყოთ, წაღები თუ გავიწმინდე, წაღები ფეხზე მაცვია, ყაბალახს თავზე ვიკრავო. ამ ფიქრებში იყო, ჭიშკრის ჭრიალი რომ შეესმა. შეკრთა, კარებს ეცა.

— მუია, გამარჯობა! — გაისმა კიბეზე ძაბულის წკრიალა ხმა.

მუიამ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ორივე კარი ფართოდ გააღო.

— მობრძანდი, მახარია! — დაბნეულად წაიდუდუნა და განზე გადგა, მაგრამ ძაბულიმ მათარაზე ხელი მოჰკიდა და მაგიდისაკენ წაიყვანა.

— დაჯექი, მუია! — უთხრა მუიას და იქვე მომუშავე ბუხჰალტერს მიუბრუნდა: — კიდევ არ დაურეკაათ, შაჰან?

— მანქანები ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუიას პასუხს არ დაუცადა, ტელეფონის მილნაკი აიღო.

— ხობი, ხობი! ხობი ხარ? ადმასკომთან შემაერთე. რა თქვი? კარგი... /რას იტყვი, მუია?

— მოიცა, ჭირიმე, ამოისუნთქე...

— სად მცალია, მუია, ამოსასუნთქავად!

— ტრუპკა დაკიდე, მახარია, და მე მაინც მაცალე ამოსუნთქვა, ვიტყვი, აბა არ ვიტყვი?

— თქვი, მუია, თქვი, რა გიჭირს? — აჩქარებდა წასასვლელად წამომდგარი ძაბული.

— მე რა უნდა მიჭირდეს, ჯაგა, ჩემი იუსტინე რომ მყავდეს მადლიერი, — გაუბედავად დაიწყო მუიამ.

— რა დაემართა ბიცოლას?

მუიამ თავი ასწია. ძაბული შემკრთალი სახით შეჰყურებდა.

— ამ თანამდებობიდან უნდა გამანთავისუფლო, თავმჯდომარეე, — დაიწყო ხმის კანკალით და საფოსტო ჩანთაზე მიუთითა. სახელის მაგივრად თავმჯდომარეო იმიტომ უთხრა, რომ თავისი სიტყვისათვის საქმიანი ტონი მიეცა.

ძაბულის გაეღიმა. მაგრამ მუიას შეშფოთებულმა სახემ და მისმა განცხადებამ გააკვირვა, დაჯდა:

— რაო, რა თქვი, მუია?

— არა, ახლა ვერ ვიტყვი, ჯაგა, მერე შემოვიველი და უფრო დალაგებით აგიხსნი ყველაფერს, — შეწრიალდა მუია და კარებისაკენ გაიწია.

— მუია!

დანაშაულზე წასწრებულივით შესდგა მუია. მერე ნელა მიბრუნდა, მაგიდისაკენ წავიდა და დაჯდა.

— იუსტინე მეყრება, ძაბული, — ალუღლუღდა და ძაბულის ცრემლიანი თვალები შეანათა.

— ხუმრობ, მუია? — გაოცდა ძაბული.

— ჰმ, ვხუმრობ? კაცს დანა პირს არ მიხსნის და სახუმროდ მაქვს საქმე?

— თქვი რა მოხდა?

— ან ღვინის სმა მიატოვე, ან მე გამეყარეო.

— რაო?!

— გამეყარეო, გამცილდიო.

— ღვინის სმას შენ ახლა ხომ არ იწყებ? — გაეცინა ძაბულის.

— სმა სმას გააჩნია, ჭირიმე.

— როგორ?

— ღვინოში ვიხრჩვები კაცი.

— არაფერი არ მესმის, მუია.

— მასმევენ, ბატონო! — აუწია ხმას მუიამ უკმაყოფილების გამომხატველი კილოთი და თან ერთგვარი ფარული სიამაყით: — კაი დედის შვილი ხარ და ნუ დალევ!

— ვინ შვება მერე მაგ ცოდვას?

— ვინ და ყველა, სოფლის თავიდან დაწყებული სოფლის ბოლომდე, მთელი თემი — ქალი და კაცი.

— მუია, ან მე არ ვარ ამ საღამოს დალაგებულ ჭკუაზე, ან შენ ახლაც ნასვამი უნდა იყო...

— კი, ნასვამი რავა არა, ჯაგა, მაგრამ ჭკუაზე ფხიზლად ვარ, ბატონია... ჰო, იმას ვამბობდი, მთელი სოფელი მასმევს მეთქი, — წათამამდა და ისეთი ხმით განაგრძო, თითქო ახლა შეუდგა საქმის შინაარსის [illegible] — რა ვქნა, არ დავლიო? ამ ჩანთას რომ უყურებ, ყოველ დილაადრიან [illegible] გამომაქვს ფოსტიდან მომქმედ არმიიდან გამოგზავნილი წერილებით. ვისი წერილებია მერე? ჩემი მეზობლის, ჩემი ნათესავის, ჩემი სისხლის და ხორცის. რაღა ცალ-ცალკე ჩამოვთვალო, ჩემიანი არაა ყველა ჩემი სოფლის კაცი? ჰო-და, ფოსტასთან რომ ავთოხარიკდები ამხელა ყაძახი და სოფელში ბომბასავით გავარდება ხმა: მუია მოდის, მისი ჭირიმეო, მერე ჩემს ჭკუაზე არ ვარ. გათენებამდე ჭიშკრებზე გადმომდგარი ქალის და კაცის გნიასში მეც სიხარულისაგან ავჭიხვინდები. წელიწად ნახევარია ყოველ დღე თითო ჩანთა წერილებს და დეპეშებს ვარიგებ და ჯერ ჩემ მიტანილ წერილს და დეპეშას არც ერთ ოჯახში სიხარულის მეტი სიმწარე არ შეუტანია...

შეისვენა, სკამს უფრო მარჯვედ გადააჯდა:

— რა ასწერს იმ სიხარულს, ძაბული, გაშანშალებულ წერილს რომ ჩავუშრიალებ ომში წასული ვაჟკაცის დედას ან ცოლს? სიხარულისაგან ჭკუადაკარგული ცოლი ბავშვებს რომ დაერევა, კოცნის, ეფერება, უჯავრდება, დაბანს, დავარცხნის, მერე საქათმის ლაფარეში ან მაღაზაში[1]) შეაფარებს თავს, წერილს მუხლზე დაიდებს და სიყვარულის ახსნას დაუწყებს ქმარს. ეს კიდევ არაფერია. შენ ის უნდა ნახო, შეყვარებულს რომ შორიდან ვუჩვენებ წერილს და „მუია, შენი ჭირიმე“-ს ძახილით აქაქანებული რომ გამოფრინდება. ვისაც მუხლები და გული უვარგა, ჩემს მკლავზე ვარდება გულ-შემოყრილი, სხვები კი მოჭრილ ალვის ხესავით ზღარბანს ადენენ შუა გზაზე. რაღა შორს წავიდე, პარასკევს შენი ჯონდოს მეორე ორდენით დაჯილდოების ამბავი რომ მოგიტანე, არ გახსოვს, რა დაგემართა, მახარია? ნუ გაწითლდი ჭირიმე, ყველა ქალს ასე ემართება უზომო სიხარულის დროს. იმ სიცხე-ბაპანაქებაში ორკვარტიანი ყანწი რომ მომაყუდე, ჯერაც არ გამოვფიზლებულვარ იმისაგან. ადესა ან ფრანგული მაინც ყოფილიყო. წმინდა სისხლის ოჯალეში იყო ის დალოცვილი. ვერ აუვიდა, ბატონო, მუია ბალათურია ამდენ ყანწებს და ჩაის ჭიქებს! — აქ დიდად დაჩაგრული კაცივით გაასავსავა წერილი, მაგრამ ჭკვიანი თვალები: — ეს ჩვენი გამარჯვების დამილიეო, ეს მისი მალე დაბრუნებისაო, ეს ყველაწმინდაო, ეს სამადლობელიო და ჰაიდა, მიყვება და მიყვება ასე. რამდენი „ეს“ ჩამოგითვალო? სოფლის ბოლოს რომ თავს ამოვყოფ, ისე ვარ გამობრუჟული, რომ ფეხზე ძლივს ვდგები.

პირი გაუშრა, თავისი საყვარელი მანდარინი მოქექა ჯიბეში, ერთ ადგილას უკბიჩა ჩვეულებისამებრ, მერე ხელის გულში მოაქცია, ხელი ზევით ასწია, მოუჭირა მანდარინს და პირი შეუშვირა. „მჭა“, — გააწკლაპუნა თავისი გრძელი ენა, კმაყოფილებით ამოიხვნეშა და განაგრძო:

— ღვინის სმას კიდევ ქე აუვალ რაცხაფერად, ჭამას ვერ გავართვა თავი. აბა ახლა ეს დააყოლე, აბა ახლა ესო, და ამ ჩემი ცოდვით ამოსაგდებმა „ეს“-მა გადამიყოლა კაცი. რაც ჩემი თავი მახსოვს, საფრთხობელასავით აჩონჩხილი ვიყავი მუდამ ჟამს. ახლა ისე გავსივდი, ჩემს კანში ველარ ვეტევი. მაზარუ მგელივით კისერს ვერ ვაბრუნებ ყაზახი. ყველა ამ უბედურებას

[1]) მაღაზა — სასიმინდე.

ისიც დაემატა — შიშველი დავრჩი. რაც რამ ჩასაცმელი მქონდა, ერთ ალში გადასაყრელი გამიხდა: დავიქეცი, ექვსი მეტრი ნარმა არ ყოფნის ერთ ბერანგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოისაწყლა, მოიბუზა, საცოდავად აწუწუნდა:

— ყველაფერზე უარესი ისა მჭირს, გასუქებამ რომ ათი-თხუთმეტი წლით გამაახალგაზრდავა. მომინელა იუსტინეს ბუზღუნმა. აწი ჩემისთანა დედაბერი რაღათ გინდაო. მოზვერივით დაგორავ კაციო. ალიონისას სახლიდან გასული დაღამებამდე ქალებში ტრიალებო. კარგს გაჭმევენ, კარგს გასმევენ, ტკბილ სიტყვას გეუბნებიან და ტკბილ თვალს გიჩვენებენო. იუსტინეს რაღათ შეხედავ ახუნტრუცებული ყაძახიო.

უცებ აჩქარდა. ჩანთა მოიხსნა მხრიდან:

— გაგაცდინე მე სასიკვდილემ. მანქანები დიდი ხანია მოვიდნენ, უნდა გამანთავისუფლო.

— გადაწყვეტილი გაქვს? — უთხრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ძაბულიმ და დიდმნიშვნელოვნად შეხედა მუიას.

— რა ვქნა, აბა? ოცი წელიწადია ჩემ იუსტინესთან ვცხოვრობ და ამ სიბერის დროს მივატოვო ქალი?

ძაბულის თვალებში ეშმაკურმა ღიმილმა გაჭკრა. მაგიდის უჯრა გამოსწია, სუფთა ქაღალდი გამოაძვრინა და მუიას წინ დაუდო.

— ჰა, დასწერე განცხადება და ხვალიდან გაგანთავისუფლებ, — რამდენადაც შეეძლო ცივად უთხრა, წამოდგა და ქიცა[1]) მოისხა.

მუია არ განძრეულა. არ დაუნახავს, როგორ გავიდა ძაბული. გაშტერებული დასცქეროდა პრიალა ქაღალდს. თვალები მოიფშვნიტა, კვლავ დახედა. არა, არ ეჩვენება. ქაღალდი დევს მის წინ, სუფთა, დაუწერავი.

ოთახში სიწყნარე იყო. ბუხჰალტერი თავის საქმით იყო გართული. ეზაზე ფრონტზე გასაგზავნი, საჩუქრებით დატვირთული სამტონიანი მანქანები მიგრიალებდნენ. ეზოში დატვირთვის მომლოდინე სხვა მანქანების გამოურთავი მოტორების ბათქა-ბუთქში ძაბულის ხმაც ისმოდა. ქვასავით ხვდებოდნენ მუიას გულს ეს ხმები. მთელი ქვეყნიდან გარიყულად მიაჩნდა თავი. თუმცა არა, ჯერ ხომ არ დაუწერია განცხადება. ეს წყეული ქაღალდი ისევ წინ უდევს და თვალებს სჭრის მისი უტიფარი პრიალი.

— შაჰან, ჩემო ბიძიკო! — შეჰყვირა და ცეცხლმოდებულივით წამოიჭრა. — რაო? რა მითხრა მე ძაბულიმ?

— ჰა, არ ვიცი, არაფერი გამიგონია, — თავაუღებლად წაიდუდუნა ბუხჰალტერმა და ყუთში თავჩაყოფილმა რაღაც საბუთს დაუწყო ძებნა.

— ნანაია-შური, შენ კი არა, ნეტა მეც არ გამეგონა და აქვე დამელიოს სული! შაჰან, მოიხედე, შე კაცო, დია, ძაბული ხომ ჩიტივით დამისხლტა ცხვირწინ და მიწა გამსკდარი კაცი დამტოვა აქ. შენ მაინც რას მემალები, ქრისტიანო? — ისეთი მუდარით შესჩივლა მუიამ, რომ შაჰანმა უნებლიედ ამოჰყო თავი ყუთიდან.

— ჰო, რაო, რა გითხრა ასეთი თავმჯდომარემ?

— თავმჯდომარემ კი არა, ძაბულიმ თქვა, ჩემმა ძაბულიმ, ჩემ მხრებზე გაზრდილმა ბალანამ... ხედავ ამ წყეულ ქაღალდს?

ძაბულის მაგიდისაკენ გაიწია და შორიდან თითით ანიშნა ქაღალდზე.

— განცხადება დამიწერე და ხვალიდან გაგანთავისუფლებო.

[1]) ქიცა — აბრეშუმის თუ ჩითის თავსაფარი.

შაჰანი ჩაფიქრდა. საანგარიშო ჩოთქს რამდენჯერმე გაჰკრა-გამოკრა თითი, თითქოს თავისი ნაფიქრალი შეაჯამაო. მერე კვლავ მუიას შეხედა:

— კი, მაგრამ შენც მაგას არ ითხოვდი, მუია?

— მერე რა ვუყოთ, რომ ვითხოვდი?! — აიტაცა მუიამ — ... ამას დამიხედეთ ერთი! რავა უცებ გადამიდგნენ ყველანი. ითხოვდიო, მე იქნებ ჭკუიდან გადავედი და ბლაღოჩინობაც ქე ვითხოვო. ახავაი, რას შეესწარი, მუია ბაღათურიავ, რა გაიგონეს დღეს შენმა ყურებმა შენი ძაბულის პირიდან? მე გულის მოსაფხანად და იუსტინეს შესანანებლად რაცხა წამოვიყრანტალე, ამისათვის უნდა მიგექციათ ყურადღება?

უცებ გამოიცვალა, გაიმართა. თავისი საფოსტო ჩანთა მოიმარჯვა.

— ჩამომართმევთ ამას? მომხსნით? კი, მაგრამ ხვალ რომ მუია ბაღათურიამ თავისი გაჭექილი ჩანთით სოფელში არ ჩამოიაროს, იცით, რა ამბავი დატრიალდება? მერეთ მოსვლა იქნება, ბაბაჩია, მერეთ მოსვლა! [1]) — მაგიდასთან მიიჭრა, ძაბულის მიცემული ქაღალდი აიტაცა, ოთხად დაკეცა და ისე ჩაიდო გულის ჯიბეში, როგორც დიდი მამხილებელი საბუთი.

— მოკვდეს მუია ბაღათურია, თუ მუხლებზე არ დაგაჩოქოთ და ისე არ გახვეწინოთ: დაგვიბრუნდი, მუია, შენი ჭირიმეო. — თვითონვე შეეშინდა თავისი სიტყვებისა. — მითხარი, ჯერ ხომ არ ვარ მოხსნილი, ბაბაჩია? ეს ქაღალდი ხომ აქ მიდევს ჯიბეში, კარგათ არც დამიხედავს ზედ, რავა შევხედავ, ეშმაკმა დახედა!

ოთახს ელნათურების სხივები მოეფინა.

— ავაიმე, დაღამებულა, ჯიმა ღურელი, ჩემი იუსტინე შუკა-შუკა დამეძებს, ალბათ, ვაი თუ ჩემი მთვრალი ბადიდი სადმე ჩაიჩეხაო. მშვიდობით, მშვიდობით.

კარებისკენ მიტრიალდა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს.

— სად მივალ ნეტავი? სახლში მიმესვლება? ეს ამბავი იუსტინემ თუ გაიგო, ქვეყანაზე დამედგომება მერე? არა, ბატონო, არსად წამსვლელი მე არა ვარ.

დაჯდა, ჩანთას მაგრა ჩაბღუჯა ხელი.

— ამ ჩანთას, ბაბაჩია, ძილშიაც არ ვიშორებ. მხრიდან: მკვდარს თუ ამაძრობენ, თორემ ცოცხალი თავით არავის დავანებებ. ქვეყანამ იცის, რომ მუია ბაღათურია ამ ხელობისათვისაა გაჩენილი.

მარჯვენა ხელი, რომელზედაც უზომოდ დიდი მაჯის საათი ჰქონდა, ზევით ასწია...

— გესმის? რა ტაკა-ტუკი გაუდის! ვინ დამაჯილდოვა მე ამ საათით?

— ვინ? კოლმეურნეობამ.

— ხომ?

— კი, კი, რავა არა, — დაემოწმა შაჰანი.

ახლა სათუთუნე ქისიდან ვეოცხლის პორტსიგარი ამოაძვრინა, გახსნა, შიგ კოხტად ჩალაგებული პაპიროსები დაანახვა. ერთი ცალი აკლდა პაპიროსებს, ისიც იმ დღეს მოსწია მუიამ, როცა ეს საამაყო საჩუქარი მიართვეს. დანარჩენები მეორე წელიწადია ხელუხლებლად ულაგია. ვერაფრით ვერ შეეჩვია „კეთებულ პაპიროსს“. თუ შენი ხელით არ გაახვიე თუთუნი და ათთხუთმეტჯერ არ გადაატრიალ-გადმოატრიალე თითებში, მერე ამდენჯერვე

[1]) მერეთ მოსვლა — მეორედ მოსვლა.

ენის წვერი არ გაუსვ-გამოუსვი პაპიროსის ქაღალდს, ისე რა გემრ აქვ-თუთუნსო. პორტსიგარი რიხით დახურა და ახლა სახურავის მხრიდან უკვე-ნა. ელნათურის შუქზე გასაოცრად ბზინავდა ვერცხლი და მუია შიგ თვალებ-ში უნათებდა შაჰანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედავ, რავა ბრჭყვიალებს? ვერცხლი კი არა, ხვითოა, ხვითო. ვინ მო-მართვა ეს მე?

— სოფლის საბჭომ.

— ხომ?

— კი, კი, მუია...

— შენ რომ არა სთქვა, ზედ არ აწერია, ვის მიართვეს - და ვინ მიართვა? ეს სირმაშემოვლებული ყაბალახი ვინ გადაადო მუიას მხარზე? — მოიგლი-ჯა ყაბალახი მხრიდან და ცხვირწინ აუფრიალა შაჰანს.

— ჩვენმა ქალებმა.

— ხომ?

— კი, კი...

— კი, კი არა, ხო თქვა, შე კაცო... მერე და ამხელა კაცი ამ ერცახე ქა-ღალდით გინდათ გამაფუჭოთ?

ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ტე-ლეფონის აჩქარებულმა წკრიალმა შეაჩერა. შაჰანი მილნაკს ეცა.

— ჰო, ხეთა გახლავართ, ხეთა! ძაბული? ახლავე დავუძახებ... დამიცადე, მუია! — შესძახა მუიას და მილნაკი შეაჩეჩა. სკამს წამოედო, კარს მხარი გაჭკრა და ბურთივით გავარდა გარეთ. კარები ჯახუნით მიაწყდნენ ერთმა-ნეთს და თავისით დაიხურნენ. ოთახში სიწყნარე დაეშვა. არც გარედან ისმო-და ხმა. ტელეფონის მილნაკი კი განუწყვეტლივ ხრიალებდა — ხეთა, ხეთაო. მუია წელში გაიმართა.

— ჰაი! — ჩასძახა მომარჯვებულ მილნაკს. — ვინაა? ალმასკომის თავ-მჯდომარე ლაპარაკობს? კაი გამარჯვება ამხ. სევერიანს! მე ფოსტალიონი მუია ბალათურია გახლავართ. დიალ, მუია, ბატონო, მუია. ჰაი? გვასახელა, კი, მეორე თავი დაადგა რაიონს. ქმარი? მართალი ბრძანდებით, ორივე ერთმანეთზე უკეთესია — ძაბული და ჯონდო. ჩემს მხრებზე გაიზარდა ორი-ვე. ჰაი? თვითონ მოდის აგერ. არიქა, ძაბული! — შესძახა და შორიდანვე შეაჩეჩა მილნაკი.

ძაბულიმ სული მოითქვა, კულულები უკან გადაიყარა.

— ძაბული ვარ. გამარჯობა! სამოცი ტონაა. ოჯალეში? რასაკვირველია. ხუთასი ლიტრი. ოცივე მანქანა გავისტუმრე უკვე. მადლობა მე კი არა, აი ამათ უნდა უთხრათ.

ძაბულიმ ხელი მაგიდის გარშემო შეყრილ კოლმეურნეებისაკენ გაიშვირა. ისინი მას შემოჰყვნენ. ელნათური შესცინოდა მათ სახეებს. ყველაზე წინ მუია იდგა. ძაბულის ხელი პირდაპირ მისკენ იყო გაშვერილი. მუია უხერხუ-ლად შეირხა, ტანის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა. მჭახედ ჩაახველა. ძაბულიმ მილნაკი ჩამოჰკიდა და თავის მაგიდისკენ გასწია.

— აბა, მუია, — უთხრა გზად, თავის მიერ მიცემული ქაღალდი ააძრო, დაჯდა მაგიდასთან და წერა დაიწყო.

მუია გაშეშდა: ახლა კი ვიღუპები კაციო. მომხსნა, მორჩა და გათავდა აწი ჩემთვის ყველაფერი. ასე უცებ, მოულოდნელად. არა, არა, ძაბული მა-გას არ იზამს.

თვალი მოარიდა ძაბულის, საფოსტო ჩანთას წაეპოტინა ცალი ხელით, მერე მეორე ხელიც ამოსდო ქვევიდან და ჩანთა გულზე მიიკრა. გაბედულმა ბჭონდა გული. სუნთქვა შეეკრა და სხეული ისე დაეძაბა, შეეშინდა, არ გავსკდე კაცო. უკან მდგომი გადახედა. ყველანი ძაბულის [illegible].

ამდენ ხალხში შერცხვენას ვერ გაუძლებსო ჩემი გული, [illegible], უკან-უკან დაიწია, კარებისაკენ, და ის იყო შეეხო კიდეც კარს, მუიაო, გაისმა ძაბულის ხმა. მეხდაცემულივით შეტორტმანდა. კოლმეურნეები ჰფარავდნენ ძაბულისაგან. ნეტა კარი მაინც ღია იყოს, ლანდივით გაქრებოდა.

— მუია, მუია სად არის? — აწრიალდა ძაბული.

— ახლა აქ იყო, სად წავიღოდა?

— მუია, მუია!

აჩოჩქოლდნენ ოთახში შეყრილნი. მუიამ ისარგებლა, კარს ხელი ჰკრა და თვალის დახამხამებაზე გავარდა ოთახიდან, მაგრამ კიბის თავზე ამოსულმა მდევკაცმა აიტაცა და ატოტებული შეიყვანა ოთახში.

— რა ამბავია? აგერაა მუია, — სთქვა და მორივით დააყუდა ძაბულის წინ.

— რა მიქენი, მაქსიმე? — ყრუდ ამოიკვნესა მუიამ.

— არიქა, მუია, გაფრინდი, ჭირიმე! — უთხრა ძაბულმა და „წყეული" ქაღალდი ხელში შეაჩეჩა.

— გაეფრინდე?! სად გავფრინდე, მახარია? — მთლად წახდა მუია.

— ფოსტაში, ფოსტაში, მუია! ელვას ვუგზავნით იმ ნაწილს, რომლისათვისაც ეს საჩუქრები მიგვაქვს. — ააჩქარა ძაბულმა, ხელები მხრებში ბოჭკიდა და კარებისაკენ წააჩინდრიკა. იქ შეაყენა. — დელეგაციას, რომელიც საჩუქრებს გაჰყვება, მუია ბაღათურია გაუძღვება.

— ძაბული! — შეჰყვირა მუიამ.

— გასწი ახლა! — ხელის კვრით მოიშორა ძაბულმა.

— ჩემი ცხენი აბია მაწდ, მუია! — მიაძახა მაქსიმემ, მაგრამ მუია უკვე მის ცხენზე იჯდა.

— ჰაა, ჰაიტ, მარჯა! — შესძახა და ფანჯარასთან მიაგდო პირუტყვი. უზანგებზე წამოდგა და ოთახში თავი შეჰყო. — ძაბული, აკოცე შენს მუიას, ბაბაჩია! — შესძახა სიხარულისაგან ატირებულმა.

— კიდევ აქა ხარ, მუია! — გაუწყრა სიცილით ძაბული.

— მივფრინავ, ჭირიმე, მივფრინავ, ჰაა, ჰაიტ! — ისმოდა შარაზე ცხენის ფლოქვების თქრიალში მუიას ხმა.

*

* *

— არიქა, იუსტინე, დატრიალდი შენებურად... — შესძახა ცოლს აქაქანებულმა მუიამ შუკიდან და ჭიშკარს ფეხი ჰკრა. არ მიუხურავს, ძუნძულით გასწია ოდისაკენ. მაგრამ აივანზე დოინჯ-შემოყრილი იუსტინე რომ დაინახა, ფეხი აერია: დაცდილი ჰქონდა მისი ასეთი დახვედრა. წიწილების დასაცავად აფხორილ კრუხს ჰგავდა ტანმორჩილი დედაკაცი. სამზადის ღია კარიდან შუა-ცეცხლის შუქი ანათებდა მის მკაცრად შეკრულ სახეს.

„მოგიკვდეს შენი იუსტინე: ფეხზე ვერ დგება კაცი, მთლად დაუხრჩვიათ წყეულებს ღვინოში!" — ტკივილით გაიფიქრა იუსტინემ.

— იუსტინე, მიდის შენი მუია, გშორდება...— მოისაწყლა თავი ქალიამ და ჭადრის ქვეშ შედგა.

ვეება ტოტების ჩრდილში მისი ახმახი სხეული საწყლად და უფორმოდ აიჩონჩხა. საბერველივით ქშინავდა. სახეზე ოფლის ხვითქი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იუსტინე!

— იუსტინეს დაუმიწდი შენ!

— რა დავაშავე ასეთი, იუსტინე? რად მწირავ ასე, მაძალუას ქალო? ისეთ გზაზე მივდივარ, იქნებ ცოცხალი არ დაგიბრუნდე...

— რავა, შუა ღამეზე სახლში მომიბრუნდი და კიდევ აპირებ სადმე წასვლას? სად წაგესვლება ბოსიაკივით გამობრუეულს? დიდია, ერთი შეხედეთ, რავა,გადამერია ყაძახი, რავა აიშვა თავი!

— ხო, ჩემო იუსტინე, ძალიან ვარ აშვებული. ნამეტნავად ამ საღამოს...— ჭადრის ჩრდილიდან გამოვიდა, მხრებში გაიშალა, მაღალი კისერი უფრო წაიგრძელა.— ისე ვარ აშვებული, ვერაფერი დამაკავებს. წასვლა კი არა, რომ შეიძლებოდეს, ახლავე გავფრინდებოდი.

— სად მიფრინავ, მითხარი ქე მაინც?

— ფრონტზე, შვილთან, ჩემს ბარდღასთან. ენაცვალოს მისი ბაბაჩია...

— რაო, რა თქვი ეს, პატონკოჩი?

გაშტერდა იუსტინე და მისი მშვილდივით მომართული სხეული ერთბაშად მოეშვა.

ოცი წელიწადია იუსტინეს ქმრისათვის პატონკოჩი არ უწოდებია. თვითონ აუკრძალა მუიამ. ახლა კი ამ სიტყვამ ერთბაშად მოჰგლიჯა გულიდან შიში და სახლისაკენ წავიდა. აივანზე შესვლა მაინც ვერ შეჰბედა, შორიახლო შედგა ცოლის წინ.

— ბარდღას მამავ, გაიმეორე, რა თქვი ეს? სად, სად მიდიხარ?—ჩაეკითხა გაოცებული იუსტინე. თავზე მოხვეული ქიცა ყურებიდან გადაიწია. სმენამ ხომ არ მომატყუაო, გაიფიქრა.

— სად და ფრონტზე. რავა, რად გაგიკვირდა ასე? არ იცი, რას ქვია ფრონტი? ჩხუბში მივდივარ, ჩხუბში...

— შენმა ცოდვამ ამოაგდო შენი ასე გადამრევი. მთლად ჩატოვე ჭკუა ღვინოში, შე უბედურო?— აუწია ხმას იუსტინემ და კვლავ დინჯი შემოიყარა.

— იუსტინე...

— მკვდარი ხარ იუსტინესთვის...

— იუსტინე, იუსტინე-მეთქი. მართალია, მეუღლე ხარ ჩემი, მარა ყველაფერს თავის საზღვარი აქვს. ნუ გამომიყვან მოთმინებიდან ფრონტზე გამგზავრების წინ. რას ჩამიდექი კარებში მარქენალ ხარივით. ჩამოდექი-თქვა!— თავისდამოულოდნელად შეუტია მუიამ და თვითონ გააკვირვა თავისმა სითამამემ.

იუსტინე თითქოს უფრო აიფხორაო და მუიას ისე მოეჩვენა, ეს-ეს არის შემაფრინდებაო. შეატყო, მუქარით ვერაფერს გახდებოდა.

— იუსტინე, ჩემო ცოლო, შეუშვი სახლში შენი მუია. რამ გაგიცივა ასე გული. ძაღლს არ გააჩერებენ ამდენ ხანს გარეთ. ქორწილში ხომ არ მივდივარ, ჭირიმე, ფრონტზე მგზავნიან, იქნებ არც დაგიბრუნდე ცოცხალი.

— ვის რად უნდა ჩემი ბადიდი ფრონტზე...— უცებ მოლბა იუსტინე.

— ხო, ხო, ბადიდი დამიძახე ახლა... მოზვერივით დაგორავ ქალებშიო,

რომ მექაქანებოდი, დაგავიწყდა? გუშინ ღამ ტუნკით მთელი ეზო რომ მომარბენინე საცვლების ამარა, მაშინ ცხრამეტი წლის ბიჭი ვიყავი და ახლა ერთ დღეში დავბერდი?

აივანზე შემოვიდა. შუაცეცხლზე ჩამოკიდებულ კარდალაში ბარის ბრუნვრელად ფშუკუნებდა ჩაშუშული ღომი.

— ჩამოხსენი, ჩამოხსენი ღომი...

აჩქარდა მუია და პირველმა შეალაჯა სამზადში. გზად ტაბაკს დასწვდა, შამფურზე შემწვარ დედალს ფრთა აატეხა, ნიგვზის წვენში ჩაატაკა და კერის პირას კველაზე დაჯდა.

— ჰმ, კაცს თურმე არაფერი არ გაუკვირდება, ჯიმა აჯამი. იფიქრებდი, იუსტინე, თუ ოცდახუთი წლის შემდეგ მუია ბალათურია ისევ შეხვდებოდა გერმანიას ფრონტზე?

— დია, შური, რა ფარსაგათ აიჩემე ეს ფრონტი.

— ფრონტი, ფრონტი, იუსტინე. არ გახსოვს, ცქიმურა გოგო ქვეყანაზე არ ეტეოდი, გერმანიის ფრონტიდან ორი გიორგის ჯვრით მკერდ-დაჯინჯლული რომ ჩამოვედი? სახუმარო საქმე იყო გიორგის მიღება? გმირებს აძლევდნენ გიორგის ჯვარს, გმირებს.

მუიამ ფრონტზე გაატარა ახალგაზრდობა. ჯერ იყო და შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას ებრძოდა. მერე გერმანელებს ერეკებოდა უკრაინის და რუსეთის მიწიდან. სამოქალაქო ბრძოლებშიაც ისახელებდა თავს, ცხენი რომ არ მოეკლათ. ცხენის დაღუპვამ ლოგინად ჩააგდო. ლოგინმა პარტახტიანი ტიფი აჰკიდა და კინაღამ თვითონაც გადაჰყვა საყვარელ ცხენს. მუიას თავისი წარსულის მოგონება ყველაფერს ავიწყებდა. ახლაც წვენში ამოვლებული ქათმის ფრთა განზე გადასდო, სახე ოცნების ღიმილით გაეშალა და თვალები ოდნავ მოწკურა. ერთი და იგივე ამბავი ათასჯერ ჰქონდა მონაყოლი ცოლისათვის. ახლა გონების თვალით ისეთს რამეს ეძებდა, რაც ყველაზე უფრო მოსწონდა იუსტინეს. ფიქრმა ისე გაიტაცა, არ გაუგია თუ როგორ დასდო ცოლმა ტაბაკზე ღომი, აჰქმნა ქათამი და დოქიდან ლიკლიკით გადაუშვა ხირკეში ოჯალეში.

— კაცო, კინაღამ ღომში ჩამიხტი წელან, ჩამოხსენი, ჩამოხსენიო და ახლა რამ გაგაშტერა ასე?

გაწყობილი ტაბაკი წინ ედგა. ღომის ოშხივარი სახეში სცემდა. იუსტინე თუნგით ხელში თავზე დასდგომოდა.

— მაპატიე, ჭირიმე, — დაფაცურდა მუია. ხელი გადაიბანა, არ შეუხოცია, მოწყვეტით დაიქნია. სელი თითები ულვაშებზე მოისვა, სახელოები დაიკაპიწა და ტაბაკს მიუჯდა. საფოსტო ჩანთა არ მოუხსნია, დაწოლის დროს თუ შეელეოდა განუყრელ ნივთს და მაშინაც ბალიშ ქვეშ ამოიდებდა.

— ღმერთო, ჩემს ბარდღას ნუ წამართმევ! — სთქვა და ოჯალეში მოსვა. ერთხელ, მეორედ. ოთქოს ჭაშნიკს უშინჯავსო, თავისი გრძელი ენა მჭახედ გააწკლაპუნა და ხირკე ძირამდე დასცალა.

პიტნით ნაკაზმი გადაზელილი გადაიდგა. აუჩქარებლად, მაგრამ დამშეულივით სჭამდა. კარგი ჭამა იცოდა, გამძღარს მოაშივებდა. იუსტინეს ლუკმა რომ არ ჩაედო პირში, მარტო მისი ყურება გააძღობდა, ისე უყვარდა მუიას მადიანი ჭამა. ახლაც სიყვარულით შესცქეროდა ქმარს. ხელი არ უხლია საჭმლისათვის. რაღაც ფარული შიში აღბეჭდილიყო მის სამეგრელოს ცასავით ლურჯ და წმინდა თვალებში.

— პატონკოჩი! — დაარღვია სიჩუმე იუსტინემ.

მუიამ პირთან მიტანილი ხირკე ტაბაკზე დასდგა. ახლაღა შეინიშნა, რომ იუსტინე არა სჭამდა.

— უგუნებოდ ხომ არა ხარ, იუსტინე? ბარდღას გაფიცებ, არ ჭამ?

— რას ამბობდი წელან, ფრონტიო... — ხმა გაუწყდა, თვალი მოარიდა ქმარს, მუგუზლები შეასწორა კერაზე. — რაცხას მიმალავ... ბარდღასი ხომ არ შეგიტყვია ჩამე?

— რას ქვია მიმალავ? გიმალავ კი არა, მთელმა სოფელმა იცის, მუია ბაღათურია ფრონტზე რომ მიდის ხვალ. რაიონმაც იცის. აპა, რავა ბგონია შენ? საჩუქრებს რომ ვამზადებდით წითელი არმიისათვის, იმ ნაწილში მიგვაქვს სწორედ, სადაც ბარდღა და ჯონდო არიან. იცი, ვის მიაქვს? ვინაა დელეგაციის თავი? შენი ბადიდი, შენი მუია ბაღათურია. ჰაიტ, ჯიმა აჯამი! რავა შევყევი ჭამას. სკორს მივყვებით დილით.

— ნანაია, ეს რა მითხარი, პატონკოჩი?! — შესძახა სიხარულისაგან იუსტინემ და ზე წამოიჭრა — ბარდღასთან მიდიხარ? შენი თვალით ნახავ? შემოგვლოს დედაშენი, შვილო! კაცო, მთელი კვირის დამშეულივით რომ მიასკდი ამ საჭმელს, აქამდე ვერ მითხარი თუ?

— ბიჭოს, არ გესმოდა, შუკიდან რომ დაგიძახე, დატრიალდი-თქვა?..

— არიქა, შე ცოდვის შვილო, საღორეში გასწი ახლავე, გოჭი დაკალი, საქათმიდან ყვერულები მომიყვანე! — დაფაცურდა იუსტინე.—დიდუ, დიდუ, რაღას მოვასწრობ აწი!..

— მოასწრებ, იუსტინე, მოასწრებ. ლუკმას პირში ისე არ ჩაიდებდი, ღმერთისათვის არ შეგევედრნა: ღმერთო, იმ დღეს შემასწარი, ჩემი ბარდღა ჩემი ხელით გაკეთებულ საჭმელს ჭამდესო. ხომ შეგასწარი იმ დღეს. რა დაგიდგება აწი წინ, ხარს დაკლავ და გაატყავებ გათენებამდე.

მთელ ღამეს ჯარასავით ტრიალებდა ცოლ-ქმარი. რა არ ჩასტიეს იუსტინეს ნამზითვარ ხურჯინში: ჭყინტი ყველით გატენილი გოჭი, მრგვლად მოხარშული ყვერულები, შამფურზე შემწვარი ვარიები, სულგუნები, გომიჯები და ხაჭაპურები. ტკბილისკვერები, ყურძნისა და ნიგვზის ჯანჯუხები. ლეღვისა და ინდის ხურმის ჩირი, ფორთოხლები და მანდარინები. ოჯალეშის დვინო, ჭაჭისა და სანთლის არაყი.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ჩოხა-ახალოხში გამოწკეპილ მუიას ძაღლი რომ შეაგება ეზოში იუსტინემ. კარგი ფეხი ჰქონდა ძაღლს — ასე სწამდა ცოლ-ქმარს. თავს ევლებოდა ძაღლი მუიას, თავიდან ფეხებამდე გალოშნა პატრონი. მერე წკმუტუნით ჭიშკარს ეძგერა, გააღო და იქვე შედგა. ახლა იუსტინეს აცალა. წინ მიუძღოდა იუსტინე ქმარს, ლოცვას ამბობდა უთუოდ, ისე იდუმალად აცმაცუნებდა პატარა ტუჩებს. პირველი გავიდა ჭიშკარში და მუჭაში მოქცეული ბალახი შეაყარა ქმარს. მერე მარჯვნივ შეატრიალა, ცალ მხარზე მოგდებული ნაბადი შეუსწორა. მკერდზე მიადო ხელები, შიშით და სიყვარულით შეჰყურებდა ქმარს. ფეხის წვერებზე აიწია უნებლიედ, სახეს ვერ მისწვდა, ყელზე აკოცა და ოცებ შეუშვა ხელი.

მუია არ ელოდა ამას. იუსტინეო, წაიბუტბუტა დაბნევით, მკლავი მოხვია ცოლს. მაგრამ ამ დროს უტიფრად ატუზულ ძაღლს შეკიდა თვალი... უხერხულად ჩაახველა. ჰაიტ, შე ურცხვოვო, შეუტია და აჩქარდა. თავს მოუარე, ჩემი დარდი ნუ გექნებაო. ვეება ხურჯინ-გადაკიდული ერთ ადგილას ბაჯბაჯებდა ოჩოკოჩივით. წადი, არ დაგაგვიანდესო, უთხრა დარცხვენით იუსტი-

ნემ და ეზოში შევიდა. ჭიშკარში იდგა, ხანამ მუია შუკას არ გასცილდა და თვალანაზე არ ვაეიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ყოველ სადგურზე ჩამოდიოდა მუია მატარებლიდან. მთელ შემადგენლობას შემოუვლიდა. სათითაოდ დახედავდა ვაგონებს. ზეპირად იცოდა მათი ნომრები. რამდენიმე კოლმეურნეობის საჩუქრები მიჰქონდა მატარებელს, ერთი ან ორი კაცი მიჰყვებოდა თავის ვაგონს. მუიამ პირველ დღესვე გაიცნო ისინი და ისე დაუახლოვდა, თითქოს ერთად ნაშრომი და ნაჯაფარი მიქონდათ ერთ ოჯახიდან. ყველას მუია ეყვარა პირზე. ხან ერთნი ეწეოდნენ თავის კუპესაკენ, ხან მეორენი. ვერ ელეოდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ. უიმისოდ არა ჭამდნენ და არა სვამდნენ.

პირველ დღეებში მუია ცოტას ფიქრობდა შვილზე, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ფრონტს, მით უფრო ღელავდა მოხუცი. სიზმრებს ხედავდა შვილზე. გამოეღვიძებოდა და შამფურივით ტრიალებდა ლოგინში. უკანასკნელ ღამეს არ უვახშმია, კუპეში ჩაიკეტა, გაუხდელი მიწვა, მთელ ღამეს არ მოუხუჭავს თვალი.

ბარდღა ღვიძლი შვილი არ იყო მისი. მუია და იუსტინე უძეოდ შეაბერდნენ ერთმანეთს. ყველაფრით სავსე ჰქონდათ ოჯახი, მაგრამ უშვილობა შუაზე უყოფდა სიცოცხლეს.

სოფელში ყველას უყვარდა მუია. ქალს თუ კაცს, დიდს თუ პატარას. განსაკუთრებით პატარებს. დილიდან დაღამებამდე, სახლიდან გასვლიდან შინ დაბრუნებამდე არა სცილდებოდა მუიას ბავშვების ხროვა. ზოგი საფოსტო ჩანთაზე ებლაუჭებოდა, ზოგი ხალათის კალთაზე, ზოგი მხარზე ეჯდა და ზოგი მკლავზე. რანაირ სათამაშოებს არ უკეთებდა მუია მათ, რანაირ გასართობებს არ იგონებდა მათთვის. მის ზღაპრებზე ხომ ჭკუას კარგავდნენ ბავშვები. რა გინდ სასწრაფო დეპეშები და წერილები არ ჰქონებოდა, დღეში ერთი ზღაპრის მოყოლას მაინც ახერხებდა შუკა-შუკა სიარულში. დილით შეწყვეტილ ზღაპრის თხრობას საღამოთი იმავე ადგილიდან განაგრძობდა. შეხსენება არა სჭირდებოდა, ერთ სიტყვას არ გამოსტოვებდა. ან რას გამოაპარებდა ბავშვებს. ისინი ყივილ-ხივილით მისდევდნენ სახლამდე შებინდებისას და ყოველდღე ერთი ალიაქოთი იდგა მუიას ჭიშკართან. რამდენი ხვეწნა და მუდარა სჭირდებოდათ მშობლებს, რომ ბავშვები სახლში წაეტყუებინათ. მარტო დარჩენილი მუია კი ხშირად შუა ღამემდე იჯდა ჭიშკართან. უმძიმდა სახლში შესვლა, იცოდა, იუსტინე მაღაზის ლაფარეში ან თხილნარში თავგარიდებული მასავით დასტიროდა უძეობას.

ერთი რამ იყო საკვირველი: მესამოცე წელში ფეხჩადგმული ბერიკაცი იხტიბარს არ იტეხდა მაინც. შვილს ელოდა, სწამდა, ისე არ მოკვდებოდა, რომ თავის სახლში არ გაეგონა ქვეყანაზე უძვირფასესი სიტყვა — მამა.

შარშანწინ ჯონდოსთან ერთად ბარდღა ხეციაც ჩამოვიდა ფინეთის ფრონტიდან. ოცდახუთი წლის ბრგე ჭაბუკი იყო ბარდღა. გასაოცრად გამოეცვალა ფრონტს. უფრო მაღალი და მხრებგანიერი გამოიყურებოდა. დიდ და სპეტაკ, უაღრესად სპეტაკ თვალებში ვაუკაცური სიდინჯე ჩასდგომოდა, მაგ-

რამ ბავშვური თავაწყვეტა და სიჯიუტე გალიმებისას მაინც უელავდა ოდნავ ხუჭუჭი, ნათელი ქოჩორი მზისაგან დამწვარ მაღალ შუბლზე ჭრილობის დალს უფარავდა. სიცოცხლით და ჯანლონით სავსე, მზეჭაბუკს ჰგავდა ერთი შეხედვით.

ბარდღა ობოლი იყო. მამა, ფოთის ნავსადგურის მტვირთავი, მატარებელმა გაიტანა შვილის დაბადების დღეს. ამ შემზარავმა ამბავმა დედა სამუდამოდ დაასნეულა, ამიტომ ბარდღა პატარაობიდანვე ამოუდგა დედას მხარში, რომ შრომა შეემსუბუქებინა მისთვის. კაცის საქმესაც აკეთებდა და ქალისასაც, მაგრამ დედის ჯანმრთელობა წლითი-წლობით უარესდებოდა.

თორმეტი წლის ბარდღა დედითაც დაობლდა. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი ბებიამ ლაკადაში წაიყვანა. მისი სახლკარი მუიას დაუტოვა საპატრონოდ. სკოლის დამთავრებამდე ბებიასთან ცხოვრობდა ბარდღა. ცხრამეტი წლისა თავის კერას დაუბრუნდა, მაგრამ, სანამ ოჯახს ფეხზე დააყენებდა, წითელ არმიაში გაიწვიეს. სამმა წელმა განვლო მას აქეთ. ამ ხნის განმავლობაში თვე ისე არ გავიდოდა, მუიას და იუსტინეს წერილი ან ამანათი არ გაეგზავნათ მისთვის. იცოდნენ, ბარდღას სხვა არავინ ჰყავდა მომკითხავი. მოხუცებმა თავიანთი გულისხმიერებით და მშობლიური მზრუნველობით შორიდანვე შეაყვარეს თავი.

ვაგონიდან ჩამოსვლისას ბარდღამ დამხვდურთა შორის პირველი მუია დაინახა. როგორღაც უნებლიედ აღელდა ვაჟკაცი. სხვებს გვერდი აუარა და მისკენ გასწია პირდაპირ. უხერხულად, მორცხვად შესდგა მოხუცის წინ. გამარჯობა, მამაო, უთხრა ღიმილით და ეს გაუბედავად წარმოთქმული მამა ისე მახლობლად, ისე მშობლიურად შეესმა მუიას, თითქოს სათაყვანო ოცნება აუხდაო... ჩამოხვედი შვილოვო, ამის წალუღლუღება-ღა მოახერხა მოხუცმა. ხელი მოჰკიდა, როგორც ახალ ფეხადგმულ ბავშვს მოჰკიდებენ ხოლმე, და თავისიანებისაკენ წაიყვანა. მშობლის უსაზღვრო სიხარული და სიამაყე უკრთოდა მუიას სახეზე.

ერთხანს ყველანი უხმოდ შეჰყურებდნენ. არც სადგური ხმაურობდა თითქოს, ორთქლმავალიც გაჩუმდაო, გეგონებოდათ.

— რაო, ბიძია მუია, თქვი რამე, — დაარღვია უცნაური სიჩუმე ჯონდომ.

— შენ თქვი, ბაბაგეე, მითხარი, სიზმარია თუ ცხადიო, — ლუღლუღებდა მოხუცი და ხელს არ უშვებდა ბარდღას.

ეზოს ჭიშკართან მოშორდა მხოლოდ. ჩამოგვიდა შვილიო, ეს-ღა უთხრა შეგებებულ ცოლს. სახლისაკენ გაიქცა გახარებული. ჩაჟანგებული „კაზიონ რევოლვერით“ [1]) გამოვარდა გარეთ. ჯერ რაღაც გაურკვეველი სიტყვები გაისმა აივანზე, — სახარობელს ამბობდა უთუოდ, და მერე უცნაურად იჭექა სასროლმა. მთელი ღამე არ შემწყდარა მისი ბათქა-ბუთქი.

დილით თავწაჭრილი ყვერულებისა და ვარიების ფართქალმა გამოაღვიძა ბარდღა. ხეზე გატყავებული თხა ეკიდა, სამზადის ლაფარეში — უშობელი. გობზე გოჭებს ტრუსავდნენ ქალები. მეზობლები სეფას მართავდნენ ჭანდრის ქვეშ. მკლავ-დაკაპიწებული მუია ხან მარანში ტრიალებდა, ხან სამზადში. დაინახა თუ არა, აივანზე გამოსული ბარდღა, ხელი გაივლო თეძოზე ჩამოწოლილ „კაზიონ რევოლვერზე“ და ორჯერ გაისროლა ზედი-ზედ, ასე დაგელიოსო, შვილო, მტერი, დაუძახა მარნიდან. ჭურიდან ღვინო ამოიღო, თავამ-

[1]) სმეტვისონი № 12. ბერლინ-გერმანიასაც ეძახდენ.

დე გაავსო ხირკა, ასე აგევსოსო ოჯახი. აივნისაკენ წავიდა, ბარდღა ეზოში მიეგება: ისედაც სავსეა, ბაბაია, შენი ოჯახიო. მარჯვნივ შეატრიალა — ყველაფერი შენიაო ეს, უჩვენებდა დოვლათით დახუნძლულ ოჯახზე.

სამ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა ლხინი. მეოთხე დღეს ჯონდოს ... ბულის ქორწილი გაიმართა. ამას გადაწვევები მოჰყვა. ხატივით ... იუსტინე და მუია შვილს. სამეგრელოსათვის ჩვეული გულუხვობით დაიღო სტუმართმოყვარე ოდების კარები და კალთასავსე ეზოს ჭიშკრები. ეცილებოდნენ ოჯახები ერთმანეთს, არა დღეს ჩემიაო სტუმარი, არა დღეს ჩემიო.

მუიას და იუსტინეს კი ქვეყანას ერჩივნათ, ერთ დღეს თავის გემოზე სახლში ჰყოლოდათ შვილი, გამძღარიყვნენ მისი მზერით და ალერსით, გაებანათ და გაერეცხათ. ათას საქმეს გაიჩენს მშობელი შვილისათვის, ათას მიზეზს მოიგონებს: გუშინ რაცხამ აწყინაო ბარდღას, შეუძლოთ არის, წუხელ სულ არ უძინიაო, ნატყვიარი სტკივოდაო. მაგრამ თუ მეგრელი მასპინძელი შემოგიჩნდა, ტყუილში კი არა, მართალშიც ვერ დააჯერებ.

ასე გაიარა თვემ. ერთ დღეს მუიამ დეპეშა მოიტანა. ბარდღას და ჯონდოს თავისი ნაწილი იბარებდა სასწრაფოდ. იმავე საღამოს გაემართა ორივე.

მოგიკვდეს შვილო დედაო, მოსთქვამდა იუსტინე. კარგად არც შეგვიხედავს შვილისთვის, მეზობლებმა და ნათესავებმა ხომ არ მოგვასვენეს და არა, შამაშენმა ხომ მთლად გადაგიყოლაო. ჯერ იყო თავისი სალღათობის ამბებით მოგაბეზრა თავი, ახლა კოლმეურნეობის ქებით გაგიჭედა ყური, არ გაძინებდა, დღედაღამ გვერდიდან არ გიშორებდაო.

— გული მიგრძნობდა, მიწის საჭმელი, რომ ჩემს თავზე რაცხა ფარსაგი ამბავი არ იყო, — ამბობდა მეორე დღეს იუსტინე, ომის დაწყების ამბავი რომ გაიგო.

წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, თვეზე მეტია არც წერილი მიუღიათ შვილისაგან...

მატარებელი ფრონტისპირა ველებზე გარბოდა. ვაგონების ხრიალში ყრუდ იჭრებოდა ქვემეხების გრუხუნი. შორს, ველებს იქით, თითქოს ცის კიდეები პირებს აღებდნენ და ცეცხლს აფრქვევდნენ დედამიწას. მუია ფანჯარასთან იჯდა და მინაზე მიკრული გასცქეროდა ღამის წყვდიადს.

გზებზე და მინდვრებზე განუწყვეტლივ მიედინებოდნენ იარაღით და სურსათით დატვირთული საბარგულები. მარჯვნივ და მარცხნივ მანქანები ჩაურბოდნენ ორთვალებს. მათი ფარები ციცინათელებივით ციაგობდნენ სიბნელეში. მოტორების გამაყრუებელი დგაფ-დგაფით და გასაოცარის სისწრაფით მიჰქროდნენ მოტოციკლეტთა ჯგუფები. მუხლუხების მრისხანე გრიალით ხან ერთი მხრიდან და ხან მეორე მხრიდან გამოჩნდებოდნენ მძიმე და მსუბუქი ტანკები. უკან მტვრისა და კვამლის ღრუბლებს სტოვებდნენ ეს რკინის ვეშაპები... და ამ ღრუბლებში აქა-იქ გამოჩნდებოდნენ შორეული შუქით წამით განათებული რუხმაზარიან წითელარმიელთა მხრები, თავები, ავტომატები, მტვრითა და კვამლით გარუჯული სახეები, ბრძოლაში გამოჯეკილი სახეები. ერთი რიტმით, ერთი ძალით და სისწრაფით მიიწევდნენ წინ ყველანი: ტანკები, საბარგულები, მანქანები, ცხენები, ადამიანები და თვით ნიავიც-კი, მშობლიური ნიავი. ყოველი მხრიდან, ყოველ ეზოდან, ყოველ კერიდან მიჰყვებოდა ეს ნიავი ყოველ ჯარისკაცს, ყოველ საბარგულს, ტანკს: თავს დასტრიალებდა, თავს ევლებოდა, წინ მიუძღოდა, დედის, ძმის, დის, შვილის და მამის ენით ეჩურჩულებოდა — წინ, წინ, წინო.

ამ საოცარ დინებაში როგორღაც შეუმჩნევლად ჩაება მუია. არ გაუგია, თუ როგორ შედგა მატარებელი, როგორ ჩამოვიდა ვაგონიდან. დელეგაციის წევრებს სათავეში ედგა და თავით ფეხამდე იარაღში ჩამალულ [illegible] ფეოდალარმიელებთან და მეზღვაურებთან ერთად სწრაფი ნაბიჯით [illegible] ქალაქში. მისი ხურჯინი ცხვირაბზეკილ, ჭორფლიან წითელარმიელს წამოეკიდა მხარზე. პატარა ტანის იყო პირტიტველი მებრძოლი. გასაოცარი ცოცხალი თვალები ჰქონდა. თავისი მორჩილი ტანისათვის შეუსაბამო სიმძიმე იოლად მიჰქონდა, მაგრამ მაინც უკან რჩებოდა. მუია ჩვეულებისამებრ განივრად მიაბოტებდა, ამიტომ ის რომ ერთ ნაბიჯს გადასდგამდა, წითელარმიელს სამი უნდა გადაედგა. სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა. ყუმბარების გრიალსა და ნაღმსატყორცნების წივილში როგორღაც უდარდელად და დამამშვიდებლად ისმოდა მისი ხმა: აქ არ გელოდითო, ეს სადგური ჯერ კიდევ გუშინ იმათ ხელში იყო, ჩვენ კი ოც კილომეტრზე ვიდექით აქედან, ერთ პატარა დაბაში, აი იქ, — ტყისაკენ გაიშვირა ხელი. — იმის გადაღმა, რაიონული ცენტრია, იმ ქალაქისათვის ვიბრძვით ახლა. გამიგონია, ქართველები სტუმართმოყვარე ხალხიაო. რუსებმაც ვიცით დახვედრა. ჩვენებურად, რუსულად. ჰო-და, ჯერ მხოლოდ შუა ღამეა. ღილით ქალაქი ჩვენი უნდა იყოს. იქ უნდა დაგხვდეთ...

ორსართულიანი სახლის წინ შედგა, სამი წითელარმიელი გამოეგება მოსულებს. მუიას თანამგზავრმა ერთ მათგანს ხურჯინი გადასცა.

— მიიღეთ სტუმრები. ბარდღას მამაა, — ისეთი სიამაყით სთქვა, თითქოს საკუთარი მამა დგომოდა წინ. — ჰო, მუიაა. არა ჰგავს თუ? ხომ ხედავთ, დიდი ხანია გიცნობენ აქ. გაგიკვირდათ, ჰა?.. — კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ უცებ აჩქარდა, გამოეჭიმა მუიას, მარჯვენა ხელი ქუდთან მიიტანა. — მაშ ასე...

— მოიცა, ჭირიმე... — არ აცადა აქამდე გაოგნებულმა მუიამ. — საქმე ვაქვს შენთან. — ხელი მოჰკიდა, განზე გაიყვანა: — მამა თუ გყავს, შვილო?

— მყავდა...

— მის სულს გაფიცებ... — აბლუკუნდა აღელვებისაგან: — აქ არ დამტოვო, ჩემ ბიჭთან წამიყვანე. — ყაბალახი მოიგლიჯა თავიდან. — უარი არ მითხრა, ამ ჭაღარას ეცი პატივი. თოკით რომ დამაბა, მაინც ვერ გამაჩერებ აქ.

პასუხს არ დაუცადა. ახლავე მოვალო, მიაძახა თავისიანებს და პირველმა გადადგა ნაბიჯი წინ.

ერთი საათის სიარულის შემდეგ მუია და მისი თანამგზავრი ტყეს გასცდნენ. მინდვრებს იქით ქალაქი მოსჩანდა. სამი მხრიდან უტევდნენ ჩვენები გერმანელებს. მტრის არტილერია განუწყვეტლივ ისროდა და ქალაქის მისადგომები ისე იყო განათებული, თითქოს ცეცხლის რკალი არტყიაო ირგვლივ. ცეცხლის შუქი მახლობელ გორაკსაც ანათებდა.

მუია დაძაბული ყურადღებით აკვირდებოდა მინდორს, ბუჩქს, გორაკებს, გზებს, ეცნაურებოდა ეს ადგილები.

— დაიცა, ტარას. — შესძახა აღელვებულმა თანამგზავრს. — მითხარი, სადა ვართ? რა ქალაქია ეს?

— მალინოვკაა, — უკან მიუხედავად უპასუხა ტარასმა. ახლა იგი მიდიოდა წინ, ისე სწრაფად მიდიოდა, გეგონებოდათ მიწას ფეხებს არ აკარებსო.

— რა სთქვი? რომელი მალინოვკაა, ბიჭო, ცარსკაია მალინოვკა ხომ არა?

— საიდან იცი? — ტარასი სწრაფად მოტრიალდა.

მუია გაშტერებული იდგა. დაბალი და პატარა, თავისი წყლიანი, ჭროღა თვალებით შესცქეროდა ტარასი მოხუცს.

ნაბად-მოსხმული და მხარზე ყაბალახ-გადაგდებული იდგა [illegible] ჭაღარამოსილი მუია მის წინ. ყაბალახის ტოტებს ქარი ურხევდა [illegible] ცეცხლის ხაზიდან მოტანილ მკრთალ შუქს ჰფენდა გაფითრებულ სახეზე. ზღაპრულ რაინდად ეჩვენებოდა ტარასს ყუმბარებით გადაბუგულ შავ მინდორზე მდგარი შავჩოხიანი ბერიკაცი.

— როგორ თუ არ ვიცი? — სთქვა ოდნავ გასაგონად წუთიერი დუმილის შემდეგ მუიამ. ქალაქს გასცქეროდა აქამდე, ახლა ტარასის მიამიტად მომღიმარ სახეს შეხედა. — შენ, შვილო, გაჩენილი არ იყავი, მე რომ გერმანელებს ვერეკებოდი აქედან, — წაიდუდუნა ჩაფიქრებული ღიმილით მოგონებებში წასულმა, რომ ამ დროს ზარბაზნის ყუმბარამ გადაუშხუვლა თავზე და მის ზურგს უკან ოციოდე მეტრის მანძილზე დაეცა.

შავი სვეტი აიჭრა ჰაერში. მუიამ მიხედვაც ვერ მოასწრო, ასეთივე სვეტი მარჯვნივ და მარცხნივ აღიმართა და უცებ ყოველი მხრიდან ავარდა აფეთქების გამაყრუებელი ხმა. თითქოს მთელი მიწა ცას აეკრაო, შავმა კვამლმა და მიწამ დაფარა ყველაფერი.

— მომყევი აქეთ! — გაისმა განუწყვეტელი აფეთქების ბათქანში ტარასის ხმა და სანამ მუია ნაბიჯს გადადგამდა, ნაბდის კალთაში სწვდა და გაიტაცა.

გარბოდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. წინ არაფერს არა ხედავდნენ, არაფერი არ ესმოდათ, მხოლოდ ტარასი როგორღაც ინსტინქტიურად გრძნობდა, რომ თავისიანები სულ ახლოს იყვნენ.

გორაკზე აირბინეს. შესდგნენ. ყუმბარები უფრო ზევით გადაჰქროდნენ ახლა და ზურგს უკან მიტოვებულ მინდორზე ეცემოდნენ ზედი-ზედ. წინ კი, პატარა ვაკის იქით, ტარასის ნაწილები იდგნენ. ტარასს ესმოდა ცხენების ჭიხვინი, ყვირილი და იარაღის ჟღარუნი. იგი ხედავდა თავისი არტილერიის თეთრ ცხენებს. აი არტილერისტები ნაწილს გამოეყვნენ, გზიდან გადმოუხვიეს და ვაკეზე გამოიჭრნენ. დაოთხილნი მოჰქროდნენ თეთრი ცხენები. ბორბლებზე შემდგარი ქვემეხების პირქუში ლულები მრისხანედ რიალებდნენ ცეცხლის შუქზე. საჭურვლის ხრჭიალი, ადამიანთა შეძახილი, ცხენთა ჭიხვინი და ფლოქვების თქარა-თქური თან მოსდევდა გორაკის გასწვრივ მომქროლავ არტილერიას.

ტარასი იმის შიშით, რომ ვერ მიუსწრებდა თავისიანებს, ვაკისკენ დაეშვა, მაგრამ სანამ ნახევარ დაღმართს ჩაირბენდა, პირველი რიგები უკვე მის წინ მიჰქროდნენ. გაჩერება აღარ შეეძლო, ინერციით მირბოდა ქვევით და გრძნობდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ცხენების ფლოქვები გადასთელავდნენ, მაგრამ განაპირა არტილერისტმა, უნაგირში ღრმად ჩამჯდარმა, ჯმუხი ტანის კაზაკმა, თვალი შეჰკიდა ბედზე. ცხენის დაოკება აღარ შეეძლო, ამიტომ უნაგირიდან გადმოიხარა და როცა ტარასი მის ცხენს ფეხებქვეშ უნდა შევარდნოდა, მხრებს ქვევით ხელი მოსდო და აიტაცა.

ჩაიქროლა უკანასკნელმა ქვემეხმა, ექვსი თეთრი ცხენი მიაგელვებდა მას. უთუოდ ძალიან დიდი ყალიბისა იყო, ისე გამაყრუებლად მიდგანდგარებდა კვამლსა და მტვერში გახვეული.

ვაკე დაცალიერდა და მუიამ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მარტო დარჩა. არ შემკრთალა, დაღმართი ჩაირბინა, ვაკე გადასჭრა და გზატკეცილზე გავი-

და. მიხვდა, ქალაქის კარიბჭესთან იდგა. მარცხნივ ლაპარაკი შეესმა. მისკენ ზურგით მდგარ მხედარს ულაყი ეჭირა სადავით. მისი განიერი მხრები და ტანმაღალი ცხენი ფარავდა თანამოსაუბრეს. მუიამ მაშინვე იცნო ჯონდოს ხმა. შვილის სახელიც გაიგონა. ფეხის თითებზე შედგა და ცხენის ზურგს იქით ბარდღა დაინახა. კვამლში გაელვებულმა დენთის შუქმა გაანათა მისი ფერმკრთალი სახე. თვალების გამომეტყველება ცხადჰყოფდა, რომ რაღაც აზრსა და მღელვარებას მოეცვა მისი გონება.

— საცაა შეტევა დაიწყება, — ეუბნებოდა ჯონდო ბარდღას,—თუ ტანკებმა ვერ მოგისწრეს, ხელჩართული ბრძოლით მოგიხდება გარღვევა... — მაშინალურად გაიშვირა ხელი ქალაქში შემავალ გზატკეცილის თავისაკენ.— ძნელი საქმე დაგავალეს, ბარდღა. — ჯონდო ღელავდა. — მითხარი რამე, ბიჭო!

ბარდღა უაზროდ შეჰყურებდა. ქვედა ტუჩი უთრთოდა. ჯონდომ ხელი მოჰკიდა, მიიზიდა, მოეხვია და აკოცა, უხერხულად, როგორც ეს ვაჟკაცებს სჩვევიათ. მერე სწრაფად მოშორდა და უნაგირს მოაფრინდა.

— თუ მომკლეს, უთხარი მუიას... — სიტყვა გაუწყდა: — უთხარი, როგორ ველოდით...

მეტი ვერაფერი სთქვა: ქუსლი ჰკრა ცხენს.

— ჯონდო! — შესძახა იმავე წამში მუიამ, მაგრამ ცხენმა გასაოცარის სისწრაფით ჩაუქროლა წინ. მისი ტორების თქრიალი იმ მხარეს მისწყდა, საითაც წელან არტილერია მიეფარა გორაკს.

როცა მუია მიბრუნდა, ბარდღა მის წინ იდგა.

— მამა! — წარმოსთქვა მან გაოცებით.

ახლა უფრო ფერმკრთალი და მოტეხილი მოეჩვენა მუიას შვილი. არ შეიმჩნია, არ მოეხვია.

— მზათა ხარ, შვილო? — ჰკითხა უბრალოდ, ისე, თითქოს დიდი ხანი ემზადებოდა ორივე ამ საქმისათვის.

— რისათვის, მამა? — გაიკვირვა ბარდღამ, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, მიხვდა, თუ რაზე ეკითხებოდა მამა. მღელვარებით და რაღაც იმედით აღეგზნო სახე. — კარგს დროს ჩამოდი, მამა... რაღაც მაკლდა თითქოს,—უცებ გაჩუმდა, გაულიმა თავისი ნათელი და წმინდა ღიმილით: — ახლა კი წადი!— სთქვა დარცხვენით და თავისიანებისაკენ გაიქცა.

გზატკეცილი ქალაქში შედიოდა. წელან არტილერია პირდაპირი დამიზნებით უშენდა შესავალთან მტრის საცეცხლე წერტებს: ქუჩაში და სახლში ჩამდგარ ტანკებს, ქვის საფარებს უკან მდგარ ქვემეხებს, რკინაბეტონის შენობას, რომელშიაც მეავტომატენი იყვნენ ჩამალულნი. ახლა თავჩანგრეული იდგა შენობა. ტანკები აღარ სჩანდნენ, ბევრი ნამსხვრევები სახლის საძირკველთან მიეხერგათ ყუმბარებს.

ერთის შეხედვით, არტილერიას თავისი საქმე გაეკეთებინა უკვე, მაგრამ სახლის ქვედა სართულში შენიღბული ტანკი კვლავ დაჟინებით ისროდა. ფანჯრებიდან სხვადასხვა ყალიბის ტყვიამფრქვევები მრავალფენა ცეცხლს აყრიდნენ გზატკეცილის ნაპირებზე გაკრულ ბარდღას ქვეგანაყოფს.

ბარდღამ იცოდა, ტანკების დაუხმარებლად ამ გზით ქალაქში შეჭრა ძნელი იყო. ამიტომ ღელავდა ასე. ორი სიტყვაც ვერ უთხრა მამას. უცხო მიწაზე მიატოვა მასთან მოსული. რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ არც ერთი არ მოუვიდა თავში. თუმცა რა უნდა ეთქვა ახლა, ასეთ დღეში მყოფს?

ჯონდოც ასე მოულოდნელად ჩამოეცალა. როგორღაც მარტო იგრძნო თავი. თუ წეღან მამამ ჯონდოს ლაპარაკი გაიგონა, ყველაფერს მიხვდებოდა. არა, მამა ცუდად ვერ იფიქრებს მასზე. ან რა ჰქნა ისეთი? აღელვებულ ფიქრებ-ხვაზე. ყველას ასე მოუვიდოდა, თუ მთლად უგულო არ არის. ეს, ... ხომ ყოფილა ფრონტზე, ხომ იცის, ფრონტზე სხვაა გული. გრძნობაც სხვანაირია აქ და გონებაც.

ასე ფიქრობდა მებრძოლების წინ ქვას მოფარებული ბარდღა. წეღან შიშობდა, რომ ტანკების დაუხმარებლად ვერ გაარღვევდა შესავალს, ახლა რცხვენოდა ამისი გახსენება. გულით ნატრობდა კიდეც, ტანკებს დაეგვიანათ, ბრძოლა სასტიკი ყოფილიყო, რათა დაენახვებინა მამისათვის, რომ მშიშარა არ არის. სხვა გამოსავალი არ იყო...

ტანკები არა სჩანდნენ. ხელჩართულ ბრძოლაში უნდა ჩაება ქვედანაყოფი, მაგრამ მანამდე მტრის საცეცხლე წერტები უნდა ჩაეჭროთ. ბარდღამ უკვე გახსნა ცეცხლი. სახლში ჩამდგარი ტანკი კვლავ ისროდა, ამასთან ახლა უფრო ხშირად. ყუმბარები მებრძოლებს შუა სკდებოდნენ, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები.

ბარდღამ ორი მებრძოლი გამოჰყო. ისინი გრანატებით შეიარაღებულნი წახოხდნენ სახლისაკენ. მაგრამ, როგორც კი გზატკეცილიდან ქუჩაზე გავიდნენ, ჯერ ტყვიამფრქვევმა დაცხრილა ორივე და მერე ყუმბარამ აიტაცა ჰაერში მათი სხეულის ნაფლეთები. ახავაი, შვილოვო, ამოიკვნესა ბარდღას უკან ჩაწოლილმა მუიამ. ის მაშინვე უკან გაჰყვა შვილს. ბარდღას მამა ვარო, გააცნო თავი ერთ-ერთ მებრძოლს და გვერდზე მიუწვა. ახლა ამ წითელარმიელს დაუძახა ბარდღამ. მებრძოლი მიხვდა, რისთვისაც უხმობდა მეთაური. თითქოს იცოდა კიდეც, რომ მას დაუძახებდნენ. მშვიდად და გულგრილად მიმოიხედა. წყალი სთხოვა ამხანაგს, მთელი მათარა დასცალა სულმოუთქმელად.

— ასე... — სთქვა დაფიქრებულმა და მათარა შეანჯღრია. — კარგი წყალი იყო, ღმერთმანი... — დამნაშავესავით შეხედა მათარის პატრონს. — უსინდისოდ მოვიქეცი, პეტია, უწყლოდ დაგტოვე. — კვლავ შეანჯღრია მათარა და ხელში შეაჩეჩა. სწრაფად გაცოცდა წინ. ვერც მან მიაღწია სახლამდე.

ბარდღას მოუსვენრობა დაეტყო. მრისხანედ და აღელვებით ეკაკუნებდა შენობას, საიდანაც ახლა გაცოფებული ისროდა მტერი. რა ექნა, არ იცოდა. საკმაო იყო მისი ერთი სიტყვა, რათა ყველანი წამოშლილიყვნენ ნაღმისა და ტყვიის ცეცხლის წინ, მაგრამ სანამ სახლამდე მიაღწევდნენ, ნახევარიც არ დარჩებოდა ისედაც მცირე ჯგუფიდან.

მუია გრძნობდა, რაზე ფიქრობდა შვილი. იმასაც ხედავდა, რომ ყველას გულისყური ბარდღასაკენ იყო მიქცეული. ყველა მეთაურს უცდიდა. ქალაქზე საერთო იერიში დაწყებული იყო და დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ბარდღამ თავზე ქუდი შეისწორა, ავტომატი ზურგზე მოიგდო და გრანატების კონის ასაღებად გაიწია, მაგრამ გრანატების სახელურისათვის მუიას ეკიდა უკვე ხელი.

— დაიცა, შვილო, — უთხრა წყნარად შვილს და სახლისაკენ გაიქნია თავი. — ესენი რაღაც არ გვანან იმ ნემენცებს, ჩემს ძველ ნაცნობებს. უნდა შევხედო უსათუოდ, — სთქვა ეს და ნაბადი წაიფარა თავზე. სწრაფად გასცურდა წინ.

— მამა! — შესძახა ბარდღამ, მაგრამ ქუჩაში გასული მუია სახლისაკენ

მიღოლავდა უკვე. კვამლით გადარუჯული მისი შეხუნებული ნაბადი მიწისფერისა იყო და მტერი ადვილად ვერ შენიშნავდა. განთქმული ბზვერავი იყო თავის დროზე მუია. ცხენთან ერთად უჩოჩია ათასჯერ, მტერს ხელსა და თვალს შუა დასძრომია დღისით-მზისით და ახლა რა ღმერთი გაუწყრება გიორგის კავალერს!

მამისათვის რომ მტრის ყურადღება აეცილებინა, ბარდღამ საშინელი სროლა დააწყებინა მებრძოლებს. მუია კი გასაოცარის სისწრაფით მიხოხავდა წინ. არიქა, არიქა, შვილებო, ბუტბუტებდა ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული და მზად იყო, მის თავზე შუილით გადაქროლილ მტრის ყუმბარისათვის ხელი ეტაცნა და უკანვე ეტყორცნა მათთვის. ქუჩიდან გადაუხვია. მუხლებზე წამოდგა. დაინახა, საიდან ისროდა ქვემეხი, ზე წამოიჭრა უცებ და შვილდივით მოხრილი გაქანდა მისკენ. ათიოდე ნაბიჯიდან მოიქნია გრანატების კონა და ღია კარებს იქით მდგარ ტანკს ესროლა. თვალი შეჰკიდა, თუ როგორ ჩაუქროლა ქვემეხის ლულას გრანატმა და ჯავშანს დაენარცხა. გაუკვირდა, აფეთქებამდე როგორ მოვასწარიო უკან გადმოხტომა. როცა საშინელი გრუხუნი გაისმა, დამტვრეულ საბარგო მანქანას მოფარებული იდგა და უყურებდა, როგორ გადაიხარა სახლის ერთი ნაწილი ფერდჩამტვრეულივით, მერე როგორ შეინძრა მთელი სახლი და როგორ ჩაიქცა ერთბაშად ნახევარი შენობა.

— ჰაიტ, ჯიმა აჯამი, ერთი ნემენცი მაინც დამენახა!—სიხარულით გაეხმიანა მოხუცი თავის თავს და თავდაყირა მდგარ მანქანას შეახტა, მთელი ტანით გაიმართა, იმ ფანჯრებს გახედა, საიდანაც ტყვიამფრქვევები ისროდნენ. — ეე უიი, ნემენცებო, გამომხედეთ პატარა ხანს, მუია ვარ, ბალათურია, — ისეთი ხმით ასძახა ზესართულს, რომ ნალმების წვიმილი და ტყვიამფრქვევების კაკანი დაფარა. უკან გადაიწია, გრანატების კონა მოიქნია კვლავ და ფანჯრებს სტყორცნა.

სახლი შეზანზარდა, ფანჯრებიდან გამოვარდნილი კვამლის და გაჯის მტვრის ბოლქვებს ცეცხლის ენები გამოჰყვნენ.

— ხე-ხე-ხე, ნემენცებო, ახლაც არ გამოიხედავთ, თქვე სულგაღლეტილებო...

ყოველი მხრიდან იწვოდა სახლი. ცეცხლის ტალღები დგებოდნენ მუიას წინ, ნაბდის კალთებს უფრიალებდნენ ჰაერში. ფრთაგაშლილ არწივს ჰგავდა, კლდის თავზე შემდგარს.

— ჯაქუაბორიას [1]) თქვენი თავი, ნემენცებო, ჯაქუაბორიას! — შეჰკიოდა ცეცხლს და, როგორღაც წინასწარმეტყველურად ეღერდა მისი ომახიანი ხმა.

ბარდღას ქვეგანაყოფი ქუჩაში შეჭრილიყო. გერმანელები და წითელარმიელები ერთმანეთში ირეოდნენ. ცეცხლში და კვამლში ელავდნენ ხიშტები, ავტომატების კონდახები, სიმწარისაგან დაპრანჭული სახეები, მომაკვდავთა გადმოკარკლული თვალები, სისხლიანი ხელები, სისხლიანი ხიშტები, სისხლიანი მიწა... სისხლის და ცეცხლის სუნი იდგა ჰაერშიც.

ნაცნობი ბრძოლის სუნი იგრძნო ძველმა ჯარისკაცმა.

ბარდღა მტრის რკალში ტრიალებდა, მარჯვნივ და მარცხნივ აწვენდა ზედმისულებს, გააფთრებული იბრძოდა ხიშტით და კონდახით. მკვდრებზე აბიჯებდა, ახალი ჯგუფები ეხვეოდნენ. სახლიდან ცეცხლმოდებული ჯა-

---

[1]) წყევლაა: ხეს, ქვას და ქარსო.

რისკაცები გამორბოდნენ ყვირილით, ხელებგაშლილნი ეგებებოდნენ, ხალათის კალთაზე ებლაუჭებოდნენ, ფეხებში უვარდებოდნენ, გზას ეღობებოდნენ. მაგრამ ვერაფერი ვერ აკავებდა ბარდღას. აქეთ-იქით იყურებოდა წამი-წამ, მამას ეძებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუიამ შვილი დაინახა. დაძახება დააპირა, მაგრამ არ დასცალდა, ფერდში ჩატაცა ხელი, შეტორტმანდა და მანქანიდან გადაიჩეხა. არ დაცემულა, ხის ტოტს წაატანა ხელი. ფართოდ გადგმული ფეხებით იდგა და ტოტთან ერთად ირწეოდა. მერე ნელ-ნელა შეუშვა ხელი ტოტს. შებარბაცდა, ჰაერს წაეპოტინაო თითქოს. ახავაიო მუია, სთქვა ტკივილით. ცრემლები მოადგა თვალებზე, შერცხვა.

— ჰეი ვარა, მუია! — შეამხნევა თავი, შუა ქუჩაში გავიდა, დასავლეთისაკენ შებრუნდა, დაღმა დაჰყვა ქუჩას. უნდოდა ენახა ნაცნობი ქალაქი, ენახა, როგორ გარბოდა მტერი.

არეული ნაბიჯით მიდიოდა. ყაბალახი დაკარგოდა, ნაბადი ერთ მხარეს მოქცეოდა და მისი სხეულიც გადაეხარა. მიიჩქაროდა მუია, მოახლოვებულ სიკვდილისათვის თუ უნდოდა გაესწრო.

მზე ამოდიოდა და მკრთალ სინათლეს უფრო შეეფერცხლა მისი ჭაღარა თავი. გაფითრებული სახე ჯიუტად უღიმოდა. გერმანელების შეშინებული სახეები აქა-იქ გაიელვებდნენ ფანჯრებსა და კარებში, გარბოდნენ ქუჩებში. ქადაგივით მიაბიჯებდა მათ უკან მუია. ყანჩებივით გადმოსცქეროდნენ ფანჯრის რაფებსა და აივანზე გადმომჯდარი უპატრონოდ მიტოვებული ტყვიამფრქვევების ლულები.

— ჯაქუაბორიას თქვენი თავი, ნემენცებო, ჯაქუაბორიას! — თითქოს მიწა მისძახისო გაქცეულ მტერს. მუიას ხელში თავისი „კაზიონი რევოლვერი“ ეჭირა და ყოველ ასეთ შეძახილის შემდეგ გაისროდა ხოლმე.

ქუჩის თავში შესდგა. მთელი ტანით მიბრუნდა. მზემ შეანათა აღმოსავლეთიდან. ულონოდ ასწია ხელი. გეგონებოდათ სხივებს უნდა შეეხოსო. მოზღვავდნენ სიკვდილის ის წინა წამები, რომლებშიაც ელვასავით გაიქროლებს ხოლმე მთელი ცხოვრება.

თავი აიღო, ბარდღა იდგა მის წინ. მზესავით ნათელი იყო გამარჯვებით ანთებული მისი სახე, მისი თვალები, მისი ისედაც ნათელი ქოჩორი. საფეთქელი გაეკაწრა ხიშტს და სისხლიც კი ციაგად ბრწყინავდა მის სახეზე.

— მომეხმარე, ბაბაჩია, — წაილუღლუღა ულონოდ მუიამ და გრძნობა დაკარგა.

ხელი შეაგება ბარდღამ, ნელა ასწია მამის მძიმე და ულონო სხეული, მკლავზე გადაიწვინა. შუაგულ ქუჩაში იდგა. ქალაქის ჩრდილოეთიდან შემოჭრილი, დაბალტანიანი მსუბუქი ტანკები საშინელი სისწრაფით მიჰქროდნენ მის წინ. უკანასკნელმა მანქანამ შორიდანვე შეანელა სვლა და მუხლუხების ყრუ ხრჭიალით შედგა ბარდღასთან. ტანკიდან ჯონდო და ტარასი ჩამოხტნენ.

უხმოდ შეხედა ბარდღამ ჯონდოს. უფრო მაღლა ასწია მამის სხეული და მერე ტანკის წინა ნაწილზე დაასვენა ფრთხილად.

ქუჩებიდან და შესახვევებიდან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ წითელარმიელები. საფრებიდან ამოდიოდნენ ქალაქის მცხოვრებნი. ქალი და კაცი, — ყველანი მკაცრად შეკრული სახეებით გროვდებოდნენ ტანკის გარშემო.

პირველმა ესვენა მუია ცივ და გადარუჯულ ჯავშანზე. აგერ ჭაღარაგასის-

ხლიანებული რუსი მუშა დასწვდა მიწაზე დაშვებულ ნაბდის ტოტს, ბელი გადაუსვა მტვერს.

მუიამ თვალი გაახილა. ცა დასცქეროდა თავზე — მშვიდი, და წყნარი. ლურჯად ლივლივებდა უსაზღვროდ ვრცელი. ვინ იცის, იქნებ ეს ბოსტნეულიც ამ ცას შეჰყურებს ახლა... რაღაც ნუგეში იგრძნო, ორივეს ერთი ცა რომ დასცქეროდა.

მკერდზე წვეთი დაეცა. ცას ხომ არ მოსწყდაო ცრემლი, გულზე დაიხედა. ჩოხის უბიდან გამოცურებული ორი გიორგის ჯვარი მკრთალად ელავდა ღვინისფერ ახალოხზე. ყანგმოდებულ ვერცხლზე ბარდღას ცრემლი ციმციმებდა. იამა მამას. შეხედა შვილს ბინდჩამდგარი თვალებით. მერე ჯონდოსა და ტარასისაკენ მიიბრუნა თავი.

— ვკვდები, შვილებო... თქვენი ჭირი წამიღია! დედაშენს მისწერე, ბარდღა... ჰო, იქ, ხურჯინში, წინდები მოგიქსოვა დედამ. — შეისვენა, სული მოითქვა. — ჯანჯუხები უყვარსო ბარდღას, ცოდვაა დედაკაცი.

ბარდღას ცრემლი ახრჩობდა.

— მისწერე დედას... კარგად მისწერე, შვილო, ისე, რომ არ დაეწანოს ბებერი ყაძახის სიკვდილი.

ნელა დაიძრა ტანკი. ქუჩას გაჰყვა. აქეთ მოიჩქაროდა წელან მუია. მთელი ქალაქი უნდოდა გაეარა. ამ ქუჩებით მიერეკებოდა მაშინაც გერმანელებს. მიერეკებოდა შორს, ქალაქს იქით... ახლა კი...

თვალებდათხრილივით დგანან ფანჯრებჩამტვრეული სახლები. სუდარით შემოსილებს ჰგვანან დენთით და კვამლით გაშავებული ხეები.

სულგანაბული მიჰყვებოდა ხალხი ტანკს. ქალაქის თავზე მზე ამოდიოდა. ჭორს მრისხანედ გრიალებდნენ ქვემეხები.

ი. ლიხაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლისათვის *)

დრო და ჩვენ ერთად ვიდოდით, — ჩვენ ვიზრდებოდით, წლები კი თითქოს ერთნაირად მიდიოდნენ და მიდიოდნენ.

თვითონ ჩვენს არსებაში რაღაც ახალის შემოსვლას ვგრძნობდით.

სამაგიეროდ კვდებოდა და ჰქრებოდა რაღაც, რაც ჩვენს ბავშვობასა და სიყმაწვილეს სდევდა თან.

ისიც შეუდარებლად ტკბილი იყო, რაც უკან რჩებოდა. სიხარულით ვიგონებ იმ განვლილ წლებსა და დღეებს, მაგრამ მათი ხელახალი განმეორება ჩვენ არ შეგვეძლო.

სხვა განცდებისა და გრძნობების ტალღებს მივდევდით, თუმცა ის წარსულიც მოგვდევდა თან.

მაგრამ რა იყო ის ახალი, რაც ჩვენში ასე შეუმჩნევლად შემოდიოდა? რას სცვლიდა ის, ან რა მოჰქონდა?

ეს ცვლილება ჩვენს ხმაშიაც კი შემოიჭრა, წვრილიდან მსხვილ ბგერებზე გადავდიოდით. რაღაც ბრძოლა იყო ჩვენს ხმაში. წვრილი და მსხვილი ბგერები ბორგავდნენ, სადღაც გადამწყვეტ მიჯნაზე მისული, ზოგჯერ მოულოდნელად შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინ ყვინჩილასავით დავიყივლებდით.

მაგრამ სულ მალე აშკარა გახდა, თუ ვინ იმარჯვებს: რაც იყო, ის მარცხდებოდა, რაც მოდიოდა, ის იმარჯვებდა.

ვგრძნობდი ასეთივე ბრძოლა ხდებოდა სისხლში, გულში, აზროვნებაში, მაგრამ ყველგან და ყველაფერში მოდიოდა ის, რაც დღემდის არ იყო, მიდიოდა, რაც დღემდის იყო, თუმცა რაღაც საერთო, რაღაც მთლიანი ზოლი მათ შორის უწყვეტად და სამუდამოდ რჩებოდა.

ეს ჩვენი ხასიათის უმთავრესი თვისება იყო, ეს ცხოვრებაზე ზოგიერთი ჩვენი შეხედულების უწყვეტელი ხაზები იყო, გრძნობების განუწყვეტელი კავშირი იყო.

თექვსმეტ წელს ვასრულებდი, მაგრამ მაინც რა იყო ის უმთავრესი, რაც ჩვენში იბადებოდა? ეს კაცობაში ჩვენი შესვლის პირველი, მაგრამ უცნაური დღეები იყო:

ისეთი უახლოესი, წრფელი მეგობარი, როგორიც ჩემთვის დარეჯანი იყო, გამირბოდა, მერიდებოდა.

ჩვენ ერთად ვათევდით ღამეებს, ჩვენ ერთ ჯამიდან ვჭამდით ხშირად, მაგრამ ახლა რაღაც უცხო წამოდგა ჩვენ შორის და ურთიერთისათვის საშიშნი გავხდით.

თითქოს ვშორდებოდით ერთმანეთს, მაგრამ გულს უფრო აძგერებდა ასეთი სიშორე. სისხლშიაც სხვა ალი შეჰქონდა...

---

*) იხ. „მნათობი", № 1.

ასეთი სიშორე სულიერ სიშორეს როდი ნიშნავდა, პირიქით, შეიძლება ის გაფართოვდა, გაიზარდა კიდევაც, თუმცა ეს ზრდა-გაფართოება ახლა სხვა ნიადაგზე ხდებოდა; საფრთხეც სწორედ ამაში იყო. ჩვენი ახლანდელი სულიერი სიახლოვე იქნებ მისულიყო საზღვრამდე, სადაც მხოლოდ [illegible] გამოსავალს უნდა ველოდეთ: სრულ შეერთებას, დამთხვევას, ან დაშორებას.

ორივე ეს შეუძლებლობა იყო, ალბათ, ჩვენი გარეგნული დაშორების, მოკრძალების ან ჩუმი მღელვარების მიზეზი.

პირველს შეეძლო დაშორების შიში მოესპო ჩვენში, მეორეს შეეძლო კატასტროფა გამოეწვია. ამ ორი შესაძლებლობის მიჯნაზე მისვლა ჰქმნიდა საფრთხეს. ეს იყო, ალბათ, ჩემი მღელვარების მიზეზი...

ჩვენს შორის წინათ რაიმე სიტყვა არავითარ წინასწარ შემოწმებას არ მოითხოვდა, ახლა პირიქით, ყოველ სიტყვას წინასწარი გაზომვით, თანაც გულის თრთოლვით ვეტყოდით ერთმანეთს.

ახლა დარეჯანის ყოველ საქციელს სხვანაირად ვუცქეროდი და ვაფასებდი:

როცა ის ბალახს შრიალით ადგამდა ფეხს, ეს შრიალი ჩემს გულშიაც მეორდებოდა. როცა ის წყვილ ნაწნავებს მხრებზე მსუბუქად გადაიყრიდა, ასე მეგონა, ის ნაწნავები დარეჯანის მკლავებია და ყელში მიჭერს. როცა ის ახლოს ჩამოირბენდა და სათუთ ნიავს მომაფრქვევდა სახეზე, ასე მეგონა, თითქოს ეს თვითონ დარეჯანის სუნთქვაა ციური...

ო, რა ძნელია გამოგტაცონ ყოველივე ეს, მაშინ რა დარჩება სიცარიელისა და სიმწარის გარდა?

ალბათ, ასევე ხდებოდა თენგიზსა და ქეთევანს შორის.

მაგრამ ერთი ცვლილება კიდევ ხდებოდა:

ქალიშვილებისადმი ჩვენი გრძნობები ახლა მეტოქეობის მეტ ინტერესს ბადებდნენ ვაჟებში, ჩემსა და თენგიზს შორის.

ასევე ხდებოდა თვითონ დარეჯანსა და ქეთევანს შორის. მეტოქეობის ეს სიცხოველე ყველაფერში გვემჩნეოდა ვაჟებს თუ ქალიშვილებს.

თინა და სარდიონი ახლაც შემრიგებელთა როლს ასრულებდნენ, მაგრამ რამდენადაც თინა იჭერდა ჩემს მხარს, იმდენად სარდიონი თენგიზის მხარეზე დგებოდა.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს — შიში, მოკრძალება, წინააღმდეგობა, გრძნობა, მეტოქეობა და მღელვარება — შეადგენდა ჩვენი მოქმედების მთლიან შინაარსს, ურომლისოდაც უინტერესო იქნებოდა თვითონ ცხოვრება, მოდუნდებოდა და შესწყდებოდა.

მაგრამ ცვლილებას ვხედავდით არა მარტო ჩვენში, არამედ გარშემოც:

სოფელი დღითიდღე სხვაფერდებოდა, ძველ ძონძებს ჰყრიდა, ახალ სამოსში გვევლინებოდა. რაღაც დუღილს განიცდიდა სოფელი. მაგრამ თუ ეს დუღილი მინელდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი უფრო დასრულებული სახით შეეხორცა ცხოვრებას.

ახალის ძალა სჭარბობდა ძველისას, მაგრამ ძველს არ უნდოდა ეცნო ახალი.

ასეა: რაც უნდა სიკეთის მომტანი იყოს ცხოვრებაში გაჩენილი ახალი ძალა, მას ტკივილების გარეშე არ შეუძლიან დაიმკვიდროს არსებობის უფლება.

გურამს და მის მომხრეებს არ უნდოდათ დაეთმოთ ის, რამაც ცხოვრება-

ში მათ ოდესღაც უპირატესი უფლება მიანიჭათ. სამაგიეროდ არც კოლექტივს შეეძლო დაეთმო გარდუვალი კანონი, რომელმაც იგი ცხოვრებაში შეიყვანა, რომლის ძალითაც ის დაიბადა, ახალი ცხოვრებაც ხელეწიფა და აზრად აქცია.

ბიბლიოთეკა

14.

ზაფხული იყო.

მხურვალე მიწას მორიგეობით სულს უბერავდა, აგრილებდა დილით მთის, ხოლო საღამოობით ზღვის რბილი ნიავი.

ხეებიც თითქოს ხელებს შლიდნენ და მზის სიმხურვალისაგან მიწას იცავდნენ.

ეზოში გამოვეფინეთ.

ჯერ დილა იყო, მზე არც კი ამოსულიყო.

მთის ნიავი ნაადრევად შესდგომოდა თავის დიდ საქმეს.

შეწითლებული ცის ფერი ბიძაჩემის სახესაც გადასდებოდა.

ეზოს ჭიშკართან გროვდებოდნენ ყველანი.

ორი წელი იყო გასული, რაც მე და ჩემი ამხანაგები სიმონთან ერთად ქალაქ მახარაძეში ვსწავლობდით. მაგრამ ახლა ის გვახარებდა, რომ ასეთივე ათწლედი ჩვენს თემშიაც მოაწყო სოფელმა.

დღეს სასწავლებლიდან ჩამოსვლის შემდეგ პირველად გავდიოდით სამუშაოდ ზღვის პირა ყანებში. როგორც სხვა დროს, ფეხით უნდა წავსულიყავით.

ამიტომ ვკითხე ბიძაჩემს:

— ბიძია, ქვეშაგები ყანაშია დატოვებული?

— არა, ბიძი, ქვეშაგები რად გვინდა ზღვის პირას, ამაღამვე შინ დავბრუნდებით.

ვიცოდი სამი საათის გზა იყო ზღვამდე, ამდენივე ფეხით შინ დაბრუნებას მოუნდებოდა. ბიძიას პასუხი ვერ გავიგე.

— რავა, ბიძია, სამი საათი ხომ იქით გვჭირია და სამიც აქეთ?

— სამი არა, ბიძი, და ათი წუთი ქე დაგვჭირდება.

— როგორ, ბიძია? — შევძახე, მაგრამ ამ დროს ქვემოდან ხრიალი მოისმა, თვალის დახამხამებაზე ჭიშკართან საბარგო ავტო გაჩერდა.

გაკვირვების გამოსახატავად სიტყვა ვერ გამომენახა:

როდის მოხდა ყოველივე ეს?

კაპიტონამ (რომელიც ამ მანქანის შოფერი იყო) მანქანა შეაჩერა და ძირს ჩამოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — შემოგვძახა. — იჩქარეთ, დასხედით, ბენზინი იწვის!

ამ სიტყვებმა ისე აგვაჩქარა, თითქოს სახლი იწვოდა და არა ბენზინი.

კი არ ავედი, ავცურდი ავტოზე.

იმავე წუთს დაიძრა იგი.

მეგონა, იმ ავტოსავით ჩვენი სოფელიც მიჰქროდა წინ.

ცოტა ხანს ვსდუმდით მოწაფეები, თითქოს ამ ახალი სტუმრის გვრცხვენოდა, მოკრძალებას ვიჩენდით მისდამი.

მალე შევეჩვიეთ, ხმაური ავსტეხეთ და სიმღერები დავიწყეთ. გავთამამდით, საკუთარ სახლში ვიგრძენით თავი.

ერთს მოსახვევში ავტო შეჭანავდა და უცბათ შევხტით. კოწია ავტომძღვარ ჩაიცინა და შეპარვით სთქვა:

— ეს ხრამში ხალხის გადასაყრელად მშვენიერი ყოფილა სწორედ!

— არაფერია, ზოგს გადაჰყრის, ზოგს გააქროლებს! — მიუგო სანამ, რომლის შავ, ხუჭუჭ თმას ნიავი შლიდა, ტალლასავით არხევდა.

კოწიამ რატომღაც მე ამომხედა.

ეს გამოხედვა უცხოდ მეჩვენა.

მასში სიცივეზე რაღაც მეტი მოსჩანდა, თითქოს სისხლიც მოსჩანდა შიგ.

ამ გამოხედვამ უსიამოვნოდ გაჰკრა ჩემს გულს.

კოლმეურნეებს სტუმართმოყვარეობა გამოეჩინათ და სოფლის უცხო სტუმრისათვის ახალი გზა გამოეჭედათ. ეს „სტუმარი" ისე თამამად მიჰქროდა ახალ გზაზე, თითქოს დაჰვიწყებოდა, რომ სტუმარი იყო.

სჩანდა „სტუმარი" სამუდამოდ რჩებოდა სოფლის ოჯახში და ეს ჩამოსახლება ყველას ბავშვივით ახარებდა სოფელში.

— მეორე ხუთწლედის პირველი ბედაურია. — სთქვა ერთმა.

— მაშ შემდეგი ბედაურები რაღა იქნება? — ჰკითხა მეორემ.

— მგონი, აწი იმდენს მოგვყრიან, რომ სულ აგვაფრენენ! — დაუმატა მესამემ.

ზრდის, ამაღლების, აყვავების ფიქრებით იყო მოცული ყველა ჩვენგანი. სხვანაირად ფიქრის მიზეზი არ იყო და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

როცა ზღვას მივაღწიეთ, ავტო შეჩერდა.

გამოვედით. ცოტა შევისვენეთ. ჩვენოდენა სიმინდებში შევედით.

ჯერ ყველას ერთად გაგვქონდა ნაპირი, ვთოხნიდით ყანას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შევხურდით ახალგაზრდები, თანაბარ ნაჭრებად გავყავით ყანა და შევეჯიბრეთ ერთმანეთს.

მე და თენგიზი აქაც დავეტაკეთ.

სიმონი და სარდიონიც ჩაებნენ შეჯიბრებაში, მაგრამ ისინი ჩემსა და თენგიზს შორის მსაჯის როლსაც ასრულებდნენ.

აჭერდა მზე, ოფლად ვიღვრებოდით ორივე, მაგრამ არაფერს ყურადღებას აღარ ვაქცევდით.

მხოლოდ ერთი რამ იდგა თვალისა და გონების წინაშე:

ვინ უფრო ჩქარა დასძლევდა ნაპირს.

ამ ნაპირს იქით კი სხვა რამეც სჩანდა, რაც უფრო მეტად მაღელვებდა. დარეჯანი და ქეთევანი თითქოს ნაპირის ბოლოს იყვნენ და გვიცქეროდნენ.

ცხადია, არც დარეჯანი და არც ქეთევანი არ იყვნენ იქ, მაგრამ ჩვენ მაინც ვხედავდით, გვეგონა შემოგვცქერიან, ჩვენს ვაჟკაცობას აფასებენ, გვიწონებენ ან გვიწუნებენ.

ვიცოდით: ჩვენი შეჯიბრების შედეგს იმავე საღამოს გაიგებდნენ ისინი, და ეს ფიქრი არ გვასვენებდა, გვავიწყებდა ყველაფერს, მხოლოდ გამარჯვების წყურვილი გვახრჩობდა.

გვაჭერდა მზე, მაგრამ ვერ გამოვარკვიე, რომელი სჭარბობდა — ჩვენი მისწრაფების თუ მზის სიმხურვალე.

— დაისვენეთ, ბიჭებო! — გვეტყოდა ყარამანი, მაგრამ ჩვენ არაფრის გაგონება არ გვინდოდა. ვიცოდით, დანაშაულს არ ჩავდიოდით, მხოლოდ ჩვენს ძალასა და ღონეს ვხარჯავდით, ამით საქმე მიგვყავდა წინ. ამიტომ ყარამანის მოწოდება აღარ გვესმოდა.

მზე საშუადღეოზე გადაიხარა.

ჩვენი ნაპირი ყუაზე მივაყენეთ. ახლა უფრო გადამწყვეტი შეტევა ვიწ-ყეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წუთი სწყვეტდა გამარჯვების ან დამარცხების საკითხს.

ახლა ერთმანეთის ნაპირსაც აღარ ვუცქეროდით, — ასეთ გახედვასაც დრო სჭირდებოდა.

ოფლი ჩამდიოდა თვალებში, პირში, მაგრამ მოსაწმენდადაც აღარ მეცალა.

უცბად „ვაშა“ მომესმა და გავიხედე:

სულ მთლად გაოფლიანებული, სისხლივით გაწითლებული თენგიზი თოხის ტარს დაყრდნობოდა, მიცქეროდა და იცინოდა.

გავშეშდი, ხელები თოხის ტარს მიახმაო თითქოს და გაიყინა.

— ნუ გეშინია, გამაგრდი, ბევრი არ დაგრჩენია, დიდ დამარცხებად არ ჩაგეთვლება! — გამამხნევა თენგიზმა.

მე დამცინის-მეთქი, გავიფიქრე და უფრო მეტი სიმწარე ვიგრძენი...

სიმონი და სარდიონი მოვიდნენ.

შეამოწმეს და გამოირკვა:

ოთხი-ხუთი თოხის პირი დამრჩენოდა გაუთოხნავი, სამაგიეროდ მუშაობის ხარისხში ვჯობნიდი თენგიზს.

იანგარიშეს, იკამათეს და დაადგინეს:

შედეგი ყალბად ჩაითვალოსო.

გაბრაზდა თენგიზი, აენთო, მაგრამ საკუთარი თვალითაც ხედავდა ფაქტს. მოიწყინა და ხმა გაკმინდა.

სამაგიეროდ მე გულზე მომეშვა, — თავისუფლად ჩავითქვი სული. გამარჯვება არ იყო, მაგრამ მარცხს გადავურჩი.

საღილის შემდეგ კვლავ შეეჯიბრეთ ერთმანეთს.

— ბიჭებო, ნამეტანს ნუ იზამთ, თვარა არ ვარგა. თავი თუ მოიკალით, ყანა რაღად გვინდა! — გაგვაფრთხილა ბიძაჩემმა და თითონ წავიდა.

სული ჩავითქვით, მიწას თოხი დავკარით. ამით დასრულდა ყველა სხვა ოცნება და ისევ ჩემთვის გამოკვეთილ მიწას ვხედავდი.

ამ მიწის იქით კვლავ დარეჯანისა და ქეთევანის თვალები მეჩვენებოდნენ. პირველი ნახევარი მოვალეობის სიმძიმე იყო, მეორე ნახევარი სიხარულის თუ სიმწარის წყარო, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ერთად იყო მოთავსებული, საერთო ნიადაგზე მოსჩანდა.

მზე ფრთხილად ეშვებოდა შავი ზღვის მკერდზე.

... აჰა, მიიწურა ნაპირიც.

ამ გრძნობამ გამომაფხიზლა. რაღაც გუგუნი მოისმა ამ დროს. ჩაის მკრეფავი ქალიშვილებით დატვირთული ავტო მოვიდაო, დაიძახა ვიღაცამ.

შაბათი იყო და ზღვაში საბანაოდ ჩამოვიდნენ ჩვენი ქალები.

ეს ამბავი გულს მოხვდა, და ააძგერა: მიხაროდა, რომ მოვიდნენ, თანაც მაშფოთებდა, — ვაი თუ მარცხით შევხვდე-მეთქი.

მთელის ძალით მოვუსვი თოხი. ზოგჯერ განზე ვიხედებოდი, მაგრამ დასრულებული სახით ვერაფერს ვხედავდი: მზე, ზღვა, ხეები, ნაპირი, თენგიზი თუ ქალებით დატვირთული ავტო—ყველაფერი აირია ჩემს გონებაში, ქაოსად იქცა, მაინც მთელის ძალით მივიკვლევდი გზას. ამ ქაოსში მიწას უკანასკნელად დავარტყი თოხი და თითქოს სიზმარში წამოვიძახე: „ვაშა“.

თენგიზის ნაპირს მივაცეცე თვალები, მაგრამ იქ გარკვევით ვერაფერი დავინახე. სახეზე ოფლი მოვიწმინდე და კვლავ გავიხედე:

როგორც მე შეჯიბრების პირველი შედეგის დროს, ისე ახლა თენგიზი. თითქოს ფერი წასვლოდა სახეზე, ხოლო თვალებში ჩრდილი ჩასდგომოდა. საკუთარი თავი წარმოვიდგინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა გამარჯვებამ მეც დამწყვიტა გული.

თენგიზთან მივედი. იმასაც ხუთიოდე თოხის პირი დარჩენოდა გაუთოხნავი.

— რა არის ეს, ამ ერთ ბეწვა მიწას რა მნიშვნელობა აქვს, თენგიზ? — ვუთხარი და ახლა მივხვდი, შეჯიბრების პირველ ნაწილში მისი ასეთივე მომართვის დროს დამცინოდა თუ მამხნევებდა თენგიზი. გადავწყვიტე, რომ მე მაშინ შევცდი.

ახლაც სიმონი და სარდიონი მოვიდნენ. შეამოწმეს და ერთხმად დაასკვნეს: გამარჯვება ორთავეს ხვდა, თუმცა ვახტანგმა წაასწროო ცოტათი.

ორი სამუშაო დღე ჩაგვიწერეს თითოეულს. შემდეგ ჩამორჩენილებს წამოვეხმარეთ და ყველანი ზღვისკენ წავედით.

ზღვაზე ჩვენგან ცოტა მოშორებით ბანაობდნენ ქალები.

გავიხადეთ, შევედით ზღვაში.

ზღვა წყნარი აყო, ნიავიც წყნარი.

მშვიდი ტალღები ალერსის ნიშნად ლოკავდნენ ნაპირს და შრიალებდნენ.

ჩვენ ჯერ ნაპირთან ვცურაობდით, ხან ტალღებზე ვწვებოდით პირაღმა.

შემდეგ შეჯიბრება აქაც განვაგრძეთ.

მთავარი მეტოქეები ისევ მე და თენგიზი ვიყავით...

შორს, ზღვაში, ფელუკების მახლობლად, ერთი ვეებერთელა კუნძი გორავდა.

რომელი მიასწრებსო იქ, შევეჯიბრეთ ერთმანეთს და გადავეშვით.

მხარულით მივაპობდით მჩქეფარე ტალღებს. ყოველ ზვირთს ერთი მოსმით ვტოვებდით უკან, — მივქროდით წინ.

ვერც ერთი ვერ ვუსწრებდით.

აჰა, სულ ახლოსა ვართ. ის შავი კუნძი თითქოს მოსცურავს ჩვენსკენ, თანაც იზრდება.

ჩვენ ისევ თანაბრად მივცურავთ.

უკან სიმონი და სარდიონი მოგვდევდნენ.

ზღვის ფრინველები ეცემოდნენ ტალღებზე, ისევ მაღლა ცისაკენ მიფრინავდნენ.

სულ ახლოს, ზღვის დელფინებიც გამოჰკრთებოდნენ და იქვე ჰქრებოდნენ.

არ მინდოდა მეგობრის წყენა, მაგრამ დამარცხებას მაინც გამარჯვება ვარჩიე და მთელის ძალით მოვუსვი ხელი. მეგონა, თენგიზი კარგა მანძილზე მოვიტოვე უკან. როცა მივიხედე, დავინახე, რომ ისიც იქვე იყო, რაღაც ორიოდე მეტრზე მომდევდა.

ვგრძნობდი, ის ორიოდე მეტრიც დიდ რამეს ნიშნავდა გამარჯვებისათვის, მხოლოდ საჭირო იყო შენარჩუნება და უკანასკნელი ძალით მოვუსვი.

აჰა, სულ ცოტა დარჩა!

ამ დროს უეცრად მარცხენა ხელი გამიჩერდა. მკლავი ვიღრძე, ალბათ, ძა-

ლა რომ დავატანე, სასტიკი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს რაღაც ჩამორტყეს თავშიო, და ჩავიძირე...

როგორც იყო თავი ამოვყავი, იმ ვეებერთელა, შავ კუნძზე ჩამოვჯდარ, მომლიმარე თენგიზს შევავლე თვალი. როცა ჩემი არეული ყვირილი გავგონა, თენგიზის სახე მსწრაფლ შეიცვალა, ჩემსკენ ისკუპა.

კვლავ ჩავიძირე, თუმცა სტიქიასთან ბრძოლას არ ვივიწყებდი და ამ ბრძოლის აუცილებლობა ჯერ კიდევ ბეუტავდა ტვინში.

აი, მეორედ ამოვცურდი და საღი ხელი მოვუსვი. იმ ჯირკს მივაღწიე, ხელი ჩავჭიდე... მეტი არ მახსოვს.

...რაღაცა არეული ხმაური გავიგონე, შემდეგ გარკვევით ჩამესმა სიმონის სიტყვები. ყური მივუგდე:

— მაგათ დღეს დიდი შეჯიბრება ჰქონდათ დილიდან. თოხნაში რამდენადმე აჯობა ვახტანგმა. შემდეგ ცურვაში შეებნენ. მე და სარდიონი მივსდევდით უკან. მიჯნასთან სულ ახლოს იყვნენ. ვახტანგმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ალბათ, და გაუსწრო თენგიზს. თენგიზიც ახლოს მისდევდა. სულ ცოტა ღა იყო დარჩენილი, სამიოდ მოსმა თუ იქნებოდა, ვახტანგი უეცრად შეტორტმანდა და ჩაიძირა. ჩამორჩენილი თენგიზი მიცურდა კუნძთან და ზედ ჩამოჯდა. ვახტანგი არ სჩანდა. ჩვენ ეს ცუდად გვენიშნა და ცურვას ვეჩქარეთ. ამ დროს ვახტანგი ისევ გამოჩნდა. მაგრამ კვლავ ჩაიძირა... მაშინ ყველანი მივხვდით, რომ რაღაც მოხდა. ვახტანგმა მკლავი იღრძო, — ვიფიქრეთ და გავეშურეთ. თენგიზმაც ისკუპა, ვახტანგს ყვინთვით ჩავსდიეთ, მაგრამ დაგვეკარგა. როდესაც კვლავ ამოვცურეთ, ვახტანგი იმ სამიჯნო კუნძზე ასული დავინახეთ. კუნძზე მუცლით გაწოლილიყო, თვალები დაეხუჭა და ხმას არ იღებდა. მივეშველეთ, გამოვიყვანეთ...

როცა ეს ამბავი დაასრულა სიმონმა, მე საკმაო ძალა ვიგრძენი და თვალები გავახილე.

ჩემს ირგვლივ მთელი ბრიგადა შეკრებილიყო. ქალებიც აქ იყვნენ. შემომტკეროდნენ. გამიკვირდა, უხერხულობა ვიგრძენი, თავში გამიელვა: „დარეჯანი სადღაა?“ ავიხედე, იქვე, ტანზე მოსასხამშემოხვეული იდგა დარეჯანი. მის შავ, სხივოსან თვალებში ცრემლი კრთოდა. მივაჩერდი. იმ გამჭვირვალე ცრემლებში ჩემი და დარეჯანის ასევე გამჭვირვალე გულები ვიხილე. კვლავ დავხუჭე თვალები. გულში ჟრიალით გაირბინა ამ ტკბილმა გრძნობამ.

ვიღაცამ მარცხენა მხარში ხელი მომკიდა.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ვიყვირე:

— გამიშვით, მკლავი!

— მარცხენა მკლავი ულრძია, ალბათ, — სთქვა ბიძაჩემმა.

მეორე ხელში მომკიდეს ხელი.

წამომაყენეს.

ფეხზე ძლივს შევჩერდი, მარცხენა ხელს ველარ ვანძრევდი.

— იმ სამიჯნო ჯირკზე მაინც რომ ასულა, ეს ძალიან მომწონს. ასეთები არიან ჩვენი ბიჭები! — წარმოსთქვა სიმონმ.

— ზღვასთან ბრძოლა სერიოზული საქმეა, ბიჭებო! — დაასკვნა ბიძაჩემმა და ქალებს გასძახა: — აბა, ქალებო, დასხედით ავტოზე!

ქალები ფარშევანგებივით აფრინდნენ ავტოზე.

დარეჯანი სულ ბოლოს ავიდა.

მე მიცქეროდა.

თითქოს ქვეშქვეშ ილიმებოდა.

— ვახტანგიც ქალებთან გავამგზავროთ! — დაიძახა ვიღაცამ.

მე გავჯიუტდი. ქალებთან გამგზავრებაზე გადაჭრილი უარი განვაცხადე:

— არა, მე კარგადა ვარ, მშვენივრადა ვარ! — ვიძახდი და ფეხს არ ვიცვლიდი.

გაემგზავრნენ ქალები.

რაღაც შუქი ჩამრჩა გულში.

ნახევარი საათის შემდეგ მობრუნდა მანქანა. ჩავსხედით ყველანი და გავწიეთ.

უკან ზღვის შრიალი მოგვდევდა.

მტკიოდა ხელი, მაგრამ მაინც სხვაზე ვფიქრობდი: დარეჯანის სახე მედგა წინ, მის სხივოსან თვალებში ცრემლებს კი არა, თითქოს ზღვას ვხედავდი. შიგ ჩემი გული ცურავდა.

კოლმეურნეებს სიმღერაში მეც ავყევი. ზღვაზე განცდილი მარცხი მაღელვებდა, მაგრამ ამ ტკივილს დარეჯანის ცრემლები ანელებდნენ და აჭარწყლებდნენ. მეორეს მხრივ, თენგიზთან ახალი შეჯიბრების გეგმებს ვაწყობდი. მის შედეგს წინასწარ განვიცდიდი, და ყველა ეს გრძნობა მიმქონდა გულით.

ხევში მანქანამ ვეებერთელა თვალები ააბრიალა და შუქის შხეფები მიასხურა სიბნელეს. ეს შუქი წამდაუწუმ ეშვებოდა ღელეში, არბოდა მთაზე, მთის ფერდობებსაც გადაუვლიდა, ცასაც სწვდებოდა და ბოლოს ისევ წინ მიიწევდა.

ყველაფერი ეს პირველი იყო და გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ვგრძნობდი:

სადაც ამოდენა თვალების შუქი აენთო, იქ სიბნელე ვეღარ დარჩება! გათავდა სიბნელე და უკვდავი შუქი ჩამოდგა ჩვენს ღელეებში, მთებში, ცაზე და ცხოვრებაში...

15.

მეგობრებს ჩვიდმეტი წელი გვისრულდებოდა, — უმაღლესში შესასვლელად ვემზადებოდით.

დილაადრიან ძახილი მოისმა. მოვისრისე თვალები და ყური დავუგდე:

— სოფიო, სადა ხარ, სოფიო? ერთი თვალით დამენახე და... მშია, სოფიო, მაჭამე რამე, იცხონე სული, ყველი და მჭადი მომიტანე, სოფიო...

მივხვდი, ეს ონისიმეს მორიგი გამოცხადება იყო. ვიცანი მისი ხმა, წუწუნი, კვნესა, და წამოვდექი. სწრაფად ჩავიცვი ტანზე, გარეთ გავედი...

ჭიშკართან ონისიმე იდგა. სამზარეულოდან გამოვიდა სოფიო, რომელსაც კოლექტივის ფერმიდან მოტანილი სულგუნი და მჭადი ეჭირა ხელში. ჭიშკრისაკენ მიდიოდა, გზადაგზა ონისიმეს უსაყვედურებდა:

— ჭირმა კი შეგჭამოს, შე უქნარავ! აღარც კოლექტივმა, აღარც შენმა ეშმაკებმა შენ არ გიშველეს! ამ დილა-ადრიან ნეტაი ასე რამ გაამწარა ეს შეჩვენებული. მჭადსა და ყველს ვინ ჩივა, მარა შეგვაწუხა! ყველას რაცხა ეშველა, ყველას რაღაც საშველ-სახიერებელი დაადგა, შენ-კი არაფერი არ დაგადგა, რას ფიქრობ, თუ იცი? — მიაძახა სოფიომ და საჭმელი მისცა. — ჰა, ხეთქე და ცოტა მაინც მოგვასვენე, შე ურჯულოვ, შენს ღოღიალს რომ ბოლო არა აქვს!

ონისიმემ იცოდა სოფიოს კეთილი გული და მის საყვედურებს აინუნშიაც არ აგდებდა. ორივე ხელით გამოსტაცა საჭმელი და აკრუსუნდა:

— ტყუილია, სოფიო! შენისთანა ქალი ამ ქვეყნად არ მოიძებნება. მთელი დუნია რომ მოიარო, ვერსად შეხვდები. იცოცხლე, რა ვქნა, ... ხელი ძალიან მწარე ყოფილა, სოფიო. რა გაეწყობა და... როცა გამიჯირდება, ისევ შენ მყევხარ და აგია. — ჩაბღუჯა საჭმელი და ჭამა დაიწყო.

— დეიღუპოს შენი ზღმურტლიანი თავი, ონისიმავ! მოისვენე, გაძეხი ერთი, კაცს დაემსგავსე და რამე გზა მონახე! — უთხრა სოფიომ და გაბრუნდა.

— ჰუ, ჰუ, ჰუ! — იძახდა ონისიმე. — შაქარი რომ მოგეცა, ასე ტკბილად არ შემერგებოდა. სოფიოს ხელნაქნარს ჭამა რათ უნდა, პირში თავისთავად ღნება და აგია. ათას წელიწადს იცოცხლე, და.—დაასკვნა ონისიმემ და გზას გაუდგა.

ყარამანი ამ სურათს აივნიდან მისჩერებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მხოლოდ რაღაც ონისიმეს დამამცირებელი კრთოდა მის თვალებში, თუმცა იქ ამ დამცირებულ ადამიანისადმი შეცოდებაც მოსჩანდა.

როცა სოფიო აივანს მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ სთქვა ყარამანმა:

— ი უქნარი არ გაძღა ნეტაი?

— ისე გამძღარა, რომ ლოგინიდან ვეღარ ამდგარა... მარა, ყარამან, მაგ საცოდავს კაცი ვერაფერს მოუხერხებს, ნეტაი? ახლა კოლექტივიდან აგდებენო და მაგის ცოდვა ქვას აატირებს.

— გამოძღომას გამოსწორება უშველის, სოფიო, და სხვა არაფერი.—მიუგო ყარამანმა. — კაცს ტვინის განძრევა თუ ეზარება, ხელები ან ფეხები მაინც უნდა გაანძრიოს. სტალინის ბრძანებაა: წელიწადში ვინც ოთხმოც შრომა დღეს არ მოასრულებს, კოლექტივში ვერ იბოგინებსო. ონისიმესკი ოცდასამი დღე ძლივს აღმოაჩნდა...

ჰიკვირდა: ცხოვრების რომელი გზები უნდა გამოევლო ონისიმეს, ასეთ დამცირებამდე რომ მისულიყო?

იმ დღეს კოლექტივის ციტრუსებს ვწამლავდით ბიჭები, გოგირდის ხსნარი ლიმონის, ფორთოხლის, ნარინჯისა და მანდარინის უკვე დაზრდილ ნაყოფს ნამავდა.

ციტრუსების გვერდით ახალგაზრდა ჩაის ჰკრეფდნენ. ქალები. ცოტათი ქვემოთ-კი ერთი რიგი მამაკაცებისა ჩაის თოხნიდა. ისმოდა თოხების ჩახანი, მოსაწამლავი მანქანის შხუილი და ჩაის ქორფა ყლორტების ტკაცანი. ზოგჯერ დაწინაურებულთა თუ ჩამორჩენილთა შეკამათება ან სიცილი გამოკრთებოდა ხოლმე.

ყარამანი ქვევით მუშაობდა, მთოხნელთა ჯგუფში, მაგრამ ხანგამოშვებით ჩვენცა და ქალებსაც ჩამოგვივლიდა.

სამხრობის ჟამს მთოხნელთა ჯგუფისაკენ ონისიმეს მყივანა ხმამ ამოხეთქა:

— აგია სამართალი? ახლა რომ მეუბნებით, აქნობამდე სად იყავით და...

— ახლა მობრძანდით და ახლა მოგახსენეთ! — მოისმა ყარამანის პასუხი.

— ჰო, და, აშენდა თქვენი ოჯახი, როგორც კოლექტივმა მე ამაშენა და... რამდენჯერაც მამალი იყივლებდა ან ტურა დაიჭყავლებდა, იმდენჯერ რომ გადმომძახებდით და მოღლილ კაცს ძილს არ მაცლიდით, ეს იყო სულ? აია კოლექტივის კანონ-სამართალი? ამისათვის შემაწუხეთ და ამყარეთ მოქა-

ლაქე-მშრომელი? ვინ მოგცათ ნება და... პირდაპირ მახარაძეში ვტკუცებ საჩივარს და მაშინ ნახეთ!

— ახლა ცოტა გვადროვე, ონისიმე, ხელს ნუ შეგვიშლ[illegible] [illegible] შენ იცი, სადაც გნებავს, იქ წაბრძანდი და სტკუცე კიდევაც [illegible] [illegible], ხოლო კოლმეურნეებმა სიცილი ასტეხეს.

— დამცინით ხომ და... იცინეთ აბა! მოქალაქე-მშრომელის დაცინვა თუ მოხერხდება, ამასაც კარგად მეტყვიან მახარაძეში, ამ თქვენს არჩილსა და ყარამანს რომ დაუძახებენ, პროტოკოლი და ვიგოვორი ერთად რომ დაიწერება, მაშინ ონისიმესაც კი მოიგონებთ და...

კარგა ხანს დაობდა ონისიმე, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა. რომ მოიღალა, ზევით ავიდა, ჩრდილი მონახა და პირაღმა დაწვა.

— იმასაც ვნახავ და...—ისმოდა იქიდანაც ხანგამოშვებით, მაგრამ ბოლოს იმ გორაკზედაც დამყარდა სიჩუმე.

ალბათ ძილმა დასძლია ონისიმე და ჩააჩუმა.

ცოტა ხნის შემდეგ ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა, გაუთხოვარმა მარინამ ჩამოიარა. ყველამ იცოდა, რომ ჭორების საკითხი ამ სახელთან იყო დაკავშირებული. მას „უფასო ფოსტას“ ეძახდნენ და როცა ის გამოჩნდებოდა, უჩუმარ სიცილს იწყებდნენ.

— უფასო ფოსტა! უფასო ფოსტა! — უთხრეს ურთიერთს ქალებმა და ჩუმჩუმად სიცილი დაიწყეს.

მარინა შედგა. ციტრუსებისა და ჩაის ბაღში გაფანტულ კოლმეურნეებს გახედა, შავი თავმოკაუჭებული ჯოხი ასწია და ქალებს შესძახა:

— დედლებივით რომ გაფანტულხართ ბუჩქებში, აფერი ახალი არ გაგიგიათ, დედაკაცებო? თქვენ თუ არ გავიგიათ, მე გამიგია.

მარინას პასუხი არავინ გასცა. ქალებმა ზედაც არ შეხედეს. გამწარდა მარინა, ჯოხი მოუღირა და თავი გააქნია.

— ცაი ფეხათ რომ ჩამოვიდეს, დედაკაცებს მაინც ვერ გამოვაღვიძებ! — დაიძახა მან და გზა განაგრძო.

იმ დღეებში რამდენიმე კაცი და ქალი სტახანოველებად გამოაცხადეს.

მათ შორის ქალიშვილებიდან თინა, დარეჯანი და ქეთევანი აღმოჩნდნენ, ხოლო ვაჟებიდან სიმონი, თენგიზი, სარდიონი და მე. ამათგან ყველაზე წინ დარეჯანი, ქეთევანი, თენგიზი და მე ვიყავით. ამ ოთხი ფალავნის უღელი მუდამ დაძაბული იყო.

ყოველ თუნდაც წინ წაწევას სიხარული მოჰქონდა, ყოველი თუნდაც ოდნავ ჩამორჩენა ასევე გვწყინდა და გვაბრაზებდა საკუთარ თავზე.

იმ დღეს ქალიშვილებში ყველაზე წინ გამოვიდა დარეჯანი. გვიხაროდა მე და თენგიზს: სამ-სამი შრომა დღე გვრჩებოდა უკან.

შებინდდა.

წავიდ-წამოვიდნენ კოლმეურნეები.

ჩემი ამხანაგებიც წავიდნენ. მე ყველაზე ბოლოს დავიძარი.

ჩაის ახალ ფაბრიკასთან ჯერ კიდევ ისმოდა ქალების ხმაური. ისინი ჩაის ფოთოლს აბარებდნენ ფაბრიკას. დარეჯანიც იქ იყო, ფეხები შინისაკენ არ მიმყვებოდნენ.

გავედი ჭიშკარში და იქვე კონცხზე, ცხემლის ხესთან დავწექი პირაღმა. ხეების შრიალი ამშვიდებდა ჩემს მოღალულ სხეულს.

ტკბილი იყო საღამო, მაგრამ როცა მოღლილი ვიყავი და ვისვენებდი, უფრო მიმზიდველი სჩანდა ყოველივე.

კმაყოფილი ვიყავი იმ დღის შრომით და ეს უფრო მივსებდა სიამით გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ცა სულს ამაღლებდა. ცას საზღვარი აღარ უჩანდა, არც ჩემს სულს მინდოდა დასდებოდა საზღვარი. ცა სუფთა იყო, სპეტაკი. სულიც ასევე სპეტაკი მინდოდა შემრჩენოდა ბოლომდის. რაც უფრო შორს გავსცქეროდი ლურჯი ცის სიღრმეს, მით უფრო დიდ სასწაულებს ვამჩნევდი შიგ. ასევე რაც უფრო შორს მივსდევდი სულის მისწრაფებას, მით უფრო დიდი სასწაულები მოსჩანდნენ წინ. იმავე დროს ყველგან დარეჯანის სანუკვარი სახე მომდევდა, მისი სითბო მიმაცილებდა.

ქალების ხმაური სულ ახლოს მოისმა. ახლა ვიგრძენი, რომ გული თრთოდა. მოვიდნენ ქალები, გამიცინეს და გზა განაგრძეს.

მათ შორის დარეჯანი არა სჩანდა.

სულ უკან მომავალმა ქეთევანმა შემომცინა და შემომძახა:

— ვიცი, ვის ელოდები, დარეჯანი ახლა კორესპონდენტს უსწორებს ანგარიშს და შენთვის არ სცალია. წადი შინ, ვახტანგ! — მითხრა და გამშორდა.

მივხვდი, რაც მოხდა, მაგრამ ქეთევანის სიტყვებში თითქოს ღვარძლიც შევნიშნე და მეწყინა.

მაინც გადავწყვიტე დავრჩენილიყავ.

აი, ფეხის ხმა მოისმა. თითქოს მორბისო, ბუჩქნარი შრიალით გამოიარა, შავი თმის წყვილი კულული მხრებზე ეყარა. მორბოდა პირდაპირ და თვალების სხივებს მხოლოდ წინ, გზაზე ისვროდა.

ვერც კი გავიგე, როდის ავდექი. ამ მშვენიერი, პატარა, ჩემთვის სანუკვარი გოგონას მოახლოვება თითქოს მაკრთობდა. უხერხულად ვიგრძენი თავი და ისევ დავჯექი.

დარეჯანი ჭიშკართან მიიჭრა და უეცრად შესდგა.

— ვინა ხარ შენ? ვახტანგი ხარ? — მკითხა და მის ნორჩ ტუჩებზე ღიმილი გაჩნდა. — ისვენებ, ვახტანგ?

ახლოს მივედი დარეჯანთან, ჭიშკარს მივეყრდნე.

— შემეშინდა, დარეჯანი არ წამართვან თქო! — როგორც იყო გამოვნახე სიტყვა და გავიღიმე.

— ვინ? — მკითხა დარეჯანმა და წამოწითლდა.

— არავინ!

— ბავშვის მოტაცება ვის გაუგია? — სთქვა დარეჯანმა და ისე გაიღიმა, თითქოს ამბობდა, მართლა აღარც ისე ბავშვი ვარო. ამას მისი ამაღლებული მკერდი და აჩქარებული სუნთქვაც მოწმობდა.

— ჩემთვის ბავშვიც ხარ და...

— კიდევ რა, ვახტანგ?

— კიდევ? კიდევ რაღა ვსთქვა... ჰაერი, ალბათ.

დარეჯანს აფეთქებასავით სიცილი წასკდა.

— ჰაერი, ვახტანგ? ჰაერი ბევრია...

— ასეთი ჰაერი სხვაგან არ არის და არც იქნება...

დარეჯანმა თავი დახარა, — უეცრად სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— აი, რამდენიმე დღის შემდეგ წავალთ ბიჭები, თბილისის უნივერსიტეტებში ამოვყობთ თავს. მაგრამ ვამტკიცებ, იქაც არ იქნება...

— შენ რაღაც სხვაზე ამბობ, ვახტანგ.

— ხომ მიხვდი, დარეჯან? ვამბობ იმაზე, რაზედაც შენ ფიქრობ ახლა.

დარეჯანი უფრო წამოწითლდა. ფოთოლი მოწყვიტა, ბალიანებელ წიწკნა დაუწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რაზე ვფიქრობ?

— რაზედაც ფიქრობ, დარეჯან.

— თუ ჰაერი ვარ.. მაგრამ, ვახტანგ, რაღაც უნდა გეთქვა?

— უკვე ვთქვი, მეტის თქმა არ შემიძლია.

— მეც მაგას ვფიქრობდი, მაგრამ... ჩვენ ბავშვები ვართ...

— განა ბავშვებს გული არა აქვთ?

დარეჯანი შეკრთა, დაიბნა.

— გული? გული ჰო, მარა გულით ხომ ერთად ვიყავით?

— ვიყავით, მაგრამ მეშინოდა... მომეცი სიტყვა, ერთად იქნებიან, განუყრელნი, შეუცვლელნი და სიკვდილამდე! — ვუთხარი ეს, ჩემდა უნებურად ხელში ხელი მოვკიდე და მოვუჭირე.

დარეჯანი თავდახრილი იდგა და სდუმდა.

— შენ ალარ ხუმრობ? მაშ, თუ კარგი ბიჭი დადგები... და სიკვდილამდე! — სთქვა, უეცრად თავი ასწია, შავი, ნახშირივით შავი თვალები შემომანათა, გამოალო ჭიშკარი და შურდულივით გავარდა.

იმავე ბალიდან ონისიმე ჭიშკარს მოადგა და ჩაიცინა.

— აფერუმ, ვახტანგ! ასე უნდა, ბიძია და... დროი უნდა გაატარო და სხვაი აფერი! — მითხრა, უსიამოვნოდ შემომაჩერდა, ჭიშკარში გავიდა, ვიწრო ბილიკით ქვევით დაეშვა.

ბედნიერების მწვერვალზე მდგომს ლოდივით დამაწვა ონისიმეს ბინძური სიტყვები.. ცოტა ხანს გაბრუებული ვიდექი, მინდოდა აღმედგინა გონებაში დარეჯანის ბოლო სიტყვები, წარმომედგინა მისი სახე უკანასკნელ წუთებში. მინდოდა ის ჩაუქრობი სითბო ბოლომდის ჩასულიყო ძარღვებში, გულის ყველა სიმს განეცადა ამ სითბოს ძალა, მაგრამ ონისიმეს უღირსი სიტყვები თითქოს კვლავ მომესმა.

„ნეტავი საიდან მოდიოდა ის ბუკის მატლი?“ — გავივლე გულში.

მომაგონდა:

ზემოთ გორაკზე რომ ჩაეძინა, ალბათ, ახლა გამოეღვიძა.

ბილიკს გავხედე ქვემოთ:

როცა ონისიმემ ღელეს მიაღწია, იქ ვიღაც შეხვდა, — ღელეზე ერთად გავიდნენ.

გამოვბრუნდი, — ნელის ნაბიჯით გავემართე შინისაკენ.

მანამდის უცნობი გრძნობით მითრთოდა გული.

16.

ვერაფერი გამეგო: რად გამირბოდა დარეჯანი?

ვწუხდი, ვწრიალებდი, ძილიც გამიფრთხა...

დედაჩემი მოდიოდა ჩემს საწოლთან, საბანს გამისწორებდა, არაფერს არ შეკითხებოდა, თუმცა ისიც სწუხდა, ვატყობდი.

ზოგჯერ თვალგახელილად მწოლიარეს წამომისწრებდა, დაჯდებოდა ჩემს საწოლზე, ხელს ლოყაზე შემოიდებდა, მიცქეროდა დიდხანს, მე თითქოს

მეძინება, თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ დედა ჰგრძნობდა, რომ არ მეძინა და უძრავად იჯდა. შემდეგ მძიმედ ჩაისუნთქავდა, გამშორდებოდა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ვიყავით. მე და თენგიზი უგამოცდოდ მიგვიღეს. ათი დღის შვებულება მოგვცეს და სოფელს ვესტუმრეთ.

სულით ჯერ კიდევ სოფლად ვიყავით.

მას შემდეგ, რაც იმ საბედისწერო საღამოს შევხვდი დარეჯანს, ერთ თავისუფალ შეხვედრას ვეღარ ვეღირსე.

გამირბოდა დარეჯანი. მიზეზის კითხვასაც ვერ ვახერხებდი და ეს უფრო მტანჯავდა...

ჩვენ ხომ სიტყვა მივეცით ერთმანეთს, მაგრამ ეს სიტყვა თითქოს ჩვენი განშორების მიზეზად გადაიქცა. ამ სიტყვის შემდეგ რამდენიმე დღეს რაღაც განსაკუთრებული თვალით მიცქეროდა დარეჯანი. ეს გამოხედვა მაგრძნობინებდა სიახლოვეს, ისეთ სიახლოვეს, როგორიც არასოდეს არ მიგრძვნია. მაგრამ მალე ის შეიცვალა. სოფლად დაბრუნების შემდეგ ეს უფრო ვიგრძენ.

აღარ მიცქეროდა, ხოლო როცა შემომხედავდა, სიცივეს ვგრძნობდი.

ჩვენსას სიარულიც შესწყვიტა, საერთოდ ჩვენს წრეს ერიდებოდა.

იმ დღეებში მეგობრებიც ვეღარ მცნობდნენ. აღარ სჯეროდათ, რომ მე ის ვახტანგი ვიყავი, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ ხედავდნენ.

დაღვრემილი, უენო, უსიცოცხლო დავდიოდი, ყველაფერი, უმნიშვნელო წვრილმანიც კი, მაღელვებდა, — მეგობრების უბრალო გახუმრებასაც ვეღარ ვიტანდი.

— რა მოგდის, ვახტანგ? ალბათ, უქმური აგყვა ღელეში და იმის ბრალია! — მეტყოდნენ ამხანაგები, გაკვირვებით შემომხედავდნენ და რადგან ხმას არა ვცემდი, თითონაც უხმოდ გამშორდებოდნენ.

— რაღაც კი არის თქვენს შორის და რაა, არ ვიცი. — სთქვა ერთხელ ქეთევანმა და შემომხედა.

მე ხმა არ გავეცი, თუმცა ვიცოდი, ეს „თქვენს შორის“ ვის ეხებოდა.

შემოდგომა იყო.

მოტეხილი სიმინდის ვეებერთელა კალო დასდგეს კოლმეურნეობის ყანაში, განგებ შაბათი შეურჩიეს და იმ ღამეს სიმინდის ტრადიციული რჩევა მოაწყვეს.

მთელი სოფელი მიიწვიეს იმ ღამეს.

სარჩევში წასასვლელად ბაბუაჩემიც კი მოემზადა: გააწყო კვესაბედი, ქისაში ბლომად ჩაჰყარა თამბაქო, შეისკვნა ახალუხი, ჩაიცვა ჩოხა და ბებიასთან მივიდა.

ბებიამ შეათვალიერა და ხმადაბლა უთხრა:

— ჩოხა უკან დასწიე, საყვალა. მოდი აქ. გაისწორე ქამარი. ჯოხი არ დაგრჩეს, ახალგაზრდებს ნუ გამოუდგები,—სადა გაქვს თავი! შინ ადრე მოდი.

ბაბუაჩემმა თანხმობის ნიშნად ჩიბუხი გააბოლა. ბებიამ ჩოხა დაუწია. ბოლოს ბაბუამ ჯოხი აიღო და ისევ ბებიას წინ შესდგა.

— ფედოსი, საღამოა, სიგრილე დაგკრავს, ოთახში შედი. მთვარეა, მე ადრე მოვალ, — უთხრა ბაბუამ და ჩიბუხს მოსწია, აახრიალა.

„სიყვარული არასოდეს არა კვდება, ალბათ“, — გავიფიქრე და ბაბუას მივუახლოვდი.

ბაბუამ შემომხედა, თითქოს შემატყო, რომ მასთან ერთად მენდოდა წასვლა.

— რავა, ბაბუა, წამოხვალ თუ? — მკითხა ბაბუამ.

გამიხარდა, ბაბუა რომ მიმიხვდა სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვალ-თქო, მივუგე, პალტო და ქუდი გამოვიტანე, ბაბუას გვერდით ამოვუდექი და ერთად წავედით.

ჭიშკარში რომ გავედით, ბაბუამ გადმომხედა და მოხუცის დარბაისლობით დაიწყო:

— ჰაიგიდი, ბაბუა, რა დრო მინახავს და რა დროს მოვესწარი! ვუცქეროდი ერთსა და იმავე ხის კენწეროებს და გულში ვამბობდი: ნამეტარი ბევრი ვიცხოვრე, როდის იქნება, მოვშორდე-თქო ქვეყანას. ახლა სულ სხვას მეუბნება მოხუცის გული: რატომ ასე ადრე გავჩნდი-თქო ქვეყნად... ნამეტარი ადრე დამიწყია, ბაბუა, ცხოვრება. მამაჩემიც შიშში დაბადებულა: იხელთებდა თათარი, სადმე ჩუმად წაეპარებოდა ბაღანას, ჩააგდებდა ტომარაში და მიაქროლებდა. თუ გაიგებდნენ, გაჩნდებოდა კივილი, მისდევდნენ თათარს, ისროდნენ თოფებს. მარა ტყე დიდი იყო და თათარიც ადვილად იმალებოდა. ზოგი გმირიც იბადებოდა, მარა ასეთი ბევრი არ იყო: კიჩალა ხომერიკის სახელი ხატად გაიჩინა გურიამ; კიჩალამ ნამეტარი დააშინა თათრები, სადაც მის სახელს იტყოდნენ, უკან მოუხედავად და ხელცარიელი გარბოდა თათარი. იყო თუ არა კიჩალა იქ, ხალხი მაინც გაიძახოდა: „კიჩალა მოდის, ჰარიქა, კიჩალავ, თათარმა ბავშვი მოიტაცა“. თათარს ჩაწვდებოდა თუ არა ყურში კიჩალას სახელი, მეტი აღარ იყო საჭირო, ყველაფერი ავიწყდებოდა, ისე გარბოდა. ტყვია არ ხვდებაო კიჩალას, ამბობდა ხალხი, და თათარიც ასე ყოფილა დარწმუნებული. მამაჩემი ცალ ხელს ვერ ხმარობდა, ბავშვობისას ზურგზე წამოუკრავს თათარს და გარბოდა თურმე. საიდგანღაც გაჩენილა კიჩალა. პირდაპირ რომ ესროლა, მოჰკლავდა ბავშვს, უსვრია გვერდიდან, მოუკლავს თათარი, მარა ბაღანასაც მკლავი დაზიანებია. მივარდნილა კიჩალა, ბაღანაისათვის ჭრილობა შეუხვევია, ახლა სხვა თათრებს გასდევნებია. „კიჩალა მოდის“, — იძახდა ხალხი და გარბოდა თათარი. ასეთი ბიჭები იყვნენ მაშინ. შემდეგ მეფემ და სტრაჟნიკებმა არ მოგვასვენეს. ბევრი ტყავი გაგვაძრეს და ბევრსაც ჩვენ გავაძერით, მარა ბოლოს მაინც ჩვენ ვრჩებოდით ტყავგაძრობილნი. თქვენ რა გინახავთ, ბაბუა, გამზადებულ ქვეყანაში დაბადებულხართ! თუმცა გაჭირვება თქვენც მოგსწრებიათ, მარა წინათ უბედურობა იყო, ბაბუა. თქვენ უკეთესისაკენ მიდიხართ, ჩვენ კი უარესი და უარესი გვემართებოდა. შენზე მოწყენას ამბობენ, ვახტანგ, და ეს არ შეგფერის. მოსაწყენ საქმეს უნდა ერიდო, მარა თუ შეგხვდა, უნდა აჯობო, — დასკვნა ბაბუამ.

ისე ძალუმად მოსწია ჩიბუხს, რომ კინაღამ ლოყები ჩააყოლა შიგ.

მე შევცბი, ამბის ასე უეცარ მობრუნებას არ მოველოდი და რა მეთქვა, არ ვიცოდი.

— არა, ბაბუა... — დავიწყე და მაშინვე შევწყვიტე.

მივედით კიდეც.

ვეებერთელა კალოს, ერთის მხრივ, ქალები შემოსდგომოდნენ, მეორეს მხრივ — მამაკაცები.

ჯერ ტაროს რჩევა არ იყო დაწყებული და მხოლოდ მოხერხებულ საჯდომებს აწყობდნენ.

მოულოდნელად დარეჯანისა და ჩემი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. თითქოს მთვარე ძალას უკარგავსო სირცხვილს, ერთხანს ვუცქერდით ერთმანეთს.

ეს პირველი შემთხვევა იყო (ჩამოშორების შემდეგ), როცა დარეჯანმა ასე დიდხანს შეაჩერა ჩემზე თვალები, შემდეგ უეცრად დახარა თავი. ნეტავი ვიცოდე, რას ნიშნავს ეს? ეს თითქოს კეთილის მომასწავებელია, გავიფიქრე, მაგრამ ჩქარა ისევ ის ჩრდილი მომიახლოვდა და გულში ჩაწვა.

მხოლოდ მე და დარეჯანი ვიყავით მოწყენილები. დანარჩენები იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ურთიერთს გაურჩეველ სიმინდის ტაროებს ესროდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილიც მოვიდა.

ყარამანმა პირველი ტარო აიღო და რჩევა დაიწყო.

— მაშ ვიწყებთ, მეზობლებო! მრავალი კიდევ უფრო დიდი კალო დაეედგას კოლექტივს, და ხვავიც ჰქონდეს! — წარმოსთქვა და პირველი გარჩეული ტარო შორს გადაისროლა.

მას სხვებიც მიჰყვნენ. დარეჯანის პირდაპირ დაჯდომა ვერ გადავწყვიტე, ისევ ბაბუას მივუჯექი გვერდით.

აქედან კი დარეჯანის დანახვა შემეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინ გადავიხრებოდი.

თითქმის ყველა გურული სიმღერა შეასრულეს ამ სარჩევში, ცალკე გუნდებად ისხდნენ რჩეული მომღერლები. კრიმანჭული მოკრიალებულ ცას სწვდებოდა.

გუნდები ურთიერთს პირიდან ართმევდნენ სიმღერებს, მაგრამ მაინც ის სიმღერები ისე თანმიმდევრულად და წაბმით სრულდებოდა, რომ არავითარ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი. პირიქით, ეს უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას, რაღაც საერთო, განუწყვეტელ ჟრიამულს ჰქმნიდა.

ამ საყოველთაო ჟრიამულში წუთით ყველაფერი მავიწყდებოდა, მაგრამ როცა ტაროს ასაღებად წინ გადვიხრებოდი და ნაქურჩალში ჩემსავით უხმოდ მჯდომარე დარეჯანს თვალს შევავლებდი, მწუხარებით ვიდაგებოდი. შუაღამე რომ გადავიდა, ნაქურჩალში ყელამდის ჩაფლული ხალხი წამოდგა. იქვე მინდორში გაშლილ სუფრას შემოვუსხედით და ვახშამს შევექეცით. სახელდახელოდ გაშლილი სუფრა საჭმელ-სასმელით იყო გაჭედილი, სიმღერა აქაც გაჩაღდა, მაგრამ აქ სიმღერას ტაში და ცეკვა-თამაში დაერთო. მღეროდნენ ახალსა თუ ძველ სიმღერებს. ქალები უფრო კოლექტივზე შექმნილ ლექსებს ამღერებდნენ ჩონგურსა და გიტარაზე.

სუფრაზე კარტოფილის სანთლები კრთოდნენ, ცახცახებდნენ. საერთო აღტყინებაში თითქოს ისინიც სიხარულით იღვენთებოდნენ და მოჭარბებული გრძნობით იცრემლებოდნენ.

— ვახტანგ, მოდი აქ, — მითხრა თენგიზმა, ხელი მომკიდა და სუფრას განვშორდით. ჭადრის ხეებთან შევჩერდით. თენგიზმა განაგრძო: — შენ უსინდისო კაცი ყოფილხარ! რა გითქვამს, იცი, რას ამბობენ შენზე!? იქნებ მართლა ჩაიდინე ის სისაძაგლე? — მაშინ ჩვენი ძმობა გათავებულია...

— რა იყო, თენგიზ? — შევძახე და ხელი ჩავჭიდე.

— მოიცა, მე რას მეჭიდები, თუ საჭირო იქნება, ადგილს მოვნახავთ. ჯერ მომისმინე.

— გისმენ!

— შენ გითქვამს: დარეჯანს ვყვარობ და ყოველ ღამე ერთად ვრჩებითო.

— გაგიჟდი ხომ?! — მივაძახე და გულგამეხილმა კვლავ წავეტანე.

— მოგიკლავს ის საცოდავი. გზაზე ხვდება და საშველს არ აძლევთ.

— ვინ სთქვა ეგ? — შევძახე თენგიზს, მაგრამ მისმა ბოლო სიტყვებმა ყველაფერი გამახსენა: კოლექტივის ჭიშკართან ონისიმეს გამრჩენია და მისი ლვარძლით აღსავსე სიტყვები.

— სთქვა კი არა, მარინამ სულ მოირბინა სოფელი. შენ კი თავი ჩაგიღუნავს და ოცნებობ სისულელეზე.

— თენგიზ! — მივმართე მეგობარს: — შენი დიდი მადლობელი ვარ, მეძინა და გამაღვიძე. ჩამარტყი, თენგიზ, რომ უკეთ გამოვიღვიძო. აჰ, ის უქნარა, ისა!

— რას ამბობ, ვახტანგ?

— არ ვამბობ, ფიქრს გავყევი მხოლოდ. მითხარი, თითონ თუ იცის?

— ვინ, დარეჯანმა?

— ჰო, დარეჯანმა.

— იცის.

— ვინ გითხრა, თენგიზ?

— ქეთევანმა მითხრა ყველაფერი.

— მე დამიმალა?

— გვრიდებოდა.

— ახლა კი ვიცი!

— რა იცი, ვახტანგ?

— ცოტა მადროვე!

— განა მართალია, რასაც ამბობენ?

— თუ შენ ქეთევანსაც ასევე მოექცეოდი, მაშინ ჩემზედაც მართალი უთქვამთ... მაგრამ, თენგიზ, განა ქეთევანს შენ მარტო არასოდეს არ შეხვედრიხარ, ორიოდე გულითადი სიტყვა არ გითქვამს?

— როგორ არა, — მიპასუხა თენგიზმა, — სიტყვაც მივეცი.

— მის ხელს არ წაეტანე?

— ეგ რაღა საკითხავია, ვახტანგ? — მითხრა და განაგრძო: — სიტყვა ცივია, თუ ხელმა არ შეაერთა.

— ასეა... მაგრამ ერთი ეს მითხარი, თენგიზ, ონისიმეზე არაფერი გაგიგია?

— როცა ჩვენ ქალაქში ვიყავით, ის უარესს ამბებს ავრცელებდაო შენზე, მაგრამ ეს კარგად ვეღარ გავიგე.

— კარგი! — მივაძახე და გავეცალე.

— ვახტანგ, სად მიხვალ?

— ჩქარა აქ გავჩნდები, სიტყვა მომეცი, რომ არავის ეტყვი!

— წადი, სისულელე არ ჩაიდინო!

— არა, არ ჩავიდენ, — მივუგე და ქვევით დავეშვი. ღელე თქარა-თქურით გავედი.

პირდაპირ ონისიმესთან მივისწრაფოდი, ვიცოდი, შინ მარტო იყო და თავისუფლად შემეძლო ნახვა.

ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა ონისიმეს, მაგრამ ის ქალაქში იყო გათხოვილი რკინიგზელზე და ონისიმე მარტო ცხოვრობდა.

ქშენით მივრბოდი, სოფლად თითქოს არავინ იყო; არსაიდან ბაიბური ისმოდა, ძალლებსაც კი ჩასძინებოდათ.

დაბალ ღობეზე ხელი არც კი მომიკიდია, ისე პირდაპირ გადავეშვი და

ონისიმეს ეზოში მოვხვდი. არაფერი ცოცხალი არ იყო ონისიმეს ბარაზე. მხოლოდ ისლით გადახურული ქოხი ეხურა თავზე და ეს ისლის ოდნავი შრიალი ისმოდა. შევჩერდი კართან. ახლა ვიგრძენი მხოლოდ, თუ როგორ მიცემდა გული. იმდენად დიდი იყო სიცარიელე, რომ იმ ეზოში, ადგილი სამიოდე ხე ადამიანებად წარმოვიდგინე. ალბათ ამ ხეებს საუბარი თუ სურთ-მეთქი ჩემთან და მივაჩერდი. ხეებმა ოდნავ გაიშრიალეს. ონისიმეს ამარად მიტოვებულ კარმიდამოზე თუ ჩივიან-მეთქი ხეები, გავიფიქრე და გული მეტკინა, ცოტა ხანს ვიდექი, თითქოს იმ ხეებიდან წამოსული სიცივე ვიგრძენი. ქოხიდან ხრიალი მომესმა. კარი დავაკაკუნე. ხრიალი შეწყდა, მაგრამ ხმა არავინ გამცა. უფრო მაგრა დავაკაკუნე, და ცოტა ხნის შემდეგ მოისმა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ონისიმე, კარი გამიღე, საქმე მაქვს შენთან.

— ვინ ხარ და...

— თუ ვერ მიცანი გააღე და მაშინ მიცნობ.

კარი გაიღო.

ონისიმეს თავი გამოჩნდა. მთვარის შუქი თითქოს გაკვირვებით ჩასცქეროდა ონისიმეს პატარა თვალებს.

— ბიჭოს, შენ ვახტანგის გევხარ! კოლექტივმა წამოგაგდო, ბიძი?

— არა, მე თითონ მოველ.

— მობრძანდი, მარა მოიცა, გარეთ სჯობია, — მითხრა და ისევ შინ შეჰყო თავი.

ორიოდე წუთის შემდეგ პერანგისამარა კარებიდან ტურასავით გამოძვრა ონისიმე და ქოხის წინ ჯირკზე ჩამოჯდა.

— რას მეტყვი ახალს და? უჩემოდ ხომ არ შეეშინდა კოლექტივს? ასეა, მარა ვინ დაგიჯერებს, მოქალაქე-მშრომელს რომ გააქცევენ, მადლობასაც აღარ ეტყვიან და...

— მოიცა, ონისიმე, ამას არ გეკითხები. მოკლედ მითხარი: ზაფხულში ჭიშკართან რომ შემომეფეთე და ქვევით დაეშვი, ვინ შეგხვდა ღელეში?

— რავა, ღელეში? — წარმოსთქვა შემკრთალმა და უფრო დაწვრილებული თვალებით ამომხედა ქვემოდან, — რა ვიცი, აღარ მახსოვს, მარა ღელის ამბავს რად მეკითხები და...

— ღელის ამბავს კი არა, კაცის ამბავს გეკითხები, ონისიმე, და თუ სწორს მეტყვი, სიტყვას გაძლევ, არაფერს არ დაგიშავებ.

ონისიმე შეკრთა, რამდენჯერმე წამოიწია და ისევ დაჯდა.

— რავა, ამისთანა გინახავს და გაგიგონია? — სთქვა, თანაც შიშით შემომხედა, მერე ისევ სწრაფად დახარა თავი და მიწას ისე დააჩერდა, თითქოს იქ ეძებდა რაღაცას. — ვინ სთქვა ეს აბდლური?

— არაფერი არ უთქვამთ, შენ უნდა მითხრა.

— ღელეში? არ მახსოვს და...

— კარგი, თუ არ გახსოვს, ჩემზე რატომ გაავრცელე ბოროტი ხმები?

— ბოროტი ხმები? ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია და...

— შენს გარდა ვერავინ იტყოდა. შენ დაგვინახე და გაავრცელე...

— ღმერთო კი მომკალი, აგია და... — დაიძახა ონისიმემ, — მარინაი ამბობდა აბდლურს, წმინდა გიორგის გეფიცები და...

დიდხანს ვედავე და ვუჩიჩინე. ვერც ხვეწნით, ვერც დამუქრებით ვერაფერს გავხდი:

— არაფერი არ ვიცი და! — იძახდა ონისიმე და ისევ მიწას ჩასჩერებოდა.

მივატოვე და წამოვედი. ალბათ უკანასკნელად იყივლეს ძაღლებმა ცაზე ინათა, მაგრამ მე ვერაფერს ვერ ვხედავდი, მხოლოდ წინ გავრბოდი. აქა-იქ ძაღლები აყეფდნენ და ღობეებს ეცნენ. შეუმჩნევლად მივედი კოლექტივის კალოსთან. იქ ოთხიოდე კოლმეურნე-ღა იყო, უკანასკნელ ტაროებს არჩევდნენ, თან გარჩეულ სიმინდს კმაყოფილნი მისჩერებოდნენ.

დარეჯანის ღამენათევ, მთვლემარე თვალებს, უმანკო სახეს ერთი კი გადავხედე და შინისაკენ წავედი მარტო.

ჩავწექი ლოგინში. ძილს არ ველოდი და არც მოდიოდა, მტკიოდა რაღაც, თითქოს თავი, თითქოს გული, ძარღვები, მაგრამ რომ ჩავუკვირდებოდი, ცალკეული არაფერი არ მტკიოდა. რაღაც საერთო ტკივილი მივლიდა ტანში.

17.

ოთხი დღე დარჩა გამგზავრებამდე. რამდენი დღეც გადიოდა, იმდენი ჩემი ტანჯვა ორკეცდებოდა. ვისთვის რა ვეთქვა? რა არ ვიფიქრე, რა საშუალებას არ მივმართე, მაგრამ ყველგან რაღაც წინააღმდეგობას გადავეყარე. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა საკუთარ ღირსების შეულახავად არ ხერხდებოდა. შემეძლო შემეფიცნა დარეჯანისათვის, რომ მე დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ ვერც ეს გადავწყვიტე. ამგვარ ფიცს საფუძველი არ ექნებოდა, არც ის ვიცოდი, რა უთხრეს დარეჯანს და რატომ იყო ჩემზე ნაწყენი.

არც საჯაროდ შემეძლო მეღიარებინა ჩემი სიმართლე, რადგან ეს ძალიან სათუთ საგანს შეეხებოდა, — გრძნობის საკითხი საყოველთაო სალაპარაკოდ გადაიქცეოდა, მაგრამ არც ამ შემთხვევაში გამაჩნდა მყარი საბუთი ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად.

არა და ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი ჩვენი ოჯახის წევრებმაც იცოდნენ, იცოდა დედამაც, მაგრამ არ ამბობდა. ეს უფრო მტანჯავდა.

დღესაც დილა-ადრიან გამოცხადდა ონისიმე ჩვეულებრივი ძახილით:

— სოფიო, მშია, მაჭამე, შიმშილმა კუჭი ამიწვა და...

შემოვიდა ეზოში და პირდაპირ სამზარეულოსაკენ გაემართა ამგვარი ძახილით.

წარბამ იცნო, მიირბინა, დაყნოსა და მშვიდად განშორდა.

— ცოცხალია ნეტაი კიდევ ეს დაღუპული? — ონისიმეს გასაგონად წარმოსთქვა სოფიომ და მიეგება. — არ მოკვდი, ონისიმა? კი, მარა, სანამ უნდა ეთრიო ასე გურამის ძაღლივით, უპატრონოდ რომ დარჩა სოფელში. შე უბედურო, ეს წანწალი აღარ მოგბეზრდა?

— არა, არ მომბეზრდა, სოფიო. გავჩერდი, მარა კუჭი არ გაჩერდა, კუჭი ყვირის, სოფიო, და სოფელ-სოფელ დამარბენინებს. ჩემი ბრალი არ არის და... ზოგჯერ ხელის განძრევაც ვიცი, შენ ცოტა მაჭამე, სოფიო, და რა გინდა ქირაი?

— დეიღუპოს საცხა შენი თავი, შენი გაკეთებული საქმე რათ მინდა! — შეუკურთხა სოფიომ, მაგრამ სახლში მაინც შემობრუნდა, ჩვეულებრივად ყველი და მჭადი გაუტანა, ერთი თეფში მაწონიც გააყოლა და ეზოში სამფეხა ხკამზე დაუდგა: ხვთქე და წადი, აღარ დაგინახო, შენი დროი არა მაქვს

ახლა! — უთხრა სოფიომ, ქარტაში შევიდა და ჯიშიანი ძროხა გადგა საბალახოზე.

ბიძიას ბოხი ხმა კოლმეურნეობის ბაღში ისმოდა. მე ეზოში დავდიოდი, ყველაფერს სიყვარულით ვუთვალთვალებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღე დამრჩა კიდევ... აქედან წავალ...

ალვის ხის დაცვინულ ფოთლებს ვადგამდი ფეხს. მათი შრიალი თითქოს საალერსო სიტყვებს მეუბნებოდნენ.

ვინ იცის, რა მიმართულებით წარიმართებიან ცხოვრების გზები, სად მივალ ბოლოს...

იშრიალეთ ფოთლებო, იშრიალეთ, ეგებ თქვენი შრიალი წამყვეს თან, მით გავიხარო...

ონისიმემ ჭამა მოათავა, თოხი იპოვა, გზის პირას ბოსტანში შევიდა, — თოხნა დაიწყო.

კოლმეურნეები, რომლებიც გზაზე მიმოდიოდნენ, ესალმებოდნენ ონისიმეს და გაკვირვებული ეკითხებოდნენ:

— რას აკეთებ, ონისიმე, ყარამანის ეზოში? რავა, მოჯამაგირეობა დაიწყე თუ?

— რას იზამ, კუჭი რომ აგეწობა, უარესსაც იკადრებ მაშინ და.. კოლექტივიდან გამომაჭენეთ, ყარამანთან მივჭენდი და... აია ჩვენი სულის ჩამდგმელი და ნაჩალიკი, თვარა აქამდე დამჭამდა ძაღლები.

ცოტა ხნის შემდეგ კოწიამ და ორმა სხვა კოლმეურნემ ჩამოიარეს.

კოწიამ ონისიმეს სიცილით ჰკითხა:

— ონისიმე, რამდენს გიხდის ყარამანი მაგ ნაჯაფარში?

— ჯერ-ჯერობით დღეში ერთ ან ორ გაძღომას, დანარჩენი მისი სინდისი იქნება და...

კოწიას თითქოს ნაძალადევი სიცილი აუტყდა:

— მაშ ღმერთმა აგაშენოთ ორივე! არც შენ წაგიგია, მაგრამ ყარამანი ხომ მთლად გაკეთებულა. აგია, ბიჭო, სოციალიზმს რომ ეძახიან?

— სოციალიზმიც თქვენ იცით და კომუნიზმიც. ნასწავლებიც ხომ თქვენ ხართ და... უფრო გაიგებთ და შეაფასებთ.

კოწიამ კვლავ გაიცინა და გზა განაგრძო.

— თავი დაანებე, ონისიმე, უშენოდაც გააკეთებენ. — მივაძახე.

ამ დროს შინ დაბრუნებულმა სოფიომ დაითხოვა ონისიმე:

— შენი ნაცოდვილარი რათ შემერგება, დაიკარგე, შე უქნარავ, ჩემმა თვალმა არ გნახოს!

მეორე დღეს ეს შემთხვევა სულ სხვანაირად შეტრიალდა:

საღამოს ჩვეულებრივად შინაურები ეზოში ვისხედით და ვსაუბრობდით. ყარამანმა რაღაც სხვანაირად გააღო და მიჰხურა ჭიშკარი. ეზოში რომ შემოვიდა, ნაბიჯებშიაც გაბრაზება შევნიშნე, ალვის ხეს (რომელთანაც ჩვენ ვისხედით) ირგვლივ შემოუარა, შეჩერდა, პაპიროსს მოუკიდა და ჩაახველა.

— დედაკაცის ჭკუა თხამ ბარდზე მიაჭამაო, იტყოდნენ, მარა ახლა წინ დამიდგა! — წარმოსთქვა თითქოს თავისთვის, პირი მიიბრუნა და პაპიროსის კვამლი აუშვა ჰაერში.

სოფიო შემცბარი მიუახლოვდა:

— რა მოხდა, ყარამან?

— მოხდა კი არა, გუშინ იგი უქნარა ონისიმაი რომ ჩააყენეთ ბაღჩაში და იქაურობა ღორივით მოაჩიჩქნიეთ, ვის უნდოდა, ქალო, მაგის ნაჩიჩქნი?

— ჩვენ კი არა, თვითონ მისულიყო ის ღვთის პირიდან გადავარდნილი და იქაურობა სულ მოეჯეკნა.

— ჰო, და, ახლა უყარეთ კაკალი! ყარამანს მოჯამაგირედ გაუხდია უქნარაო. რა ეშმაკად გადაეკიდე მაგ ონისიმას! თვითონაც უთქვამს: მაჭმევს და მასმევს, მეც გავდივარ და ვმუშაობ ყარამანის კარ-მიდამოშიო.

— ვაიმე, ეს რა ჭირს გადავეკიდე! — დაიძახა სოფიომ, თავზე ხელები იტაცა და გამობრუნდა: — კარგს ცუდად გადაგიხდიან, ეცი პატივი!

გულზე ბოღმა მომაწვა. წამოვდექი: თუ ვინმეს ბრალი დაედებოდა, ისევ მე და სხვა არავის.

— დედა, ვახშმად ნუ მელოდებით, თენგიზთან წავალ და გვიან მოვალ, თუ ვერ მოველი, არ შეგეშინდეთ, იქვე დავრჩები,—ვუთხარი დედას.

— შვილო, მოიცა, რაღა დროსაა! — მითხრა დედამ და ეჭვით მომაჩერდა სახეში. — რამე ცუდი გაივლე, ალბათ, თავს გაუფრთხილდი, თავს კი არა, დედაშენს გაუფრთხილდი შენი თავისთვის...

— არა, დედი, დამიჯერე. — ვუთხარი დედას. ფეხებში არაჩვეულებრივი სიმსუბუქე ვიგრძენი და ღობეზე ვისკუპე.

მივქროდი.

თენგიზს ჭიშკართან გამოვუძახე და ერთად წავედით.

თენგიზმა თან ორკაკვა ჯოხი წამოიღო, დამჭირდებაო.

დაღამდა.

დღის ნათელი მთვარემ შესცვალა.

კოლმეურნეობის სანერგეს გადავუარეთ და სოფლის ბოლოში გზაზე გავედით.

შევჩერდით ჩირგვებში.

ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნეთ ონისიმე და თენგიზი წინ გადაუდგა:

— საღამო მშვიდობისა, ონისიმე! სად ბრძანებულხარ?—ჰკითხა თენგიზმა.

— მე? მე აქ ვიყავი... საქმეზე ვიყავი და... — მიუგო ონისიმემ.

როცა მეც დამინახა, უეცრად შეკრთა, მის თვალებში იგივე ჩემს მიერ უკვე წაკითხული შიში შევნიშნე:

— თქვენ, ალბათ, სანადიროდ იყავით ტყეში და... — სთქვა ონისიმემ.

—სანადიროდ ეს არის მოვედით. ჩვენ ხელში ხარ და აქედან ცოცხალი ვერ გაგვექცევი! — უთხრა თენგიზმა.

მე გადაჭარბებულად მეჩვენა თენგიზის მუქარა, განვიზრახე, მეთქვა რამე, მაგრამ თენგიზმა ისე შემომხედა, რომ შევჩერდი: იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი, ვიფიქრე და ხმა არ ამოვიღე.

ონისიმემ წონასწორობა დაჰკარგა, ჯოხი მეორე ხელში გადაინაცვლა, აწრიალდა, უკან დაიხია.

— ხუმრობ თუ რა დაგიშავეთ?

— თუ სიცოცხლე გწყურია, ერთი წუთი-ღა გაქვს და შეგიძლია გამოიყენო! — მიუგო თენგიზმა. — დაიწყე თავიდან, ყველაფერი ბოლომდის გვითხარი: რა ჩაიდინე, როგორია შენი ნამოღვაწარი. ვახტანგის და დარეჯანის საქმიდან უნდა დაიწყო, სოფიოსა და ყარამანის საქმით დააბოლაო.

— ზღაპარში ვარ თუ სიზმარში, ნეტაი? — დაიძახა ონისიმემ, — რას ჩივით ამას? ამას ნე მეუბნებით ყველაფერს? გადავირიე კაცი ეს არის და...

— არ გატყდი, ხომ! მაშ კარგი, უქმურის ყვავილო! — მიაძახა თენგიზმა და ორკავა ჯოხი კისერში მიაბიჯგა.

ონისიმემ დაიხრიალა და ძლივს აღმოხდა:

— ნუ მომკლავთ, ყველაფერს გეტყვით და...

— მაშ სთქვი! — უყვირა თენგიზმა. — დრო აღარ არის.

— აქ როგორ იქნება და... გზის პირზე ამისთანა გინახავთ? გამოით აქეთ, ბუჩქში ყველაფერს გეტყვით. გამხელითაც თქვენ იცით, ბიჭები ხართ და ნუ გამწირავთ. ისე, ჰო, ყველაფერს გეტყვით და...

— არ მოგკლავთ და თუ არ დაგვჭირდა, არც გაგამხელთ! — უთხრა თენგიზმა.

ბუჩქებში ერთ მოტიტვლებულ ადგილას შეჩერდა ონისიმე და ასე დაიწყო:

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ახალგაზრდები ხართ და არ მომითმენთ, — იმ საღამოს ვახტანგი და დარეჯანი კოლექტივის ჭიშკართან ვნახე. დარეჯანი წინ წავიდა, ახალი გამოგდებული ვიყავი, კბენა მინდოდა, ვახტანგს რაღაც ვაკადრე და.. ღელეში კოწია კვინტრიძე შემხვდა. იჯდა ღელის პირას, გელოდებოდიო, მითხრა, და ერთად წავედით. მეც მოვუყევი ჩემი ამბავი, თითონაც თავისი მითხრა. რაც ნახე, იმას ნუ იტყვი, რაც მე გითხრა, ხალხში ის გაავრცელეო. ამაში მარინაც შეგეშველება, მადლობასაც გეტყვისო მარინა, ჭორებს ყურში თუ ჩააწვეთებ. დანარჩენი მე მკითხე, პატივისცემას არ მოგაკლებო, შემდეგ, ყარამანსაც რამე უნდა მოვუხერხოთო, — გადავაგდოთ, მე ვიქნები და შენ დიდ პატივისცემაში მეყოლებიო. მხოლოდ ენას კბილი უნდა დააჭირო, თვარა სიკვდილი ხელში მაქვს გალესილიო. მეც დავუჯერე; მარინასაც ჩავაწვეთე ამბავი. შემდეგ ყარამანის წამოსაქცევად მოიგონა კოწიამ, დამარიგა დილაადრიან მიდი, იმუშავე მასთანო, მოჯამაგირის აყვანა დაბრალდებაო... და...

— გეყოფა! — დაუყვირა თენგიზმა.

— არა, განაგრძოს! — შევძახე მე. — ახლა ისიც გვითხარი, ონისიმე, კოწიას როდის და სად შეხვდები?

— კოწიას? კოწიას ამაღამაც შევხვდები, პირველად მამლები რომ იყივლებენ, აქ უნდა მოვიდეს.

— სად? აქ? სადაც ჩვენა ვართ?

— აქ კარგი საფარია და... ცუდია თუ!

— მაშ ერთი თხოვნაც: ჩვენს მხარეზე გადმოხვალ და ეგებ შენს საქმეს საშველი დაადგეს. კოწია ხელში უნდა ჩავიგდოთ და მოგვეხმარე, — განაგრძე მე. — ნურაფერს ეტყვი, აქ შეხვდი ამაღამ, ჩვეულებრივად გაესაუბრე. დანარჩენი ჩვენზე იყოს, ონისიმე, დაიმახსოვრე, არა და უფრო ცუდად წაგივა საქმე, თავსაც წააგებ!

— კარგი, მოვა და მეც დავხვდები. ვერა, კოწია ვერაფერს ვერ შემატყობს და...

— ჰო, კარგი, შენც პირნათლად გამოხვალ კოწიასთან. ყველაფერი შემოხვევით მოხდაო, იფიქრებს. ახლა მშვიდობით!

დავტოვეთ ონისიმე და თემისაკენ სირბილით გავწიეთ.

18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირის მდივანი კაპიტონა ვნახეთ და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბეთ.

კაპიტონამ ერთი ამხანაგიც წამოიყვანა და ისევ იქითკენ გავეშურეთ, საიდანაც მოვედით. იქ ქუჩებში ჩავიმალენით ოთხივე და ხმა გავკმინდეთ.

სრული მთვარე დაგვნათოდა მაღლიდან.

ველოდით. არავინ სჩანდა.

— კოწია ფრთხილი ეშმაკია, ონისიმეს ადვილად არ ენდობა. იქნებ ონისიმემაც გაგვცეს, — სთქვა კაპიტონამ.

— გაგვიძნელდა ონისიმეს გამოტეხა, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ვერ მოგვატყუებს, — მივუგე მე.

ამ ლაპარაკში ვიყავით, როცა ჩამი-ჩუმი გაისმა ბუჩქებში.

გავიტრუნეთ, სუნთქვაც შევწყვიტეთ.

ფეხის ხმა ახლოვდებოდა.

ვიღაც გამოჩნდა კიდეც, შეჩერდა, პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.

დაჯდა.

ფიქრს მიეცა.

ხან მიწას დასჩერებოდა, ხან ცას ახედავდა მიმინოსავით, თითქოს გაბრაზებული სწევდა პაპიროსს.

კოწია იყო.

ეტყობოდა გაჯავრდა: პაპიროსის ნამწვი შორს გადისროლა.

— სევასტის დაჩაგვრასაც არავის შევარჩენ. ყოჩაღ, სევასტი, სიტყვა არ გატეხა, არ გამამხილა! ონისიმე? ონისიმეს სხვანაირად უნდა მოპყრობა, ყველაფერში მაგასაც ვერ ვენდობი. ჭადი აჭამე, არბენინე და პირზე ხელი აფარე ყოველდღე...

აგერ ონისიმეც გამოძვრა ჩირგვიდან.

— დაიგვიანე, — უთხრა კოწიამ.

— ხომ მოვედი და, — უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა ონისიმემ, რომელიც თავს მაღლა არ სწევდა.

— ონისიმე, გვიანია და მოკლედ მოვჭრათ: დაწყებული საქმე უნდა გაგრძელდეს. ჯერ ყარამანი და შემდეგ სხვები. მთავარია არჩილი. იქამდე თუ ვერ მივაღწიეთ, ჩვენი საქმე ვერ გასწორდება, მაგრამ არჩილამდე რომ მივაღწიოთ, ყარამანიც უნდა მოვიშოროთ. კაცს ჭკუა თუ აქვს, ყველაფერს იპოვის, მარა ცალხელი კაცი რას გააკეთებს? შეეშინდათ, ჩაჩუმდნენ ზოგიერთები. მეც ქე გავჩუმდი, მარა საქმე სიჩუმეშიაც შემიძლია გავაკეთო. ცოტა-ცოტა შენც ქე გამოგდის ხელიდან. ჯერ ვახტანგი და მისი სატრფო გამოაჭენე, შემდეგ ყარამანსაც შესდევი ხელი, მარა ყველაფერი ეს ერთ ოჯახს ეხება, თუმცა ძირმაგარს. ჩვენი საქმე კი უფრო შორს მიდის. ვახტანგისა და მისი სატრფოს ამბავს ცოტა ფასი აქვს, ყარამანისას უფრო მეტი, მაგრამ უმთავრესი წინ არის. ყარამანს რომ მოვითავებთ, შემდეგ მახარაძეში გადაგაფრენ და იქ მოახსენებ: არჩილმა კოლექტივში დაბრუნებისათვის ქრთამი მთხოვა-თქო. შესაძლოა არ დაიჯერონ, მარა შემდეგისათვის სხვა ფანდიც მაქვს შემონახული და ზედ მივაყოლებთ. ბოლოს ყველაფერი სიმართლეს დაემსგავსება.

— არა, ამის გამკეთებელი მე არა ვარ, — შეაწყვეტინა ონისიმემ. — მოი-

გონა სილაბანდურაი! მახარაძეში რა ჩემი საქმეა? შუკაში ძლივს დავეთრევი და...

ალბათ, კოწია ბრ მოელოდა ონისიმეს ასეთ გაჯიუტებას, და ფეხლები მრისხანედ გადმოანათა:

— გაგიჟდი თუ? — შესძახა და ონისიმეს ხელი ჩაავლო.

ონისიმე გაწიწმატდა, დაუყვირა:

— რას შვები, ყაძახო! გამიშვი ხელი, თვარა გიჩვენებ!

კოწია წამოიჭრა და მთვარის შუქზე ბებუთი ააპრიალა.

— არ შეცდე, ყაძახო! — იყვირა ონისიმემ, მაგრამ ამ დროს ჩვენც მივესიეთ.

კოწია თითქოს სიზმარში იყოო, შეკრთა, შეწრიალდა, მაგრამ გვიან იყო: ხელი ვტაცეთ და დანა წავართვით.

— შეჰკარით მაი, არ გაუშვათ და... კინაღამ არ გამათავა ცოცხალი! — იძახდა გათამამებული ონისიმე, თუმცა ზეზე არც კი დგებოდა.

— გასწი! — მიაძახა კაპიტონამ და კოწიას უბიძგა.

კოწია ერთხანს კაპიტონას მიაჩერდა, შემდეგ წამოიძახა:

— მოჯამაგირის ჭკუამ გაჯობოს? მოკვდი, კოწია!

— უჭკუობაც დრომ მოგიტანა, კოწია. თემში წამობრძანდი და იქ გამოვარკვევთ, — მიუგო კაპიტონამ.

თენგიზმა ვერ მოითმინა, კოწიას მიეჭრა და ორკავა ჯოხი დაარტყა.

— თენგიზ, რას ჩადიხარ?! — შესძახა კაპიტონამ. — მაგისათვის დაგსჯით, იცოდე!

— გული მოვიფხანე და აწი დამსაჯეთ! — მიუგო თენგიზმა.

კოწია გავიგდეთ წინ, მაგრამ ონისიმე ზეზე არ დგებოდა.

— შენ ვიღას ელოდები, ონისიმე? წამო, წავიდეთ, — უთხრა კაპიტონამ.

— მეე? — გაიკვირვა ონისიმემ, — მე რაღა მინდა? წუხელ ერთი ლანდიც არ მიძინია და...

— წამო, ჩვენ დაგაძინებთ და ჩვენვე გაგაღვიძებთ, როცა დრო მოვა, — უთხრა კაპიტონამ, ხელი მოჰკიდა და ააყენა.

— კი, მარა, რა საეშმაკო ღამეს გადავეყარე და... გინახავს აი?

— რაც არ გინახავს, იმასაც ნახავ! წამოდი, ონისიმე, და მოისმინე, რასაც გეტყვიან, — იოხუნჯა კაპიტონამ და ხელი გამოსდო:

— გამიშვი ხელი! ბაღანაი ვარ თუ? მე თვითონ წამოვალ და... — უკვე მორჩილად სთქვა ონისიმემ და თავჩაქინდრული გაუდგა გზას.

— მით უკეთესი, ჩემო ონისიმე, ყოჩაღ, რომ მიხვდი! — დაეთანხმა კაპიტონა, ხელი გაუშვა და მეგობრებს ღიმილით თვალი ჩაგვიკრა. შემდეგ ბებუთს პირი გაუსინჯა და სთქვა: — ჰმ, რა მახვილია! ასეთივე მახვილი რომ ყოფილიყო კოწიას ტვინი, უფრო გასჭრიდა!

— მაშინ ეგ დანა პატრონის ჯიბეში იქნებოდა თავჩამალული და მზის ელვარებას კომკავშირი ვერა ნახავდა! — მივუგე მე.

ვიცინოდით კომკავშირლები, მაგრამ როცა თავჩაქინდრულ ონისიმეს ერთხელ კიდევ შევავლე თვალი, ამ გზა-კვალ აბნეულ უქნარასადმი შეცოდება ვიგრძენი.

იმ ღამეს გვიან დავბრუნდი შინ. გული სიხარულით მევსებოდა.

ყველას ეძინა. არ მინდოდა მომაჯადოვებელი სიჩუმის დარღვევა. მთვარიან ღამეში ფოთლები თითქოს რაღაც საიდუმლოებას ჩამჩურჩულებდნენ

ყურში. აქა-იქ მამლების ყივილი გაისმა, მაგრამ მამლებიც თითქოს იმას იმეორებდნენ და ადასტურებდნენ, რასაც ფოთლები.

„წავალ აქედან, — ვუთხარ ჩემს თავს. — მაგრამ სად ვიბოვი, ასეთ საშოთხეს“. თბილოდა გარეთ, თბილოდა გულშიც. მაგრამ სადღაც, ალბათ, გულის სიღრმეში განშორების ტკივილი მაწუხებდა. „მოიცა ცოტა, კიდევ ვუცქირო და გულით წავიღო“, — ვუთხარი კვლავ თავს და აივნის კიბეზე ფრთხილად დავჯექი. სიამე და ტკივილი ერთად იღვრებოდა ჩემს გულში. ყელამდის ავივსე. კინაღამ ცრემლები წამსკდა. მშობლიურ მიწას, კარმიდამოს შევყურებდი და გულმა თითონ შეთხზა სიტყვები:

„რა ვიცოდი, განშორება მწარეა,
გული შესქრა, ყველაფერი არია.
თითქოს იყო ყოველივე სიზმარი,
შარბათს მასმევ, რად ჩამისხი შიგ ძმარი?“

ეს უბრალო, ბავშვური სიტყვები ხმამაღლა გავიმეორე და გამიკვირდა: როგორ იბადებიან სიტყვები, როცა რამეს განიცდი, როცა ახალგაზრდული სისხლი და გული გიდუღს!

როცა ფეხი აივანზე დავადგი, თითქოს მთელი სახლი შეინძრაო. ალბათ, შინ არავის ეძინა, ქალების ლაპარაკიც მოისმა. რაღაც წაიქცა და კარი გაიღო.

— შენა ხარ, შვილო? მოდი, ძალიან დაიგვიანე! — მითხრა დედამ და მომეგება.

— მართალია, დედი, დავიგვიანე, მაგრამ გაკმარებ, აღარ ჩავიდენ.

— ვიწექით, ვერ დავიძინეთ. ბიძაშენმა დიდხანს იარა ეზოში, შემდეგ გაუხდელი დაწვა, მაგრამ სჩანს, არც იმას დაუძინია.

ოთახში შუქი ააანთეს.

მოკრძალებით შევედი, ლოგინზე ჩამომჯდარ ბიძიას დამრგვალებული თვალები დამხვდა.

— ბიძი, შეგიძლია იარო, დროც გაატარო, მარა შენი წასვლა არ მომეწონა და ვერ მოვისვენე.

მე თავი დავხარე:

ყოველთვის, ყველაზე მეტად ბიძიჩემის შეწუხებას ვერიდებოდი.

— შეგაწუხე, ბიძია, მარა, სამაგიეროდ, ახლა უფრო ტკბილად დაიძინებ, — გავბედე მე და სკამზე დავეშვი.

ყველანი გაკვირვებით მომჩერებოდნენ.

— ჩემსას გავუძელ, თქვენი ვერ ავიტანე, ამიტომ ჩემი ბრალი არ არის, თუ შეგაწუხეთ. ჩემზედაც ცუდი ამბები გაავრცელეს სოფელში. მართალი ვიყავი, მაგრამ სიტყვა არ მითქვამს. სიტყვას საბუთიც უნდა ჰქონოდა. ალბათ, თქვენც რამე იცოდით, მაინც არაფერს მეუბნებოდით. როცა თქვენიც წაემატა, ვერ მოვითმინე, ყველაფერი, ჩემიც და თქვენიც, ონისიმესაგან გამოდიოდა, თუმცა თვითონ ონისიმეს, პარმენისა და სევასტ'ის სათავეს კოწია კვინტრიძე წარმოადგენდა. ერთი მოზრდილი ძაღლის თავი აქ იყო ჩამარხული და ის ამოვთხარეთ.

— შენ რაღაც გულთმისნურად ლაპარაკობ, ბიძია, მაგრამ კარგად ვერ გავიგე! — მითხრა ბიძაჩემმა და მომაჩერდა.

— შვილო, რას ამბობ? — მკითხა სოფიომაც და სკამი მოსწია.

— სასწაული ხმა მესმის, შვილო! — სთქვა დედაჩემმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავწყვიტე ყველაფერი მეამბნა. როცა დავასრულე, წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

— შვილო, არ ხუმრობ? — წამოიძახა სოფიომ.

— ყველაფერი ეს ამ ერთ ღამეში? — დაიძახა დედაჩემმა.

— ბიძი, ჩვენი კი არა, თქვენი თაობა იხსნის ქვეყანას, — შეთხრა ბიძაჩემმა, ზეზე წამოდგა, კარები გააღო და გარეთ გავიდა.

ფანჯრიდან ვხედავდი ბიძაჩემი როგორ დადიოდა ეზოში; სწევდა თამბაქოს, აბოლებდა, ცას მისჩერებოდა, მერე მიწას აკვირდებოდა, თითქოს ყველაფერს ამოწმებსო. ამ შემოწმებაში ბიძაჩემის უსაზღვრო სიხარული მოსჩანდა.

19.

მეორე დღეს ხმაური ჩამესმა და გავიღვიძე.

ოთახი მზით იყო სავსე. ამით მივხვდი, რომ დიდხანს მეძინა.

ავდექი, ჩავიცვი, ფანჯრიდან გავიხედე.

ეზოში სკოლის ამხანაგები შეკრებილიყვნენ. მხოლოდ დარეჯანი არ იყო იქ, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ იცის-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მაინც ეჭვმა შემიპყრო, ხელ-პირი დავიბანე და ეზოში გავედი. ამხანაგები ხმაურით შემხვდნენ:

— გზა!.. გზა!.. ჩამოგივლით და ქარი წაგაქცევთ! — დაიძახა ქეთევანმა.

— ხედავთ, როგორ ბაყბაყმდევივით მოდის! — ჩაურთო ტიტიკომ, რომელიც ახალ ოდისთვის დამზადებულ ფიცრებზე იჯდა (ტიტიკომ ჩემთან ერთად დაამთავრა საშუალო, მაგრამ უკვე თვრამეტი წლისა იყო და წითელ არმიაში მისასვლელად ემზადებოდა).

— ამირანია! — გამოეხმაურა მათ თენგიზიც.

— რატომაც არა! — წამოიძახა ტასიამ, რომელიც ჩვენი ეშვიათი სტუმარი იყო, მაგრამ ბოლო დროს მოუხშირა სიარულს და რაღაც განსაკუთრებულის ალერსით მომჩერებოდა.

მე თვალს ვარიდებდი. განგებ არ ვუცქეროდი სახეში.

მივესალმე მეგობრებს და ჩამოვჯექი.

დედაჩემი და სოფიო სამმართველოში შედიოდნენ და გამოდიოდნენ.

ბებია და ბაბუა სუროთი შემოსილ ხურმის ხესთან ისხდნენ. ყარამანი არსად სჩანდა. მაგრამ მალე მისი ბოხი ხმა ახლა ვენახიდან მოისმა. კვირა დღე იყო და სამუშაოდ აღარ გასულან.

ამხანაგები ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. მე ხმას არ ვიღებდი. რაღაც დანაკლისს ვგრძნობდი. რამდენჯერაც ამაზე გავიფიქრე, იმდენჯერ დარეჯანი წარმომიდგა თვალწინ. მხოლოდ შეკითხვებზე ვუპასუხებდი.

ბიძაჩემი მოვიდა. სტუმრებს შორიდან მისცა სალამი.

— გაიზარდეთ, იცოცხლეთ! — სთქვა ბიძაჩემმა, შემდეგ თენგიზთან მივიდა და გვერდით დაუჯდა, — შენც, ბიძი, მგონი წუხანდელი ლაშქრობის მონაწილე ხარ... თქვენი ლაშქრობა ამით არ გათავდება, ალბათ, შორს წახვალთ. პარმენამ სევასტია გამოათრია, ონისიმემ — კოწია, გამოსათრევი კიდევ ბევრია სოფელში. სადაც კუდია, იქ თავია. თავს უკუდოდ შეუძლია სიცოცხლე, მარა კუდი უთავოდ ვერ იარსებებს. ჰო და თუ კუდი მოსჩანს, ახალი კოწიაც უნდა ვიპოვოთ. შემდეგ ყველაფერი გაიწმინდება და, სარეველა ბალახი ვეღარ იძალებს.

სოფიო მოვიდა, ახალგაზრდა სტუმრებს სალამი მისცა.

— სოფიო, როგორ არის სადილის საქმე? პატივსაცემი სტუმრები გვყავს და გზაც ერთი აქვთ.

— ამ წუთში, ყარამან! — მიუგო სოფიომ და სამზარეულოსაკენ პირი იბრუნა. — გაფრთხილება რად მინდა, შე კაცო! შენ მხოლოდ მაჭარი მოიტა და ყველაფერს ერთად მოგაყრით.

— ამისთანა დედაკაცი ქვეყანაზე არ დაბადებულა! კერიას თუ მიაგნო, ქვას აადუღებს და საჭმლად აქცევს, — დაასკვნა ყარამანმა და მძიმე ნაბიჯებით მარნისაკენ წავიდა.

დღეს კარგ ხასიათზე იყო ყარამან და მისი გრძელი ლაპარაკის მიზეზი ეს იყო. მას არ უყვარდა წამდაუწუმ ჩარევა სხვის ლაპარაკში. მაგრამ თუ ჩაერეოდა ან დაიწყებდა, საფუძვლიანად მიიყვანდა ბოლომდის.

ამიტომ, როცა ყარამანი იწყებდა საუბარს, სხვები სდუმდნენ და ყურს უგდებდნენ, მით უფრო ჩვენ, ახალგაზრდებს შეგვფეროდა ეს.

— ყარამანი სიტყვას რომ იტყვის, ერთი დღე მაინც უნდა იფიქრო და შემდეგ უფრო კარგად გაიგებ, — იტყოდნენ ხალხში.

სადილი დაიწყო.

გვისხამდნენ მაჭარს, ამბობდნენ სადღეგრძელოებს, მაგრამ იმ სადღეგრძელოების ნახევარიც აღარ მესმოდა.

რაც დრო მიდიოდა, მით უფრო მიმძიმდებოდა გული — „რატომ არ არის აქ, რატომ არ არის?“ — განუწყვეტლივ ვიმეორებდი გონებაში. გრძნობის გაღვივებას მაჭარმაც შეუწყო ხელი და გული გასივდა. შეუმჩნევლად გავშორდი მაგიდას, შევედი სახლში და ლოგინზე პირქვე დავემხე.

ვსტიროდი, არა მესმოდა რა...

კარგა ხანი გავიდა, ალბათ. ხელის შეხება ვიგრძენ და მივიხედე:

ბებიაჩემი თავდახრილი დამჩერებოდა.

— რა მოგდის, ბები? — მითხრა ბებიამ და საწოლზე ჩამოჯდა. — კარგი ბიჭი ხარ. ციდან ვარსკვლავად მოწყვეტილი ბიჭი ხარ, ბები, თვალადობით, ტანადობით, ჭკუით, გონებით, სინდისით და პატიოსნებით. მაღალ ღმერთს შეუმკიხარ, ბები, და რას ჩივი? ჩემი დაღუპული შვილის სახე ხარ, იცოცხლე, იხარე, ინეტარე.

დაღუპული შვილის გახსენებამ თითონ ბებიასაც აუჩუყა გული, ზეზე წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ცრემლით დავასველე ბალიში.

ისიც კარგად მესმოდა, რომ ეს ცრემლი ყოველივეს მაგიერად იღვრებოდა ბალიშზე, ჩემი აქედან გამგზავრების ჟამს.

თავის შეკავებას აღარ ვცდილობდი. იქნებ ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა ტანჯვა, რომელმაც გული ყელთან ამოაცურა და სუნთქვას მიხშობდა...

„უკანასკნელი იქნება სისუსტე, უკანასკნელი“, — გადავსწყვიტე და მიხვდი, რა იყო ის, რაც სიჭაბუკემ მომიტანა. გახურებულ ლოყაზე ხელი მივიდე და გავიტრუნე. საკუთარი გულის გუგუნი მესმოდა...

კარმა ისევ გაიჭრიალა. ჩურჩული მოისმა. შევკრთი. თითქოს ხმა ნაცნობი იყო.

— ვახტანგ! — მომესმა ქეთევანის ხმა. ავიხედე: ოთახში დარეჯანი იდგა. წამოვიჭერი.

— დარეჯან! — შევძახე.

— ვახტანგ! — აღმოხდა მას, ხელი მომაპყრო, ცრემლი წასკდა. ჩვენ ვტიროდით სიხარულის ცრემლით.

— ა, ხომ მიგიხვდი, გავიქეცი და შენი ჩიტი აქ მოვაფრინე! — დაიძახა კარებში შეჩერებულმა ქეთევანმა და ტუჩზე ხელი მიიდო: — ფრთხილად, სულელებო, როლში არ შეხვიდეთ, თვარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯანი სკამზე დაეშვა, მაგიდას დაეყრდნო და სიცილნარევი ტირილი განაგრძო.

— გაჩუმდი, ცავ! ახლა უარესად არ მოხსნა თავი! — იძახდა ქეთევანი და იცინოდა. — კარგი, იქ გველოდებიან, წამოდით!

— ოჰ, დარეჯან, წავიდეთ, — ვუთხარი მეც და თავზე ხელი დავადე.

ხელის გულს დარეჯანის ხაშხაშა თმამ რაღაც ჯადოსნური ძალით მიუალერსა. მთელს სხეულში შვების ნაკადმა დამირბინა.

განსაცდელი ბავშვური ცრემლებით უკანასკნელად ჩამოვიბანეთ. გარეთ გაველით და სიხარულით გულავსებულნი მაგიდას შემოვუსხედით.

ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით, შემდეგ ყველაფერი უეცრად გამოიცვალა: ჭამა-სმა და სიმღერაც მომინდა, თითქოს ენა ახლა ჩავიდგი, თითქოს სიცოცხლე ახლა დავიწყე.

ზურგიდან მოისმა:

— რა გენაღვლებათ, დასხედით და ხუხეთ მაჭარი!

არჩილი იყო. შემოვიდა ჭიშკარში და, წინააღმდეგ ჩვეულებისა, პირდაპირ სუფრისაკენ გამოეშურა.

— არჩილი, არჩილი! — წამოიძახეს და ზეზე წამოდგნენ.

— დასხედით, დასხედით! მეც მინდა დავჯდე და ფიქრი ვყარო! — სიცილით სთქვა და მაგიდასთან თავისუფალ სკამზე დაეშვა.

— ახლა უფრო შეწყობილად გვიხარებთ, ვიმღერებთ კიდეც! — სთქვა ყარამანმა და შუშხუნა მაჭრით სავსე ჭიქა დაუდგა წინ.

— მაშინებ, ყარამან? — უთხრა არჩილმა და ჭიქას ხელი მოჰკიდა. — არა, ღღეს აღარ შეგიშინდები! — სთქვა ეს, საყოველთაო სადღეგრძელო. გამოაცხადა და ჩაის ჭიქა უსუნთქებლივ დასცალა. — ვაჟკაცებში ვზივარ ახლა, ღვინო კი არა, ზღვაც ველარ დამათრობს! — განაგრძო არჩილმა და ამაყად გადმოგვხედა ახალგაზრდობას. — თქვენ ალბათ მდინარეს შემოაბრუნებთ და უდაბნოს გამოაცოცხლებთ. ამით მე და ყარამანი არაფერს არ წავაგებთ, მოვიგებთ კიდეც! — სთქვა და ყარამანს ხელი გადასდო.

შებინდდა. დასავლეთით ბრწყინავდა ზღვა, აღმოსავლეთით ბახმაროს ჭაღარა და ამ პატარა ეზოში, ალვის ხის ძირას, ჩვენი გული თითქოს იმავე ბრწყინვალების სარკედ იყო გადაქცეული:

ნიავის სუნთქვა, ხეების შრიალი და მაჭრის შუშხუნი ამ სარკეს ჰფერავდა.

— მოგების საკითხი ჩვენ არ გვაშინებს, — სთქვა ყარამანმა, — ერთმა რომ წააგოს, ხალხი არ წააგებს, მარა ერთიც რომ მოიგებს, უფრო შეწყობილი საქმე გამოვა. თქვენც მოგებისათვის უნდა იბრძოლოთ, თუ ხალხთან შეწყობილად გინდათ იცხოვროთ! — მიმართა ახალგაზრდობას ყარამანმა და შემდეგ მაგიდასთან მჯდომ მშობლებს გადახედა.

ამ გადახედვას მშვენივრად მიხვდა ბაბუა. მან ჭიქა აიღო, ჩიბუხი გადასდო და დინჯად დაიწყო:

— შორიდან მოვდივართ მოხუცები. ასეთი დაშორება წლებმა კი არა, უფრო ცხოვრების შეცვლამ გამოიწვია. არა მარტო შეიცვალა, დავაჟკაცდ

ცხოვრება. თქვენც გისურვებთ, ბაბუებო, დავაქკაცებას, — დაასრულა, აკანკალებული ხელით ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და ნელ-ნელა შესვა.

დედაჩემმაც ორი სიტყვით დალოცა ახალგაზრდები.

შემდეგ ტიტიკო წამოდგა და ჩვენს მაგიერ უფროსებს ბოდიშგადაუხადა.

უფროსებმა მოწონებით გადახედეს ურთიერთს.

არჩილი წავიდა.

შემდეგ ტიტიკომ და მოხუცებმა დასტოვეს სუფრა.

ჩვენც ავიშალენით. ახლა კაკლის ხის ქვეშ დავსხედით.

ქალიშვილებმა ჩონგური და გიტარა გამოიტანეს, ააწკრიალეს.

თენგიზი ქეთევანს მისჩერებოდა, მე — დარეჯანს. დარეჯანი მორცხვობდა რატომღაც, იშვიათად შემომხედავდა, თვალს მარიდებდა, მაგრამ იმ იშვიათ შემოხედვაშიც იმდენი სითბო იგრძნობოდა, რომ გულს მიძგერებდა.

ტასიამ უეცრად მოიწყინა, გიტარა გადასდო, ამოიხვნეშა და ზეზე წამოდგა.

წამოდგა თინაც.

— წავიდეთ, ტასია, — მიმართა მან ამხანაგს: — ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს. ესენი ამჩატებულები არიან და სული რომ შეუბერო, აფრინდებიან.

ტასია და თინა წავიდნენ.

— წავიდეთ სადმე! — მოგვიწოდა თენგიზმა.

— სად წავიდეთ? — ჰკითხა ქეთევანმა.

— ბაღში, — მიუგო თენგიზმა.

წამოვდექით.

კოლექტივის ბაღში გავყევით ხეივანს, რომელიც ბაღს ორ ნაწილად ჰყოფდა. ერთ მხარეზე ციტრუსები ჰყვავოდნენ, მეორეზე — ხეხილი და ჩაი. მარჯვნივ საგვიანო მსხალი, ვაშლი, ყურძენი მწიფდებოდა, მარცხნივ ლურჯ ფოთლებში ლიმონის, ფორთოხლის, ნარინჯისა და მანდარინის ოქროსფერი ნაყოფი ჩასაფრებულიყო.

მზეც ჩავიდა.

ბინდი დაეშვა.

მალე მთვარე გამოჩნდა.

მივდიოდით წყვილ-წყვილად.

ხეივანი სარტყელივით ეხვეოდა მთას და გარს უვლიდა.

თენგიზი და ქეთევანი კარგა მანძილით დაგვშორდნენ. ჩვენ ნელა მივდიოდით და ვდუმდით. თითქოს ხეივნის პალმები, ნაძვები, ჭადრები თუ თელები ჩვენს მაგიერ და ჩვენს შესახებ ჩურჩულებდნენ. ქვემოდან სოფლის ერიამულში თითქოს ჩვენი სახელებიც ისმოდა.

წყაროები რაკრაკით ჩადიოდნენ ხევებში და ისინიც ჩვენზე რამეს ამბობდნენ.

თითქოს ლეგენდარულ სამოთხეში მივადგამდით ნაბიჯებს.

— ნეტავი ეს გზა არასოდეს არ შეწყდებოდეს! — როგორც იყო დავარღვიე სიჩუმე და ჩემს გვერდით მომავალ დარეჯანს შევავლე თვალი.

— ჩვენც ასე ვივლიდეთ დაუსრულებლად, — სთქვა დარეჯანმა, შემომხედა, ჩაის ფოთლისაგან შეღებილი ხელები მიჩვენა და ღიმილით სთქვა: — შეხედე, ვახტანგ, როგორ შემეღება ხელები!

— ეგ, დარეჯან, პატიოსანი შრომის საღებავია, ამიტომაც უფრო ძვირ-

ფასია შენი ხელები, — მივუგე და მის თითებს ხელი შევახე. სითბრ ვიგრძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ წავალ, რას იზამ, დარეჯან?

— მეც მალე მოვალ.

— არ მოგწყინდება?

— სიზმარში განახავ.

— მერე სად შევხვდებით?

— ამ ხეივანში...

მითრთოდა გული, რაღაც ჯადოსნური ძალით მევსებოდა ძარღვები. სიტყვებიც თრთოდნენ.

ხეივანს ბოლო არ უჩანდა. ჩვენ მივდიოდით...

*
* *

მე და თენგიზს მიგვაცილებდნენ

უკვე ყველანი გაბრუნდნენ უკან, მხოლოდ თინა და ქეთევანი არ გვშორდებოდნენ.

დარეჯანი არ იყო აქ.

ალბათ, თავის შეკავების იმედი არ ჰქონდა დარეჯანს. ეზოდან შეუმჩნევლად გაგვეპარა და სადღაც გაქრა.

შევჩერდით.

ქეთევანმა ტირილი მორთო და თინას ჩაეკრა.

— დაჩუმდი, ცა, სირცხვილია! — აჩერებდა მეგობარს, თანაც ალერსით თავზე ხელს უსვამდა.

— არა, ცავ, კი არ ვტირი... ისე მომდის, — მიუგო ქეთევანმა.

დავტოვეთ ისინიც.

გზიდან დარეჯანის კარმიდამო გამოჩნდა. მივდიოდი, მაგრამ სახე იქითკენ მქონდა მიქცეული. რამდენჯერმე ქვას წავკარი ფეხი, კინაღამ დავეცი.

— რა მოგდის, ბიჭო? — მითხრა თენგიზმა.

მე მაინც მივჩერებოდი. იქ ვერავის ვხედავდი. გული დამწყდა... მაგრამ აგერ გაიღო კარი და აივანზე გამოვარდა, შეჩერდა, წითელი ყელსახვევი მოიხსნა, ააფრიალა.

— დარეჯანია, დარეჯანი! — წამოვიძახე და ხელი ავსწიე. მე ხელს ვუქნევდი, ის წითელ ყელსახვევს იქნევდა.

— გამოადგი, ბიჭო, მაი ფეხები! — მითხრა თენგიზმა, ხელი მომკიდა და წინ გამიგდო: — შე დაღუპულო, სტამბოლში ხომ არ მიემგზავრები, მიზანსცენებს რომ მიწყობთ გზაზე!

ღელეს დავყევით.

ღელის ღრმა მორევს დავაცქერდი, სადაც ტანს ვიბანდით ან ვთევზაობდით: წყალს გვერდით გადავუშვებდით, შემდეგ მორევს ამოვაშრობდით, თევზები მშრალზე რჩებოდნენ.

ან ქვებზე ტუკებით ვეეეავდით ლაფანის ფოთლებს, ჩავყრიდით მორევში, თევზები, ლაფანის მწარე წვენისაგან დაბრმავებულნი, წყლის ზედაპირზე ამოცურდებოდნენ და პირს აღებდნენ. ჩვენც მივსდგებოდით და ვიჭერდით

ხელით. აი ის ადგილები, სადაც ბრტყელ ქვებში ღორჯოებს ან ცრიაფეხებს ვიჭერდით....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედი თემში.

იქ კაპიტონა დაგვხვდა, ჩაგვსვა საბარგო ავტოში, და ... ...ბ-ბ-ბ-

გიორგი ცაგარელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დონაურის ხმალი

გელა დონაურის სახელი თქვენ არც კი გაგიგონიათ, ალბათ, თუმცა მისი ამბავი გმირული და ტრაგიკულია.

იმპერიალისტური ომის ფრონტიდან რომ ბრუნდებოდა, გელა დონაურს გულმკერდს უმშვენებდა გიორგის ორდენის ორი ვერცხლისა და ორი ოქროს ჯვარი. საქართველოში გერმანელები რომ შემოიჭრნენ, გელა ისევ შეიარაღდა და არც კი გამომშვიდობებია ცოლშვილს — ისე გაქრა.

დონაურის რაზმი მოულოდნელად ჩნდებოდა ხან აქ, ხან იქ და მტერს მოსვენებას არ აძლევდა, ბოლოს, როგორც იქნა, გერმანელები გარსშემოერტყნენ დონაურს. ეს შუამთაში მოხდა. დონაურს სულ ოცდაათიოდე კაცი ყავდა.

მაიორი ფონ უნრატი რაზმის იოლად განადგურებას აპირებდა, მაგრამ შუადღემდე გერმანელებმა ორმოცამდე კაცი დაკარგეს. ნაშუადღევს მაიორმა ზარბაზნები დაუშინა ერთ მუჭა რაზმელებს. ეს ნამდვილი ჟლეტა იყო. ყუმბარებისა და კლდის ნამსხვრევები თანდათან ანადგურებდნენ დონაურის რაზმს. ვაზნები რომ გამოელიათ, დონაურმა მტერს დაგორებით კლდის ლოდები დაუშინა. შებინდებისას გელა მძიმედ დასჭრეს.

კლდეებში ჩასაფრებულმა ხუთმა მებრძოლმა მტრის ცეცხლი თავიანთკენ მიიზიდა და საშუალება მისცა ორ ამხანაგს დაჭრილი დონაური სამშვიდობოზე გაეყვანათ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ხუთი თავზეხელაღებული რაზმელი, რომელთაც მომაკვდავი დონაური უძღოდა, სიკვდილს გადაურჩა.

•

გონებადაკარგული დონაური შინ ნაშუადამევს ჩაიყვანეს. ცოლმა უბედურება იგრძნო. ჭრაქი აანთო და კარს მიაშურა.

ნაბადში გახვეული გასისხლიანებული გელა ტახტზე დააწვინეს. ცოლს არ უკივლია. მომაკვდავი ქმრის სასთუმალთან დაეშვა. დონაურმა იგრძნო, რომ კვდება, და თვალით ანიშნა ცოლს, ბავშვი მომგვარეო.

ნამძინარევი ილო მამის გასისხლიანებული სახის დანახვაზე ატირდა. გელამ პაწია შვილს „მაუზერზე“ ხელი დაადებინა და სული დალია.

ბავშვს უკვირდა: მამის ხელი „მაუზერის“ ფოლადივით ცივი იყო.

რაზმელებმა მეთაურს ხელები გადაუჯვარედინეს გულმკერდზე და ყაბალახები მოიხადეს.

ქვრივი მარტოხელა დარჩა. თვითონ უვლიდა სახლკარს, ბაღს, ბოსტანს და ერთ მტკაველ მიწაზე წლის სარჩო მოჰყავდა.

გამვლელები ხარბი თვალით შეჰყურებდნენ ქვრივის მზრუნველი ხელით ნალოლიავებ ამწვანებულ ხეხილში მტრედივით ჩამჯდარ ლურჯ ოდას.

„გამხმარი ჯოხი რომ დარგოს, დილისათვის იხეირებსო“, — ამბობდნენ მეზობლები.

ქვრივი ოდითვე ლამაზი ქალი იყო. ახლა მწუხარებამ მას თვალები უცნაურად ჩაუღრმავა და, თალხებში ჩაცმული, იგი უფრო წარმტაცი გახდა.

უკვე წელიწადმა განვლო, რაც დონაური დაიღუპა. ერთმა მეზობელმა ქალს ჩასიძებაზე გადაუკრა სიტყვა. ქვრივმა კინალამ კისრისტეხით გაისტუმრა გელას ხსოვნის შეურაცხმყოფელი.

*

თებერვლის ერთ-ერთ თოვლჭყაპიან ღამით დონაურის ჭიშკარს ორი ცხენოსანი მიადგა.

ქვრივი აივანზე გამოვიდა. ძაბრისებრქუდიანი რუსი ჯარისკაცის დანახვაზე შეჩერდა. მაგრამ მოულოდნელად ეზოდან ქართველის ალერსიანი ხმა მოესმა:

— დონაურის სახლკარია, მასპინძელო?

ქვრივმა სტუმრები შინ მიიწვია. ტყვიასავით დამძიმებული სველი ნაბადი ჩამოართვა ქართველს. უცნობმა მადლობა უთხრა და გელა იკითხა. დონაურის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, ფანჯარასთან მივიდა, და ვინ იცის? — ეგებ ცრემლებს მალავდა.

ქართველი ლადო პირველი იყო. მამისონის უღელტეხილზე მას წითელი არმიის მოწინავე რაზმი გადმოეყვანა და სამ დღე-ღამეს არა სძინებია. საშინლად დაქანცული იყო.

დედის დაძახებაზე პატარა ილო ტახტიდან ცქვიტად წამოხტა. უცნობის „მაუზერი“ რომ დაინახა, მომაკვდავი მამა გაიხსენა. მიყუჩდა. ლადომ ბავშვს ხელი ჩამოართვა, როგორც ტოლს, და სახელი ჰკითხა.

— ყოჩაღ, ილო! აბა, შენ იცი, როგორც ასახელებ მამაშენს! — უთხრა პირველმა ბიჭს.

წითელარმიელმა დადვა თუ არა თავი თოვლივით სუფთა ბალიშზე, იქვე ჩაიძინა. ყურთან დამბაჩა რომ დაგეცალათ, წარბს არ შეხრიდა.

ლადო კი დაღუპულ მეგობარზე ფიქრობდა. ვერ მოისვენა. ნაშუაღამევს, ლოგინიდან წამომდგარმა, ჩიბუხი ააბოლა და ასანთის სინათლეზე, კედელზე, ფოტო-სურათი დაინახა. ეს — დონაურის რაზმი იყო. შუაში დონაური იდგა. ორივე გვერდით და უკან ჩამწკრივებული იყვნენ რაზმელები. დონაურის ფეხთან ვეფხვებივით წამოწოლილიყო ორი ახალგაზრდა.

*

საქართველოში მუშაობა რომ დაიწყო, ლადომ ქვრივი გაიხსენა, მაგრამ ქალმა უარი თქვა დანიშნულ პენსიაზე.

— ჯერ კიდევ მარჯვენა მიჭრის და უქმად ლუკმას არა ვჭამო.

ილომ სწავლა თბილისში დაამთავრა და სამხედრო ვალდებულება, ლადოს რჩევით, ცხენოსან ლეგიონში მოიხადა.

ლადო პირველის ძარღვებში, ალბათ, იმ ქართველ ცხენოსან მხედართა სისხლი ჩქეფდა, საუკუნეების მანძილზე თემურ-ლენგებისა და ჩინგიზ-ყაენების ურდოებს რომ უმკლავდებოდნენ. ამით თუ აიხსნება, რომ ტან-

კებისა და თვითმფრინავების ხანაშიც ლადო ცხენოსანი ჯარის თანამგზავნისმცემელი დარჩა.

უკვე ათმა წელმა განვლო, რაც ილომ არმიიდან შვებულებაზე ჩამოვიდა. საქმე უამრავი ჰქონდა, მაგრამ დღე არ გაივლიდა, რომ ჭალარა ლადოს კენ არ გაევლო.

ორი მეგობარი ცხარედ ბაასობდა ხოლმე და ბაასის მთავარი საგანი, რაღა თქმა უნდა, ცხენოსანი ჯარი იყო, დაწყებული მონღოლთა ურდოების შემოსევიდან და გათავებული მარშალ მიურატისა და ბუდიონის მოულოდნელი თავდასხმებით და რეიდებით.

ლადო ჩამოიღებდა ხოლმე თაროდან რომელსამე ახალ სამხედრო წიგნს, გადასცემდა ილოს და ეტყოდა:

— გადაათვალიერე! ჩვენ კიდევ დავანახებთ ქვეყნიერებას, რას ნიშნავს ცხენოსანი ჯარი!

ისტორიულ კვირა დღეს, ოცდაორი ივნისის ქუხილი რომ გაისმა, ილო ჯარში დაბრუნდა. ლადო და ილო მთელ დღეს ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ. საღამოს მამადავითზე ავიდნენ.

დაბლა მოედნის კოშკზე საათმა თორმეტი დაჰკრა.

მეგობრები ბელადის თეთრ მონუმენტთან ისხდნენ, გადაჰყურებდნენ მთვარით განათებულ ქალაქს და სდუმდნენ.

— რად გაჩუმებულხარ? — ჰკითხა ლადომ.

— ჩვენი ქვეყნის ბედზე ვფიქრობ.

ომი უკვე გაჩაღებული იყო. მოხდა ის ვერაგული თავდასხმა, რომლის მოსაგერიებლად წელთა განმავლობაში ამზადებდა და რაზმავდა საბჭოეთს საქართველოს კერაში დაბადებული დიადი ადამიანი.

მეგობრები დაბრუნდნენ ქალაქში. ჩაბნელებულ მოედანზე ლადომ მაგრად მიიკრა გულზე დავაჟკაცებული ილო.

— ნეტავ შენ! ესკადრონს მიიღებ, ალბათ. აბა, შენ იცი. ხომ გაგიგონია: „შვილი მამას ისე მისდევს, როგორც ცხენი სადავესაო“.

შინ რომ დაბრუნდა, ილომ დანაშაული იგრძნო დედის წინაშე. წლების განმავლობაში ერთადერთი სურვილიც კი ვერ შეუსრულა და სოფელში ვერ ინახულა. დედა კი ხშირად ახერხებდა ქალაქში ჩამოსვლას. მაშინ ილო შეჰყრიდა მეგობრებს და მისი ბინა ისე ახმაურდებოდა, თითქო ქორწილიაო.

ილო მანქანით მიაცილებდა ხოლმე დედას სადგურზე. გამომშვიდობებისას დედა ნაღვლიანი ალერსით ეტყოდა:

— შენ კი შემოგევლე, შვილო, მინახულე ერთხელ მაინც!

ახლა ილომ მწველი სირცხვილი იგრძნო და თვალებზე ხელი მიიფარა. ვინ იცის, ეგებ ვერც კი დაბრუნდეს ცოცხალი!.. და გადაწყვიტა დედა ენახა.

ლამფის სუსტ სინათლეზე ქვრივმა უცხო სამხედრო კაცი დაინახა. იცნო თუ არა შვილი, მუხლებში ჩაიკეცა. შვილს რომ არ მოხვეოდა, დაეცემოდა. საყვარელ ბიჭს კისერზე გადაეჭდო. გაჭაღარავებულ თმებზე ალერსიანი ხელის შეხება იგრძნო.

— შვილო... შვილო...

რამდენი სიტყვა ჰქონდა დედას სათქმელი! ახლა კი მხოლოდ ეს ერთადერთი-ღა დარჩა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გელას ყოფილი რაზმელი, ბირველი ესტუმრა ქვრივს. შრომის ორდენით დაჯილდოვებული, ახოვანი ბხარ-ბეჭიანი თავმჯდომარე კიბის ჭრაჭუნით ამოვიდა აივანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ ახედა ილოს. მოიწონა — შვილი ზედგამოჭრილი ეკმა იყო: შავგვრემანი, ბომლიმარი სახით, გელასავით თავისებურად მოსიარულე, როგორც ეს ცხენოსნებს ჩვეიათ — თითქო ოდნავ მოიკოჭლებსო.

დილიდანვე დონაურის ეზოში კოცონები ავარვარდა. მუგუზლების ბოლი და მოხარშულის და მოხრაკულის ოშხივარი, ერთად შერეული, წარმართულ სამსხვერპლოს გუნდრუკივით ეკმეოდა ცას.

საღამოს თავმჯდომარემ სუფრაზე მჯდომ ხალხს მოუწოდა ზეზე წამომდგარიყო — სუფრას კი ასიოდე კაცი უჯდა.

თავმჯდომარემ ბელადი ადღეგრძელა და დიდის ზეიმით მამის ხმალი გადასცა ილოს. ეს ძველი ქართული ხმალი იყო, კეშუხტის ქარქაშში, ვერცხლით მოჭედილი.

*

ზაფხული იმ საშინელ წელს რუსეთში ისეთივე ცხელი იყო, როგორც საქართველოში. თუ სადმე ნაპერწკალი დაეცემოდა, არემარე თოფის წამალივით იფეთქებდა ხოლმე.

ილო დონაური უკან დახევის ნიაღვარში მოექცა. ეს ეუცხოვა მას. ქართველ ცხენოსანში თავი იჩინა, ალბათ, წინაპართა ფსიქიკამ: ქართველებს ხომ ძელქვასავით ჰქონდათ გადგმული ფესვები მშობლიურ მიწაწყალში, და ასეთი უკან დახევა სამშობლოზე ხელის აღება იქნებოდა.

ილო ბრაზდებოდა უკან დახევის გამო, ფიქრობდა „როდემდეო“, და, ბოლოს, როგორც იქნა, სარდლობის ნებართვა მიიღო, მტრის ზურგში ემოქმედნა.

აქ „ნაბდიან კავკასიელს“ გარემოცვაში მოხვედრილი ჯგუფები და ცალკეული მებრძოლები უერთდებოდნენ.

დონაურის რაზმი ფერდობზე დაგორებულ თოვლის გუნდასავით იზრდებოდა და ათას კაცამდე აღწევდა. ილო დონაურს უკვე რამდენიმე ჯავშნიანი ავტომანქანა და საველე არტილერიის დივიზიონი მოეპოვებოდა. მისი მოქმედების არე სწორედ საქართველოს ოდენა იყო, და ილო აქ ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა.

გერმანელები პირველ ხანებში ყურადღებას არ აქცევდნენ ამ თავზეხელაღებულ ხალხს. მათი ლაშქრობის მიზანი მოსკოვი იყო: მტრის დურბინდებში აქა-იქ უკვე გაიელვეს კრემლის მოოქროვებულმა გუმბათებმა და ჭონგურებმა.

მოულოდნელად ილო დონაურმა სმოლენსკის მისასვლელებთან ამოჰყო თავი, გერმანელების ერთ-ერთი არმიის შტაბი დაარბია, მისი მცველი ბატალიონი გაფანტა, გაანადგურა და ჭაობში ჩაფლული წითელარმიელთა განწირული ჯგუფი იხსნა.

ჯგუფს ორდა მეთაურობდა.

მათი შეხვედრა დაუვიწყარი სანახაობა იყო: გაძვალტყავებული მთელი კვირის შიმშილობისაგან, ღონედაკარგული მებრძოლები აცრემლებული ეხვეოდნენ და კოცნიდნენ დონაურელებს. ყველაზე უფროსი მათ შორის, ოცი წლისა თუ იქნებოდა. ილო უთუოდ შეიჭრებოდა სმოლენსკში, მაგრამ

ქალაქი უკვე არ არსებობდა. თითქო საშინელ მიწისძვრასა და ცეცხლის წარღვნას მიწასთან გაესწორებინა იგი.

გერმანელების სარდლობა იძულებული გახდა ფრონტიდან ჩამოსულა მოტო-სატანკო ლეგიონი და დონაურის რაზმის გასანადგურებლად გაეგზავნა. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა რელიაციები გერმანიის იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებაზე უკვე დამზადებული ჰქონდა ათიოდე გენერალს. მათ მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ, პირველი ვინ აცნობებს ბერლინს ლაშქრობის ძლევამოსილ დასრულებას და მოსკოვში ზეიმით შესვლას.

მოტო-სატანკო ლეგიონს სწორედ ის ფონ-უნრატი ედგა სათავეში, გელა დონაურთან შებრძოლება რომ მოუხდა საქართველოში.

ფონ-უნრატის ლაშქრობა ბიბლიური სახის თეთრწვეროსანმა სამოცი წლის კოლმეურნემ აცნობა დონაურს. რაზმს დიდი საფრთხე მოელოდა. დონაურმა გადაწყვიტა ზარბაზნები ემსხვერპლა და ამით ცოცხალი ძალა შეენარჩუნებინა. დივიზიონი მიტოვებულ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს ამოაფარა და უბრძანა მას გრიგალისებრი სროლით ფონ-უნრატის ტანკები თავისაკენ მოეზიდა.

გერმანელები გაცოფებით ეკვეთნენ ქვემეხებს.

ორდამ ზარბაზნები ააფეთქა და თავისი მცირე რაზმი ჭაობიანი ბილიკებით დანიშნულ ადგილას დონაურთან მიიყვანა.

ფონ-უნრატი მიხვდა, რომ კავკასიელი ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ უკვე გვიან იყო!

როცა ფონ-უნრატის ტანკები და ავტომანქანები დონაურს დაედევნენ და გერმანელებმა მოსკოვისაკენ პირი იბრუნეს, მოულოდნელად გენერალი დასავლეთისაკენ მიმავალ გერმანელების უზარმაზარ კოლონას წააწყდა.

„მხარი ხომ არ მეცვალაო?“ — გაიფიქრა. კომპასს დახედა და მიხვდა: აღმოსავლეთის ნაცვლად ჯარი დასავლეთით მიემართებოდა.

უნრატმა რომელიღაც შტაბის მანქანა გააჩერა. ავტოში მჯდომ პოლკოვნიკს უბრძანა, ნაწილი საბრძოლოდ მოემზადებინა.

პოლკოვნიკმა მოიხსნა გაბზარულმინიანი სათვალეები, უნრატს მღვრიე თვალი გაუსწორა და გესლიანად უთხრა:

— საიდან მობრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ? ნუ თუ ვერ ხედავთ, რა ხდება?!

ფონ-უნრატი მიხვდა, რომ ეს უკან დახევა იყო.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, მაგრამ ცა უეცრად დაბნელდა.

უნრატის შავი ხაოიანი მაუდის სახელოზე თოვლის პირველი ვარსკვლავოვანი ფარტენი დაეცა. ნუთუ დაზამთრდა?..

ფონ-უნრატს პირველად მოუხდა ცის ქვეშ ტანკში ღამის გათევა. შიში იგრძნო, მაგრამ თავი დაიმშვიდა: რაღაც გაუგებრობაა, დილით, ალბათ, ყველაფერი გამოირკვევა და გერმანელები, ბრძანებისამებრ, ისევ აღმოსავლეთით განაგრძობენ სვლასაო.

რიეერაეზე გენერალი ტყვიამფრქვევებმა გააღვიძეს. ტანკის ლუკი გამოაღო და მოულოდნელი ფერისცვალება დაინახა: დედამიწა თოვლის თეთრ სუდარას შეემოსა.

„სუდარა“ — გაიფიქრა ფონ-უნრატმა და სცადა ეს სიტყვა დაევიწყნა, მაგრამ ტუჩები უნებლიედ იმეორებდნენ:

„სუდარა... სუდარა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთით, ტყის თეთრი კედლის გასწვრივ, თითქო შავი ლაქები მიფრინავდნენ ნელ-ნელა.

გაოცებული გენერალი დააკვირდა და მხოლოდ დაგვიანებით მიხვდა, რომ ეს ცხენოსნებია.

„წყეული კავკასიელები!“

მართლაც, ეს დონაურის რაზმი იყო. იგი თვალუწვდენ ველზე მიერეკებოდა თოვლზე ჭიანჭველებივით გაფანტულ გერმანელ ქვეითებს. ხმლების ელვა თვალს აბრმავებდა.

უნრატმა განკარგულება გასცა ტანკებს ფრონტი შეებრუნებინათ, მაგრამ ძრავები გაყინული აღმოჩნდა.

მაშინ გენერალმა ბრძანა, ადგილიდან დაეწყოთ სროლა. ხოლო, ვიდრე ნამძინარევმა ტანკისტებმა კოშკურები შემოაბრუნეს, დონაურის რაზმი მოჩვენებასავით გაქრა.

ფონ-უნრატი მიხვდა, რომ რაღაც მარცხი მოხდა. „საზიზღარი ქვეითები!“ — გაიფიქრა გენერალმა. ბოლოს, გაზეთილ ჩვრებით და პრიმუსებით ძრავები გაახურეს, და ფონ-უნრატმაც დასავლეთისაკენ იბრუნა პირი.

ილო დონაურის დღესასწაული ახლა დადგა! რაზმი სამ ნაწილად გაპყო და ნადირობა დაიწყო გერმანელების დაფეთებულ აღალებზე, ბენზინის ცისტერნებზე, რადიოსადგურებზე. ყოველ მის ცხენოსანს თივის ბადურაში უნაგირზე პიროქსილინი ჰქონდა მიკრული, და სკდომის გრიალმა შიშის ზარით მოიცვა გერმანელების უამისოდაც არევდარეული ზურგის ჯარი.

ილომ ხელთ იგდო ერთ-ერთი შტაბის რადიო-სადგური.

რადისტებს გაეგონათ, რომ კავკასიელის „ველური დივიზია“ მხოლოდ დაჩოქილებს ზოგავსო. მუხლებზე ხოხვით შეხვდნენ მოვარდნილ ნაბდიანებს.

დონაურმა თავის ბიჭებს ხმლები ქარქაშში ჩააგებინა. გულგახეთქილ გერმანელებს დიდი ჩიჩინი არ დასჭირდათ: დონაურის კარნახით, თავის ჰოტო-პოლკს გაშიფრული ბრძანება გაუგზავნეს, მახლობელ ხიდთან საჩქაროდ პოზიცია დაეჭირათ.

დანიშნულ დროს პოლკის ნარჩენები, ათასხუთას კაცამდე, ჩასაფრებული იწვნენ ნაადრევ თოვლში.

დონაურელები სტვენით და ყიჟინით ეკვეთნენ ნაძარცვ ქურქებში და ბალტოებში გამოწყობილ გერმანელების აჭრელებულ ბანდას და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს იგი.

„ჩვენ კიდევ დავანახვებთ ქვეყნიერებას, რას ნიშნავს ცხენოსანი ჯარი!.. შენი ჭირიმე, ლადო!“ — იმეორებდა ილო ხმლის ყოველ მოქნევაზე.

გზატკეცილზე რომ გაიჭრა, დონაური მოტოციკლისტებს წააწყდა. ეს „მკვდართავიანები“ იყვნენ. დონაურმა „მაუზერი“ ამართა, მაგრამ გადაიფიქრა. უბრძანა თარჯიმანს:

— გადაეცი, წაეთრიონ აქედან და აუწყონ თავის „მკვდართავიანებს“, დონაური მოდის და კარგად დამიხვდითო.

ორდამ ჩარევა დააპირა, მაგრამ ილომ მომღიმარე თვალებით გადახედა მეგობარს და სულ უბრალოდ უთხრა:

— თუ ძმა ხარ, დამაცა! სეირს ახლა გაჩვენებ.

დონაურელებმა ერთბაშად შეჰკივლეს, უსტვინეს და შეუტიეს მოტოციკლისტებს. მათრახით ზურგაჭრელებულმა ჰიტლერელებმა მოკურცხლეს.

ეფექტი საოცარი იყო: მთელი ოციოდე კილომეტრის მანძილზე, მოტოვებული ტანკებისა და აყირავებული მანქანების გარდა, ძეხორციელი არ დახვედრია დონაურს. მოტოციკლისტებმა მთელ რაიონს ხმა მოსდეს: „ველური დივიზია მოდისო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონაურმა გზატკეცილიდან გადაუხვია და ბენზინის ცისტერნებს შარაგზა გადაუჭრა ერთ გადამწვარ სოფელში. ბოხოხის ქუდები რომ დაინახეს, შოფრები სარდაფებში ჩაძვრნენ.

დონაურმა გაიგო, რომ ეს გენერალ ფონ-უნრატის ტანკების ბენზინის უკანასკნელი მარაგი იყო.

ტყვე შოფრები ფარდულში ჩაკეტეს.

დონაურმა სადღაც აქროლა თავისი „ზისი“ და სასწრაფოდ ფხვნილი შაქარი ჩამოატანინა:

„ფრიცებს ერთი კაი ჩაი უნდა გავუმართოო“.

გათენებისას დონაურმა ბრძანა, მებუკეს განგაში აეტეხნა და რაზმი, უთავბოლოდ ჰაერში სროლით, სოფლიდან გაიყვანა.

არავინ იცოდა, რა განიზრახა დონაურმა, მაგრამ თვითეულ მებრძოლს ისე სჯეროდა მეთაურისა, როგორც მშობელი მამისა.

ყველაფერი ნაშუადღევს გამოირკვა: ფონ-უნრატის ტანკები უმოძრაო გვამებივით ელაგა შარაგზაზე. ეს დამბლა შაქრით ნარევ ბენზინს გამოეწვია.

ნოემბრის დასაწყისში რაზმის რადიოსადგურმა ცნობა მიიღო:

„სახელგანთქმულმა ნაწილმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი, ამხ. დონაური მეთაურობს, ხელთ იგდო გერმანელების ოცდახუთი დაუზიანებელი ტანკი“.

გაიგო თუ არა ეს ამბავი, ორდამ რაზმი შეკრიბა და დონაურს ჯილდო ახარა.

დონაურმა ორდას მწყრალად უთხრა:

— მასხარად შენი თავი აიგდე!

როცა დარწმუნდა, ეს მართალი იყო, სიხარულთან ერთად ისეთი პასუხისმგებლობის გრძნობა განიცადა, რომ თითქო დალონდა კიდეც.

*

შვილის დაჯილდოება ქვრივს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აცნობა. დედამ დინჯად მოუსმინა. არ გაკვირვებია.

— გამხიარულდი, ქალო! შავები გაიხადე! — დაამთავრა თავმჯდომარემ, როცა დაინახა, რომ ქვრივმა ასე დინჯად და უბრალოდ მიიღო სასიხარულო ამბავი.

კვირა დღე იყო. ქალი გამგეობამ მიიწვია. იგი ჩვეულებრივად თალხებში გამოწყობილი მოვიდა. სუფრაზე საპატიო ადგილას დასვეს. ქალს ახარებდა მეზობლების მომღიმარე სახეები, ერიამული, მაგრამ გულს რაღაც ტკივილი უსერავდა. იცოდა, რომ ზოგჯერ დედისათვის შვილის დიდი სახელი სახიფათოა. გელაზეც ხომ მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, და რა არგუნა მას ბედმა!..

*

ილო დონაური ისე ღელავდა დაჯილდოების გამო, რომ ნამდვილ ფიზიკურ მოქანცულობას გრძნობდა.

„საბჭოთა კავშირის გმირი!..“ კავშირი კი უზარმაზარია, და როგორ უნდა გაამართლოს პატარა საქართველოს შვილმა ქვეყნიერების მეექვსედის ნაწილისა და საყვარელი ბელადის ჯილდო და იმედი?!

მთელ ღამეს ძილი არ მიჰკარებია მის თვალებს. მორიგ-ერიკებზე ფიქრობდა. გეგმა გეგმას უსწრებდა. თვითეული ისე წარმტაცი იყო, რომ ვერც ერთზე ვერ გაჩერებულიყო. ბოლოს, გადაწყვიტა მტრის ღრმა ზურგში ერთ-ერთი რკინიგზის დიდ კვანძს თავს დასხმოდა და გამაგრებულიყო იქ, ვიდრე მთავარი ძალები მოეშველებოდნენ.

ორდამ ყურადღებით მოუსმინა დონაურს. გეგმა ძალზე გაბედული იყო. ორდა მიხვდა, რა საფრთხეც მოელოდა რაზმს. ერთხელ თითონ იგი კინაღამ ამგვარი ოპერაციის მსხვერპლი არ გახდა სმოლენსკთან...

ორდა სდუმდა. დონაური კი, ანთებული თვალებით, ბავშვივით მოუთმენლად ელოდებოდა პასუხს.

ორდამ მხარზე ხელი დაადვა დონაურს და აუჩქარებლად უთხრა:

— სახიფათოა. ასეთ რისკზე წასვლა არა ღირს, ილო! იმედი მაქვს ამ ოპერაციაზე ხელს ავიღებთ.

დონაურის მომღიმარე თვალები ჩაქრა. იგრძნო, რომ ორდა მართალია, მაგრამ ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა.

— დონაურებს არა ჩვევიათ საქმეზე ხელის აღება!

— ნუ ცხარობ, ილო. მთავრობამ შენი მუშაობა დააფასა. თავბრუდასხმას უნდა ერიდო.

— ჭკუას მასწავლი?

— არა. მაგრამ მეც ვალდებული ვარ ნაწილის დაზოგვაზე ვიზრუნო.

— სჯობდა, შენს თავზე გეზრუნა. მაშინ ჭაობიდან ამოსათრევი არ გახდებოდი.

ეს სიტყვები ორდას გულში ლახვარივით მოხვდა. მეგობარმა მარცხი გაახსენა!

მაგრამ თავი შეიკავა. მხოლოდ ოდნავად დაემანჭა ალეწილი სახე.

— ამას არ მოველოდი შენგან, ძმობილო! — უპასუხა ორდამ, სამხედრო სალამი მისცა და კარებს მიაშურა.

მთელ ღამეს არ ჩამქრალა მბჟუტავი ლამფა დონაურის ოთახში. აღელვებული, ბოლთასა სცემდა კუთხიდან კუთხემდე. უკვე ეჭვი შეეპარა თავისი გეგმის საზრიანობაში, მაგრამ თავმოყვარეობა უშლიდა უკან დახევას. გადაწყვიტა, რაც უნდა დაჯდომოდა, რკინიგზის კვანძი ხელში ჩაეგდო.

დილაადრიან დონაურმა რაზმი შეკრიბა და შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცა.

*

„ღმერთო ჩემო, რაზმს დაღუპავს!“ — წამოიძახა საშინელი გრიალით და ზარბაზნების ქუხილით გაღვიძებულმა ორდამ, მინგრეულ ღობეზე მიბმული ცხენები რომ ვერ დაინახა. ფარაჯაში ხელის გაყოფა და კარში გავარდნა ერთი იყო: ცხენის შესაკაზმავად გარბოდა.

ორდამ ბედაურს ქანცი გამოაცალა თოვლში ჭენებით, მაგრამ უკვე გვიან იყო: დონაურის ცხენოსნები თოვლით დაფარულ მავთულის ხლართებში მოქცეულიყვნენ. საზარელი სურათი გადაიშალა ორდას წინაშე: დაჭრილი და დაფეთებული ცხენები მიმორბოდნენ, ხოლო თეთრ ველზე შავად მიმო-

ფანტული დაჭრილები ეყარნენ. თოვლი ყოველ ნაბიჯზე მუქ ვარდისფერ ლაქებს აეჭრელებინათ, და ეს დონაურელების სისხლი იყო.

მძიმედ დაჭრილი მეთაური ყუმბარებით მოხნულ სასაფლაოზე აკლდამისათვის ამოეფარებინათ. ირგვლივ ათიოდე გაფითრებული ცხენოსანი იდგა.

ცხენიდან ჩამომხტარი ორი უწვერულვაშო ქართველი მებრძოლი თავში უდგა დაჭრილ მეთაურს.

რამდენიმე კვირის გაუპარსავი, თითქმის მკვდარი დონაური ჰაჯი-მურადს გავდა.

ორდამ განკარგულება გასცა მეთაურზე ეზრუნათ და უმალვე ყუმბარების, ნაღმების სკდომის და ხანძრის კვამლში შთაინთქა. დონაურელებს მიერ დაკავებული სადგური იწვოდა: ეს დონაურის უკანასკნელი საბედისწერო შეტევა იყო.

დონაური ნახევრად გადატრუსული სოფლის საბჭოში ნაბადზე გადასვენებული მიიყვანეს სწორედ ისე, როგორც ოციოდე წლის წინათ მამა მისი გელა. ჭრილობები შეუხვიეს.

ნაშუადღევს დონაური გონს მოვიდა. ძვლები მთლად დალეწილი ჰქონდა, სხეული სრულიად დაიარავებული. თავი და პირისახე კი რაღაც სასწაულს გადაერჩინა. საშინელ ტკივილებს გრძნობდა. მაგრამ, გაახილა თუ არა თვალი, ორდა იკითხა. მიხვდა, რომ შეცდომა ჩაიდინა და რაზმი საშინლად დაზარალა. მავთულის ხლართებში რომ მოექცა, გამოსავალი ერთადერთი იყო: იმავე გზით, რომლითაც შეტევაზე გადავიდა, უკან რომ დაეხია, მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. მაგრამ მტერს ზურგს ვერ უჩვენებდა, თანაც სადგურის მიტოვება არ სურდა, სადაც თვით გენერალი ფონ-უნრატი ეგულებოდა.

მართლაც, მამის ქართული ხმალით გაჰკვეთა ფონ-უნრატი, მაგრამ ნაღმს წააწყდა...

ნაბადზე მწოლმა დონაურმა იგრძნო, რომ კვდება.

— სადგური ჩვენს ხელშია?

— ჩვენს ხელშია, ამხანაგო მეთაურო.

— მიხმეთ ორდა...

— არ დაბრუნებულა, ამხანაგო მაიორო.

— გადაეცით: დონაური გიწვევს-თქო.

— ცეცხლის ხაზზეა, ამხანაგო მაიორო.

წამოდგომას შეეცადა. ვერ შესძლო. ხელი ძლივს გააშვირა და მუშტი შუბლში ირტყა. მარჯვენა უღონოდ ძირს დაეშვა.

სოფლელებმა გაიგეს „კავკასიელი დასჭრესო“.

ხალხი აივანთან მიიჭრა. სუსხიან ორთქლში გახვეული, მჭიდროდ იდგნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები და, თითო-თითო, ჩუმად შედიოდნენ სახლში, თავს იშიშვლებდნენ, ეთხოვებოდნენ მომაკვდავს.

ერთი წამითაც კი მოსვენებას ვერ პოულობდა დონაური, წამოდგომას აპირებდა ზარბაზნის ყოველ გასროლაზე, ნაღმის ან ყუმბარის აფეთქებაზე, მაგრამ უღონოდ ეშვებოდა გასისხლიანებულ ნაბადზე.

საღამოს ქვენა ქარი ამოვარდა და ქარიშხალმა ცა და მიწა დაფარა. ბრძოლა მიწყდა.

ორდა გადარჩენილი მებრძოლებით ღამით დაბრუნდა სოფელში.

გაისმა ბუკის „შეკრება“. დონაურელების რაზმი მოედანზე ჩამწკრივდა.

ორდამ ჯიბის ელექტრონათურით ჩამოუარა მწყობრს. რაზმს საუკეთესო ბიჭები აკლდა.

ორდას დანახვაზე დონაური დაწყნარდა. მისი სისხლდაცლილი სახელი-ვით ჩამომდნარი სახე მწარე ღიმმა გაანათა. გაცივებული ხელი მარჯვენა გაუწოდა ორდას:

— მაპატიე, ორდა... შენ მართალი იყავი...

ენა დაება. თითქოს მეგობრის მოსვლას ელოდა — წყნარად დახუჭა თვალები და სახეზე დამშვიდების და უსაზღვრო ბედნიერების იერი დაეტყო.

დონაურის უკანასკნელი სიტყვა იყო „დედა“.

*

შვილის დაღუპვა ქვრივს დეპეშით აცნობეს.

დედას არ უკვლია: განა შესაძლო იყო გამოთქმა იმ მწუხარებისა, ლახვარივით რომ გაუარა მთელ არსებაში?.. რამდენსამე წუთს გაქვავებულივით იდგა. ახლა ისეთი ზიზღი, სიძულვილი და მრისხანება იგრძნო საყვარელ ბიჭიკოს მკვლელებისადმი, რომ შეეძლო თავის ხელით მოეწამლა ისინი, როგორც ცოფიან ქოფაკებს წამლავენ, ქვებით დაეჭეჭყა მათი თავი, როგორც გველს უჭეჭყავენ თავს.

დედა მთელ ღამეს უძრავად იწვა პირქვე დამხობილი იმ ტახტზე, სადაც ოდესღაც გელა ესვენა. თავს ეხვევნენ მეზობლები. სდუმდნენ.

დილას ქვრივმა თავმჯდომარე მოიხმო და განუცხადა, რომ ბიჭის „ჩამოსაყვანად“ მიდის. თავმჯდომარემ იცოდა, რომ შეკამათება ზედმეტია, და უთხრა:

— კეთილი! დაგეხმარებით.

მოხუცმა ანიშნა: საჭირო არ არისო. თავმჯდომარე მაინც ფარულად გაჰყვა მატარებელს.

მეორე დღეს, დილით დედა თვითმფრინავით ფრონტზე გაამგზავრეს.

უზარმაზარი მოვერცხლისფერო თვითმფრინავი მდუმარე ძრავებით ფრონტის ერთ-ერთ აეროდრომზე ღამით დაეშვა.

ორდამ ქვრივი თავშესაფარში მიიწვია.

ქვრივს ღირსებით ეჭირა თავი. საჭმელს ხელი არ ახლო, მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი დალია, როცა იგი სრულიად გაცივდა.

ორდა დაუკავშირდა რაზმს. პასუხი რომ მიიღო, ტელეფონის მილი ხელში მერჩა და შუბლს ნერვიულად თითებით სრესა დაუწყო. ორდას აცნობეს, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ იმ უსახელო სიმაღლესთანაა, სადაც დონაური განისვენებდა.

მტერმა ხელთ ვერ იგდო ცოცხალი დონაური და ახლა მას გააფთრებით ცეცხლი ეცეცხლზე მოჰქონდა და თავს არ ზოგავდა, რათა „კავკასიელის“ საფლავი მაინც წაებილწა.

ტანმორჩილმა ჭორფლიანმა წითელარმიელმა ქვრივს ლოგინი მოუწყო. მასაც ასეთივე ადრე გაჭაღარავებული დედა ყავდა. უნდოდა გამოლაპარაკებოდა ქვრივს, მაგრამ მოხუცის დუმილი თითქო ენას უბორკავდა.

წასვლისას თავი ვერ შეიკავა და უთხრა:

— ეს ბიჭი იყო, დედილო! ხარო, ხარო!..

წითელარმიელი ქვრივის სახელოს ნელა შეეხო და ცერით ანიშნა: გმირი იყოო.

ქვრივმა ბოხჩა გახსნა და ყმაწვილს გიმნასტურას კალთა ოქროსფერ ნაყოფებით დახუნძლული მწვანეფოთლებიანი ტოტებით აუვსო.

წითელარმიელი შორეულ აღმოსავლეთელი იყო. არასოდეს არ ენახა ფოთლებიანი მანდარინები და ტოტებს გაკვირვებით ათვალიერებდა.

ორდა მთელ ღამეს ტელეფონს უჯდა. ჩასთვლემა მხოლოდ მაშინ, როცა ცნობა მიიღო, სიმაღლე მტრისაგან განთავისუფლებულიაო.

•

ნისლიან დილას თოვლივით თეთრი ავტომანქანა მიადგა უსახელო სიმაღლეს. ორდა მანქანიდან გამოვიდა და ხელი მიაწოდა შავებში ჩაცმულ ქვრივს.

მძიმე ქვემეხის ზედადგარზე ფიჭვის უბრალო კუბო ესვენა. კუბოს შემოვლებული ჰქონდა სისხლივით წითელი ნარმა. იქვე ჩამწკრივებული იყო ორასიოდე ცხენოსანი — ნაბდიანი და ბოხოხ-ქუდიანი დონაურელები.

გადმოვიდა თუ არა მოხუცი დედა მანქანიდან, გაისმა პრძანება, და მხედრებმა საპატიოდ იშიშვლეს ხმლები.

ორი მეთაური ჭირისუფალივით მხრებში ამოუდგა დედას.

ნალმებითა და ყუმბარებით მოხნული მაღლობი თოვლს დაეფარა და იგი სუფთა და სპეტაკი იყო, როგორც დაღუპული გმირის მიერ განვლილი ცხოვრების გზა.

შავებიანი დედა ნელა მიუახლოვდა კუბოს.

დონაურს თითქო მშვიდად ეძინა. წმინდა სანთლისებრ მკრთალ სახეზე აღბეჭდილი იყო რაღაც კმაყოფილების იერით მოსილი გამომეტყველება, თითქო დონაური გრძნობდა, რომ ღირსეულად შეასრულა მოვალეობა, როგორც ადამიანმა და მებრძოლმა.

დედამ ფართოდ გაშალა ხელები და შვილს დაეკონა. ნიავი ნელა არხევდა ჭაღარა თავზე თავისუფლად მოხვეულ აბრეშუმის შავ მანდილს.

ორდამ ხმლით ნიშანი მისცა, და სადღაც ახლო იგრიალა მძიმე ქვემეხებმა. ზარბაზნების ბათქს სამგლოვიარო მარში მოჰყვა.

ორი ქართველი მხრებში ამოუდგა დედას და თეთრ თოვლზე პროცესია ნელ-ნელა დაიძრა.

მიყუჩებული არე-მარე ისევ გრიგალისებრად ახმაურდა. თითქო თვით ბუნება ვერ იტევდა თავის წიაღში მრისხანებას, თითქო მტერსაც არ უნდოდა დაეთმო გმირის ცხედარი.

თვალუწვდენ თეთრ ველზე ცეცხლის კვამლის და შავი ბელტების სვეტები ავარდა. ერთბაშად აგუგუნდა ცა და დედამიწა.

და გულხელდაკრებილ დონაურს ერთხელ კიდევ წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში.

შექა-ქუხილით გაიჭედა მიდამო. ორკესტრის ტუჩები, უზარმაზარი დაფდაფები დაუცხრომელ ორთაბრძოლაში ჩაებნენ თავის გუგუნითა და გრიალით, რათა დედას არ ეგრძნო ბრძოლის საშინელება.

თითქო გრიგალში მოქცეული ფანტასტიური ათასწლოვანი ტყე აღიმართა

ირგვლივ. ნალმების და ყუმბარების აფეთქება დედამიწის თეთრ სამოსელს გლეჯდა და შავ იარებს სტოვებდა.

არც ერთ მებრძოლს ადგილი არ შეუცვლია მწყობრში.

დონაურელებს ისევ დონაური უძღოდათ, და თვით ჯოჯოხეთი რომ ამ-მართულიყო მათ წინაშე, — არ შეჩერდებოდნენ, უკან არ დაიხევდნენ.

მუსიკოსების ტუჩები საშინელ ყინვაში საკრავებს ეწებებოდნენ. სასულეები ნახევრად ამოიყინა, მაგრამ სამგლოვიარო მარშის სევდა მაინც გულსაკლავად გაისმოდა ცისაკენ ატყორცნილ ცეცხლში, კვამლში, ბელტების და ხრეშის სვეტებში.

აქა-იქ უკვე დაეცნენ დაჭრილები, მაგრამ ერთსაც არ დაუკვნესია. ამხანაგებს ჩუმად გაყავდათ მწყობრიდან.

ორდამ ბრძანება გასცა ინტერვალები გაედიდებინათ და კოლონა უფრო გაიჭიმა თეთრ ველზე.

შეუკავებელი ზვავივით ნელა მიიწევდნენ მებრძოლები წინ.

როგორ იკადრებდნენ დონაურელები, რომ მეთაურის ბრწყინვალე ცხოვრების წიგნს ლაქა მოსცხებოდა... განა შეიწყნარებდნენ დონაურელები, რომ გმირის დედას დაენახა მათი მწყობრის ოდნავ მაინც შერყევა...

ქვრივი მძიმედ ადგამდა ფეხს. გაჩაღებული ბრძოლის ქარცეცხლი თითქო არ ეხებოდა მას და, თუ ბედი არგუნებდა დედას—სიცოცხლე დაელია შვილის კუბოსთან, ეს ხომ უდიდესი ბედნიერება იქნებოდა.

ბრძოლა მძაფრდებდა. უკვე შეთხელდა ორკესტრის რიგები, მაგრამ გადარჩენილმა დამკვრელებმა უკან დაბრუნება არ მოისურვეს.

შუადღე იყო, როცა მკრთალად გამოანათა ჩრდილოეთის ცივმა მზემ და აქა-იქ გაბნეული სუსხიანი ბურუსი გაფანტა.

ახლა გრიგალისებრი ცეცხლი სულ სხვა მხრიდან გაჩაღდა.

ორდამ დურბინდი მოიმარჯვა, და ყველაფერი ცხადი გახდა: მზის მკრთალ სხივებზე ოდნავ ლაპლაპებდა გერმანელების მუზარადები — გზა გადაჭრილი იყო.

ორდამ ბრძანება გასცა: ქვემეხს, რომელზედაც გმირი ესვენა, მსვლელობა განეგრძო. ორად გაყოფილი საპატიო რაზმი იერიშის მისატანად მოამზადა. ყველა მიხვდა, რომ უკან დახევა არ იქნებოდა.

დონაურელებს უკანასკნელად მეთაურობს დონაური. მოხუცი დედა შვილთან ახლავს ბრძოლის ქარცეცხლში. არ უნდა შერცხვეს ქვრივის ჭაღარა!

დონაურის გზა ამ ბრძოლაშიც სწორი და უდრეკი უნდა იყოს ისე, როგორც წინანდელ ბრძოლებში. და აი, ორდა უკვე დონაურის ადგილზეა და იერიშზე გადადის.

ცხენები მუხლებამდე ეფლობიან მშრალ თოვლში, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე თეთრ ბუქს აყენებენ და ქშენით და ფრუტუნით მიიწევენ წინ.

აი, დონაურელები უკვე შეიჭრნენ გერმანელების მეავტომატეთა რიგებში. აქა-იქ უკვე თოვლში დაეცნენ მებრძოლები და ცხენები თავზე ადგანან მათ. ავტომატების ტყვიები ყრუ ტკაცანით ხვდება აფრიალებული ნაბდების კალთებს, მაგრამ ნაბდები ჯავშანივით იცავენ დონაურელებს. ეს აოცებს მტერს, და თავხედურად შემოჭრილი მეავტომატეები აქა-იქ უკვე უკან იხევენ, გარბიან კიდეც.

ძველებურად ელვარებენ ხმლები, გაისმის ქართველი ბიჭების ყიჟინა:

— დაჭკა! დაჭკა!

რამდენსამე წამს ორი შეტაკებული ტალღა თითქო ადგილზე ბობოქრობს. ქვემეხი სახელოვანი მეთაურის ცხედარით უახლოვდება ზღუდეს, სადაც ცეცხლი იფრქვევა და ხმლის პირები მუზარადებს ჯახანით ხვდებიან.

კმაყოფილია დონაურის სახე: მეთაურს სჯერა, რომ მისი ხიფანები ბოროშას არ შეარცხვენენ და უკან არ დაიხევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა, რომელსაც მხრებში ამოსდგომია ორი ქართველი მებრძოლი, აუჩქარებლად მიაბიჯებს. ქვრივის ტანი ოდნავ დახრილია წინ. მისი ღრმად ჩამჯდარი თვალები ბედითად ელვარებენ. ამ პატარა მოხუც ქალში ისეთი შეუპოვარი ძალაა, რომ თვით სიკვდილიც კი უკან იხევს მის წინაშე.

ქვემეხთან დარჩენილი მებრძოლები ძლივს აკავებენ ყუმბარების გრიალით და საბრძოლო ყიჟინით გაღიზიანებულ ცხენებს. ხელები ხმლის ვადებისაკენ იწევენ, მაგრამ მეთაურის და მოხუცი დედის მიტოვება ამ ჯოჯოხეთში არ იქნება.

ძირს დაეცა მედროშე. დედამ ნაბიჯი შეაჩერა. ქვრივი და ჭორფლიანი წითელარმიელი მაშინვე ეცენ დროშას. გაფითრებული ახალგაზრდა მებრძოლი გაბედულად წინ მიიწევს დროშით ხელში.

და თითქო მკვდრეთით ამდგარი დონაური კიდევ ერთხელ ცოცხლობს უდრეკი, შეუპოვარი და თავში უდგას რაზმს.

დონაურელები არღვევენ გერმანელების რკალს, და კიდევ ერთხელ იმარჯვებს საბჭოთა კავშირის გმირი — ილო დონაური.

•

უზარმაზარი ვერცხლისფერი ფრინველი მზადაა ასაფრენად—გეზი სამხრეთისაკენ აქვს აღებული — საქართველოსაკენ.

არმიის სარდალი, გოლიათივით ვაჟკაცი, რომელსაც გულმკერდი ორდენებით აქვს მოჭედილი, მიუახლოვდა დედას. ხელთათმანს იხდის და მადლობის ნიშნად თბილი ხელით ჩამოართმევს მოხუცს ხმელ მიხაკისფერ ხელს, დაიხრება და უსიტყვოდ შავ მხარზე თავს დაადებს ჭაღაროსან ქვრივს.

ადიუტანტი ნიშანს აძლევს, დონაური ქვემეხის ზედადგარზე დატოვონ. ორდას ელოდებიან.

მძაფრ სიჩუმეში მალე ცხენების ყრუ თქარათქური ისმის. ხმაური თანდათან ახლოვდება და აეროდრომზე გრიგალისებრად შემოიჭრებიან დონაურელები. აქა-იქ თეთრი, გასისხლიანებული სახვევები მოჩანს.

ორდამ სარდალთან ცხენი შეაჩერა და დონაურელების გამარჯვება მოახსენა.

სარდალმა კომისარს გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი.

ორდა მივიდა ქვემეხთან. ლენინის და ოქროს ვარსკვლავი დონაურის გულმკერდს დაამაგრა.

მოახლოვდა გამოთხოვების წუთი. ორდა ცრემლებს ვერ იკავებს, და ცხელი წვეთები ღაპა-ღუპით ეწვეთებიან ლენინის ორდენს, ვარსკვლავს, დონაურის გულმკერდს.

მერე შებრუნდა და ზურგშემოქცეული განზე დადგა. თვალებს ვერ უსწორებს ქვრივს.

დედა წელმოცელილივით მოიღუნა. აკოცა შვილის შუბლს, მარჯვენას და გულმკერდს, რომელიც ლენინით არის დამშვენებული.

ორი ქართველი ისევ შვილებივით ამოუდგა მხრებში მოხუცს.

დონაურის კუბო მხარზე გაიდეს არმიის სარდალმა, ორდამ, რაზმის რიგითმა მებრძოლებმა და თვითმფრინავის კაბინასთან მიიტანეს. [illegible] ნარმის არტახებამოდებული კუბო ლითონის უზარმაზარმა არწივმა [illegible]

ქვრივს დონაურის ხმალი გადასცეს. დედა რამდენსამე ხანს უძრავად იდგა. ხმალი ორივე გაშვერილ ხელზე ბავშვივით ედო.

მცირე დუმილის შემდეგ ორდას მიუახლოვდა, ხმალი გადასცა მას და ამბორით დალოცა ახალი ბრძოლებისა და ახალი გამარჯვებისათვის.

მებრძოლები სამხედრო პატივს აძლევენ საყვარელ მეგობარსა და მეთაურს — დონაურს და დონაურის დედას.

ვერცხლისფერი არწივი აფრინდება, სამ წრეს შემოუვლის უზარმაზარ აეროდრომს და თეთრ კარვებივით ლურჯ ცაზე მიმოფანტულ ღრუბლებს გაეკვრება.

ა. კორნეიჩუკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრონტი*

მოქმედება მეორე

სურათი მესამე

ოგნევის შტაბი. დიდი ოთახი, ატყვია აკლება-აწიოკების კვალი. კუთხეში ჰყრია დაფლეთილი წიგნების გროვა. მაგიდასთან, ტელეფონთან დგას ადუტანტი. შემოდის კოლოსი.

კოლოსი. კვლავ გვიშენენ ზევიდან.

ადუტანტი. დროა შესწყდეს.

კოლოსი. თვითმფრინავები ჩემს ცხენებს ესხმიან, ახ, ჯალათო...

ადუტანტი. მაპატიეთ, ამხანაგო გენერალ-მაიორო.

კოლოსი. სარდალი სად არის?

ადუტანტი. აგერ იქ, მოედანზე.

კოლოსი. (იცქირება ფანჯარაში). იქ რა ხალხი შეყრილა?

ადუტანტი. გვამები მოიტანეს, ამ საათში დამარხვას შეუდგებიან.

კოლოსი. მებრძოლთა გვამებია?

ადუტანტი. არა, მცხოვრებლებისა, გერმანელებს დაუხვრეტიათ. სარდალი ათვალიერებს გვამებს, მამას ეძებს.

კოლოსი. ჰო, მას ხომ აქ დარჩა მოხუცი მამა.

ადუტანტი. იგი აქ სცხოვრობდა.

კოლოსი. (აიღებს წიგნებს, ათვალიერებს). ყველა წიგნები გეოგრაფიისაა.

ადუტანტი. მასწავლებელი იყო. გუშინწინ გერმანელებმა სამოცი კაცი დახვრიტეს დაბის გარეთ. ეტყობა, დიდად უწვალებიათ, სახე ყველას ხიშტით აქვს დაფატრული. სარდლის მამაც ყოფილა იმ ჯგუფში, ადგილობრივ მოსახლეებს დაუნახავთ. ამბობენ, წინ მიდიოდაო, ფეხშიშველი, უქუდოდ. ყველანი მღეროდნენ თურმე.

კოლოსი. მერე?

ადუტანტი. სარდალი გიამბობთ. ყველას ფეხსაცმელი გახადეს.

კოლოსი. ტყავს გავაძრობთ გერმანელებს...

(შემოდის ოგნევი, მდუმარედ მიუჯდება მაგიდას, თავს ხელებზე დაყრდნობს).

ოგნევი. (ხმადაბლა). გრიგორი... გრიგორი...

კოლოსი. რა იყო, ვოლოდია...

ოგნევი. ველარ ვიცანი... ველარ ვიცანი მამა. ყველანი დაუსახიჩრებიათ მხეცებს. ისე დაუსახიჩრებიათ... საშინელი სანახავია. დაუხვრეტიათ, დაუჩეხიათ, თვალები ამოუთხრიათ. ყრიან მოხუცები. როდესაც მიდიოდნენ, თურმე მღეროდნენ... „ამხანაგო, გაბედულად იარ მხარდამხარ“...

---

*) იხ. „მნათობი“ № 1.

კოლოსი. დამშვიდდი, ვოლოდია. რა გაეწყობა...

ოგნევი. ამ ფანჯარასთან მუდამ გვიან ღამემდე იჯდა საბრალო მოხუცი, სათვალეებიანი. ახველებდა, მოწაფეთა რვეულებს ასწორებდა... ორმოცწელს ასწავლიდა ბავშვებს გეოგრაფიას... ყოველთვის ოცნებობდა პამირში წასვლაზე. მე დავპირდი... (პაუზა). ყველას ეუბნებოდა, გერმანელები აქეთ ვეღარ წამოიწევენ, აქ ახლოს ჩემი შვილია, ის არ შემოუშვებს გერმანელებს სამშობლო სოფელში, არ შემოუშვებს იმ სახლში, სადაც დაიბადაო. მელოდებოდა საყვარელი მოხუცი... შენ არ იცოდი, რა ძნელი იყო შვილისათვის... არა გჯეროდა. დიაღ, უფლება გქონდა არ დაგეჯერებინა, შენ ჩემგან სულ სხვას მოელოდი...

(მოედანზე გაისმის სამგლოვიარო მარშის მინელებული ხმა. ოგნევი წამოდგება, ფანჯარაში იცქირება. წამოდგება კოლოსიც).

მიწას აყრიან... მშვიდობით... მშვიდობით... ისინი გაგიცნობენ შენ, ძველ მასწავლებელს. გაგიცნობენ შვილის საშუალებით. ვფიცავ შენს საფლავთან: სამარეში ჩამოგწვდება ჩემი შურისგების ხმა. შენ მომიტევებ, ჩემო კეთილო, საყვარელო მოხუცო მამა.

კოლოსი. ვოლოდია... (მოეხვევა, მკერდზე მიიკრავს. ძლიერდება სამგლოვიარო მარშის ხმა, გაისმის გამოსათხოვარი სროლა. შემოდის ადუტანტი).

ადუტანტი. ამხანაგო სარდალო, ფრონტის შტაბიდან მაიორი მოვიდა.

კოლოსი. დაიცადოს ცოტა ხანს.

ოგნევი. არა, დაუძახე (მაგიდას მიუჯდება, ადუტანტი გავიდა, შემოდის მაიორი).

მაიორი. ფრონტის შტაბიდან მაიორი გუსაკოვი.

ოგნევი. დაჯექით. რა ამბავი მოგვიტანეთ?

მაიორი. თქვენთან პაკეტია, ამხანაგო სარდალო.

(აძლევს. ოგნევი ხსნის, კითხულობს).

კოლოსი. შეგცივდათ?

მაიორი. პირიქით, ძალიან მცხელოდა.

ოგნევი. გაფრთხილებისათვის მადლობას მოვახსენებ ფრონტის შტაბის უფროსს, მაგრამ ამის შესახებ მე ოპერაციის დაწყებამდე ვამბობდი (გადასცემს პაკეტს კოლოსს, ის კითხულობს).

კოლოსი. ვაფრთხილებდით, არა სჯეროდა, ახლა კი დაგვიანებით თავათ გვწერს. კიდევ კარგი, რომ მოაღწია.

ოგნევი. უმჯობესია, გვითხრათ, სატანკო კორპუსთან კავშირი უკვე დამყარებულია?

მაიორი. მგონი, არა. დანამდვილებით არ ვიცი.

ოგნევი. გუშინ სად იყო იგი?

მაიორი. მაგაში ვერა ვარ გარკვეული.

ოგნევი. რატომ სძინავს ჩვენს მეზობელს გენერალ ორლოვს? გერმანელები ჩვენს გასასვლელს უკვე უშენენ.

მაიორი. რომ უშენენ, ამაში მე თვითონ დავრწმუნდი. მაგრამ რატომ სძინავს გენერალ ორლოვს, არ ვიცი.

ოგნევი. მაშინ რაღა ჯანდაბისათვის მოხვედით, ამხანაგო არვიცაძე? თქვენ შტაბის ოფიცერი ხართ, თუ შიკრიკი?

მაიორი. ჩემი საქმეა გადმოგცეთ პაკეტი და უკან გავუდგე გზას...

ოგნევი. (გააწყვეტინებს). გადმოგცეთ, და ჯანდაბას თქვენი თავი, ჩქარა მაჭამეთ რამე, მომართეთ მანქანა, სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე. ასეა, არა?

მაიორი. მინდა გაცნობოთ ერთი უსიამოვნო ამბავიც. თქვენ ამდენს ალივს მოვაღწიე. თქვენი ვიწრო გასასვლელი აღარ არსებობს. მე ნაღმსატყორცნები დამიშინეს, კინაღამ დავიღუპე. არ მესმის, საითკენ იყურებით. თქვენ ახლა მოწყვეტილი ხართ, გარემოცული.

ოგნევი. რაო?

მაიორი. დიაღ, დიაღ, ეს ფაქტია.

ოგნევი. წამოდექით. (მაიორი წამოდგება. ოგნევი ზიზღით შეჰყურებს). წადით პირდაპირ სახლში ჩემს კომენდანტთან და უთხარით, რომ მე ვუბრძანებ დაგაპატიმროთ თქვენ.

მაიორი. მე ფრონტის შტაბის წარმომადგენელი ვარ.

ოგნევი. კრინტი! შეასრულეთ ბრძანება!

მაიორი. მესმის, მესმის, ამხანაგო სარდალო. (გადის).

კოლოსი. მე კი მეგონა, ტყვიას დაახლოდი. საბრალო ლაჩარი ყოფილხარ.

ოგნევი. სამწუხაროა, რომ ფრონტის შტაბიდან არის, თორემ მე მაგას სამუდამოდ დავავიწყებდი სიტყვა „გარემოცვას“.

(შემოდის კაპიტანი, კავშირგაბმულობის უფროსი).

კაპიტანი. ამხანაგო სარდალო, დაშიფრული დეპეშაა.

ოგნევი. (აიღებს, წაიკითხავს, კოლოსს გადასცა). როგორია კავშირი?

კაპიტანი. გვიშლის ხელს ჰაერის განმუხტვა, გერმანელებმაც საშინელი ხრიალი ასტეხეს ეთერში, მაგრამ კავშირი მაინც არ გაგვიწყვეტია.

ოგნევი. (კოლოსს). როგორ მოგწონს?

კოლოსი. არაფერი არ მესმის.

კაპიტანი. ნებას მომცემთ წავიდე?

ოგნევი. წადით.

(კაპიტანი გადის).

კოლოსი. ფრონტის სარდალს ან ვერაფერი გაუგია, ან არ უნდა გაიგოს. გავმაგრდეთ აქ და ველოდოთ, მაგრამ რას ველოდოთ?

ოგნევი. ველოდოთ, სანამ გერმანელები თავს არ მოუყრიან ყველაფერს, რასაც შესძლებენ. მერე გვეტყვის: ეგ რა მოგივიდათ, გეთაყვათ, ჩაეფალით და ჩაფლავდით, რამდენჯერ გასწავლეთ ჭკუა? თვალები სადა გქონდათ? რას გვიბრძანებთ ახლა, თავები დაგაყრევინოთ?

კოლოსი. უეჭველად მაგრე გვეტყვის. ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, ბებერო ხარო. საიდან მოეფიქრა ყველაფერი ეს?

ოგნევი. ყველა ჭკუამოკლე ადამიანი მაგეთია. როცა ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს, შეჰხარის ფავის თავს, სხვებს კი აგინებს და „ჭკუას ასწავლის“. და „ჭკუას“ აუცილებლად კეტით „ასწავლის“. (ტელეფონი დაიწკარუნებს. აიღებს მილს). გისმენთ... თქვენ სადღა იმყოფებით? შემოიარეთ.

კოლოსი. ვინ არის?

ოგნევი. ჩემი არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი — ორლიკი, გუშინ კინაღამ გამოასალმეს სიცოცხლეს. ნამსხვრევებით დაიჭრა მკლავში. სადაც გახურებული ბრძოლაა, იქ მიძვრება.

კოლოსი. მე კი მეგონა, ფილოსოფოსი იყო.

ოგნევი. მცოდნე კაცია. ოდესღაც პოლიტხელი იყო. ორ ენაზე დაპარაკობს. ხუმრობით პროფესორს ვეძახი.

კოლოსი. მტკიცე ხასიათის კაცია?

ოგნევი. მერე როგორი. ნუ უყურებ, რომ გამხდარი და სუსტალეგანია. ვერავინ გაუმაგრდება.

კოლოსი. ჩემი კომისარი ონუფრი სტრატეგოვი-კი ისეთი ზორბა კაცია, რომ ცხენი ძლივს გამოვუნახეთ, მაგრამ ცოდნაზე ცოტა უკაცრავად გახლავთ. თუმცა ცხენოსნობა ჩინებულად იცის, ცხენი უყვარს.

ოგნევი. (იცინის). მარტო გვარი რადა ღირს, სტრატეგოვი. სად გამონახეთ მერე?

კოლოსი. გამომიგზავნეს. მე ონუფრი ფლოქვაძეს ვეძახი. ეს უფრო შეჰფერის.

ოგნევი. არა სწყინს?

კოლოსი. არა. ხუმრობას იტანს...

(შემოდის არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ორლიკი. ხელი შეხვეული აქვს).

ოგნევი. გემდურებით. რატომ ჩაებით ბრძოლაში მესამე ბატალიონთან ერთად? არ შეჰფერის არმიის პოლიტგანყოფილების უფროსს ასე წინდაუხედავად...

ორლიკი. დივიზიიდან მაცნობეს, რომ მესამე ბატალიონში მტრის აგენტურამ წამოჰყო თავი, მავნე მითქმა-მოთქმა დაიწყო.

ოგნევი. ვინ ამღვრევს წყალს? აღმოაჩინეთ?

ორლიკი. ჰო, იქ პოლიტხელად მეტად ფხიზელი ამხანაგი იყო, ზე ფხიზელი, უმალვე ყველაფერი აღმოაჩინა და მოახსენა უფროსებს. ჩემთან უკვე მთელი საქმე მოვიდა. იქ წყალს ამღვრევდა ორი კაცი და, წარმოიდგინეთ, ორივე ორდენით დაჯილდოვებული.

ოგნევი. რაო? რას სჩადიოდნენ?

ორლიკი. ძალიან საშიშ რამეს. (იცინის). ისინი ამბობენ თურმე, რომ ბატალიონის მეთაური ნამდვილი ბატონიაო, აგრეთვე პოლიტხელიც, გაიჩინეს მზარეული, ხუთი კაცის საჭმელს შეექცევიან, მებრძოლთათვის კი სამზარეულო საძაგლად მუშაობსო. მებრძოლებმა მზარეულს ცხვირპირი დაუნაყეს იმისათვის, რომ ყოველთვის წყალწყალა სუპს ხარშავს.

(ოგნევი იწერს).

ნუ ჩაიწერთ. მე ბატალიონში ისეთი აურ-ზაური ავტეხე, რომ დიდხანს ეხსომებათ პოლიტხელსაც და მეთაურსაც.

ოგნევი. არამზადები. თქვენ ბრძანება მოამზადეთ, მე ხელს მოვაწერ. მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აღნიშნეთ ეგ ფაქტი. შემდეგ ვუკრძალავ ყველა მეთაურს მიიღოს საჭმელი იმ დრომდე, სანამ მებრძოლები არ მიიღებენ.

ორლიკი. ძალიან კარგი. დღესვე მოვამზადებ.

კოლოსი. მაინც მოგვიყევით, როგორ მოხვდით ბრძოლაში? როგორ გაგეკაწრათ ხელი?

ორლიკი. (იცინის). გერმანელებმა გაიგეს, რომ ასეთ მნიშვნელოვან საუბარს ვატარებ და შეტევაზე გადმოვიდნენ.

კოლოსი. მერე?

ორლიკი. ხომ ვერ ვეტყოდი მებრძოლებს: თქვენ, ამხანაგებო, ცოტა ხანს აქ იბრძოლეთ, როცა ბრძოლას მორჩებით, დავბრუნდები და საუბარს განვაგრძობ-მეთქი.

კოლოსი. მერე? მიდით იერიშზე — „სამშობლოსათვის, ვაშა...

ორლიკი. სად შემეძლო მე, იქ მეთაურს ისეთი ხმა აქვს, იერიქონის საყვირი გეგონებათ. მე ნაღმტყორცნელებთან გავწიე. მადლობელი ვარ, სროლის ნება მომცეს. ჩემი ნაღმები ურიგოდ არ აღწევდნენ მიზანს. მართალია, ბატარეიის მეთაურმა ვერ მოითმინა და ლაზათიანად შემომიკურთხა იმისათვის, რომ ნელა ვისროდი. ერთბაშად ავიღე ხელი. ადგილი ნაღმტყორცნელს დავუთმე.

ოგნევი. აი ყოჩაღ. (ჩაახველებს).

ორლიკი. არაფერია, არაფერი. მეთაური, რასაკვირველია, მართალი იყო. როგორ არის საქმე, ფრონტის სარდლისაგან პასუხი მიიღეთ?

ოგნევი. (მიდის კარებთან, ადუტანტს). შტაბის უფროსს გადაეცით, შემოვიდეს.

(ისმის: „არის").

აი. (მიაწვდის. ორლიკი კითხულობს).

კოლოსი. გაიგეთ?

ორლიკი. ალბათ, სატანკო კორპუსი ჩვენთან მოდის.

ოგნევი. სატანკო კორპუსი დაივიწყეთ. მას ფრონტი დაეძებს, მაგრამ ვერ უპოვნია.

ორლიკი. რატომ?

კოლოსი. განა არ ეცით, როგორი კავშირგაბმულობა გვაქვს. მე ორჯერ დამასაფლავეს, მოკლულად გამომაცხადეს.

ორლიკი. თვითონაც დამნაშავე ხართ.

კოლოსი. როგორ? მე ერთი რადიოსადგური დამიბომბეს, მეორე გაფუჭდა. ხოლო მე ორი კი არა, ოცდაორი რადიოსადგური უნდა მქონდეს.

ორლიკი. ახლა რამდენი გაქვთ?

კოლოსი. საკმაო. ხრიპუნს ყელში წავუჭირეთ ხელი. ამრიგად ვიშოვნეთ. ჩვენში ყოველთვის ასეა, არაფერს მოგცემენ, თუმცა საწყობები სავსეა. ელოდებიან, სანამ ყელში არა სწვდებიან და არ წაუჭერენ ისე, რომ თვალები გადმოეკარკლოთ. მაშინ მოგცემენ, შეგაქებენ კიდეც. ასე იქცეოდნენ ოდესლაც ვაჭრები. რომ მომკვდარიყავ, ზედ არ შეგიხედავდნენ, მაგრამ თუ წვერში ხელს სტაცებდი, მაშინვე ფულში ჩაგსვამდნენ, თანაც ფეხქვეშ დაგეგებოდნენ და მადლობას შემოგწირავდნენ.

(შემოდიან შტაბის უფროსი და დივიზიის უფროსი გვარდიის პოლკოვნიკი სვეჩკა).

შტაბის უფროსი. მოვედი ამხანაგ სვეჩკასთან ერთად. ვითარება რთულდება. მოახსენეთ, დივიზიის უფროსო.

ოგნევი. მეთხილამურენი დაბრუნდნენ?

სვეჩკა. დიაღ, დაბრუნდნენ. თქვენი დავალება შესრულებულია.

ოგნევი. ყოჩაღ, სწრაფად დაბრუნდნენ. მერე?

სვეჩკა. (ამოიღებს რუკას). აი აქ, საბჭოთა მეურნეობა „კომუნარში".. იქამდის იქნება...

ოგნევი. ორმოცდაცამეტი კილომეტრი.

სვეჩკა. თავი მოიყარეს ტანკებმა. ასორმოცდაათი მანქანა დაითვალეს.

ოგნევი. ახლავე (აღნიშნავს თავის რუკაზე). შემდეგ.

სვეჩკა. საბჭოთა მეურნეობის „კომუნარის“ აღმოსავლეთით სოფელ სინიცინოში დილით მივიდა „ესეს“ დივიზია და ორასი ტანკი. ოქითკენ მიდის კიდევ ერთი კოლონა, ორ პოლკამდე. ეს მზვერავებს პარტიზანებმა შეატყობინეს. ორი მათგანი აქ მოვიდა.

შტაბის უფროსი. მე ველაპარაკე მათ.

ოგნევი. დიდი რაზმია?

შტაბის უფროსი. ორმოცდაათი კაცი.

ოგნევი. ადგილობრივები არიან?

შტაბის უფროსი. დიაღ.

ოგნევი. გზები იციან?

შტაბის უფროსი. ძალიან კარგად. მეტად საგულისხმო ცნობები მოგვცეს. თურმე გერმანელებს მდინარიდან სადგურ კოლოკოლამდის ახალი გზა გაუყვანიათ. (უჩვენებს თავის რუკაზე). აი ეს გზა. შეუყრიათ მოსახლეობა, დღე და ღამე მუშაობდნენ. სამი ათას კაცზე მეტი დაღუპულა ამ გზაზე. ზოგი ყინვებისაგან, ზოგი დაუხვრეტიათ.

ოგნევი. ეს გზა ჩვენგან ოცდაათი კილომეტრის მანძილზეა.

შტაბის უფროსი. დიაღ. აუგიათ მაგარი ხიდები, მაგრამ ამ ხიდებზე მოძრაობა არ არის. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენმა ავიადაზვერვამ არ გამოააშკარაოს.

ოგნევი. სწორია. შემდეგ?

სვეჩკა. მეტი არაფერი, ამხანაგო სარდალო. დაზვერვამ მტრის ნაწილები აღმოაჩინა აქ თერთმეტ საათსა და ოც წუთზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კომუნარში“ თორმეტ საათზე. არის სულ...

შტაბის უფროსი. დივიზიის უფროსმა იაკოვენკომ ეს არის ახლა მაცნობა, როგორც დაზვერვას გამოურკვევია, კოლოკოლიდან მტერი ჩვენი გასავლისაკენ მოემართება.

ოგნევი. რამდენი არიან?

შტაბის უფროსი. ერთი დივიზია და სამოცდაათამდე ტანკი.

ოგნევი. რა ადგილას?

შტაბის უფროსი. აქ იყვნენ. (უჩვენებს). თხუთმეტს საათსა და ორმოც წუთზე.

ოგნევი. ახლა კი თექვსმეტი საათია.

შტაბის უფროსი. მაგრე გახლავთ. ეს არის ყველაფერი.

ოგნევი. (სვეჩკას). როგორ არის ამჟამად საქმე ხუტორს იქით?

სვეჩკა. სიწყნარეა. მოწინააღმდეგე ძალიან სუსტია. თუ მიბრძანებთ, თვით მდინარემდის მივაღწევ.

ოგნევი. არა, ჩემო კარგო, მათ სწორედ ეგ უნდათ. თქვენ ისედაც მოსწყდით. საღამოთი შეიძლება ტანკები გეწვიოსთ. პოზიცია კი ყოვლად უვარგისი გაქვთ. გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ დაბრუნდეთ აქ, დაბაში. ჩვენ ყველამ თავი უნდა მოვიყაროთ და ერთი მაგარი მუშტი შევადგინოთ. უკან დახევისას მარჯვედ გამოიყენეთ არტილერია და ავიაცია, რომ კუდი არ დაგიზიანონ. ცხრამეტ საათზე მიპატაკეთ ბრძანების შესრულება. შეასრულეთ!

სვეჩკა. მესმის, ამხანაგო სარდალო. მაგრამ სამ საათში ძნელი იქნება დი-

ვიზიის გადმოყვანა. მხედველობაში მიიღეთ მანძილი, იქნება კილომეტრი...

ოგნევი. (გააწყვეტინებს). რა დროს კილომეტრობით თვლა, რეცეპტ წამობით უნდა დაითვალოთ. მიპატაკეთ არა ცხრამეტ საათზე, ოცდამეერვამეტ საათსა და 30 წუთზე, ხოლო თუ ნახევარ წუთს კიდევ გაჩერდებით ჩემს წინ, მაშინ უნდა მიპატაკოთ...

სვეჩკა. არის, გიპატაკოთ თვრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე. (გავარდება ოთახიდან).

ოგნევი. (დასცქერის რუკას, ზომავს ფარგლით, იწერს). კეთილი... მესმის თქვენი მოძრაობა... ვიცი, რა არამზადებიც ბრძანდებიან გერმანელები...

შტაბის უფროსი. ეშმაკურად მოუფიქრებიათ?

ოგნევი. ვის?

შტაბის უფროსი. გერმანელთა სარდლობას. შეხედეთ, როგორ ეშმაკურად მოძრაობენ.

ოგნევი. რა ეშმაკობაა? ეს ხომ ბავშვობაა და არა ეშმაკობა. გერმანელთა სარდლობას რომ ისეთი შეცდომა ჩადინა, როგორიც ჩვენი ფრონტის სარდალმა ჩაიდინა, ჯერ კიდევ გუშინწინ გავუნადგურებდი გერმანელებს სამჯერ მეტს, ვიდრე ჩვენა ვართ. არავითარი ეშმაკობა მათ არ გამოუგონებიათ. პირიქით, ცუდად სარგებლობენ ჩვენი სისუელით, ძალიან ცუდად. რადა ღირს ახლა გორლოვის სტრატეგია? სატანკო კორპუსი გაიჩხირა სადღაც ძველ გზებზე, გერმანელებმა კი ახალი გზა გაიყვანეს, რომელზედაც არავის წარმოდგენა არა ჰქონდა. ამბობენ, ტანკები არა ჰყავთო, ნამდვილად კი მტრის ტანკები ქვეითა ჯართან ერთად თავხედურად მოიწევენ ჩვენზე. ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ ორლოვს სძინავს და ნაგვით დაგვიკეტეს კორიდორი. ახლა იქნებ რეპეტიციასაც გადიან, თუ როგორ დაგვიყვირონ ხმამაღლა ხვალ დილით: „რუსო, დაგვნებდი, თქვენ უკვე გარემოცულნი ხართო“. მაგრამ ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ. (დასცქერის რუკას. პაუზა). ნუ გვიკაკუნებ კარებს, ნუ აჩხარუნებ იარაღს, გასწი ჯანდაბისაკენ...

კოლოსი. გაგიჭირდება მაგისთანა პასუხის გაცემა.

ოგნევი. უეჭველად ასე ვუპასუხებთ. (აღნიშნავს რუკაზე, იწერს). ხომ მართალია, ამხანაგო ორლიკ?

ორლიკი. უნდა ვუპასუხოთ, ამხანაგო სარდალო, აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ.

ოგნევი. სწორედ საღი და გონიერი ოპტიმიზმისათვის მიყვარხართ თქვენ, ამხანაგო პროფესორო. შეხედეთ, მეგობრებო. გერმანელებმა გარნიზონი კოლოკოლიდან გამოიყვანეს, რომ ჩვენ მახეში გაგვაბან, ნაწილი ტანკებისა ჩვენ მოგვისიეს, ნაწილი-კი სადღაც შორს გზებზე დასდევს ჩვენს სატანკო კორპუსს. ახლა მთელი საქმე ფეხებზეა დამოკიდებული, როგორც ამბობდა სახელოვანი ბებერი სუვოროვი, ახლა საქმე მარდ ფეხებშია, სწრაფ გადასვლაში, რომ გადავხტეთ იქ, სადაც არავითარ შემთხვევაში არ მიგველიან გერმანელები. ჩვენ თვალის ასახვევად დაბაში ვტოვებთ ორ პოლკს, ყველა მძიმე ზარბაზანს და ცხენოსანთა ორ ესკადრონს. მობრძანდით, გერმანელებო, არმია სდგას და ელის ჩვენს მარწუხებს. თქვენ, პროფესორო, გვარდიელებთან ერთად გთხოვთ: გასძელით ამ მოხერხებულ თხემზე მხოლოდ ერთ დღე-ღამეს, დანარჩენნი-კი

შენი ცხენებითურთ, როგორც კი დაღამდება, გავძვრებით იმ ახალ გზაზე და გავეშურებით, რაც ძალა და ღონე გვაქვს პირდაპირ კოლოკოლის უკანა კარებისაკენ. როდესაც კოლოკოლს დავიკავებთ, გერმანელების ტანკები იძულებული გახდებიან სწრაფად გაბრუნდნენ. [illegible] გვიან იქნება. ბენზინის, ყუმბარების და საომარი მასალის საწყობები ჩვენს ხელთ იქნება. და დავცხებთ მათ მათსავე საკუთარ სიმაგრეებთან. გთხოვთ დახედოთ და გააკრიტიკოთ. (პაუზა). რას იტყვი, მოხუცო, რატომ ჩამოუშვი ცხვირი?

კ ო ლ ო ს ი. (დასცქერის რუკას). ამხანაგო სარდალო, ძალიან სახიფათოა. დამაცა, მოვიფიქრო.

ო გ ნ ე ვ ი. ჩვენი კოლონის წინ წავა თავაღებულ მებრძოლთა ორი ესკადრონი. საგუშაგოები უჩამიჩუმოდ უნდა მოიხსნას. რომ ყველაფერი კარგად გამოვიდეს, ჩავაცვათ მათ გერმანული ფორმა. საბედნიეროდ ტყვეები ბლომად ჩავიგდეთ ხელთ.

ო რ ლ ი კ ი. გერმანელთა ფორმის გადაცმა ჩვენ არ შეგვფერის. ამას ხომ გერმანელები სჩადიან, იცვამენ ჩვენს ფორმას. ეს მეტად უპატიოსნო მეთოდია.

ო გ ნ ე ვ ი. მე კი მგონია, სისულელეს ჩავდივართ, ასე პატიოსნად რომ ვებრძვით ყველაზე უპატიოსნო მტერს. ის ჩვენ გვატყუილებს, ჩვენ კი სამაგიეროს არ ვუხდით. სუვოროვი გვასწავლიდა სამხედრო ეშმაკობას, ზოგიერთ ჩვენ ვაიმეომარს კი დაავიწყდა ეს. ეშმაკობას ეშმაკობითვე უნდა ვუპასუხოთ.

კ ო ლ ო ს ი. (თვალს აშორებს რუკას. მიმართავს შტაბის უფროსს). თქვენ როგორ ფიქრობთ?

შ ტ ა ბ ი ს უ ფ რ ო ს ი. სხვა გამოსავალი არ არის.

ო გ ნ ე ვ ი. ეე, თავი ანებეთ მაგეთ რამეებს. მე მოვითხოვ ამ ოპერაციის განხორციელებას არა იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ არის.

შ ტ ა ბ ი ს უ ფ რ ო ს ი. მე სწორედ ვერ გამოვთქვი. ეს გეგმა ყველა იმაზე უკეთესია, რის გამოგონებაც ახლა შეიძლება.

კ ო ლ ო ს ი. მაგრამ ძალიან სახიფათოა, თუ ისინი გაიგებენ ჩვენს სვლას.

ო გ ნ ე ვ ი. ამიტომ არავის არ უნდა განვუცხადოთ, თუ სად მივდივართ. ახლა ჩვენთვის ყველაზე საშიში მტერი ჯაშუში ან მოლაყბეა. ასეთი მტრები-კი არიან ჩვენს ირგვლივ, ჩვენს არმიაშიც მოიპოვებიან.

კ ო ლ ო ს ი. ნუ თუ?

ო გ ნ ე ვ ი. უეჭველად. გერმანელები დიდი გაიძვერები არიან ამ საქმეში.

შ ტ ა ბ ი ს უ ფ რ ო ს ი. დაშიფრული დეპეშით უნდა შევეკითხოთ ფრონტის სარდალს.

ო გ ნ ე ვ ი. საჭირო არ არის.

კ ო ლ ო ს ი. რატომ?

ო გ ნ ე ვ ი. დამიწყებს „ჭკუის სწავლებას“, დროს დავკარგავთ.

ო რ ლ ი კ ი. უხერხულია, ამხანაგო სარდალო.

ო გ ნ ე ვ ი. ვიცი, მაგრამ მალე ჭკუაზე შევირყევი ამ „უხერხულობებისაგან“. კმარა! ჩაგვფლო ამ საქმეში გორლოვმა. მოდით, ღირსეულად გამოვიდეთ ჩვენ თვითონ ამ გაჭირვებიდან, ეს მისთვისაც უკეთესი იქნება. დასწერეთ ბრძანება, ამხანაგო შტაბის უფროსო. პირველი...

(შემოდის კ ა პ ი ტ ა ნ ი, კავშირგაბმულობის უფროსი).

კაპიტანი. ფრონტის სარდლისგან დაშიფრული დეპეშაა.

ოგნევი. (წაიკითხავს, დააგდებს მაგიდაზე, ხელს მოუჭერს ფანქარს, გადატეხილი ფანქარი მაგიდაზე დავარდება. ორლიკი მოვა. ჩუმად წაიკითხავს. ოგნევი სწრაფად მოსცილდება მაგიდას, კარებთან დადგება, კოლოსს შესცქერის. შეჰყვირებს). აბა, რას იტყვი? (კოლოსი სდუმს). რას იტყვით? (პაუზა). სთქვით რამე (გამოსტაცებს დეპეშას ხელიდან შტაბის უფროსს). რა არის ეს?

კოლოსი. ფრონტის სარდლის წინადადება, დაუყოვნებლივ დავიხიოთ პირვანდელ პოზიციებზე. მართალია, გეკითხებათ, ამის წინააღმდეგი ხომ არა ხართო, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის ასახვევად. ერთი საათის შემდეგ წინადადება ბრძანებად გადაიქცევა.

ოგნევი. მე მაგას არ გეკითხებით, კითხვა მეც ვიცი.

კოლოსი. ბრძანება ბრძანებაა, ამიტომ ბრძოლით უნდა გავიდეთ უკან.

ოგნევი. რასაკვირველია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს წინადადებაა და არა ბრძანება. მეორე, ეს არსებითად სწორი არ არის, თანაც დამღუპველია. ბრძოლით გავიდეთ? რატომ? სად არის სატანკო კორპუსი? ის ამბობს, შელახულია, დახმარება არ შეუძლიანო. სიცრუეა, სატანკო კორპუსი დაიღუპა. ახლა, აშკარაა, შებერტყილი იქნება ჩემი არმიაც.

კოლოსი. გზის გაკაფვას შევსძლებთ.

შტაბის უფროსი. ფრონტის სარდალს უნდა გამოასწოროს მდგომარეობა და გადასწყვიტა, საუკეთესო გამოსავალი უკან დახევაა.

ოგნევი. ეშმაკსაც წაუღია! ყვავ-ყორნები უკვე თავს დაგვჩხავიან. მან წინ გამოგვგზავნა. არა გამოვიდა-რა, ახლა წადი უკან, რადაც უნდა დაგიჯდეს. განა სხვა გზა არ არის? განა მებრძოლთა სისხლით იმიტომ გავარღვიე მე გერმანელთა თავდავცა, რომ ახლა უკან დავიხიო, უკან დავბრუნდე? არა, ჩემი არმია იცოცხლებს, იბრძოლებს და გაიმარჯვებს. მას შეუძლიან მოიმოქმედოს ეს და კიდევაც მოიმოქმედებს.

(შემოდის კაპიტანი).

კაპიტანი. დაშიფრული დეპეშაა მოსკოვიდან ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის გაიდარისაგან. (გადასცემს).

ოგნევი. (კითხულობს, მთლად გარდიქმნება სიხარულისაგან). აი ეს დიდებულია. მაშასადამე, ამ ქვეყნად არის სიმართლე. მოსკოვი ნებას გვაძლევს ვიმოქმედოთ ჩვენი გეგმის მიხედვით, ესე იგი, გადავიდეთ შეტევაზე, წინააღმდეგ ფრონტის სარდლის გეგმისა.

კოლოსი. ნუ თუ?

ოგნევი. აი შენ „ნუ თუ“. მე ვთხოვე ამხანაგ გაიდარს — მოეხსენებინა მოსკოვში, ვისთვისაც საჭირო იყო, ფრონტის მთავარსარდლის გეგმასთან ერთად ჩვენი გეგმის შესახებაც. ახლა ამხანაგი გაიდარი მატყობინებს, რომ მოსკოვმა მოიწონა ჩვენი გეგმა, რის შესახებ უკვე ეცნობა ფრონტის სარდალს.

კოლოსი. (სიხარულით). აი ეს ჩინებულია! აბა, შევუდგეთ ახლა მოქმედებას, დავცხოთ გერმანელებს, ამასთან დავცხოთ ისე, რომ მათი საცოდაობა ცას სწვდებოდეს.

ოგნევი. მართალი ხარ, მოხუცო.

სურათი მეოთხე

სანგარი გზასთან. მარჯვნივ, მახლობლად, მოსჩანს სოფელი. მოსჩანან ხეების თეთრი კენწეროები, აქა-იქ ქოხები, მეტწილად-კი შავი ნანგრევები, რომელზედაც ამარეულია [illegible] მილები. სანგრის ახლოს გზაზე დგას ბოძი, რომელზედაც [illegible] [illegible] გერმანულ ენაზე წარწერით. სოფლის მეორე მხრიდან მოისმის სროლის ხმა და ტყვიაფრქვევების შორეული კაკანი. სანგარში სხედან სერჟანტი ოსტაპენკო, სერჟანტი ბაშლიკოვი და უმცროსი სერჟანტი შაიამეტოვი და გომელაური. სანგრის ნაპირზე აწყვია ტანკსაწინააღო თოფები.

გომელაური. ოჰ, რა საშინელი ყინვაა დღეს. ოცდათხუთმეტი გრადუსი არის?

ოსტაპენკო. იქნება იყოს კიდეც.

შაიამეტოვი. ყინვა არაფერია, ქარია ცუდი. უბერავს ისე, როგორც ჩვენში, ყაზახეთის ველებზე.

ბაშლიკოვი. ჩვენში, ციმბირში კი, ისეთი ყინვებია, რომ...

ოსტაპენკო. ჩვენს პოლტავაში ცომის გუფთები იციან.

ბაშლიკოვი. ნუ მაწყვეტინებ, ოსტაპენკო.

ოსტაპენკო. შენ კი ნუ ტრაბახობ ციმბირის ყინვებით, როცა აქ ნაწლავები ჭიპზე მიგეყინა. გომელაურო, გვიამბე, როგორი ამინდია ახლა საქართველოში?

გომელაური. თუ ძმა ხარ, ნუ გამახსენებ. (ყურს უგდებს სროლის ხმას). იქ ბრძოლაა, ჩვენ-კი აქა ვსხედვართ.

შაიამეტოვი. ბრძანებაა, მეთაურის საქმეა.

ოსტაპენკო. გამაგებინეთ, ბიჭებო, რატომ სწერენ ჩვენს გაზეთებში, რომ ზამთარი ჩვენ გვეხმარება, რომ რაც უფრო მკაცრი ზამთარია, მით უფრო ცუდია გერმანელებისათვის...

გომელაური. მართალს სწერენ.

ოსტაპენკო. რა არის მართალი? გერმანელი ხრიცი ზის ქოხში, კედელი გამოუჭრია და არხეინად ისვრის იქიდან, ჩვენ კი თოვლში მივხოხავთ.

ბაშლიკოვი. როცა სოფლიდან გამოვდენით? მაშინ ის იყინება.

ოსტაპენკო. როგორ თუ იყინება? როდესაც ჩვენ სოფლიდან გამოვდენით, ის მეორე სოფელში გარბის. ხოლო ვინც გარბის, მას ყოველთვის ცხელა.

გომელაური. ხომ გინახავს, როგორ ეხვევიან მათ ტილები. მუმლივით ესევიან. თითოეულ გერმანელს ასობით აყრია.

ოსტაპენკო. ყინვებისაგან არ არის ეგ.

გომელაური. მაშ რისაგან არის?

ოსტაპენკო. დარდისა და ბოღმისაგან.

ბაშლიკოვი. როგორ?

შაიამეტოვი. არ ვიცოდი.

ოსტაპენკო. იყო ოდესღაც ჩვენს სოფელში ერთი კულაკი, მაგარი წურბელა. მაკოგონენკოს ეძახდნენ. მუდამ სუფთად ჩაცმული დადიოდა. ღიპიანი იყო, შავი წვერი ჰქონდა, დავარცხნილი, აბრეშუმივით ხასხასა, მზეზე ელვარებდა. როცა გაიგონა, რომ კოლექტივიზაცია იწყება და კულაკებს ბოლო ეღებათო, საშინელმა ბოღმამ მოიცვა. როგორღაც შევხვდი. ვხედავ წვერი მთლად ვათეთრებია. ვეკითხები: ბიძია მოკოგო-

ნენკო, რა არის, წვერი მთლად გაგთეთრებია-მეთქი. მიპასუხა: ეს ბიჭო, წვერი ტვიპი გამიჩნდაო. რატომ არ მოიშორებ-მეთქი. ხელი ჩაიქნია, სთქვა: დეე, გაიხაროს. გულში ისეთი ბოღმა მიტრიალებს, რომ მალე მოვკვდებიო. ასე ემართება გერმანელ ხრიცსაც. უნდოდა შემოდგომამდე დავეპყარით. არა გამოუვიდა-რა. წვიმები დაიწყო. ხრიცი ჭაობში ჩაიფლო. და აი ბოღმა მოაწვა. ზამთარი რომ დადგა, ბოღმა გაუორკეცდა. დადის ახლა კულაკ მაკოგონენკოსავით. ტილებს აღარ იშორებს, რადგან ხედავს — კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ყველაფერი ეს ბოღმისაგან არის.

ბ ა შ ლ ი კ ო ვ ი. ადგილებზე! (ყველანი წამოწვნენ. მოგუგუნდა მანქანა. შემოდიან დივიზის მეთაური პოლკოვნიკი ს ვ ე ჩ კ ა და პოლკის მეთაური მაიორი ი ა ს ნ ი).

ი ა ს ნ ი. ბატარიას მიემატა ტყვიამფრქვეველთა ოცეული. ყუმბარებით ყველა სათანადოდ არის მომარაგებული.

ს ვ ე ჩ კ ა. კეთილი.

ი ა ს ნ ი. ვერ გამიგია, ამხანაგო დივიზიის მეთაურო, რატომ ვიხევთ?

ს ვ ე ჩ კ ა. შორს გავიჭერით წინ, სარდალმა გადასწყვიტა ყველას ერთად მოუყაროს თავი.

ი ა ს ნ ი. გასაგებია. (ხმამაღლა დაიძახებს). გორლოვ!

(ისმის: „არის". შემოდის ბატარიის მეთაური სერგეი გორლოვი).

ს ე რ გ ე ი. ბატარიის მეთაური გვარდიის ლეიტენანტი გორლოვი.

ს ვ ე ჩ კ ა. გამარჯობა! (ხელი ჩამოართვა). მამა ნახე?

ს ე რ გ ე ი. დიაღ, ვნახე. მთხოვა გადმოგცეთ სალამი.

ს ვ ე ჩ კ ა. გმადლობთ. როგორ გამოიყურება გენერალ-ლეიტენანტი? ჯანმრთელად არის?

ს ე რ გ ე ი. კარგად გახლავთ. მითხრა: გადაეცი გვარდიის პოლკოვნიკს სვეჩკას, მალე ვესტუმრები ძველ მეგობარსაო.

ს ვ ე ჩ კ ა. კარგია, რომ არ მივიწყებს. მაგრამ სტუმრობის შესახებ რა მოგახსენო, ჩვენთან მოსასვლელი გზა ცუდია. (იცინის). შენი ბატარია, გორლოვ, აქ დარჩება. უნდა გაგაფრთხილო: ამ გზაზე არა თუ ტანკმა, თაგვმაც კი არ უნდა გაირბინოს, გესმის?

ს ე რ გ ე ი. მესმის.

ს ვ ე ჩ კ ა. რაც არ უნდა მოხდეს, ბრძანებამდე აქ უნდა გაჩერდეთ. თუნდაც...

ს ე რ გ ე ი. შესრულებული იქნება.

ს ვ ე ჩ კ ა. გვარდიის ლეიტენანტო გორლოვ, გისურვებ წარმატებას.

ს ე რ გ ე ი. გმადლობთ, ამხანაგო გვარდიის პოლკოვნიკო.

(ს ვ ე ჩ კ ა გადის).

ი ა ს ნ ი. (ხმადაბლა). სერიოჟა...

ს ე რ გ ე ი. ნუ სწუხართ, პიოტრ პეტროვიჩ. თქვენ გელოდებიან.

(ი ა ს ნ ი გადის. ს ე რ გ ე ი სანგართან მიდის).

ს ე რ გ ე ი. როგორ არის საქმე, მოციქულებო? ცხელა?

ო ს ტ ა პ ე ნ კ ო. ცხელა, ამხანაგო გვარდიის ლეიტენანტო. ოფლი ჩამოგვდის, სიცხისაგან წყურვილი გვახრჩობს.

ს ე რ გ ე ი. შენ, ოსტაპენკო, მუდამ წყურვილი გახრჩობს.

ო ს ტ ა პ ე ნ კ ო. მაგრამ დღეს ისე, როგორც არასოდეს. მიშველეთ, მთელს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

სერგეი. აი, შე ეშმაკო. (მოიხსნის მათარას). ჰა, მაგრამ ყველამ თანასწორად გაინაწილეთ.

ოსტაპენკო. გმადლობთ. (ამოიღებს ჯიბიდან ჭიქას, დაასხამს). თქვენი სადღეგრძელო იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი. გადაჰკარ, გადაჰკარ.

ოსტაპენკო. (დალევს). ჩაისა ჰგავს.

სერგეი. აი, შე ეშმაკო, შენა. ეს ხომ წმინდა სპირტია.

ოსტაპენკო. ნუ თუ? ახლავე შევამოწმებთ. (ასხამს).

გომელაური. შესდეგ, შესდეგ! (გამოართმევს სასმისს). მე შევამოწმებ.

ოსტაპენკო. მერე რა გესმის შენ ამ საქმეში? შენ მეავე წვენის ყლაპვას ხარ დაჩვეული.

გომელაური. ნუ სწუხარ. (აიღებს სასმისს). აქ, თოვლით დაფარულ ველებში, სანგარში, ვიღებ ამ პატარა სასმისს დიდის გრძნობით და ვისურვებ ჩვენ შეხვედრას მზიურ კახეთში, ომის შემდეგ. დედა ჩემი ვერიკო, მამა ბესო და ცოლი თამარი ისე მიგვიღებენ, როგორც გულით მახლობლებს. შეხვედრისა იყოს. (სვამს).

ოსტაპენკო. მაგრამ გთხოვთ, პირველად მე მესტუმროთ პოლტავის მხარეში. რასაკვირველია, შეიძლება, დედა ჩემი, მამა, ცოლი ოქსანა და ჩემი ბიჭიკო გერმანელებმა უკვე გამოასალმეს სიცოცხლეს. (პაუზა). რას იზამ, თვითონ მე გაგიმასპინძლდებით.

შაიამეტოვი. არა უშავს-რა, ოსტაპენკო, მოვალ შენთან. თვითონ მე მოვამზადებ ფლავს, ისეთ ფლავს, რომ... შემდეგ ჩემთან წამოხვალთ, ყაზახისტანში...

სერგეი. მომეცით მათარა. (აიღებს). გამოსცალეთ?

ბაშლიკოვი. გვარდიულად.

სერგეი. ახლა, მოციქულებო, თვალყური ადევნეთ. ამ გზაზე არცერთმა გერმანელმა არამზადამ არ უნდა გაიაროს.

ოსტაპენკო. ჩვენი გაფრთხილება საჭირო არ არის, ამხანაგო მეთაურო.

სერგეი. აბა, თქვენ იცით. გომელაურო, თუ კვლავ უჩუთებოდ ირბენ... დავინახე, გუშინ როგორ დააბოტებდი ფეხშიშველა თოვლზე.

გომელაური. მაპატიეთ, ამხანაგო მეთაურო. ვერ მოვითმენ. ძალიან ფიცხი გული მაქვს. რა მოხდა: ტანკი დავამსხვრიეთ. ტანკის უფროსი გარბის. ვაზნები გამოგველია. ბრაზი მახრჩობს, ვეუბნები ოსტაპენკოს: ამხანაგო უფროსო სერჟანტო, ნება მომეცი დავეწიო-მეთქი. ოსტაპენკო კი მეუბნება: ვერ დაეწევიო. გესმით, ამას მეუბნება მე, მე, ქართველს. ქართველი ვერ დაეწევა? გულმა არ მომითმინა. აღარ მახსოვს, როგორ გავიხადე ნაბდის ჩუთები. ქარივით გავქროლე. შევახტი გერმანელს, თოვლში წავიქეცით. ყურზე მიკბინა, მე კი ყელში წავუჭირე ხელი. ვუყვიროდი: ვერ წამიხვალ-მეთქი. ბოლოს გავგუდე.

სერგეი. ყოჩაღ, მაგრამ უფლება არა გაქვს მოშორდე ოსტაპენკოს. ერთს გამოუდგები, ამ დროს კი ტანკი გაგიძვრება.

ოსტაპენკო. ნუ სწუხართ, ახლა მე მაგ ეშმაკის კუდს ხელზე გამოვიბამ.

სერგეი. საღამოთი, თუ სიწყნარე იქნება, ჩემთან მოდით, ჩაი დავლიოთ.

ყველა. გმადლობთ, ამხანაგო მეთაურო.

(სერგეი გადის. დიდი პაუზა).

გომელაური. რას ჩაფიქრდი, ოსტაპენკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაშლიკოვი. თავი დაანებე.

შაიამეტოვი. (ჩურჩულით). ოქსანაზე ფიქრობ, ხომ? სთქვი...

ოსტაპენკო. ჰო. გომელაურო, წაიკითხე წერილი.

გომელაური. რომელი წერილი?

ოსტაპენკო. უკანასკნელი, საახალწლოდ რომ მიიღე.

გომელაური. აკი წაგიკითხე.

ოსტაპენკო. ერთხელ კიდევ წაიკითხე. მე არავინ მომწერს წერილს. შენსას მოვისმენ, გულზე მომეშვება.

შაიამეტოვი. წაიკითხე. მეც სულ არ მიმიღია წერილი. ბაშლიკოვ, შენ უთვალთვალე, ჩვენ კი წერილს დავუგდებთ ყურს. შენ წერილი მიიღე?

ბაშლიკოვი. ორჯერ ამ ხნის განმავლობაში. (მიდის, უთვალთვალებს).

ოსტაპენკო. დაიწყე.

გომელაური. (იღებს წერილს. კითხულობს სხაპა-სხუპით): „ჩემო ძვირფასო და საყვარელო აკაკი, მაგრა გკოცნი და გატყობინებ...“

ოსტაპენკო. ნუ ჩქარობ. ისევ თავიდან დაიწყე.

შაიამეტოვი. თუ ძმა ხარ, ნელა წაიკითხე.

გომელაური. (ნელა). „ჩემო ძვირფასო და საყვარელო აკაკი...“

შაიამეტოვი. საყვარელო...

გომელაური. „...მაგრა გკოცნი და გატყობინებ: დედა და მამა ჯანმრთელად არიან, მოკითხვას გითვლიან, გკოცნიან. შენი პატარა ბიჭიკო გოგი...“

ოსტაპენკო. ბიჭიკო... (თავით ხელზე დაეყრდნობა).

გომელაური. „... ახლა სულ გაიძახის: მამა, მამა, ბუჰ, ბუჰ! კოლმეურნეობაში სამუშაო ბევრია. ძლივს ვასწრებთ. რატომ არც ერთი წერილი არ მოგვწერე? მე ყოველ ღამე ჩუმად ვტირი...“

ოსტაპენკო. ყოველ ღამე...

გომელაური. „...იქნებ მაგრა დაგჭრეს? კიდევ გატყობინებ: ჩვენი ბრიგადირი ცუდი კაცი გამოდგა. როგორც კი თქვენ ყველანი ომში წახვედით, მაშინვე დაიწყო წამგლეჯობა, სვამს მოანგარიშესთან ერთად. ორივე გაიძვერაა. გაზეთში გავწერეთ, მოანგარიშე უკვე დააპატიმრეს, ბრიგადირი-კი არა, თავი დაიძვრინა“. ვერ დაიძვრენს, ომის შემდეგ მე ვაჩვენებ სეირს.

ოსტაპენკო. წაიკითხე.

გომელაური. „როგორ მენატრები, როგორ მინდა შენი ნახვა, ყოველ ღამე სიზმარში გხედავ. ერთხელ წვერიანი დამესიზმრე. დეიდა ნინო ამბობს, ავადმყოფობას ნიშნავსო. საშინლად შემეშინდა. ზამთარში რომ არ გამიცივდე, შენთვის ორ წყვილ წინდას ვქსოვ, ოცდახუთ სექტემბერს გამოგიგზავნი“. ხუთი დღის შემდეგ უნდა მომივიდეს. ერთ წყვილს შენ გაჩუქებ, ოსტაპენკო.

ოსტაპენკო. რატომ ხუთი დღის შემდეგ?

გომელაური. წერილი პირველ სექტემბერს მომწერა, მივიღე პირველ იანვარს. ოცდახუთ სექტემბერს გამოგზავნიდა ამანათს, დღეს კი ოცი იანვარია. გამოდის, ხუთი დღის შემდეგ მივიღებ.

შაიამეტოვი. წაიკითხე.

გომელაური. „გადაეცი ჩემი, მამიშენის და დედიშენის მოკითხვა ყველა შენს ამხანაგს. ჩვენ გთხოვთ, რაც შეიძლება ჩქარა დაამარცხოთ ფაშისტები და ყველანი გვეწვიეთ სტუმრად. ღვინო ათი სპალნე გვექნება.

დეიდა ნინოს ხუთი საპალნე. გკოცნით მაგრა, მაგრა მე, გოგო, დედა, მამა, დეიდა ნინო და მთელი ჩვენი კოლმეურნეობა. შენი თამარი. წერილი დავწერე ათასცხრაასა ორმოცდაერთი წლის პირველ სექტემბერს".

შაიამეტოვი. მე რომ ასეთი წერილი მიმეღო, არ ვიცი, რას ვიზამდი ხიხარულის გამო.

ოსტაპენკო. დიაღ.

გომელაური. რამდენი წერილი გავუგზავნე, არც ერთი არ მიუღია. პატარა წერილი დიდი ტვირთი არ არის, მაგრამ მაინც არ მიდის.

ოსტაპენკო. იმიტომ რომ ბიუროკრატები სხედან ფოსტაში.

შაიამეტოვი. მოდი, მივწეროთ ამხანაგ სტალინს. რატომ ვერც ერთი წერილი ვერ მივიღე ცოლისაგან?

გომელაური. ასეთ საქმეზე სტალინს როგორ უნდა მივწეროთ? მას ძალიან ბევრი საზრუნავი აქვს.

შაიამეტოვი. მაშინ ამხანაგ მოლოტოვს მივწეროთ.

ოსტაპენკო. შენ გგონია მოლოტოვს ცოტა საზრუნავი აქვს? მას ომდენი საქმე აქვს სხვა სახელმწიფოებთან, რომ ვერც კი ასდის. მარტო შეგობარი რამდენი გვყავს ახლა ჩვენ — ინგლისი, ამერიკა, პოლონეთი, არა ნაკლებ ოცი სახელმწიფოსი. მარტო მეგობრებთან საქმის მოგვარება რად ღირს. ყველასთან ხელშეკრულება უნდა დაიდოს. ხელშეკრულება კი დიდ სიფხიზლეს მოითხოვს. აბა, სცადე და შეაგნებინე მათ, რომ ბალე შეუტიონ ჰიტლერს. ბლექი გაგიჩნდეს, ფაქტია.

შაიამეტოვი. მაშ ვის მივსწეროთ?

გომელაური. კალინინს.

ოსტაპენკო. არ შეიძლება, კალინინი ავად არის. ორდენებისაგან ავად გახდა.

შაიამეტოვი. რატომ?

ოსტაპენკო. მოსკოვიდან ხმა გავრცელდა: ყოველდღე ორას-სამასი კაცის დაჯილდოება უხდება, სიხარულისაგან ყველა მაგრა ართმევს ხელს, აი სწორედ ამის გამო გახდა ავად. ხელი გაუსივდა. ძალზე ძნელი საქმეა.

შაიამეტოვი. ვისღა მივსწეროთ?

გომელაური. მოდი, კოლექტიურად მივსწეროთ ფოსტის უფროსს. ახე მივსწეროთ: ძმაო, სად იყურები? შენ ბიუროკრატები გისხედან მანდ. გთხოვთ...

ოსტაპენკო. არა. მაგრე არა. გულში რომ მოხვდეს, როგორც საჭიროა, პირველად მაგრა შევუკურთხოთ, შემდეგ დავუსაბუთოთ და კიდევ შევუკურთხოთ. წერილის ბოლო ასეთი იქნება: გადაეცი შენს ბიუროკრატებს, რომ სანგრებში ჩვენი დღე ისეთივეა, როგორც თქვენი... სალამს გიძღვნით, ბიუროკრატებო, გვაკოცეთ უადგილო ადგილას... ისე, რომ კულტურულიც იყოს და გასაგებიც.

(ყველანი ხარხარებენ. ორი მებრძოლი მავთულს ეწევა, გაჰყავთ ტელეფონი სანგარში).

ბაშლიკოვი. ბიჭებო, ლეიტენანტი აქ იქნება?

პირველი მებრძოლი. დიაღ.

ბაშლიკოვი. ბატარია კი იქვე დარჩება?

მეორე მებრძოლი. უბრძანა ღია პოზიციაზე გამოაგორონ. აი გამოაქვთ.

ოსტაპენკო. ის ისეთი კაცია, არ უყვარს მოფარებული ადგილი. ყამზარეულო არ შეგხვედრია?

პირველი მებრძოლი. არა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

ბაშლიკოვი. როგორ? დიდი ხანია?

პირველი მებრძოლი. აი ახლა. მხოლოდ ჩვენ დაგვტოვეს.

გომელაური. საით გაემართნენ?

მეორე მებრძოლი. აი იქით. (უჩვენებს).

ბაშლიკოვი. გამოდის, უკან მიდიან.

პირველი მებრძოლი. ოჰო, ჩვენ კი დაგვტოვეს. ძმებო, ეტყობა, ჩვენ ყველანი უნდა დავიხოცნეთ. დაგვტოვეს აქ სასიკვდილოდ.

ოსტაპენკო. გომელაურო, სთხლიშე ერთი მაგას სახეში.

გომელაური. უმჯობესია შენ სთხლიშე. შენ ხელი უფრო მძიმე გაქვს.

ოსტაპენკო. სმენა!

პირველი მებრძოლი. რა გინდა?

(ოსტაპენკომ ერთი ხელი მებრძოლს საყელოში ჩაავლო, მეორეთი სილა გააწნა. შემოდის ლეიტენანტი სერგეი გორლოვი).

სერგეი. რა ამბავია ეს?

პირველი მებრძოლი. აი ამან შემომკრა.

გომელაური. ლაჩარია ეგ, ამბობს: დაგვტოვეს სასიკვდილოდო.

სერგეი. ცემა არ შეიძლება. აუხსენი, გააგებინე. (მებრძოლს) რა გვარი ხარ?

პირველი მებრძოლი. პეჩონკა, სტეფანე.

ოსტაპენკო. ბოდიში, ამხანაგო მეთაურო. წამოდი, მეგობარო, ყველაფერს აგიხსნი. წამოდი. (ოსტაპენკო და პეჩონკა გადიან).

სერგეი. (ტელეფონს აიღებს). ჩეკალენკო... ჩეკალენკო, როგორ არის საქმე? თოვლი გენანება? აქედან ვხედავ შავ წერტილს. (ეძახის სხვას). პეტროვ... პეტროვ, მარცხნივ ბორცვია, ხედავ, სადაც ხე არის. ო-და ძალიან კარგი... ჰო, ჰო, შეიძლება. (დასდებს მილს).

(შორიდან მოისმის პეჩონკის ხმა: „გასაგებია, აი, აი... გასაგებია, აი, აი“).

რა ამბავია იქ? რას აკეთებს?

გომელაური. ოსტაპენკო მიმდინარე მომენტს უხსნის. თქვენ ნუ სწუხართ, ამხანაგო მეთაურო. (შემოდის ოსტაპენკო, შემდეგ პეჩონკა).

ოსტაპენკო. ამხანაგო მეთაურო, გულდაგულ მოვილაპარაკეთ, ასე რომ ახლა მაგას ყველაფერი კარგად ესმის. კარგი ბიჭია. მაშინ უბრალოდ შეცდომა მოუვიდა.

სერგეი. აბა მითხარი, რატომ დაგვტოვეს აქ?

პეჩონკა. თუ ფაშისტები გამოჩნდებიან, უნდა გავანადგურონ გვარდიულად.

ოსტაპენკო. აი ხედავთ, ყოჩაღია.

სერგეი. იქნებ იმიტომ დაგვტოვეს, რომ დავიღუპოთ?

პეჩონკა. არამც და არამც. ის, ვინც იბრძვის, არ შეიძლება დაიღუპოს.

ოსტაპენკო. ხომ ხედავთ... მაგისგან ისეთი გვარდიელი დადგება, რომ...

სერგეი. ვნახოთ. თავისუფლად. (აიღებს ტელეფონის მილს). ჩეკალენკო... ჩეკალენკო, ცოტა კიდევ მიაყარეთ თოვლი... ჰო, ჰო...

(პეჩონკა დაჯდება. მასთან ოსტაპენკო მივა, ქისას ამოიღებს).

ოსტაპენკო. მოწიე, პეჩონკა. აიღე. (პეჩონკა გამოართმევს). პირველად არის ცოტა საშიში, შემდეგ კი არაფერია. იქნებ გშიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეჩონკა. მშიან.

ოსტაპენკო. აჰა, (აძლევს შეხვეულს) აქ ერთი ნაჭერი ძეხვია. შენ, ძმაო, ჩემგან ნურაფერი გეწყინება, შენს წინააღმდეგ მე არაფერი არა მაქვს. ყოველივე ეს იდეისათვის იყო, მიხვდი? მეცნიერებისათვის. მამაჩემი უფრო მაგრა მცემდა. ახლა მადლობელი ვარ მისი.

პეჩონკა. შენა, შენ კი არა ჯავრობ ჩემზე?

ოსტაპენკო. რაკი შეცდომა აღიარე, აღარ ვჯავრობ.

პეჩონკა. მომეცი ხელი.

ოსტაპენკო. (ართმევს ხელს). ახლა მეც დავმშვიდდი. ნუ თუ ფიქრობ, რომ მე არა ვწუხვარ, როცა არ ვიცი, ვინ არის ჩემს გვერდით ბრძოლაში, მეგობარი თუ არამზადა, რომელიც სარმას გამომკრავს... აქ, ძმაო, ყოველთვის ვარაუდი უნდა გქონდეს... შენ ახალგაზრდა ხარ. დაიხსომე ეს და თვალი ერთი წუთითაც არ მოხუჭო. მიხვდი?

პეჩონკა. მივხვდი.

სერგეი. (იცქირება დურბინდში). გადაეცი ბატარიას: ვხედავ მარჯვნივ, წისქვილთან, მტრის ტანკებს. არ ესროლოთ ბრძანებამდე.

მეორე მებრძოლი. არის. (აიღებს ტელეფონს, გადასცემს. ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დგებიან).

სერგეი. აბა, მოციქულებო, შემთხვევა გეძლევათ სასწაული მოახდინოთ. ოსტაპენკო!

ოსტაპენკო. არის, ოსტაპენკო.

სერგეი. გაიწიეთ მარცხნივ, გზისკენ. ხოხვით გასწით ტელეგრაფის ბოძისკენ.

ოსტაპენკო. არის, გავიწიოთ ტელეგრაფის ბოძისკენ. გომელაურო, წინ! (მიხოხავენ).

სერგეი. (იცქირება დურბინდში). გადაეცი ტყვიამფრქვეველთა ოცეულს, რომ ტანკებზე დესანტია.

მეორე მებრძოლი. არის. ტყვიამფრქვეველთა ოცეულს — ტანკებზე დესანტია. (გადასცემს).

სერგეი. მაგრე. ოჰო. (უთვალთვალებს).

ბაშლიკოვი. ბევრნი არიან?

სერგეი. საკმარისად არიან.

შაიამეტოვი. ახლა მეც ვხედავ. ერთი, ორი, სამი...

ბაშლიკოვი. რამდენია?

შაიამეტოვი. (ითვლის). ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი...

სერგეი. ბაშლიკოვ!

ბაშლიკოვი. არის, ბაშლიკოვი!

სერგეი. პირდაპირ, წინ, ასი მეტრით, სწრაფად, ხოხვით.

ბაშლიკოვი. არის. შაიამეტოვ, წინ. (გახოხდებიან).

(პეჩონკა ყუმბარებს ამზადებს, მახლობლად იწყობს. სულ იღებს და იღებს ტომრიდან გრანატებს).

სერგეი. აი ეს სწორია. (იცინის). შენ მთელი საწყობი დაგაქვს თან.

პეჩონკა. ყოველ შემთხვევისათვის, ამხანაგო მეთაურო.

სერგეი. ფხიზლად გეჭიროს თვალი, პეჩონკა, არა მარტო წინ, ირგვლივ.

პეჩონკა. არის, ამხანაგო მეთაურო. უკვე ვხედავ: ჩვენსკენ ვიღაც მოხოხავს.

სერგეი. ეს სანიტარი ქალია. ჩქარა, მომეცი. (კვლავ ბინოკლებს ლურბინდში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სანგარში შემოხოხდება სანიტარი ქალი მარხილითურთ).

პეჩონკა. მოდი, დაო, მოდი... მარხილს მოათრევს. აი მოხვედი.

სანიტარი ქალი. უჰ, როგორ ცხელა.

სერგეი. მარუსია, რატომ მოხოხდი აქ? ბატარიაზე ვინ არის?

მარუსია. კატია არის, მე აქ ვიქნები. იქნებ რა მოხდეს.

სერგეი. (აიღებს მილს). პეტრენკო... მზად გეჭიროს საშრაპნელო, მეავტომატეები ტანკებზე არიან. (ოდნავ ისმის მოტორების გუგუნი).

მარუსია. ბევრნი არიან?

პეჩონკა. ნუ გეშინია, დაო, გავანადგურებთ.

მარუსია. თვითონაც კარგად ვიცი. ამხანაგი გვარდიის ლეიტენანტი გორლოვი ყოველთვის იმარჯვებს. მაგას ისეთი მემიზნეები ჰყვანან... შენ ვასია სოკოლს იცნობ?

პეჩონკა. როგორია?

მარუსია. ასეთია... ლურჯი თვალები აქვს, ლურჯი. შავი წარბები, როგორც ფრთები. ოჰ, მთელს გვარდიაში არავინ არის ისეთი... კატია ახლა, ალბათ, ეკურკურება. მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს. ქერაა კატია, სახეზე ჭორფლი აყრია. ერთად ვმსახურობდით. მე შიკრიკი ვიყავი, ის კი დამლაგებელი. ფრონტზე ერთად მოვედით. გინახავს კატია?

პეჩონკა. ჩუმად. უკვე გვიახლოვდებიან.

მარუსია. ერთი შენც, ჯანდაბისკენ გზა ჰქონიათ, ჯერ კიდევ შორსარიან. ვასიამ მითხრა დღეს: მარუსია, თუნდაც ასი ტანკი მოვიდეს, ყველას დავამსხვრევო. მე ვაკოცე, მან კი მიპასუხა: ახლა ათასი ტანკისაც აღარ მეშინიაო, — აი მამაცია, ძალზე მამაცი. კატია არ გინახავს? არაფერიც არ დაგიკარგავს. ვასიამ გუშინ კატიას შესახებ მითხრა... იცი, მარუსია, კატია, რასაკვირველია, მიმზიდველი არ არის, მაგრამ ძალიან ლამაზ წერილებს სწერსო. მე ვუპასუხე: მერე რა ვუყოთ, ვასია, ალბათ, მას სანმუშო წერილების წიგნაკი აქვს-მეთქი... (სულ ახლოს ისმის მოტორების ხმაური).

სერგეი. (ტელეფონში). ბატარიამ პირდაპირი დამიზნებით სწრაფად დაუშინოს ტანკებს.

მარუსია. უჰ, წუპაკები, მოძვრებიან. ვასია, დასცხე. (ისმის ბათქი, შემდეგ ხშირი სროლის ხმა). შეხედე, იწვის. ერთი, მეორე, მესამე. ეს ვასია სოკოლის ნამოქმედარია. ის არის, ის. (შებრუნდა, კოცნას უგზავნის. ორივე მხრიდან ისვრიან ტყვიამფრქვევები).

სერგეი. (ტელეფონში). უფრო ძლიერი ცეცხლი, უფრო ძლიერი. არ შეანელოთ, ბიჭებო. ჩეკალენკო, მესამე შრაპნელით. (ახლოს ისმის ტანკის გუგუნი).

პეჩონკა. ამხანაგო მეთაურო, ტანკები ჩვენზე მოდიან.

სერგეი. ადგილებზე! (ტელეფონში). მესამე შრაპნელით. მარდად.

პეჩონკა. გაჩერდა. იწვის. მეორეც გაჩერდა...

სერგეი. ყოჩაღ, ოსტაპენკო. (ისმის ხმა: სანიტარი... სანიტარი...).

მარუსია. არის, ძმაო. (გახოხდება მარხილითურთ. მეორე ხმა: სანიტარი.., სანიტარი...).

პეჩონკა. ცხრა ტანკი დაამსხვრიეს.

სერგეი. თერთმეტი. (ისმის ნაღმის ზუზუნი). მარუსია, დაწექი ქვაბლობლად აფეთქდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეჩონკა. ოჰ, მოჰკლეს მარუსია.

სერგეი. (იცქირება). არა, მიხოხავს. (ისმის მეორე ხმა: სანიტარი... სანიტარი...).

პეჩონკა. მარცხნივ ათი ტანკია.

სერგეი. (ტელეფონში). მარჯვნივ გზიდან ათი ტანკი მოდის, ზურგიდან გვივლიან. ჩეკალენკო, ცეცხლი იმათ. მარდად. (სროლა გახშირდება).

პეჩონკა. უკან ბრუნდებიან, იხევენ, გარბიან.

სერგეი. ახლავე ისევ დაბრუნდებიან. (ტელეფონში). ჩეკალენკო, რა ხდება მანდ? ჰა? მოემზადე, ახლა ზურგიდან შემოსავლელად წამოვლენ. შემოაბრუნე ეხლავე... მე მაგრა ვარ დაცული. აქეთ არ ისროლო. მხოლოდ თვალყური ადევნე ტყვიამფრქვეველთა ოცეულს. მარდად იმოქმედეთ... მაგრე... (შემოხოხდება მარუსია).

მარუსია. ამხანაგო მეთაურო, უმცროსი სერჟანტი შაიამეტოვი და უფროსი სერჟანტი ოსტაპენკო დაიღუპნენ. აი მათი დოკუმენტები. (აძლევს).

(სერგეი აიღებს წიგნაკებს, გაშლის, ერთ-ერთი წიგნაკიდან ქაღალდის ნაგლეჯი გადმოვარდება. პეჩონკა აიღებს).

პეჩონკა. (კითხულობს). „გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით და მიმიღოთ ლენინ-სტალინის პარტიაში. თუ მომკლავენ, უეჭველად კომუნისტად ჩამთვალეთ. სიკვდილი ფაშისტებს. გვარდიის უფროსი სერჟანტი ოსტაპენკო“. (პაუზა). მეგობარო... მეგობარო, რა მოგვიდა, რა?.. (იწმენდს ცრემლებს). ასე ერთბაშად უკვე ცოცხალი აღარა ხარ...

სერგეი. ნუ სტირი, ძმაო. მაგისთანეებს არ დასტირიან... (მოტორების ხმაური ახლოვდება).

პეჩონკა. (იცქირება იქითკენ). მე თქვენ გიჩვენებთ! მოდით, მოდით, უფრო ახლოს. (აიღებს ყუმბარას).

სერგეი. (აიღებს მილს). მარცხნივ გზიდან ოცდახუთი ტანკია, მარჯვნივ— ოცდათერთმეტი. გზაზე — ათი. ესროლეთ მხოლოდ მარჯვნივ და მარცხნივ, ბრძანებას ნუ დაელოდებით. მოციქულებო, შემთხვევა გეძლევათ მოახდინოთ სასწაულები. სამშობლოსათვის, არწივებო! გადაეცით ყველას. (დასდებს მილს). პეჩონკა, აიღე ყუმბარები, გახოხდი აი იქ, გომელაურთან. მარდად. სწრაფად.

პეჩონკა. (იცქირება იქითკენ). მე თქვენ გიჩვენებთ! მოდით, მოდით უფ-

სერგეი. (ამოიღებს ყუმბარებს). იჯექი აქ, მარუსია. (მეორე მებრძოლს). ყუმბარები გაქვს?

მეორე მებრძოლი. (უჩვენებს). მაქვს, ამხანაგო მეთაურო!

სერგეი. მე ბაშლიკოვთან მივდივარ. მედგრად, ბიჭებო. (გახოხდება).

მარუსია. ოჰ, საზიზღრები... გიჩვენებენ სეირს. გაიგონე, მეთაურმა რა სთქვა? სამშობლოსათვის, არწივებო. მას ყველაზე მეტად ვახია სოკოლი ჰყავდა მხედველობაში.

მეორე მებრძოლი. რომელი ვახია?

მარუსია. ჰო, შენ ახლად მოსული ხარ, არ იცი. გიამბობ. ვასიას ლურჯი თვალები აქვს, აი ასეთი. წარბები ჩიტის ფრთებივით. პირველი მეზობელია მთელ გვარდიაში. არწივია. ნამდვილი არწივია. ერთბაშად ყველა ამჩნევს. (მოტორების ხმაური ძლიერდება, სროლაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მებრძოლი. გაიხედე აი იქ, სადაც მეთაურია...

მარუსია. ალყას არტყამენ... (დაიყვირებს). ბაშლიკოვ! ბაშლიკოვ! ოჰ, ერთი გაჩერდა. აი ერთი კიდევ მიდის მათზე. გაიქეცი, მიეშველე ხელყუმბარებით. მეთაურს ალყას არტყამენ. გაიქეცი.

მეორე მებრძოლი. არ შემიძლია, დავიღუპენით.

მარუსია. წუბაკო, მომეცი ხელყუმბარები. (გამოგლეჯს ხელყუმბარებს). უთხარი ვასიას ტელეფონით...

(გაიქცევა ხელყუმბარიანად. მებრძოლი თვალს გააყოლებს. თავზე ხელებს წაივლებს და სანგრის ფსკერზე ჩაცუცქდება. ხმაური ძლიერდება. კაკანებენ ტყვიამფრქვევები. შორიდან ისმის მარუსიას ხმა: „ვასია... ვასია...“ აფეთქება. ერთი, მეორე).

(მეორე მოქმედების დასასრული)

მოქმედება მესამე

სურათი მეხუთე

ღილაა. ფრონტის სარდლის კაბინეთი. შემოდის ადუტანტი, მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინს ჩამოდგამს. ამოიღებს ფანქრებს, წვერებს უთლის. ღია კარებიდან მოსჩანს სპეციალური კორესპონდენტი კრიკუნი.

კრიკუნი. (მოდის კარებთან). როგორ ფიქრობთ, სარდალი მალე იქნება?

ადუტანტი. ვერ გეტყვით. მთელ ღამეს კავშირგაბმულობის კვანძში დაჰყო, იქიდან ბინაზე წავა. ძილი ხომ უნდა.

კრიკუნი. იქნებ აქ შემოიაროს?

ადუტანტი. შეიძლება. დაუცადეთ.

კრიკუნი. რა სამწუხაროა. ნახევარი საათის შემდეგ მოსკოვი მყავს გამოძახებული ტელეფონზე. უნდა გადავსცე სტატია სარდლის შვილის გმირული დაღუპვის შესახებ.

ადუტანტი. მერე, გადაეცით.

კრიკუნი. საქმე ის არის, რომ მე სტატიას ასე ვამთავრებ. დამიგდეთ ყური. (ამოიღებს, კითხულობს): „იგი, ეს შესანიშნავი ჭაბუკი, თავისი მამის ღირსეული შვილი, დაიღუპა ჩემს თვალწინ. არტილერიის ქუხილში გავიგონე მისი მედგარი სიტყვები: გადაეცით მამას, რომ მე მშვიდად ვკვდები, ვიცი, იგი ჩემთვის შურს იძიებს სისხლისმსმელ ქვეწარმავლებზე“. გესმით, კარგი იქნება ახლა აქ რამდენიმე სტრიქონი დაერთოს მამის შესახებ. მე ტექსტიც დავამზადე. (კითხულობს): „მოხუცი გენერალი დიდხანს იჯდა თავდახრილი, როდესაც შვილის სიკვდილი გაიგო, შემდეგ თავი ასწია, მის თვალებში ცრემლი არ იყო. არა, ცრემლი არ დამინახავს. გენერლის თვალები ელავდნენ შურისძიების უწმინდესი ცეცხლით. მან მტკიცედ წარმოსთქვა: „იძინე, ჩემო ბავშვო, მშვიდად,

ჯავრი ნუ გექნება. მე შურს ვიძიებ. ვფიცავ ძველი ჯარისკაცის პატიოსნებას!“ გესმით, რომ შევსძლო ამის მიმატება, რა სტატია იქნებოდა. ეს ყველა გაზეთის მშრალზე დატოვება იქნებოდა. რა უნდა ვქნა? სადაც არის მოსკოვს უნდა დაველაპარაკო. როგორ ფიქრობთ, ტელეფონი რომ ტელეფონით შევუთანხმო?

ადუტანტი. მერე ტელეფონით როგორ დაინახავთ მთავარსარდლის თვალებს? თვალები ისე აგიწერიათ...

კრიკუნი. ჩემო კარგო, მე რომ იმაზე ვწერდე, რაც თვალით მინახავს, მაშინ ყოველდღე წერას ვერ მოვახერხებდი. მაშინ ასეთი პოპულარული ალარ ვიქნებოდი. რედაქცია ყოველდღე მოითხოვს მასალას. მკითხველი შემეჩვია. კრიკუნის სტატიის გარეშე გაზეთი ვერ გამოვა. ყველა გაზეთი შურით უყურებს ჩვენს გაზეთს. ყოველთვის ეუბნებიან ჩემს რედაქტორს: ძალიან ბედნიერი ხართ, მარტო თქვენს ერთ კრიკუნში ჩვენ გავცვლიდით ყველა ჩვენს კორესპონდენტსო.

ადუტანტი. დიალ, ბევრს სწერთ. მუდამ ვკითხულობ. ძალიან ცოცხლად გამოგდით.

კრიკუნი. რა ვქნა? როგორ დავურეკო სარდალს?

ადუტანტი. იქ დარეკვა არ შეიძლება.

კრიკუნი. (დახედავს საათს). უკვე მიგვიანდება. გადავცემ ასე. ვფიქრობ, მთავარსარდალი პროტესტს არ განაცხადებს. თქვენ როგორ ფიქრობთ? დაწერილი ხომ ჩინებულად არის?

ადუტანტი. არა უშავს-რა.

კრიკუნი. გავრბივარ გადასაცემად. მშვიდობით, მშვიდობით. (გავიდა).

(შემოდიან შტაბის უფროსი ბლაგონრავოვი და უდივიტელნი).

ბლაგონრავოვი. არ მოვიდა?

ადუტანტი. არა.

ბლაგონრავოვი. დარეკა, რომ აქ მოდის. (დაჯდება. ადუტანტი გადის).

უდივიტელნი. თვითონ დაფიქრდით, ვინ მოელოდა, რომ სატანკო კორპუსს დავკარგავდით? დაზვერვის ცნობები ხომ იმას მოწმობდნენ, რომ...

ბლაგონრავოვი. ნუ ლაპარაკობთ ერთი. რა ცნობები? ჩვენ არასოდეს არა გვქონია სერიოზული ცნობები. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამაშია.

უდივიტელნი. თქვენის აზრით გამოდის, რომ ჩვენ საერთოდ დაზვერვა არა გვაქვს.

ბლაგონრავოვი. თუ სიმართლე გნებავთ, ჩვენს ფრონტზე იგი არ არსებობს. მოწინავე ნაწილები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც მტრის პირველ გორაკამდე ხდება, რა ამბავია გორაკს იქით, ამის შესახებ უფრო ხშირად მკითხაობენ. ავიაცია რომ არ იყოს, სრულიად არაფერი გვეცოდინებოდა, მაგრამ ავიადაზვერვას ყველაფრის გაკეთება არ შეუძლიან, თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ავიადაზვერვის ცნობებს შემოწმება ესაჭიროება.

უდივიტელნი. მე თქვენ არ გეთანხმებით. გაკვირვებულიცა ვარ. ცნობებს, რომლებსაც მე ყოველ დღე გიმზადებთ...

ბლაგონრავოვი. (გააწყვეტინებს). გადავწყვიტე არ წავიკითხო. კმარა! საჭიროა მივიღოთ მეტად სერიოზული ზომები. თორემ მე და თქვენ გაგვასამართლებენ. ნამდვილი დაზვერვა წარმატების ორმოცდაათ პრო-

ცენტს უდრის, ზოგჯერ ასსაც. ამას მხოლოდ ბრმა ვერა ხედავს. ჩვენ ხომ ბრმები ვართ. სამარცხვინოა.

უდივიტელნი. საოცარია. გამოდის, რომ ჩვენ...

ბლაგონრავოვი. დიაღ, დიაღ. სულელები ვართ. მგონია, რომ თქვენთან ვმუშაობ, თქვენ კი — თვით ბუნებით ხართ ასეთი საოცარი...

უდივიტელნი. ამხანაგო შტაბის უფროსო, სარდალი სხვა აზრისაა ჩემი მუშაობის შესახებ. ის მრავალი წელიწადია მიცნობს. პროტესტს ვაცხადებ. ბოლოს და ბოლოს მე ორდენოსანი ვარ...

ბლაგონრავოვი. მე არ ვიცი, რას ფიქრობს თქვენზე სარდალი. ის-კი, რომ თქვენ ორდენოსანი ხართ, უბრალო გაუგებრობაა.

უდივიტელნი. ოჰო, თქვენის აზრით გამოდის, რომ მთავრობა შესცდა, როცა მე დამაჯილდოვა.

ბლაგონრავოვი. დიაღ, დიაღ, შესცდა, ამასთან ორჯერ. პირველად მაშინ, როცა თქვენ დაგაჯილდოვათ, მეორედ მაშინ, როცა ჩვენი მუშაობისათვის არც მე და არც თქვენ აქამდე ორდენები არ ჩამოგვართვეს, ჩვენდა სამარცხვინოდ, გაზეთში გამოქვეყნებით. (გადის).

უდივიტელნი. (ამოიღებს წიგნაკს, იწერს). მთავრობა სცდება. მთავრობა ორჯერ შესცდა... დაზვერვა არ გვივარგა. რა სთქვა კიდევ? ჰო. (პაუზა). მე სულელი მიწოდა. ცხადია. ასეთი განწყობილებანი ცნობილია. აშკარად პროოჟენცულია. დამაცადე. გაიგებ, როგორი მზვერავი ვარ. (იღებს ტელეფონის მილს). მომეცით ივანოვი. ივანოვ, უდივიტელნი ვარ. როდისა გაქვს პარტბიუროს სხდომა? დღეს? ძალიან კარგი. პატარა საკითხი მაქვს. საჭიროა ერთი საქმის გარჩევა. გამიგონე, ხომ არ გახსოვს, ანკეტის მიხედვით, რანაირი ოჯახიდან არის ბლაგონრავოვი? წარმოშობა? ოჰო. მთავრის შვილია. ცხადია... ისე... კარგი. ვიქნები. (დასდებს მილს. შემოდის სარდალი).

უდივიტელნი. გამარჯობა, ამხანაგო სარდალო.

გორლოვი. გაგიმარჯოს. ფუი, თავი მისკდება. მთელ ღამეს არ მიძინია.

უდივიტელნი. როგორ შეიძლება, ივან ივანიჩ. თქვენი ჯანმრთელობა ხომ ძვირფასია მთელი ქვეყნისათვის.

გორლოვი. არაფერია. რა გაქვს ახალი?

უდივიტელნი. აი ეს. (გადასცემს ქაღალდს).

გორლოვი. კარგი, მერე წავიკითხავ.

უდივიტელნი. ივან ივანიჩ, ცუდი განწყობილებები აქვს ბლაგონრავოვს.

გორლოვი. რა მოხდა?

უდივიტელნი. ყველათი და ყველაფრით უკმაყოფილოა. პროტესტული სუნი ასდის. ამბობს...

გორლოვი. (გააწყვეტინებს). თავი დაანებე. ხომ იცი, რა ხალხია. სარდალი საქმეს გააკეთებს, ეგენი მაშინვე მიეტმასნებიან მის სახელს. გაბღინძულები დადიან და ორდენებს იღებენ. ხოლო თუ საქმე ოდნავ ცუდად წავიდა, ბუჩქებში ძვრებიან, პასუხისმგებლობას გაურბიან. კარგად ვიცნობ მაგათ. სულ-კი იმისაგან არის, კოჟრები არ ჰქონიათ ხელებზე, საიდან ექნებათ გამოწრთობილი.

უდივიტელნი. ჰეშმარიტებაა, ხალასი ჰეშმარიტება. აი მე, მაგალითად. მართალია, ქარხანაში დიდხანს არ მიმუშავნია, სულ სამი წელიწადი და ორი კვირა დავყავი იქ, მაგრამ თვითონაც არ მესმის, როგორ შემრჩა

მთელ სიცოცხლეში პროლეტარული სული და გული. ზოგს კულტურაც აქვს, უნივერსიტეტიც დაუმთავრებია, მაგრამ თუ დაუკვირდები, დაინახავ, რომ ის არ არის, რაც უნდა იყოს, ნამდვილად არ [illegible]

გორლოვი. ცხადია. კულტურა ზევიდან აცხია, შიგნით-კი [illegible] კარებია. ამიტომ სულ სხვა გამოდის.

(შემოდის შტაბის უფროსი. უდივიტელნი გადის).

ბლაგონრავოვი. წაიკითხეთ. (ქაღალდს გადასცემს). თუ არ შეასწორებთ, ახლავე გადავცემ დასაშიფრავად. მოსკოვიდან მეორედ დარეკეს. მოითხოვენ დაწვრილებითს ცნობებს.

გორლოვი. (კითხულობს). კარგი. დიაღ, დიაღ. ეს-კი არა. (აღნიშნავს ფანქრით).

ბლაგონრავოვი. (იცქირება). რატომ?

გორლოვი. შენ რა, ციდან ჩამოვარდი თუ? სატანკო კორპუსის მეთაურად ვინა გვყავს? დონდლო, სულელი. ამიტომაც მოსცხეს ისე მაგრა. ამის შესახებ პატიოსნად უნდა დაიწეროს.

ბლაგონრავოვი. მე მაინც ვფიქრობ...

გორლოვი. (გააწყვეტინებს). ახლა ის არ მაინტერესებს, რას ფიქრობ შენ. იქნება ისე, როგორც მე მსურს. (განაგრძობს კითხვას). ოო... ეს რაღა აღმოჩენაა? როგორ არის, რომ ოგნევს შენ ასე ერთბაშად ალექსანდრე მაკედონელობას ანიჭებ, ხოლო ძველ ტყაპუჭს კოლოსს—სუვოროვობას?

ბლაგონრავოვი. მანდ მაგგვარი არაფერია. მაგრამ ოპერაცია მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს. კოლოკოლი აიღეს.

გორლოვი. ვინ მათ? ჩვენ სადღა ვართ? ვისი ბრძანებით მოქმედებდნენ ისინი?

ბლაგონრავოვი. სწორედ ისინი მოქმედებდნენ თქვენი უკანასკნელი გეგმის წინააღმდეგ საკუთარი გეგმის მიხედვით, ამაზე მათ მოსკოვიდან მიიღეს დასტური.

გორლოვი. მაგისათვის-კი მათ პასუხსაც მოვთხოვ. სწორედ მაგიტომ გამოვიწვიე ისინი. ფრონტის სარდლობის დაჩრდილვის ნებას მე არავის არ მივცემ. არც საჭიროა ახალგაზრდობის გათავხედება. ოგნევი ისედაც მეტიჩარაა. ასეთი რამეებით კი სულ გაფუჭდება. არა. (გადახაზავს). კეთილი ინებე და გადააკეთე, ერთი საათის შემდეგ მომიტანე.

ბლაგონრავოვი. ამხანაგო მთავარსარდალო, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე თქვენთან მუშაობა აღარ შემიძლია. (აღელვებული). გთხოვთ მომხსნათ. გადავწყვიტე ეს იმიტომ...

გორლოვი. (გააწყვეტინებს). მოიცა, მოიცა. გემი ჯერ არ იძირება და არც აპირებს ჩაძირვას. შენ კი ვირთაგვასავით გარბიხარ. არა გამოვა-რა, ძმობილო. მე ჯერ ტანთ გაგხდი, მერე ტყავს გაგაძრობ, შემდეგ შეიძლება გაგაგდო კიდევაც.

ბლაგონრავოვი. ამხანაგო მთავარსარდალო.

გორლოვი. კმარა! მორჩა! წადი და შეასრულე ბრძანება!

ბლაგონრავოვი. მე... მე... მე არ შემიძლია.

გორლოვი. ნუ ბლუკუნებ, თორემ მთელ სიცოცხლეში დაგჩემდება ბლუკუნი. ხომ იცი ჩემი ხასიათი. ფსიქოლოგიებისა არაფერი მესმის. (ბლაგონრავოვი გადის. შემოდის ადუტანტი).

ადუტანტი. გენერალ-მაიორი ოგნევი და გენერალ-მაიორი კოლესი მოვიდნენ თქვენი ბრძანებისამებრ.

გორლოვი. ისხდნენ იქ და მელოდნონ.

ადუტანტი. არის. (გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორლოვი. (აიღებს ტელეფონის მილს). მომეცით ხრიპუნი. ხრიპუნი ხარ? აი რა. მოდი ახლავე ჩემთან, ერთად ვისაუზმოთ... კონიაკი? წამოიმძღვარე. (დასდებს მილს. შემოდის მირონ გორლოვი).

მირონი. გამარჯობა, ივან. შენ რა, მთელი ღამე გაათენე კავშირგაბმულობის კვანძში?

გორლოვი. ჰო. მიდიხარ?

მირონი. თვითმფრინავი მზად არის. ამჟამად აეროდრომზე მივდივარ. ამინდს ვეღარ დავუცდი. რაც მოხდება, მოხდეს.

გორლოვი. დღეს ამინდი თითქოს უკეთესია.

მირონი. როგორმე მივაღწევ. არ მეგონა, თუ ასეთი სამწუხარო გამგზავრება მომელოდა.

გორლოვი. დიაღ, სერგეი მიყვარდა. (დიდი პაუზა).

მირონი. როგორი მზიური ყო. ვერ წარმომიდგენია. ძნელი მისახვედრია...

გორლოვი. რას იზამ, ომი ომია.

მირონი. მესმის, ივან, რა მძიმე ნაღველი გაწევს... არ ვიცი, მალე შევხვდებით თუ არა ერთმანეთს, შეიძლება... ამიტომ გადავწყვიტე, გამოთხოვებისას... გთხოვ მაპატიო, მინდა გითხრა რამდენიმე მწარე, მაგრამ მართალი სიტყვა. მოვალე ვარ ასე მოვიქცე.

გორლოვი. მითხარი, მითხარი.

მირონი. იცი, ძმაო, არ უნდა ვატყუებდეთ თავს და სახელმწიფოს. შენ არ გესმის და არც შეგიძლიან ფრონტის სარდლობა. არ ძალგიძს. ის დრო აღარ არის. სამოქალაქო ომში თითქმის უარტილერიოდ იბრძოდი, არც მტერს გააჩნდა იგი უხვად, იბრძოდი უავიაციოდ, უტანკოდ, ტექნიკა სერიოზული არ იყო, ისეთი, როგორიც დღეს არის. უნდა იცოდე ეს ტექნიკა, იცოდე ისე, როგორც საკუთარი ხუთი თითი. შენ კი ახალი ტექნიკა ნაკლებად იცი ან სრულიად არ იცი. გადადექი თვითონ შენ. შეიგნე ეს. ჩვენ ფრონტისათვის დღე და ღამე ვამზადებთ მანქანებს, საუკეთესო მანქანებს მთელ მსოფლიოში. რისთვის მერე? იმისთვის, რომ შენი უვიცობის, შენი ჩამორჩენილობის მეოხებით ამ მანქანების თითქმის ნახევარზე მეტი იღუპებოდეს? რა უნდა ვუთხრა მუშებს, როცა ქარხანაში დავბრუნდები? რა უნდა ვუთხრა ინჟენერებს? ისინი ხომ ომის პირველი დღეებიდანვე არ გამოდიან საამქროებიდან. გმირები არიან, ისეთივე გმირები, როგორც მოწინავე პოზიციების მებრძოლნი. ვერ დავუმალავ, რომ მათ უძვირფასეს შრომასა და ღვაწლს, ჩვენს მდიდარ ტექნიკას იყენებ ფრონტზე არა ოსტატურად და არა საქმის ცოდნით. შეიგნე, ივან, სანამ გვიან არ არის. თორემ მოგხსნიან.

გორლოვი. (გააწყვეტინებს). მოიცა. (თითს დააჭერს ზარის ფოლაქს. შემოდის ადუტანტი).

ადუტანტი. გისმენთ, ამხანაგო სარდალო.

გორლოვი. ეს მოქალაქე ახლავე მიდის აეროდრომზე. გააცილე მანქანამდე.

ადუტანტი. მესმის, ამხანაგო სარდალო. (მირონს). გთხოვთ.

(დიდი პაუზა).

მირონი. ჩემზე ნუ სწუხდებით. ჩემი გზა მე კარგად ვიცი. თქვენ სარდალთან დარჩით. მე ვფიქრობ, რომ მალე თვით მისი გაცილება მოგიხდებათ. (გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადუტანტი. ნება მიბოძეთ, ამხანაგო სარდალო, მოგახსენოთ.

გორლოვი. სთქვი...

ადუტანტი. გენერალ-მაიორი ოგნევი გთხოვთ ან ახლავე მიიღოთ, ან დაუნიშნოთ ზუსტი დრო, ჭრილობის შესახვევად უნდა წავიდეს.

გორლოვი. რა უნდა შეიხვიოს, ისევ თავი?

ადუტანტი. არა, მარჯვენა ხელი.

გორლოვი. მაშ, დაუძახე.

ადუტანტი. არის. (გადის).

(შემოდიან სადარბაზო კოსტუმებში გამოწყობილი ოგნევი და კოლოსი).

ოგნევი. გეახელით თქვენი ბრძანებისამებრ. (პაუზა).

გორლოვი. ვხედავ. ორივენი ხეიბრები ხართ?

კოლოსი. დაჭრილია მხოლოდ გენერალ-მაიორი ოგნევი, მე კი ჯანმრთელად გახლავართ.

გორლოვი. რა ამბავია, რატომ ასე გამოწყობილხართ დღეს. (კოლოსს) შენ, ალბათ, მთელ ღამეს ულვაშებს იგრეხდი. გეგონათ მოგილოცავდით, ბანკეტს გაგიმართავდით. არა, ჩემო კარგებო, სცდებით.

ოგნევი. ვიცოდით, რომ მაგას გვეტყოდით, ამხანაგო სარდალო.

გორლოვი. იცოდით?

კოლოსი. დიაღ, ვიცოდით.

გორლოვი. მაშ დასხედით, მოვილაპარაკოთ გულახდილად. (ოგნევი და კოლოსი დასხდებიან). ვისგან დავიწყოთ? შენგან, ოგნევ. შენ მეტი გქონდა დავალებული და მეტიც მოგეთხოვება. (პაუზა). რას სდუმხარ?

ოგნევი. ველი თქვენს კითხვებს.

გორლოვი. რას ელოდები? გვიამბე, რატომ არ შეასრულეთ ოპერატიული გეგმა?

ოგნევი. ჩვენ ვმოქმედებდით ჩვენი გეგმის მიხედვით. ამაზე მოსკოვის ნებართვა გვქონდა. იცით თქვენ ეს. სადგური კოლოკოლი აღებულია, გერმანელების მთელი დაჯგუფება განადგურებულია. ჩვენი ოპერატიული გეგმა სწორი გამოდგა.

გორლოვი. მაშ მე ვინა ვყოფილვარ აქ? ფრონტის სარდალი ვარ თუ არა? (ოგნევი სდუმს). გამიგონე, ოგნევ, რა განიზრახე, რა გინდა ჩემგან?

ოგნევი. მხოლოდ ერთი რამ: რომ ფრონტს აღარ სარდლობდეთ.

გორლოვი. ოჰო. ეგ გინდა, ჩემო ძველო მეგობარო?

კოლოსი. სწორედ ეგ მინდა.

გორლოვი. ახლა მესმის, რაინდებო.

(შემოდის სამხედრო საბჭოს წევრი გაიდარი).

გორლოვი. კარგ დროს მოხვედი, გამარჯობა.

გაიდარი. გაგიმარჯოს. (ჩამოართმევს ყველას ხელს). მოსკოვში დამაყოვნეს. (ოგნევსა და კოლოსს) ძალიან მოხარული ვარ რომ აქ დამხვდით, მოგილოცავთ შესანიშნავ გამარჯვებას.

გორლოვი. ნუ ჩქარობ მილოცვას.

გაიდარი. რატომ?

გორლოვი. იცი თუ არა რა სთქვა, აი სულ ახლა, რამდენიმე წუთის წინ?..

გაიდარი. რა სთქვა?

გორლოვი. გაიმეორე! დეე გაიგონოს სამხედრო საბჭოს წევრმა. (პაუზა). რატომ ჩაიკმინდე ხმა?

ოგნევი. ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, მე ვაცხადებ, რომ ჩვენ ფრონტის სარდლობა არა გვყავს.

კოლოსი. მაგრეა სწორედ.

გორლოვი. გაიგონე? (დიდი პაუზა).

გაიდარი. გავიგონე (ოგნევსა და კოლოსს). გადით რამდენიმე წუთით და დამიცადეთ.

ოგნევი. არის. (გავლენ).

გორლოვი. (სწერს). ვუჩვენებ მე მაგათ...

გაიდარი. რას სწერ?

გორლოვი. ახლავე გავათავებ, როცა ხელს მოაწერ, წაიკითხავ. (სწერს). ისე ვასწავლი მაგათ ჭკუას, მთელ სიცოცხლეში არ დაავიწყდეთ. აჰა, მოაწერე ხელი.

გაიდარი. (აიღებს, წაუკითხავად დახევს და გადაჰყრის). კმარა, ამხანაგო გორლოვ, ჭკუის სწავლება. დროა დაისვენოთ ამ მძიმე მუშაობისაგან. წაიკითხეთ მოსკოვის ბრძანება თქვენი გადაყენების შესახებ. (აძლევს. გორლოვი წაიკითხავს. დიდი პაუზა). თქვენ მამაცი კაცი ხართ და ჩვენი დიადი საქმის ერთგული. ეს ძალიან კარგია და ამისთვის ყველა პატივს გცემს თქვენ. მაგრამ ეს საკმაო არ არის მტერზე გამარჯვებისათვის. გამარჯვებისათვის აუცილებელია კიდევ ის, რომ შეგეძლოს და გქონდეს უნარი იბრძოლო თანამედროვე ვითარების შესაფერისად, შეგეძლოს და გქონდეს უნარი ისწავლო თანამედროვე ომის გამოცდილებაზე, შეგეძლოს აღზარდო ახალგაზრდა კადრები და არა ხელი ჰკრა მათ. მაგრამ ეს უნარი, სამწუხაროდ, თქვენ არ მოგეპოვებათ. რასაკვირველია, საქმის ცოდნა და ახლებურად ბრძოლის წარმოების უნარი შესაძენი საქმეა. თუ დღეს არ შეგიძლია ბრძოლა, თუ დღეს არა გაქვს საკმაო სამხედრო ცოდნა, ხვალ შეგეძლება, ხვალ გექნება, თუ შენ, რასაკვირველია, გექნება ძლიერი სურვილი იმისა, რომ ისწავლო, ისწავლო ომის გამოცდილებაზე, იმუშაო თავის თავზე და განვითარდე. მაგრამ სწორედ ეგ სურვილი არა გაქვთ თქვენ. შეუძლიათ თუ არა ძველ მხედართმთავრებს განვითარდნენ და თანამედროვე ომის ხერხების მცოდნენი გახდნენ? რასაკვირველია, შეუძლიათ და არა ნაკლებ, იქნებ კიდევ უფრო მეტადაც, ვიდრე ახალგაზრდებს, თუ ისინი მოისურვებენ ისწავლონ ომის გამოცდილებაზე, თუ არ იუკადრისებენ შემდგომ სწავლასა და განვითარებას. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ბრძნული ხალხური ანდაზა: სწავლა სიბერემდისო. მაგრამ მთელი უბედურება აქ იმაშია, რომ თქვენ, ესე იგი, ზოგიერთ ძველ მხედართმთავრებს, არა გსურთ ისწავლოთ, თქვენ დაავადებულნი ხართ დიდის წარმოდგენით საკუთარ თავზე და ფიქრობთ, რომ თქვენ უკვე საკმაოდ ხართ განსწავლულები. ეს არის თქვენი მთავარი ნაკლი, ამხანაგო გორლოვ.

გორლოვი. (ადგება. დიდი პაუზა). რა გაეწყობა. შენ მოამზადე, ალბათ, ჩემი გადაყენება?

გაიდარი. სამწუხაროდ, არა. ვმუშაობდი შენთან მეგობრულად, ხელს ვაწერდი, ბეჭედს ვუსვამდი, გეკამათებოდი, მაგრამ ურთიერთობას არ ვამწვავებდი, საერთოდ არ ვიყავ ნამდვილი პარტიელი ხელმძღვანელი. ამისათვის მე კიდევაც შემახურეს, ისე შემახურეს, რომ მთელ სიცოცხლეში არ დამავიწყდება, შემახურეს და სამართლიანადაც მოიქცნენ.

გორლოვი. გმადლობთ გულახდილობისათვის. რა გაეწყობა, ბრძანება ბრძანებაა. მე სამხედრო კაცი ვარ, ბრძანების მორჩილებას შეჩვეული ვარ. ვნახოთ, როგორ იბრძოლებთ უჩემოდ. (დაიხურავს ქუდს, ჩაიცვამს ფარაჯას). ინანებთ, მაგრამ გვიანღა იქნება.

გაიდარი. ნუ გვაშინებ, ბოლშევიკები მშიშარები არ არიან. ჩვენ არა გვყვანან ისეთი ადამიანები, რომელთა შეცვლაც არ შეიძლებოდეს. ბევრი გვაშინებდა, მაგრამ ისინი დიდი ხანია განისვენებენ ისტორიის სანაგვე ყუთში. პარტია კი ფოლადივით მტკიცეა. (პაუზა).

გორლოვი. ვის მიბრძანებთ ჩავაბარო საქმეები?

გაიდარი. დღეს გაიგებთ, გამოგიძახებენ.

გორლოვი. მესმის. (ხელს აუღებს, გადის გვერდის კარში). (ტელეფონის ხმა. გაიდარი აიღებს მილს).

გაიდარი. გისმენთ. რაო? ვინა ხართ? კრიკუნი? თქვენა ბრძანდებით, სპეციალურო კორესპონდენტო... მოიცმინეთ. თქვენ გააკრიტიკეთ ჩვენი საფრონტო გაზეთი იმისათვის, რომ მან გამოაქვეყნა წერილი კავშირგაბმულობის შესახებ? თქვენ? მაშ მომისმინეთ. გელაპარაკებათ ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი გაიდარი. დაუყოვნებლივ აიკარით გუდა-ნაბადი და დაიკარგეთ აქედან. თუ ხვალ თქვენ სადმე გნახავენ ჩვენი ფრონტის ტერიტორიაზე, ისე აწრიპინდებით, როგორც არასოდეს მთელს თქვენს სიცოცხლეში. (დასდებს მილს. შემოდის გენერალ-მაიორი ხრიპუნი. ხელში მოზრდილი ფუთა უჭირავს).

ხრიპუნი. სალამი, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, ჩამოსულხართ. სარდალი გავიდა?

გაიდარი. ახლავე შემოვა. (დააჭერს ზარს. შემოდის ადუტანტი).

ადუტანტი. გისმენთ.

გაიდარი. სთხოვეთ ფრონტის სარდალს გენერალ-მაიორ ოგნევს და გენერალ-მაიორ კოლოსს.

ხრიპუნი. ალბათ, გინდოდათ გეთქვათ: გენერალ გორლოვსო, შესცდით.

გაიდარი. არ შევმცდარვარ. (ადუტანტს). შეასრულეთ ბრძანება.

ადუტანტი. არის. (გადის).

ხრიპუნი. ეს რა ამბავია? (ფუთა ხელიდან გაუვარდა. გაისმის ბოთლების მტვრევის ხმა).

გაიდარი. (მიუახლოვდება). რა არის ეს?

ხრიპუნი. კონიაკი იყო. დასანანია, რომ გატყდა. შეიძლებოდა ახალი სარდლის პატივსაცემად, ჰა? მაგრამ სხვაც მაქვს...

გაიდარი. წაიღეთ და დაიკარგეთ აქედან.

ხრიპუნი. მესმის, მესმის, მესმის! (წაავლებს ხელს ფუთას, გავარდება. შემოდის ოგნევი, მას მოსდევს კოლოსი).

გაიდარი. მოხარული ვარ, რომ ამხანაგ სტალინის დავალებით გაძლევთ ამ ბრძანებას თქვენი დანიშვნის შესახებ ფრონტის სარდლად. (გადასცემს ოგნევს. ოგნევი კითხულობს. კითხულობს კოლოსიც).

ოგნევი. როგორ, მე ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ...

გაიდარი. სტალინი ამბობს, რომ გაბედულად უნდა დავაწინაურო ხელმძღვანელ თანამდებობებზე ძველ სარდლებთან ერთად ახალგაზრდა, ნიჭიერი სარდლები, ამასთან დავაწინაუროთ ისეთები, რომელთაც შესწევთ უნარი აწარმოონ რმი თანამედროვე ვითარების მესაფერისად და არა ძველებურად, შესწევთ უნარი ისწავლონ თანამედროვე ომის გამოცდილებაზე, შესწევთ უნარი იზარდნონ და წინ წავიდნენო...

კოლოსი. ვოლოდია, ძვირფასო... ბოდიში... (გამოიჭიმება). ამხანაგო ფრონტის სარდალო, შემომხედეთ, მე მოხუცს, და თქვენ მიხვდებით, თუ რამდენად სწორია ეს ნაბიჯი. (მოეხვია და ჰკოცნის ოგნევს).

(დასასრული)

ვანდა ვასილევსკაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარტყელა*

(მოთხრობა)

თავი მეექვსე

პუსია გობში ბანაობდა. ფეოდოსია კრავჩუკი საშინელ გუნებაზე იყო. უსიტყვოდ ამოჰქონდა ქოთნიდან თბილი წყალი და უსხამდა პუსიას. პუსია კი გობში იჯდა და საპონს ისვამდა გამხდარ მხრებზე. სრულებით არა სცხვენოდა თავისი გერმანელისა, რომელიც იქვე იჯდა მვრხზე და პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. კურტი მოწყენილი იყო, მთელ სადამოს სდუმდა.

— კურტ!

იგი გამოერკვა ფიქრებისაგან.

— რა იყო?

— სულ გაჩუმებული ხარ, ყურადღებას არ მაქცევ, თითქოს არც კი ვარსებობდე ქვეყნად...

— დავიღალე, — ცივად მიუგო კურტმა.

— მთელ დღეს გელოდებოდი, არც კი შემოიარე...

პუსია ნელა აცხამდა პირში დაგუბებულ წყალს. ეტყობოდა, რაღაც უჩვეულო სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა კბილებიდან გამონაყონი საპნიანი წყალი მკერდზე კამკამით ეღვრებოდა.

— სწორედ დღეს მქონდა დრო შემომევლო, — წაიდუდუნა კურტმა, თან შტაბიდან დარეკვაზე ფიქრობდა: დილით უნდა ვაცნობო, რომ იმ ქალისაგან ვერაფერი ვერ გავიგე. მაიორი გადაირევა. საინტერესოა, რას გახდებოდა თვითონ, დიაღ, თვითონ, რომელსაც ყოველთვის ყველაფერი ადვილად და იოლად ეჩვენება... ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვერნერი ამ ცოტა ხანში მოელოდა წარჩინებას და ახლა ამ პარტიზანებთან მომხდარმა ამბავმა შეიძლება ყველაფერი ჩაფუშოს. პარტიზანები კი უფრო აწუხებენ არა მას, არამედ შტაბელებს. ჰო-და, რაკი ასეა, კეთილი ინებონ და თვითონ მიაკვლონ... არა, თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ვერნერს უნდა დააკისრონ!

კურტი ძალზე უკმაყოფილო იყო თავისი მოქმედებით. აჩქარდა: რატომ აცნობა შტაბელებს კოსტიუკის დაპატიმრების ამბავი, როცა თვითონაც არ იყო ჯერ დარწმუნებული, შესძლებდა თუ არა მისგან რაიმე ცნობის მიღებას...

კურტი რაღაც გეგმას აწყობდა. ფიქრებში იყო გართული.

პუსიამ იგრძნო მისი შემოხედვა.

— რა იყო?

---

*) იხ. „მნათობი" № 10, № 11 — 12 1942 წ. და № 1 1943 წ.

კურტი ნელა აბოლებდა.

— ყური დამიგდე, — დაიწყო მან, თან, ეტყობოდა, ყოყმანობდა.

პუსიამ წარბები ასწია. უცდიდა, რას იტყოდა.

— ხომ არ მოელაპარაკები შენს დას, ჰა?

პუსია ისე სწრაფად შეტრიალდა გობში, რომ წყალი იატაკზე გადაიღვარა. ამ დროს ფეოდოსია შევიდა, თან ვედრო შეიტანა.

— თქვენ ნუ ტრიალებთ აქ! — გაგულისებით და ბრაზით წაიდუდუნა ფეოდოსიამ. მერე მხრები აიჩეჩა. როცა ფეოდოსია ისევ გავიდა ოთახიდან, კურტი ადგა და კარი მაგრა მიხურა.

— დას მოველაპარაკო?

— ჰო, დას, ხომ გაიგე, რაც გითხარი? — გაბრაზდა კურტი.

— რაზე უნდა ველაპარაკო? — ამ სიტყვებზე პუსიამ განივრად გააჭყიტა თავისი რგვალი, დიდრონი თვალები. და თავისთვის ჩვეული, ავადმყოფი მაიმუნის სინაზით თავი გვერდზე გადააქანა.

— უნდა დამეხმარო... დიაღ, უნდა დამეხმარო... რა უჩვეულო ამბავი ეს არის? უნდა მოელაპარაკო იმ მასწავლებელ ქალს. მან ჩვენთვის ბევრი საჭირო და აუცილებელი ამბავი იცის.

ამ ლაპარაკის დროს პუსია მალმალ ასველებდა და სწურავდა ღრუბელს.

— მე ხომ არაფერს არ მეტყვის...

— შენზეა დამოკიდებული, ისე უნდა მიუდგე, ისე უნდა გამოჰკითხო, რომ გითხრას, არ დაგიშალოს... აუხსენი, რომ ეს თამაში ცუდად დასრულდება, ჯერ კიდევ არაფრად არ ვაგდებ ამ ამბავს, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა ამევსება...

— რა თამაში?

— სულელი! — გაბრაზდა ვერნერი.

პუსიამ იწყინა. ტუჩები მოპრუწა. ფეხებზე საპნის წასმა დაიწყო.

— აუხსენი, იმისთვის უმჯობესი იქნება, თუ ჩვენთან დაიწყებს მუშაობას.

— არ მოისურვებს ჩემთან ლაპარაკს.

— რატომ?

პუსიამ კურტს შეხედა და მხრები აიჩეჩა.

— განა თვითონ ვერ ამჩნევ, რომ ჩემთან არავის არ უნდა ლაპარაკი? ისე გამირბიან, თითქოს კეთროვანი ვიყო... თუმცა შენთვის ეს სულ ერთია, მთელი დღეობით ხომ მარტო მტოვებ!

— კიდევ შენსას გაიძახი... თავი დაანებე მაგას! მინდოდა სერიოზულად მომელაპარაკნა შენთან...

პუსია შეაშინა კურტის შუბლზე აკეცილმა ნაოჭებმა.

— კარგი, მაგრამ რაზე უნდა ველაპარაკო?

კურტმა კარისკენ გაიხედა.

— ცნობა მივიღეთ, რომ მას კავშირი აქვს პარტიზანებთან. უნდა სთქვას, სად იმალებიან პარტიზანები, გესმის?

— არ იტყვის.

— რა საჭიროა წინასწარ გადაწყვეტა? თუ ჭკვიანად მიუდგები, იტყვის.

წყალი უკვე გაცივდა. პუსია ადგა, ნელა იწყო ტანის გამშრალება, მერე ხელი გაიწოდა და ღამის პერანგი აიღო. ხელში მოხვდა რბილი აბრეშუმი, ვსიამოვნა...

— რატომ არ იხდი? — პრანჭვით შეეკითხა პუსია.

— ძილისთვის მცხელა! რა დროს ეგ არის? პარტიზანების ამბავი უნდა გავიგო, აუცილებლად... გესმის თუ არა?

— კარგი, მაგრამ საიდან გაიგე, რომ მან იცის რამე პარტიზანების შესახებ?

— გავიგე, ფიქრი ნუ გაქვს. უმჯობესია, შენ ნუ დაინტერესდები ამით. შეგიძლიან აგრძნობინო, რომ მე ყველაფერი ვიცი და თუ არ იტყვის, ბრძანებას გავცემ დააპატიმრონ.

— ჰო-ო?

— მაშ რა გეგონა? რაკი შენი დაა, შეუძლიან ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედოს და მოვუთმენთ?

პუსიამ მხრები აიჩეჩა.

— დააპატიმრე, თუ გინდა. რა ჩემი საქმეა? მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, შემიძლიან. მხოლოდ იცოდე, სახლში არ შემიშვებს. ნახავ, თუ ასე არ მოხდეს.

— ყოველ შემთხვევაში შეეცადე.

— შევეცდები, — დაყვავებით მიუგო პუსიამ, რადგან ფიქრობდა, რატომ უნდა ვეჩხუბო კურტსო.

— დაწექი და დაიძინე...

კურტი ადგა. ფეხი წამოჰკრა წყლით სავსე გობს.

— სად არის ის ქალი? შეგეძლო სამზარეულოში დაგებანა...

— სამზარეულოში? იმასთან? — სიძულვილისაგან შეაკრთოლა პუსიას.

ვერნერმა ხელი ჩაიქნია. ფეოდოსია ბუზღუნითა და კბილთა ღრჭენით წმენდდა წყლით მოწუწულ იატაკს. ნასიამოვნევი პუსია უკვე ლოგინში იწვა და იქიდან შესცქეროდა ფეოდოსიას. „შევეკითხო თუ არა ვასიას შესახებ?— გაიფიქრა. — არა, დეე, ცოტა ხანს კიდევ იტანჯოს... საბაბს ყოველთვის გამოვნახავ“...

•
• •

კარი მიიხურა. ვერნერმა მუნდირი გაიხადა. ჩექმები ბრახუნით დააგდო. ლამპა ჩაჰქრა. ფეოდოსიამ ჭუჭყიანი წყალი ვედროებში გადაასხა და გარეთ გაიტანა გადასაღვრელად. მერე სახლს შემოუარა ირგვლივ და თავლის იქით დაყრილ ნაკელისაკენ შეუხვია. წყალი გადაღვარა თუ არა, ფეოდოსიას ჩურჩული შემოესმა.

— დედი!

ფეოდოსია შეტოკდა, ხელიდან ვედრო გაუვარდა. თოვლის გამო საკმაო სინათლე იყო. თავლის უკან ნამქერის თეთრ ფონზე რაღაც სილუეტი შენიშნა. ნაცნობ ქუდს მოჰკრა თვალი. ფეოდოსიას სუნთქვა შეეკრა.

— ვინ არის მანდ? — ნელი ხმით გასძახა ფეოდოსიამ, თუმცა იცნო მებრძოლი.

ფეოდოსია კვნესით დაეცა მუხლებზე, ხელები გაუწოდა, შეეხო მისი ფარაჯის უხეშ კალთებს, ქამარს. რუხი ტყავის ქუდზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი შენიშნა. ქვითინმა ყელში წაუჭირა ფეოდოსიას. წითელარმიელს შეეშინდა.

— რა მოგვიდა, რა მოხდა?

— თქვენა ხართ, თქვენ? — უაზროდ ლუღლუღებდა ფეოდოსია. სიტყვებს ძლივს ამბობდა. — თქვენა ხართ, თქვენ?

წითელარმიელი მისკენ დაიხარა. თოვლის მოთეთრო შუქზე — ან შენიშნა ქალის ცრემლით სავსე თვალები და ღიმილით გაბრწყინვებული სახე.

— რა მოგვიდა?

— არაფერი, არაფერი, — ფეოდოსია მთელი ძალღონით ცდილობდა მღელვარებისაგან თავი შეეკავებინა. უეცრად მოაგონდა დარაჯად მდგომი გერმანელი ჯარისკაცი. ფეოდოსია სახელოებზე დაებღაუჭა წითელარმიელს: — ჩემს ქოხში გერმანელები არიან, სოფელში გერმანელები არიან.

— ვიცი, ვიცი. მინდა მოგელაპარაკო, დედი. ხომ აქაური ხარ?

— როგორ არა, როგორ არა, აქაური ვარ...

— უნდა გავიგო, რა ხდება აქ, რა ამბავია...

— ყური დამიგდე, შვილო, იქ, ქოხთან, დარაჯი დგას. თუ დიდხანს არ დავბრუნდი, ძებნას დამიწყებენ, შენ აქ დაიცადე, მე ქოხში გავიქცევი, იქიდან გამოსაძრომი ადგილი მაქვს, ჩქარა მოვირბენ. ცოტა იქით მიდექი, ნამქერს იქით. იქ, ფარდულში, თივაა დაყრილი, ქარი ისე არა ჰქრის, როგორც აქ, ისე არა ცივა...

წითელარმიელს გულში ეჭვმა გაჰკრა, ჩააჩერდა ქალს. ფეოდოსია მიუხვდა.

— რა იყო, შვილო? მე აქაური ვარ, კოლმეურნე... ჩემი შვილი იქ გდია, ხევში, ისიც წითელარმიელი იყო... მთელი თვეა იქ გდია, გერმანელმა ძალლებმა არ მომცეს მისი დაკრძალვის ნება. სულ გაძარცვეს, ყველაფერი გახადეს.....

დამაჯერებელი იყო არა ის, რასაც ქალი ამბობდა, არამედ მისი სიტყვების ინტონაცია, იმდენად დამაჯერებელი და შთამგონებელი იყო, რომ წითელარმიელს შერცხვა.

— ხომ იცი, დედი, ბევრი რამ ხდება ხოლმე...

— ჰო, წადი იქ, ფიქრი ნუ გაქვს. მე ახლავე მოვალ.

ფეოდოსიამ აკანკალებული ხელით ვედრო აიღო და ქოხისაკენ გაემართა. ისე ჩაუარა დარაჯს, რომ ძლივს იკავებდა ნერვიულ სიცილს. „იარე, იარე, აბაკუნე ფეხები! ჩვენები უკვე სოფელში არიან, აი იქ, თავლის უკან, წითელარმიელი დგას, შენ კი უდარაჯე ოფიცრის საყვარლის ძილს... დარაჯო, დარაჯო, სულ ჩქარა მოგეღება ბოლო!..“ — ფიქრობდა ფეოდოსია.

ფეოდოსიამ მაგრა მიხურა კარები, სკამი გადააბრუნა. ისე მოაჩვენა მეორე ოთახში მწოლთ, თითქოს ისიც დასაძინებლად ემზადებოდა. საწოლ ოთახიდან გერმანელის ხვრინვა მოისმოდა. ფეოდოსია ნელა, ფეხაკრეფით გავიდა წინა კარიდან. სხვენზე ერთგან შეიძლებოდა ფიცრის გამოძრობა. ფეოდოსიამ ფრთხილად, უხმაუროდ გამოაძრო ფიცარი, გადახტა, მერე კუთხეს ჩაჰყვა. გრძელი კაბა ფეხებში ედებოდა, უშლიდა ჩასვლას. ფეოდოსიამ თავისი თავი კატას მიამსგავსა. ისიც კატასავით მიფოფხავდა ქვემოთ. გაეცინა. ქარი ისლის სახურავს აშრიალებდა, ამიტომ მეორე მხარეზე მდგარი ჯარისკაცი ვერაფერს გაიგებდა. ფეოდოსია ქვემოთ ჩავიდა. გული ძალზე უცემდა. წუთით ყური მიუგდო. თავში არავითარი აზრი არ მოსდიოდა. იქ, უკან, ყრუ კედელი იყო. დარაჯი დააბაკუნებდა ქოხის წინ. სწორედ აქედან შეიძლება შესვლა ქოხში, — გაუელვა ფეოდოსიას თავში.

კატასავით ფეხაკრეფით მიიპარა ფარდულთან. ტანში სიცივის ერეანტელმა დაურბინა, როცა იქ არავინ არ დაუხვდა. ფარდული ცარიელი იყო. ნუ თუ ყველაფერი მოლანდება იყო, მწუხარებისა და გულის ტკივილისაგან გამოწვეული? არა, შეუძლებელია, შეუძლებელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად ხარ? — გასძახა მან ფრთხილად.

ფარდულში თივა გაშმაშურდა. ფეოდოსიას სახე გაუბრწყინდა. რა თქმა უნდა, აქ არის. ერთი კი არა, სამნი ყოფილან, სამნი, გაუხარდა ფეოდოსიას, როცა ორი სხვა სილუეტი შენიშნა. წითელარმიელები ფარდულის შესავალთან დასხდნენ. ფეოდოსიაც ახლოს დაჯდა.

— რამდენ ხანს გელოდეთ, რამდენ ხანს! მთელს დღეებსა და ღამეებს თქვენს ლოდინში ვატარებდით, — ჩურჩულით ამბობდა ფეოდოსია, თან ფარაჯის სახელოზე ხელს უსვამდა. — ოჰ, მოვესწარი, მოვესწარი...

— კმარა, დედი, კმარა. ახლა უნდა მოვილაპარაკოთ...

— კარგი, თუ უნდა მოვილაპარაკოთ, მოვილაპარაკოთ... არა გშიათ?

წითელარმიელებმა გაიცინეს.

— არა, არა გვშია... საჭმელისათვის როდი მოვსულვართ აქ...

— მაშინ სთქვით, რა უნდა გავაკეთოთ.

— შენ ამ სოფლიდან ხარ?

— ამ სოფლიდანა ვარ, მაშ საიდან უნდა ვიყო? — გაიკვირვა ფეოდოსიამ, — აქ დავიბადე, აქვე ვცხოვრობ.

— გვინდა გავიგოთ, რა ამბავია და რა ხდება აქ? სად არიან გერმანელები, სად რა აქვთ?

ფეოდოსიამ მუდარის გამოსახატავად ხელები გულზე დაიწყო.

— ჩვენები სოფელზე წამოვლენ?

— წამოვლენ, წამოვლენ... მხოლოდ ყველაფერი უნდა გავიგოთ.

— ახლავე, — ფეოდოსია ხელებით მუხლებზე დაეყრდნო: — სოფელი დიდია, სამასი მოსახლეა. ორ გზაზე ჯვარედინად არის გადაშლილი. გზაჯვარედინზე მოედანია, წინათ იქ ეკლესია იყო, ახლა გერმანელები დგანან...

— დაიცა, დედი!

წითელარმიელებმა რუკა ამოიღეს, ჩააცქერდნენ, თან ფარაჯის კალთა შემოაფარეს. უეცრად ელექტროფარნის შუქმა გაიელვა.

— სწორია... მაგრეა, ჯვარედინად არის, შუაზე მოედანია...

— მოედანზე ეკლესიასთან მათ ქვემეხები დასდგეს.

— ბევრია ქვემეხი?

ფეოდოსია ჩაფიქრდა.

— დაიცათ... ერთი, ორი... სამი... ოთხი... ჰო, ოთხია. ეკლესიის მახლობლად დიდი სახლია. წინათ იქ სასოფლო საბჭო იყო, ახლა მათი შტაბია... საპატიმროც იქვე აქვთ. იქ ახლა ექვსი მძევალი ზის.

— კიდევ სად არიან გერმანელები?

— ეკლესიის მახლობლად. თითქმის ყოველ სახლში. აქვე, გვერდით, იქ, სადაც ჩემი ქოხია, ნაკლებად, მაგრამ მაინც არიან. ქვემეხები უდგათ კიდევ ცაცხვების ძირში, სოფელში რომ შემოდიხართ... მაგრამ უფრო პატარები...

— იქნებ საზენიტე ქვემეხებია?

— შეიძლება საზენიტე იყოს, ვინ იცის... მაღლაა აშვერილი, წვრილებია, ისეთები...

— მერე, მერე... ტყვიამფრქვევები არ დაგინახავს?

— როგორ არა, ტყვიამფრქვევებიც... ყველაფერი იმ მხარეზე აქვთ, აქედან რომ მივდივართ, მხარმარცხნივ... იქ ქოხებში კედლებს გამოსჭრეს, ყოველ გამოჭრილში თითო ტყვიამფრქვევია დადგმული.

ბიბლიოთეკა

წითელარმიელი, რომელიც დაკვირვებით ჩასცქეროდა რუკას, ფანქრით ხაზავდა ჯვრებს და ირგვლივ წრეებს ავლებდა.

— იმ სახლებიდან ხალხი გამოჰყარეს, თვითონ ჩადგნენ და ბატონობენ. დაიცათ, რამდენი იქნება? ერთი, სამი... ხუთ ქოხშია დადგმული... კიდევ არის ერთში, აქედან რომ მოედანზე მივალთ, სწორეთ იქ...

— ბევრნი არიან გერმანელები?

— ვინ იცის... მოდიან და მიდიან... მხოლოდ ის კაპიტანი, რაც ჩამოვიდა, ფეხს არ იცვლის... ამბობენ, ორას კაცამდე არისო...

— რა ხიდებია გზაზე?

— ხიდები? არ არის ხიდები... გაშლილი გზაა...

— არც ტყეა?

— ტყე არ არის ჩვენში. ბაღებში ხეები სულ დასჭრეს იმ ნაძირალებმა, შეშად დაჩეხეს. მოედნის იქით, გზის პირად, არის რამდენიმე ძირი ცაცხვი. ტყე კი არსად არ არის, ირგვლივ შიშველი დაბლობია. ხევში ბუჩქებია მხოლოდ დარჩენილი, სხვა არაფერი. შეშის მხრივ ცუდად არის ჩვენი საქმე, გამხმარ ფუნასა ვწვავთ.

ფეოდოსია ღელავდა. ირგვლივ თვალი მიმოავლო.

— რა იყო?

— დავხედავ, ხომ არავინ დაინტერესდა, თუ რა ხდება ეზოში.

ქალი ფეხაკრეფით განშორდა იქაურობას, ყური მიუგდო.

ქარი განუწყვეტლივ ჰქროდა, აშრიალებდა ისლის სახურავს. ხანგამოშვებით, როცა ქარი ოდნავ მიწყნარდებოდა, ქოხის წინ მდგომი ჯარისკაცის ფეხის მძიმე ბაკუნი მოისმოდა, თოვლი ხრაშუნებდა.

ფეოდოსია ფარდულში შევიდა.

— არაფერია. დადის თავისთვის...

წითელარმიელები რუკას ჰკეცავდნენ.

— ახლა-კი დროა წავიდეთ, მადლობელი ვართ, დედი...

— მადლობა რა საჭიროა, შვილებო? ჩემი ვასიაც ჯარში იყო... აქვე, სოფლის მახლობლად მოჰკლეს...

ფარანი ჩაჰქრა.

— როდის უნდა გელოდოთ?

— ვნახავთ... მეთაური გადასწყვეტს... მოვახსენებთ თუ არა...

— იქნებ ვერც მოხერხდეს. დაუჩქარეთ, დროა... მთელი თვეა გელოდებით, თვალები დაგვეღალა...

— დედი, არც თუ ისე ადვილი საქმეა ეს...

— ვიცი, რომ ადვილი არ არის, მაგრამ არც ჩვენთვის არის ადვილი მუდმივი ლოდინი... ეცადეთ, მარჯვედ მოიქეცით...

ფეოდოსიას რაღაც გაახსენდა.

— შეჩერდით, არის კიდევ ერთი საქმე...

— რა საქმეა?

— ჩემთან, ქოხში, არის მათი, მგონი, მეთაური... ირგვლივ არაერ არის, ქოხის წინ მხოლოდ ერთი ჯარისკაცი დგას. მკვდარივით სძინავს. თავის გოგოსთან წევს. დარაჯი შეიძლება მოჰკლათ. ან ჩუმად შეგაპარებთ ქოხში, სხვენიდან. ხელად დაიჭერთ გარეული ქათამივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროს წითელარმიელს თვალები გაუბრწყინდა.

— აბა, ყმაწვილებო!

— დაიცა, უნდა მოვიფიქროთ...

— აქ მოსაფიქრებელი არაფერია, კინწისკვრით ამოვაგდოთ ლოგინიდან ნაძირალა, მორჩა და გათავდა!

— სისულელეა ყოველთვის მოუფიქრებლად აკეთო საქმე. ვთქვათ, მოჰკალი, მერე? დილით ატყდება ერთი ალიაქოთი. შტაბს შეატყობინებენ და იმდენ ჯარისკაცს შეჰყრიან აქ, რომ ვერც კი დასთვლი...

— მართალია...

— კარგად კი ჩავატარებთ დაზვერვას! აქ ისინი ისე მშვიდად სხედან, რომ კაპიტანს მხოლოდ ერთი დარაჯი იცავს. შეაშინებ მათ და ამით ყველაფერს გააფუჭებ, ჩაფუშავ დაწყობილ გეგმას...

— ეჰ, ძალიან მინდოდა, რომ ერთი ფრიცი მაინც ჩამეძაღლებინა...

— დაიცა, მეორედ რომ მოვალთ, მაშინ ჩავაძაღლოთ, ახლა კი ნუ ვაყოვნებთ, წავიდეთ სახლისაკენ...

— სადა გაქვთ სახლი? — დაინტერესდა ფეოდოსია.

— ამას ისე ვამბობთ, დედი, თორემ ჩვენი სახლი შორსაა. ომში ჩვენი სახლი ნაწილია... შენ ისა სთქვი, დედი, საით სჯობია გასვლა? აქეთობას კინაღამ თოვლში ჩავიფალით...

— გიჩვენებთ: პირდაპირ ხევში ჩაუხვიეთ და მდინარის გასწვრივ იარეთ... მხოლოდ იქ ჩვენები ჰყრიან, დახოცილები, დაუმარხავად. ფრთხილად იარეთ.... მდინარე ველზე გაგიყვანთ, სოფელ ოხამბთან და ზელენკასთან მიგიყვანთ, იცოდეთ, გერმანელები იქაც არიან...

— ვიცით, მხოლოდ აქ არ წავაწყდეთ ვინმეს.

— ფიქრი ნუ გაქვთ, შვილებო, აქ მხოლოდ ჩემი ქოხის წინ დგას ერთი დარაჯი... ფრთხილად იარეთ, როგორც კი ქარი შედგება, შეჩერდით, თორემ თოვლი ხრაშუნებს და ფრიცი გაიგებს...

სამი თავჩაღუნული სილუეტი მისდევდა ფეოდოსიას. ისინი უმალვე შედგებოდნენ, როგორც კი ქალი შეჩერდებოდა.

— აი ხევი, აქ ჩაუხვიეთ, პირდაპირ წადით. ფრთხილად, თორემ გზა მოლიპულია, დაცურდებით...

— მშვიდობით, დედი! მადლობა ყველაფრისათვის, მადლობა... კარგი ადამიანი ყოფილხარ, კარგი, იცოცხლე!..

— ჯანმრთელად იყავით, ყმაწვილებო, ოღონდ იჩქარეთ, იჩქარეთ, ნუ დაგვიწყებთ...

— ვეცდებით! ჩქარა დაბრუნდი შინ, ცივა.

— არა უშავს-რა, შეჩვეული ვარ...

ფეოდოსია ფლატეზე იდგა და ქვემოთ იცქირებოდა. ჯარისკაცები სწრაფად მიემართებოდნენ ბილიკით. თეთრ მოსასხამიან სილუეტებს ძლივს არჩევდა თოვლის ფონზე. ბოლოს ისინი მთლად გაჰქრნენ. ფეოდოსია ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინისკენ. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ტყვეობიდან თავი

გაინთავისუფლა და ნებაყოფლობით ისევ ბორკილებს უბრუნდებაო. ზიზღით შეესცქეროდა ღამის სიბნელეში ამართულ თავისი ქოხის მოყვანილობას, იმ ქოხისას, სადაც გერმანელი იწვა თავის საყვარელთან, სადაც ფეოდოსია იძულებული იყო ესმინა საძულველი და საზარელი ხვრინვისათვის.

დიაღ, კურტი სულ ხვრინავდა, უსტვენდა ცხვირით. მისი გოგო-კი რაღაცას აბოდებდა ძილში. ფეოდოსიას ნიშნისმოგებით გაეცინა. ჩქარა დაგიდგებათ აღსასრულის დღე. საცაა მოვლენ წითელარმიელები, პირდაპირ ქოხში შემოვარდებიან და საწოლიდან გამოგათრევენ. ფეოდოსია გაიგებს მაშინ, როცა წითელარმიელები მოუახლოვდებიან ქოხს. ან იქნებ მას გააღვიძებს მხოლოდ მათი შემოჭრა ქოხში? არა, არა, ფეოდოსიამ მტკიცედ იცოდა, რომ არ დაიძინებს, არ დაიძინებს მათ მოსვლამდე, სოფლის განთავისუფლებამდე...

თოვლი ისევ ხრაშუნებდა დარაჯის ფეხქვეშ, ფანჯრის მახლობლად. კურტი ისევ უსტვენდა ცხვირით. ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინწინ. მაინც სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა ყველაფერი, სულ სხვაგვარად. მას შემდეგ, რაც ვასია დაიღუპა, ფეოდოსიამ პირველად მხოლოდ ახლა იგრძნო სიხარული. ფეოდოსია ხელს იფარებდა ტუჩებზე, რომ საქვეყნოდ არ ეყვირა ამ უდიდესი ბედნიერების შესახებ. ეს ამბავი, ეს უდიდესი სიხარული მხოლოდ მან იცოდა, სხვამ არავინ, სხვამ არავინ მთელს სოფელში. მხოლოდ ერთადერთმა ფეოდოსიამ იცოდა, რომ ახლა შეიძლებოდა ლოდინი არა ისე, როგორც წინათ — თუმცა ურყევი რწმენით, მაგრამ განუსაზღვრელი ვადით. ახლა მას უკვე შეეძლო ვარაუდი იმისა, თუ როდის მოხდება ეს. დღეს, ხვალ, ზეგ? რამდენი უნდა იაროს იმ სამმა წითელარმიელმა, რომ აქ მოიყვანონ თავიანთი ნაწილი? რამდენი დრო დასჭირდება მათ ნაწილს, რომ მოაღწიოს ამ სოფლამდე? ერთი დღე, ორი, სამი? ფეოდოსიამ კარგად იცოდა, რომ სამ დღეზე მეტს არ გაჭიანურდებოდა. არ შეიძლება მოხდეს ისეთი სისასტიკე, რომ დაიღუპოს საკომენდანტოში დამწყვდეული ექვსი მძევალი...

ვერნერმა სამი დღე დანიშნა ვადად. ფეოდოსიას რატომღაც მოეჩვენა, რომ ეს ვადა მძევლებს არ შეეხებაო. ეს ის სამი დღეა, რომლის განმავლობაშიც უძირო შავი უფსკრული გაითხრება გერმანელებისათვის. გერმანელები პირისპირ შეხვდებიან წითელარმიელებს, პირდაპირ შეჰხედავენ მათ მრისხანე სახეებს, გერმანელები პირისპირ წარსდგებიან თავიანთი აუცილებელი, გარდუვალი სიკვდილისა და განადგურების წინაშე.

სოფელში სამასი მოსახლე იყო. ყოველ ქოხში, გარდა იმ ქოხებისა, სადაც გერმანელები დაბინავდნენ და საიდანაც მათ მცხოვრებნი შეუბრალებლად გამოჰყარეს გარეთ, ყინვაში, ადამიანები იტანჯებოდნენ, ელოდნენ, ტიროდნენ, ინუგეშებდნენ თავს ურყევი იმედით, ჯადოსნური სიტყვებით, რაც მათ ძალღონეს ჰმატებდათ. ეს სიტყვები იყო: „ჩვენები მოვლენ!“ და აი მხოლოდ ერთადერთმა ფეოდოსიამ იცოდა მთელს სოფელში, რომ ჩვენები უკვე მოდიან. ოლენა ვერ მოესწრო ამ სასიხარულო და ბედნიერ დღეს, მაგრამ ისინი, ექვსნი, რომლებიც საკომენდანტოში სხედან, მოესწრებიან. არ შეიძლება არ მოესწრონ.

იმ ღამეს მამასახლისი დიდხანს იჯდა ოთახში. ჩაჰყურებდა წიგნებს და გულდასმით ანგარიშობდა, თუ ვის რამდენი პური უნდა ჩაებარებინა გერმანელებისათვის. მას ეხმარებოდა ფელდფებელი, რომელიც პროფესიით ბუხ-

ჰალტერი იყო. ლამპა ბოლავდა. ჯარისკაცები მთვლემარე თვალებით შესცქეროდნენ მაგიდასთან მჯდომ მამასახლისსა და ფელდფებელს. მამასახლისი ანგარიშობდა, უმატებდა ერთიმეორეს, ამრავლებდა, ყოველ წუთს ეშლებოდა და ამით ფელდფებელის წყრომასა და შენიშვნებს იწვევდა.

ბოლოს გამოანგარიშება დასრულდა. ფანჯარას იქით ბნელი ღამე იდგა. გულის გამგმირავად ზუზუნებდა ქარი. მამასახლისმა დინჯად შეიბნია ქურთუკი და ოთახიდან გაემართა. ზღურბლზე შედგა. შუქიდან გასულს ღამის სიბნელე საცხვივით სქლად მოეჩვენა. წუთით შეჩერდა, კარგად დააკვირდა და მხოლოდ მერე გაარჩია ქუჩის მეორე მხარეზე სიბნელეში ამართული ხეების სილუეტები, სახურავების კონტურები და გზა. ქურთუკის საყელო აიწია და გზას გაუდგა. „რა თქმა უნდა, ისე მექცევიან, როგორც მუნიან ძაღლს, — ნაღვლიანად გაიფიქრა მან. — ყველას აქვს უფლება დამიყვიროს, ყველას შეუძლიან გადმომანთხიოს თავისი ბოღმა, იყაროს ჩემზე ჯავრი. კაპიტანს, ფელდფებელს, ყოველ ჯარისკაცს უფროსად მოაქვს თავი. მე კი თავი უნდა დავღუნო, ცხენივით ვიმუშაო, იმავე დროს მუდმივ შიშის ქვეშ უნდა ვიყო“.

გაპლიკმა შიშნაკრავი თვალები მიმოავლო ირგვლივ, სიბნელეს გაჰხედა. ცდილობდა უჩუმრად ევლო, მაგრამ მოყინული თოვლი ხრაშუნებდა ფეხქვეშ. „ჩემი ფეხის ხმა, ალბათ, მთელ სოფელს ესმის“, გაიფიქრა. ანაზდად მოეჩვენა, თითქოს ვიღაც იდგა მოსახვევში. გაპლიკი იქვე გაშეშდა, გაირინდა. ისე იდგა, რომ მისი ლანდიც კი არ შერხეულა. გულის ფანცქალით მოელოდა, რა უნდა მოჰყოლოდა ამას. უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა თავში — დაბრუნდები და ღამეს საკომენდანტოში გავათევ, სკამზე მაინც დავჯდებიო გათენებამდე. მაგრამ ზურგის შექცევისა შეეშინდა, ვაი თუ უკან დამეტაკოსო...

დიდი ყოყმანის შემდეგ ისევ წინ წასვლა არჩია. გამოირკვა, რომ ლანდი, რომელიც კაცად მოეჩვენა, თურმე გზის პირას ამოსული ბუჩქი ყოფილიყო. როგორ დაავიწყდა ეს ბუჩქი? რამდენჯერ უნახავს აქ გავლის დროს, რამდენჯერ ჩაუვლია მის მახლობლად, დღისით...

ამ ფიქრში იყო გართული გაპლიკი, როცა წაბორძიკდა, ფეხი დაუსხლტა და პირი შეეკრა: თავზე რაღაცა მოეხვია. უნდოდა ეყვირა, მაგრამ ძლიერმა დარტყმამ წააქცია. გაპლიკმა იგრძნო, რომ ვიღაცის ხელებმა ასწიეს და წაიღეს, ჰაერში გააქანეს. თოვლი ხრაშუნებდა, ესმოდა მძიმე სუნთქვა. მერე კარმა დაიჭრიალა. უხეშად დააგდეს იატაკზე, შეჰკრეს. ბოლოს ჩვარი, რომელიც თავზე ჰქონდა მოხვეული, შეუხსნეს. თვალები დაახამხამა. ლამპის პატრუქი ოდნავ ანათებდა ქოხს და იქ მყოფ რამდენიმე ადამიანს. გაპლიკმა იცნო კოჭლი ალექსანდრე და შავგვრემანი ფროსია გროხაჩი. მთელი სხეული აუკანკალდა, ვერაფრით ვერ იკავებდა თავს, ცახცახებდა.

— დაჯექი, ალექსანდრე, — მიუბრუნდა კოჭლ ალექსანდრეს სახე დანაოჭებული მომცრო ტანის ქალი, რომელიც ვერ იცნო გაპლიკმა. — შენ წერაკითხვის მცოდნე ხარ, ყველაფერი ისე უნდა ჩასწერო, რომ სწორად იყოს, თავის რიგზე.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. იატაკზე წამომჯდარი გაპლიკი ზურგით კედელს მიეყრდნო. იგი შიშით შეჰყურებდა მაგიდის გარშემო მსხდომთ. მათ სახეზე ლანდები დაცოცავდნენ. ქვემოდან სახეებზე სცემდათ მაგიდაზე დადგმული აბოლებული სანათურის წითელი შუქი.

— წამოდექი, როცა გასამართლებენ, — მიუბრუნდა მას გულადი დედაკაცი და თითებით ენერგიულად ცხვირი მოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპლიკი ძლივს წამოდგა.

— აქ დადექი, შე მახინჯო! რას იგრიხები? ადამიანურად დადექი!

— ბევრს მოითხოვ მისგან, ტერპილიხა! — შენიშნა ფროსიამ.

ქალმა ვერ გაიგო ფროსიას ნათქვამი.

— ისე უნდა იდგეს, როგორც საჭიროა. გასამართლება თუა, გასამართლება იყოს. შეგვეძლო გოჭივით დაგვეკლა იქ, გზაზე. ჩვენ კი ვასამართლებთ, როგორც წესია. ისიც ისე მოიქცეს, როგორც საჭიროა.

გაპლიკი შიშისაგან ცივდებოდა. აი იგი ახლა დგას ქოხში, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა დღემდე. ასე ახლოს ყოფილა ეს ქოხი გერმანელთა საკომენდანტოდან. მას ასამართლებენ ქოხში, იმ სოფელში, სადაც უკვე მთელი თვეა ბატონობენ გერმანელები. გაპლიკი დგას ხელფეხშეკრული. მაგიდის გარშემო კი სხედან ქალები და კოჭლი მეჯინიბე. ისინი მოსამართლეებად აცხადებენ თავს და გაასამართლებენ კიდეც მას, მამასახლისს, გერმანელების საკომენდანტოს მიერ შერჩეულს და დანიშნულს. ეს საშინელი სიზმარი კი არა — ცხადი იყო.

— რა გვარი ხარ, შე ნაძირალავ? — შეეკითხა ტერპილიხა.

გაპლიკს უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ხმა ყელში ჩაუწყდა და რაღაც უცნაური წრიპინი აღმოხდა.

— რას წრიპინებ? ჩვილ ბავშვად გვაჩვენებ თავს თუ? ნუ მამაძაღლობ, სთქვი! შენ კი, ალექსანდრე, ჩასწერე, ყველაფერი ჩასწერე. აბა, რა გვარი ხარ?

— ხომ იცით, — ნაღვლიანად ჩაიდუდუნა მამასახლისმა.

— შე მურდალო, შენა, იმას კი არ გეკითხები, ვიცი თუ არა. რაკი სასამართლოა, სასამართლო უნდა იყოს! როცა გეკითხები, უნდა მიპასუხო. რა გვარი ხარ?

— გაპლიკი პეტრე.

— უჰ, შე საზიზღარო, შენა... მამა ჩემსაც პეტრე ჰქვიან. მოუნახავთ რაღა კაცი, ვისთვისაც ადამიანური სახელი დაურქმევიათ...

— დაიცა, დეიდა გორპინა... ყველაფერი უნდა ჩავწეროთ...

— წერე, წერე, ყველაფერი ჩასწერე, რიგრიგად... კიდევ რა? რამდენი წლისა ხარ?

— ორმოცდარვისა!

— მერე? მამასახლისი, არა?

— მამასახლისი, — დაუდასტურა გაპლიკმა.

— მამასახლისი! ჰხედავ, რა მოსურვებია... წინათ რაღა იყავი?

გაპლიკი გაჩუმებული იდგა, მიწას დაჰყურებდა.

— რას გაჩუმებულხარ, გრცხვენია თუ? ვინ იცის, იქნებ მამასახლისზე უარესი იყავი?

გაპლიკი ისევ სდუმდა, თავის ჩექმებს დასცქეროდა.

— ჰეი, შენ გეუბნები! ხმა ამოიღე, თორემ ყურში გთხლეშავ! ყველაფერს ჩამიკენჭავ. აბა, მიპასუხე!

— დაიცა, გორპინა, მე ვკითხავ, — ჩაერია ალექსანდრე.

გორპინამ პირი დააღო საპასუხოდ, წინააღმდეგობა უნდა გაეწია, მაგრამ დაფიქრდა და ხელი ჩაიქნია.

— კარგი, ჰკითხე, ვნახოთ, რა გამოგივა.

მეჯინიბემ თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა მამასახლისი, ტერპილიხა, დამშვიდებული ხმით შეეკითხა:

— ჩვენს საპატიმროში იჯექი?

მამასახლისი თვალს არ აშორებდა თავის ჩექმებს.

— დიდხანს იჯექი?

— დიდხანს...

— მაინც რამდენ ხანს?

ისევ დუმილი.

— რისთვის იჯექი?

ისევ დუმილი.

— ვინა ხარ წარმოშობით: გლეხი, მუშა თუ ბატონი?

ტერპილიხას უნდოდა ჩარეულიყო, მაგრამ მამასახლისმა უპასუხა:

— გლეხი...

— კულაკი?

— მაშასადამე, კულაკი! — აღფრთოვანებით წამოიძახა ტერპილიხამ. — ისევ მოგინდა გლეხის სისხლის წოვა, შე საზიზღარო!

— გორპინა, დამაცადე!

— როგორ, უნდა ვეფერო? აქ სასამართლოა თუ არა? ისეთივე უფლება მაქვს, როგორც შენ. უფრო მეტიც — ვინ გაიძახოდა ყოველთვის: ვერ მოგახერხებთ, სახიფათოაო? მე თუ შენ? ხომ ჰხედავ, მოხერხდა!

— სწორია, სწორი! დაიცა, მეც მინდა ვკითხო...

— მე კი არ შენანება, ჰკითხე.

— მაშ ასე, კულაკი ხარ, არა? კეთილი. საპატიმროდან როდის გაიქეცი?

— როგორც კი ომი დაიწყო.

— კეთილი. შინისკენ მიეშურებოდი, ჰა?

— დიალ.

— მაინც სად?

— როსტოვის მახლობლად.

— კეთილი... როსტოვის მახლობლად... გერმანელებს სად შეხვდი?

— იქ, როსტოვის მახლობლად.

— იქვე ჩავაბეს საქმეში?

— იქვე.

— დაიცა, ალექსანდრე, ისიც უნდა ვკითხო, რისთვის იჯდა საპატიმროში.

ბრალდებულმა დაუძლეველი სახის გამომეტყველება მიიღო.

— არ იტყვი, რისთვის იჯექი?

დუმილი.

— შენ ხომ განკულაკებამდე იჯექი?

— დიალ.

— ჰხედავ?.. პეტლიურასთან იყავი? — მოულოდნელად დაიჭირა იგი ალექსანდრემ.

— ვიყავი...

ტერპილიხამ ხელი ხელს შემოჰკრა.

— ერთი ამას დამიხედეთ!

— ყველაფერი ცხადია, — დაიწყო ალექსანდრემ. — მაშ, კულაკი ხარ, ბანდიტი, პეტლიურელი, იმთავითვე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე, არა?

— იმთავითვე, — დაუდასტურა გაპლიკმა.

— ბოლოს გერმანელებთან მოეწყე, სამსახურში...

ტერპილიხა მაგიდიდან წამოიჭრა.

— ამის გამო ჩამოახრჩვეს ლევონიუკი, ამის გამო ზის სიკვდილის მოლოდინში ექვსი კაცი საკომენდანტოში, ეს დაჰყვებოდა გერმანელებს, მათთან ერთად გამოჰყავდა თავლიდან ძროხები. მე უკანასკნელი ძროხა გამომტაცა ხელიდან, ჩემი ბავშვები შიმშილით იხოცებიან. კალასიუკოვებს, მიგოროვებს, კაჩუროვებსაც უკანასკნელი ძროხები წაართვა...

— ლისევებს, სამოლიაჩენკოვებს, — დასძინა ფროსიამ.

— სალაპარაკო რაღაა, ყველაფერი ცხადია!

— ჩუმად, ქალებო, გაჩუმდით! — ჩაერია ტერპილიხა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ხმაურობდა. — რაკი სასამართლოა, სასამართლო უნდა იყოს, ყველაფერი უნდა ვთქვათ.

— აღარაფერია სალაპარაკო, ვიცით, რაც არის, ვინც არის. ამას ხომ ყოველდღე ვხედავთ, ყოველდღე ამის გამო იღუპება ხალხი, ყოველდღე იღვრება სისხლი და ცრემლი...

— მაშ ასე, რა წინადადება გაქვთ? — საზეიმო ხმით იკითხა ტერპილიხამ.

— ჩავაძაღლოთ ქვეწარმავალი!

— ჩავაძაღლოთ!

— ასე რომ, ამხანაგებო, შემოსულია წინადადება: უნდა მოვსპოთ ქვეწარმავალი. ვინ არის ამისი მომხრე?

— ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა?

— არავინ!

მეჯინიბე დიდხანს აწრიპინებდა კალამს. ყველანი დუმილით შესცქეროდნენ. ბოლოს ფეხზე წამოდგა.

— სასამართლომ ალექსანდრე ოვსეიას, გორპინა ტერპილიხას, ფროსია გროხაჩის...

— ეფროსინია, — გაუსწორა ქალმა.

ალექსანდრე მაგიდისკენ დაიხარა, შეასწორა და ისევ განაგრძო:

— ეფროსინია გროხაჩის, ნატალია ლემეშისა და პელაგეია პუზირის შემადგენლობით, დაჰკითხა რა ბრალდებული პეტრე გაპლიკი, კულაკი, ბოროტმომქმედი და გერმანელთა მამასახლისი, ერთხმად დაადგინა: მიესაჯოს მას დახვრეტა.

გაპლიკს ფერი ეცვალა. მან თვალები გადმოკანკლა და იქ მყოფნი შეათვალიერა.

— მაშ ასე, ყველაფერი რიგზეა, — აღტაცებით წარმოსთქვა ტერპილიხამ.

— დაიცათ, — ჩაერია ფროსია, — მისჯით კი მივუსაჯეთ, მაგრამ როგორ ჩავაძაღლოთ?

შეშფოთებულნი ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— ეგ კი მართალია, როგორ?

— ჩამოვახრჩოთ, — სთქვა პუზირმა.

— სად უნდა ჩამოვახრჩოთ? აქვე, ქოხში?

— სისულელეს ამბობ! სარი დავთხლიშოთ თავში, მორჩა და გათავდა.

— ვესროლოთ და მოვკლათ.

— ეგ-ღა გვაკლდა: სროლის ხმაზე აქ გაჩნდებიან გერმანელები...

გაპლიკს კანკალი აუვარდა. მისი თანადასწრებით ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს იგი უსულო საგანი ყოფილიყოს. ისე შეეშინდა, რომ გულის რევა დააწყებინა. კინაღამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიმაგრა და მუხლებზე დაეშვა.

— ადამიანებო, კეთილო ადამიანებო, გევედრებით, შემიბრალეთ! შევცოდე თქვენს წინაშე, დანაშაული ჩავიდინე. ამიერიდან არასოდეს აღარ ვიზამ, არასოდეს!

გაპლიკი მუხლებზე დაცოცავდა, თავს იატაკზე სცემდა დედაკაცების ფეხებთან. ქალები კი განზე გაურბოდნენ, ახლოს არ იკარებდნენ.

— მოშორდი, მოწყდი, შე ნაძირალავ, ქვეწარმავალო!

გაპლიკი ატირდა. ცრემლი, რომელიც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა თვალებიდან, ჭუჭყიან ზოლებს სტოვებდა მის ლოყებზე.

— კეთილო ადამიანებო, საყვარელ ბავშვებს გაფიცებთ, კეთილო...

— ბავშვებს გვაფიცებ? ძაღლის ნაშიერო, შენს გამო იღუპებიან, შენს გამო იხოცებიან ბავშვები!..

— მაიძულეს, ძალით ჩამადენინეს, — სასოწარკვეთით სლუკუნებდა და ლუღლუღებდა გაპლიკი.

— ნუ ღრიალებ, თორემ ამ შეშის ნაჭერს ჩაგცხებ თავში... ერთი ამას დამიხედეთ, აიძულეს საბრალო... თვითონ კი როსტოვამდე მოსდევდა და ეძებდა მათ.

— შემიბრალეთ, შემიწყნარეთ! — სლუკუნებდა იგი, იცრემლებოდა, თან იატაკზე დაფოფხავდა.

ოთახში მყოფნი ზიზღით შეჰყურებდნენ.

— ფუი შენ! დასანახავად კი მეზიზღება! არც სიცოცხლე შეგეძლო და არც სიკვდილი შეგძლებია ადამიანური! — გაბრაზდა პელაგია.

— ყური დამიგდეთ, ქალებო: საჭირო არ არის ამასთან ამდენი დროს დაკარგვა. თავი დაანებეთ, თორემ თავისი ყვირილით გერმანელებს დაგვასევს თავზე.

ალექსანდრე ზურგიდან მივიდა გაპლიკთან და კისერზე თოკი შემოავლო.

— სამართლიანი საქმისათვის! — წამოიძახა მან და ხელზე დაიფურთხა.

ფროსიამ დაიწივლა.

— ჩუმად!

გაპლიკს თითები მოეღრიცა და ლურსმანივით ჩაერჭო მიწის იატაკში. ფეხები გაასავსავა და გაჭიმა. მამასახლისი უკვე მკვდარი იყო.

— მომეშველეთ! ფროსია, მომეშველე!

მეჯინიბემ იღლიაში მოიგდო გვამი. ფროსიამ ფეხებში წაატანა ხელები. ტერპილიხამ ფრთხილად გააღო კარი და გარეთ გაიხედა.

არავინ არა სჩანდა, მხოლოდ ქარი ღმუოდა ისევ და თოვლის კორიანტელს აყენებდა.

— აბა, ჩქარა, ჭაში ჩავაგდოთ...

ეზოში მრავალი წლის წინათ ამომშრალი ჭა იყო. ახლა იგი ნახევრამდე ამოვსებული იყო თოვლით. იქ ჩააგდეს. რბილად ჩავარდა, უხმაუროდ. ალექსანდრემ ზემოდან ნიჩბით თოვლი წააყარა.

— გაზაფხულამდე ეგდოს, მერე ამოვათრევთ. დილამდე ქარი კიდევ მიაყრის თოვლს, დაიფარება, მაგისი კვალიც-კი აღარ დარჩება.

— შინ როგორ-ღა წავიდეთ?

— ნუ წახვალთ რა, აქ იყავით, რა საჭიროა ღამე ხეტიალი? ერთ საქმეს რომ მოვრჩით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეორეც ასევე კარგად მოეწყობა. — სთქვა ალექსანდრემ. — ადგილი გვაქვს, დილამდე აქ დაიძინეთ, დილით კი ნელნელა გასწით...

მოთავსდნენ, როგორც შეეძლოთ: ზოგი იატაკზე, ზოგი მერხებზე. მაგრამ დაძინება მაინც ვერ მოახერხეს, გაუძნელდათ, ვერც ერთმა თვალი ვერ მოხუჭა.

— ალექსანდრე, შენ იცი, ოქმი კარგად უნდა მიმალო სადმე... ჩვენები რომ ჩამოვლენ, უნდა გადავსცეთ.

— არხეინად იყავი, ისე შევინახავ, რომ ვერავინ იპოვნის...

— ჰხედავ, ალექსანდრე, როგორ კარგად მოეწყო ყველაფერი, — ერთხელ კიდევ უთხრა ტერპილიხამ.

— რატომაც არა! — წაიდუდუნა ალექსანდრემ და ძილს მისცა თავი.

*

* *

კარი ჯახუნით მიიხურა. ფეოდოსია შეკრთა. ვედრო ხელიდან გაუვარდა. სამზარეულოს მიწის იატაკზე წყალი ფართოდ გაიშალა.

— რა მოგდით, ხელები შებორკილი გაქვთ თუ? — წამოიყვირა ბრაზმორეულმა ვერნერმა, თან შეხტა, რომ ჭუჭყიანი წყლის წვეთები არ მოხვედროდა გაკრიალებულ ჩექმებს.

ფეოდოსიამ არაფერი უპასუხა. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. ჩვრით სწმენდდა დაღვრილ წყალს, მაგრამ ხელები უკანკალებდა. რამდენჯერმე წაუსვა ჩვარი უკვე გამშრალ ადგილს და ყოველთვის ჭუჭყიანი წყალი რჩებოდა იატაკის ღრუებში. არა, ფეოდოსიას არაფრის გაკეთების უნარი არა ჰქონდა. ყოველი ხმა, ყოველი უბრალო შმაშური ისე აცახცახებს, როგორც შოლტის დარტყმა. ფეოდოსია მთელი არსებით დაძაბული იყო დიდი ამბის მოლოდინში. ისინი ხომ მოდიან, ყოველ წუთს შეუძლიათ გაჩნდნენ აქ, — ფიქრობდა ქალი.

ძალიან აწუხებდა ის ამბავი, რომ ყველაფერი იცოდა მხოლოდ მან, ერთადერთმა ფეოდოსიამ მთელს სოფელში, სხვამ არავინ. რა თქმა უნდა, კარგია, რომ არავინ იცის, მაგრამ ძნელია მარტო ყოფნა მუდმივ მოლოდინში. გული უჩერდება, სუნთქვა უმძიმს — ხომ ყოველ წუთს შეუძლიანთ მოვიდნენ, — ფიქრობდა ფეოდოსია.

— მოიფიქრე, როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე, — თავი მიიბრუნა და ზურგიდან გადაულაპარაკა ვერნერმა პუსიას, რომელიც ნებივრად იწვა ლოგინში. ვერნერი გარეთ გავიდა, კარი მიიჯახუნა. ფეოდოსიას კვლავ გააჟრჟოლა ტანში.

პუსია იწვა. შიშველი მკლავები თავქვეშ ამოედო. ტუჩები მოეკუმა, კბილებს ტუჩებზე აჭერდა, თან ფიქრობდა: როგორ კილოზე სთქვა კურტმაო. თითქოს პუსია მისი მონა იყოს, მონა, რომელიც ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს. თვითონ ვერ ახერხებს პარტიზანების მონახვას, თუმცა ჯარისკაცებიც ჰყავს, ტელეფონიც აქვს, ერთის სიტყვით, ყველაფერ-ველყოფილია ყველაფრით და მაინც მისგან მოითხოვს პარტიზანების მონახვას, მისგან, პუსიასგან, რომელთან ლაპარაკიც კი მთელს სოფელში არავის უნდა. ბრაზობდა პუსია, მან კარგად იცოდა, რომ დასთან ლაპარაკით არაფერი გამოვიდოდა, არც შეიძლებოდა რამე გამოსულიყო. ისინი ჯერ კიდევ ომამდე არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ოლგა რამდენჯერმე ჩავიდა დაბაში ყრილობაზე, მასწავლებელთა კურსებზე და ერთხელაც კი არ შეუვლია მასთან. ალბათ, ფიქრობდა — პუსია ნახვის ღირსი არ არისო. წინათ თუ აგრე იყო, ახლა როგორ-ღა მოიქცევა? პუსიამ ვერ გადასწყვიტა, ენახა თუ არა იგი. არ იცოდა, როგორ დაეწყო თავი ამ ისტორიიდან. ან ვინ უთხრა კურტს, რომ ოლგა მისი და არის?

პუსიამ საბანი გადააფარა საწოლს, მერე სკამიდან ვერნერის მუნდირი აიღო, რომ კედელზე დაეკიდნა. მუნდირის ჯიბეში ქაღალდმა გაიშრიალა. პუსიამ სწრაფად კარისკენ მიიხედა და ჯიბეში ხელი ჩაჰყო. ეს იყო წერილი, ჩადებული მოგრძო ცისფერ კონვერტში, რომელზედაც გერმანული მისამართი ეწერა. პუსიამ არ იცოდა კითხვა გერმანულად, მაგრამ წერილი მაინც ამოიღო კონვერტიდან. ცისფერი კონვერტი საეჭვოდ მოეჩვენა.

ცისფერი ქაღალდის ოთხივე გვერდი აჭრელებული იყო წვრილი და სწორი ნაწერით. პირველი გვერდის ზემო კუთხეზე მიწებებული იყო გამხმარი ყვავილი. პუსიამ ცხვირთან მიიტანა ქაღალდი. დაჰყნოსა. რაღაც უცნობი ყვავილის საამური სურნელება იგრძნო. უეჭველია, წერილი რომელიღაც ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. პუსიამ ისე იკბინა ტუჩებზე, რომ სისხლმა გამოჟონა. კურტს წერილს უგზავნიდა ვიღაც ქალი, იქიდან, შორიდან, გერმანიიდან. უგზავნიდა საუცხოო საფოსტო ქაღალდზე წვრილი ხელით ნაზად დაწერილ წერილს. რა თქმა უნდა, წერილი შეიძლება დედისაგანაც იყოს, მაგრამ ყვავილი? საიდან არის ეს ყვავილი?

რას არ გაიღებდა, რას არ მისცემდა, რომ წაკითხვა შესძლებოდა, რომ გაეგო, რას სწერდა კურტს ის უცნობი ქალი. პუსიამ თარიღს დაჰხედა. სულ ახლახან იყო დაწერილი. დიაღ, დიაღ, ეტყობა, წერილი გუშინ მიუღია, გუშინ. კურტს სხვა ფიჯაკი ეცვა და წერილი აქ ჩარჩენია.

აქამდე სრულიად დამშვიდებული იყო პუსია, დარწმუნებული იყო, რომ იგი მოსწონდა კურტს. და მხოლოდ ახლა, ოლგასთან მოლაპარაკების ასე დაჟინებით მოთხოვნამ აიძულა პუსია ზოგი რამე ახლებურად დაენახა. რატომ ასე იშვიათად ლაპარაკობს დრეზდენზე? რატომ ასე უხალისოდ ებმება ლაპარაკში, როცა პუსია ჩამოუგდებს ხოლმე სიტყვას ამის შესახებ? პუსია ხომ არ გამოცვლილა, იგი ახლაც ხომ ისეთივეა, როგორიც იყო მაშინ, როცა ისინი ერთმანეთს გაეცვნენ გერმანელების მიერ დაკავებულ დაბაში, როცა კურტი ჩაუსახლეს მას? არა, პუსია აქ არაფერ შუაში იყო, თავათ კურტი გამოიცვალა. ახლა ეს წერილიც დაემატა...

გაახსენდა, რომ ამაოდ იდგა ასე მარტო, ამაოდ ეჭირა ხელში ცისფერი წერილი. მისი წაკითხვა მაინც არ შეეძლო. ხოლო თუ კურტი შემოვიდოდა,

ჩხუბი აუცილებელი იყო, რადგან იგი ყოველთვის ეუბნებოდა პუსიას, ჩემს ქალალდებს ხელს ნუ ახლებ, ახლოსაც ნუ გაეკარებიო.

პუსიამ ცისფერი ქალალდი კონვერტში ჩასდო, და მუნდიერ შეკეფში ჩამოჰკიდა. გადასწყვიტა დაკვირვებით ედევნებინა თვალი კურტისათვის.

ფეოდოსია სამზარეულოში ფუსფუსებდა, ჭურჭელს აწკარუნებდა. პუსიას ესმოდა ეს და ნერვები ეშლებოდა.

— ნელა ვერ გააკეთებ? — ბრაზით დაუყვირა პუსიამ.

ფეოდოსიამ ღია კარში შეიხედა. პუსიამ თვალი შეასწრო მისი სახის უცნაურ გამომეტყველებას. არა, ეს არ იყო ის ცივი სიძულვილი, ის ზიზღი, რასაც იგი დღემდე ხედავდა ამ გლეხის ქალის თვალებში. არა, ახლა მის თვალებში რაღაც უჩვეულო აღფრთოვანება ელვარებდა. რატომ უხარიან? ალბათ, კარის უკან იყო მომდგარი, ყურს უგდებდა. ალბათ, გაიგონა, რა კილოზე ელაპარაკებოდა კურტი. აი რა ჩაიდინე შენ, კურტ, თვით ამ ქალმაც კი შენიშნა, ესეც კი მიხვდა და ნიშნის მოგებით მიყურებს, უხარიან...

პუსიამ გაიხსენა, რომ შეუძლიან სამაგიერო გადაუხადოს ფეოდოსიას. ჯერ კიდევ არ უთქვამს კურტისათვის, რომ ფეოდოსიას შვილიც იქა აგდია, სხვებთან ერთად, ხევში. ორიოდე დღის განმავლობაში იგი შეგნებულად სდუმდა, რომ დაეტანჯა ფეოდოსია. მერე აღარ მოჰგონებია ეთქვა, დაავიწყდა, რაკი კურტი ჩააცივდა ოლგასთან მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ ახლა სხვა საქმეა, პუსია გაბრაზებული იყო.

— დამაცადე, დღეს აუცილებლად ვეტყვი ქმარს, აუცილებლად. როგორც კი მოვა, აუცილებლად ვეტყვი, — გაგულისებით ამბობდა პუსია.

ფეოდოსიამ ბრაზმორევით გაიცინა, დოინჯი შემოიყარა და ზემოდან დაჰხედა პუსიას.

— რა მენაღვლება, ჩემი დარდიც ეგ იყოს, უთხარი, უთხარი ქმარს, — მიახალა მოურიდებლად, თან სიტყვა ქმარი ხაზგასმით, ნიშნის მოგებით წარმოსთქვა. — უთხარი, მე თვითონ შემიძლიან ვუთხრა, იქნებ შენ ვერ მოახერხო. უთხარი, თუნდაც ასჯერ უთხარი! ჩაიცვი, სირბილით წადი საკომენდანტოში, რომ ჩქარა უთხრა, არ დაგაგვიანდეს!

— რა მოგივიდა?

— არაფერი. რატომ გიკვირს? ხომ გინდოდა გეთქვა... აკი გეუბნები, უთხარი მეთქი. შენ ხომ იმისთვის ცხოვრობ, რომ იჯაშუშო, რომ გერმანელებს მოემსახურო, ასიამოვნო. ვინ გიშლის, წადი, უთხარი, რაც გინდა!

— ვეტყვი, იცოდე, ვეტყვი!

— აკი გეუბნები, უთხარი-მეთქი. რას მიბღვერი, რომ მიბღვერი? რას იღრინები?

— წაგართმევენ იმას.

— დეე, წამართვან. ერთი თვის წინათ წამართვეს, განა ახლა. მეტს ვეღარ წამართმევენ.

— რატომ დადიხარ იქ ყოველ დღე?

— დავდივარ და ახლა რა გინდა? ჩემი საქმეა! შენ ვინა გკითხავს? როცა წამართმევენ, აღარ ვივლი.

— კურტი განკარგულებას გასცემს, რომ დაგაპატიმრონ. კარგად იცი, რომ იქ სიარული აკრძალულია.

— ჰმ, შემაშინე, ძალიან კი მეშინია თქვენი დაპატიმრებისა! შენმა მზემ, შიშისაგან ვკანკალებ, აი...

ფეოდოსია ოთახში შევიდა. ახლა აღარ იცინოდა. მისი ჩამუქებული თვალები მრისხანედ გამოიყურებოდნენ.

— შენ გეშინოდეს, შენ! გესმის? იკანკალე, იტირე შიშით, იტირე!

პუსია სკამზე შეტრიალდა.

— რა მოგდის? რას ამბობ, რას? რისი უნდა მეშინოდეს?

— ყველაფრისა გეშინოდეს, ადამიანებისა გეშინოდეს, ისინი არ გაპატიებენ. წყლისა გეშინოდეს, რადგან მოგინდება გადავარდნა წყალში, გადავარდები კიდეც, მაგრამ ის არ მიგიღებს, უკანვე გადმოგისვრის. მიწისა გეშინოდეს: მოგინდება თავი შეაფარო მიწას, მაგრამ ის ახლოს არ გაგიკარებს. ჩემს ვასიას ურჩევნია ეგდოს ხევში, ლევონიუკს ურჩევნია მარყუჟზე ეკიდოს, ოლენას ერჩივნა წინ და უკან ერბინა გერმანელების ხიშტების ქვეშ... ყველას ის ერჩიოს, რა ბედიც ეწევა... შენ-კი უარესი მოგელის, უფრო საშინელი რამ! ოჰ, როგორ შეჰნატრებ მათ, როგორ! სისხლნარევი ცრემლით იტირებ, იმის გამო, რომ შენ არ იქნები მათი ბედის ღირსიც კი...

— გადი აქედან! — ისე დაიყვირა პუსიამ, თითქოს იხრჩობაო. — ახლავე გადი აქედან!

ფეოდოსიამ გაიცინა:

— შემიძლიან გავიდე. ჩემთვის დიდად სასიხარულო არ არის შენი სახის ყურება. ბევრჯერ მომიგონებ... ბევრჯერ მოგაგონდება, რომ მაგდებ ჩემი საკუთარი ქოხიდან.

ფეოდოსია გავიდა. კარები ისე მაგრა მიიჯახუნა, რომ კედლიდან კირი ჩამოცვივდა...

— გაიქეცი, ამბავი მიუტანე შენს კურტს, რომ გიყვიროდი! — დუდუნებდა ფეოდოსია თავისთვის, თან ნაფოტებს ისროდა ღუმელში. — დიდხანს არ მოუხდება შენზე ფიქრი კურტს, დიდხანს... ზოგ რამეზე სხვასაც მოუხდება იფიქროს... იქნებ დღესვე...

* * *

კურტი სრულიად არ ფიქრობდა პუსიაზე. ცოფიანივით შევარდა საკომენდანტოში. მის დანახვაზე ფელდფებელი წამოიჭრა მაგიდიდან.

— შტაბიდან დარეკეს?

— დიაღ, დარეკეს, ბატონო კაპიტანო.

— რატომ არ მაცნობეთ?

— ნაბრძანები არ გვქონდა, ბატონო კაპიტანო.

— როგორ თუ ნაბრძანები?

— მითხრეს: არ უნდაო.

— მაშ რატომ დარეკეს?

— იკითხეს, მისცა თუ არა ჩვენება პატიმარმაო.

— შენ რა უთხარი?

— მოვახსენე, ჩვენება არ მიუცია-მეთქი.

— კიდევ რა იყო? — კაპიტნის ხმაში გესლიანი კილო მოისმა.

ფელდფებელი გაფითრდა.

— დიაღ, კიდევ... კიდევ მოვახსენე...

— ჰო, კიდევ რა მოახსენე?

— კიდევ... მოვახსენე პატიმარი ქალის დასჯის შესახებ.

— ვინ მოგცათ მაგის მოხსენების ნება? ვინ დაგავალათ ეგ?

კურტი გადაიხარა, მოკლე ნაბიჯით მიუახლოვდა ხელქვეითს. ფელდფებელმა ვერ გაბედა უკან დახევა.

— განა მე თქვენ დაგავალეთ ეგ?

— არა, ბატონო კაპიტანო!

კურტმა სილა გაარტყა. ფელდფებელი შეტოკდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ისევ იმავე ადგილზე განაგრძობდა დგომას, ისევ მხედრული წესით გაჭიმული თვალებში შეჰყურებდა ვერნერს.

— ვინ გიბრძანა, ვინ მოგცა ნება? — მრისხანე ხმით ჰკითხა ოფიცერმა და კვლავ გაარტყა სილა. ფელდფებელის ლოყაზე წითელი ლაქა აისახა. — სად არის მამასახლისი? დღეს მოვიდა?

ფელდფებელი წამწამსაც კი არ არხევდა, ისე დაძაბული შეჰყურებდა კაპიტანს შიგ თვალებში.

— ჯერ არ მოსულა.

— პური რამდენი მოიტანეს?

— არც ერთი მარცვალი. აქამდე არავინ გამოცხადებულა.

ვერნერმა შეიგინა.

— ყმაწვილის საქმეზე?

— არავინ გამოცხადებულა, ბატონო კაპიტანო.

ვერნერმა ბრაზით ხელი ჰკრა მაგიდას, თან აქეთ-იქით გადაჰყარა საშრობი ქაღალდები. ფელდფებელი სწრაფად დაიხარა და აკრიფა, ისევ მაგიდაზე დასდო, იმავე ადგილას, სადაც წინათ იდო.

— გამომიძახეთ მამასახლისი, დაუყოვნებლივ!

ფელდფებელმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და სწრაფად გავიდა. ვერნერი ღებდა ყუთებს, საჩქაროდ ჰყრიდა იქიდან ქაღალდებს. წყეულმა დედაკაცმა არც ერთი სიტყვა არა სთქვა, არც არაფერს იტყვის, მთელი წლის განმავლობაშიც რომ აწარმოოს კვლევა-ძიება. რაიმეს თქმას ისევ ჩაძაღლებას ამჯობინებს. მაგრამ იქ, შტაბში, იტყვიან — ვერნერი აჩქარდაო. ამ რეგვენმა ფელდფებელმაც სხვა ჭკვიანური ვერაფერი მოისაზრა, გარდა იმისა, რომ ბიახალა — დედაკაცი დასჯილიაო. ცხადია, როცა ასეა, შტაბელებმა საჭიროდ აღარა სცნეს ვერნერის ტელეფონთან გამოძახება. რა თქმა უნდა, იქ მეტად გაღვივებულია ინტრიგა. გარდა ყველა ამისა, იქ რამდენი ხანია პური არ არის. რეგვენი მამასახლისი გვარწმუნებდა, შეეშინდებათო... აი როგორ შეეშინდათ! იმათ რა უშავთ, ადვილი სათქმელია — მამასახლისი, მამასახლისიო. მამასახლისი-კი უნიათო ვინმე აღმოჩნდა, სრულიად უსარგებლო კაცია, არავითარი გავლენა არა აქვს სოფელზე.

ფელდფებელმა კარებთან კვლავ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა.

— რა ამბავია?

— ბატონო კაპიტანო, ნება მომეცით მოგახსენოთ, მამასახლისი არ არის.

— როგორ თუ არ არის? ხომ ვსთქვი, ვინმე გაგზავნეთ მეთქი.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, მე თვითონ ვიყავი, მამასახლისი არსადა სჩანს.

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად წასულა?

— ნება მომეცით მოგახსენოთ, არავინ იცის.

— ყველგან იკითხეთ?

— დიაღ, ბატონო კაპიტანო.

— გაიქცა?

— დიაღ, ბატონო, ალბათ, გაიქცა.

— ერთი შეხედეთ, — სთქვა ვერნერმა, თან გახევებულივით იდგა და ტელეფონს შესცქეროდა. — რა უნდა მომხდარიყო?

— ნება მომეცით მოგახსენოთ, არ ვიცი.

— რეგვენო! — დაიღრიალა კაპიტანმა. — რად გვინდოდა მამასახლისი? რაში დაგვეხმარა? აბა, რაში?

— მართალია, ბატონო კაპიტანო.

— ჰმ... დაჯექით, დასწერეთ პატაკი შტაბში, რომ მამასახლისი გაიქცა. სხვა გამოგზავნონ, იქნებ უფრო ჭკვიანი შეარჩიონ.

ფელდფებელი მეორე ოთახში გავიდა და ქაღალდი აიღო. იგი სწერდა პატაკს მამასახლისის გაქცევის შესახებ და დასმენას კაპიტანზე, რომელსაც უნდოდა დაემალა შტაბისთვის პატიმარ ოლგა კოსტიუკის დასჯის ამბავი.

— ჰაუზე!

ფელდფებელი წამოხტა, დაწყებული პატაკი სწრაფად ყუთში ჩააგდო.

— ვინ სდარაჯობდა იმ ღამეს სოფელს? დაჰკითხეთ ყველანი!

— მე უკვე დავკითხე, ბატონო კაპიტანო. არავინ არაფერი იცის.

— წესრიგიც ამას ჰქვიან: თურმე შეიძლება გახვიდე სოფლიდან, ხოლო ჩვენმა სადარაჯოებმა „არაფერი იციან". ასე ერთ მშვენიერ დღეს ყველა ჩვენ დარაჯებიანად ცხვრებივით ყელებს გამოგვღადრავენ. როგორ შეიძლება არაფერი იცოდნენ? ჰაერში ხომ არ აფრინდებოდა, სოფლიდან გავიდოდა! რას აკეთებდნენ, ეძინათ?

— ასეთ ყინვაში ძილი შეუძლებელია. საშინელი ქარბუქი და კორიანტელია. კაცმა, რომელიც კარგად იცნობს აქაურ ადგილებს, შეუძლიან გვერდით ჩაგიაროს და ვერც-კი შენიშნო. სადარაჯოები მთელი სოფლის გარშემო უნდა მოგვეწყო.

— მე თქვენ არ გეკითხებით, რა უნდა მოგვეწყო და რა არა. ვის დააყენებდით? სად არის მაგდენი ჯარისკაცი? თქვენ კი პირადად სადა გქონდათ თვალები? როგორ, განა არ იცოდით, რომ მამასახლისისთვის განსაკუთრებით უნდა გედევნებინათ თვალ-ყური?

მხედრული წესით გაჭიმული ფელდფებელი ისევ ზღურბლზე იცდიდა.

— რა გაეწყობა, წადით, და მისწერეთ, გაახარეთ! კარგი თანაშემწე კი შემირჩიეს, თქმა არ უნდა!

ფელდფებელი გავიდა და განაგრძო დაწყებული პატაკის წერა. იგი წამდაუწუმ ხელს ისვამდა სილისაგან აწითლებულ ლოყაზე!

ვერნერმა მაგიდაზე ქაღალდები გაშალა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მუშაობის თავი არა ჰქონდა.

— იმორიგევეთ ტელეფონთან, მე წავალ და გავივლი.

— გავბედავ და მოგახსენებთ, ბატონო კაპიტანო, რომ საშინელი ყინვაა...

— უთქვენოდაც ვიცი, — ჩაიდუდუნა კაპიტანმა და საყელო აიწია.

ქარი ჩადგა, მაგრამ ყინვა ისევ მძვინვარებდა. ვერნერი ზღურბლზე შედგა და ზიზღით გადაჰხედა სოფელს. თოვლში ჩაფლული, ერთის შეხედვით,

ჩუმი, წყნარი და უდრტვინველი სოფელი, თითქოს თეთრად გადაპენტილ ბუმბულში იწვა. სახურავებს თოვლის სქელი ქუდები ეხურათ. მხოლოდ აქა-იქ აეჩეჩა ქარს ისლის სახურავი. სიცოცხლის ნიშანი არსად სჩანდა. ძაღლებიც კი არა ჰყეფდნენ. ჯარისკაცებმა სოფელში შესვლის პირველ დღესვე ამოჰხოცეს ძაღლები, რადგანაც საშინლად უტევდნენ, უყეფდნენ და ქოხებში არ უშვებდნენ.

სოფელს თითქოს მშვიდად ეძინა, მაგრამ საკმაო იყოს თვალის გადავლება, რომ ჩუმი მუქარა ეგრძნო ვერნერს. არა, ისევ ფრონტზე სჯობდა. თვეზე მეტია, რაც ბოლშევიკები გავრეკეთ, მაგრამ აქამდე ვერაფერს გავხდით, ვერაფერი გავაკეთეთ. სოფლის დაუინებულმა, ჩუმმა წინააღმდეგობამ ყველა გეგმა ჩაგვიფუშა. რაო ვითომ, რა უნდა ამ რეგვენ ხალხს? ეტყობა, ნამდვილად სჯერათ, რომ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ.

საიდღანაც შორიდან მოტორის გუგუნი მოისმა. კაპიტანმა საყელო ჩამოიწია და ყური მიუგდო. შორს თვითმფრინავი მიჰქროდა.

მოტორის გუგუნი კოღოს ბზუილივით მოისმოდა სუფთა ჰაერში. მისი ხმა თანდათან ძლიერდებოდა, იზრდებოდა. კაპიტანმა თოვლის ციმციმისაგან დასაცავად ხელი მიიჩრდილა თვალებზე და ცას გაჰხედა.

— აი იქ არის, ბატონო კაპიტანო,—შეჰკადრა საკომენდანტოს წინ მდგომმა დარაჯმა.

ვერნერმა პირი იბრუნა. დიაღ, დიაღ, მოფრინავს ის კოღო, ბუზი, თვალწინ იზრდება, დიდდება...

— ჩვენია? — მიმართა დარაჯს კაპიტანმა ნახევრად შეკითხვისა და ნახევრად დასტურის ხმით.

— წარმოიდგინეთ, რომ არა, ბატონო კაპიტანო. სულ სხვა მოტორია.

ვერნერი შეშფოთდა. მთელი თვე გავიდა, რაც ამ მხარეში არც ერთი რუსული თვითმფრინავი არ გამოჩენილა. ნუ თუ ისევ გამოცოცხლდნენ?

სახლიდან რამდენიმე სხვა ჯარისკაცი გამოვიდა.

— ბოლშევიკებისაა, — დაადასტურა ერთმა მათგანმა.

ქუჩა აღარ იყო ცარიელი. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, გაჩნდნენ ადამიანები. ქოხების წინ ქალები, ბავშვები იდგნენ. ყველანი თვალებზე ხელს იჩრდილებდნენ, ცას გასცქეროდნენ.

— დედა, ჩვენია, ჩვენი! — გამყივარი ხმით წამოიძახა საშამ.

მალიუჩიხამ ხელი წაავლო მხარზე.

— ჩვენია?

არავის არ მიაჩნდა საეჭვოდ. თვითმფრინავი სულ დაბლა მიჰქროდა, სულ დაბლა. თოვლით გადათეთრებულ დღის სინათლეზე ყველამ აშკარად დაინახა წითელი ვარსკვლავები თვითმფრინავის ფრთებზე.

მალიუჩიხა მუხლზე დაეშვა. მას დანარჩენმა ქალებმაც მიჰბაძეს. ბავშვებმა ყველაფერი დაივიწყეს, შუა ქუჩაში გავარდნენ, თავები მაღლა ასწიეს და ხელებს უქნევდნენ.

— ჩვენია, ჩვენი! — ყვიროდნენ ისინი.

ქალებს დაძაბულ და იმავე დროს სიხარულით გაბრწყინებულ სახეზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლი. სულ დაბლა მიჰქროდა თვითმფრინავი, მშობლიური თვითმფრინავი, რომელსაც თავისი ფრთებით ძმური სალამი და სასიხარულო ცნობები მოჰქონდა აღმოსავლეთიდან. სოფლის ცაზე

ეს იყო პირველი თვითმფრინავი, რომელზედაც არ იყო გამოსახული გველივით დაკლაკნილი ფაშისტური ნიშანი — სვასტიკა.

კაპიტანს ბავშვების ყვირილი შეესმა. უმალვე გზას გაჰხედა [illegible] ბანახაობას შეასწრო თვალი, რომლის მსგავსი მთელი ერთი [illegible] განმავლობაში არ ენახა. ყველგან ბევრი იყო ხალხი. ქოხების წინ მუხლზე დაჩოქილიყვნენ ქალები, გზებზე ბელურების გუნდებივით ყივილ-ხივილით ირეოდნენ ბავშვები, მოხუცები ხელებს უქნევდნენ უკვე სიმაღლისკენ გაჭრილ ფოლადის ფრინველს.

ვერნერს სიბრაზით მთელი სხეული აუკანკალდა.

— გაფანტეთ ეს ბანდა! — დაუყვირა მან ჯარისკაცებს.

ვერნერმა რევოლვერი იძრო და ჯგუფად მდგომ ბავშვებისაკენ გაისმა ერთი გასროლა. მას მოჰყვა მეორე. ნერვიულობდა, ხელი უკანკალებდა. ბავშვები ისე გაიფანტნენ, როგორც უეცრად გადასროლილი ქვით დამფრთხალი ბელურების გუნდი. ქალებიც დაედევნენ ბავშვებს. ერთი წუთის შემდეგ, თითქოს ქარმა გადახვეტაო, ყველანი გაჰქრნენ. კარები სწრაფად მიიხურეს, ქოხებში ჩაიკეტნენ. კაპიტანმა მიხედვაც კი ვეღარ მოასწრო, მთელი სოფელი დაცარიელებული იყო.

— აი თქვე რეგვნებო, თქვენა, ვერ გაიგონეთ ჩემი სიტყვები? — მივარდა ვერნერი ხეებივით აყუდებულ ჯარისკაცებს. ვერნერი ბრაზობდა იმის გამო, რომ ყველას თანდასწრებით სირცხვილი ჭამა: ასეთ მცირე მანძილზე ამდენ ბავშვებში ვერც ერთს ვერ მოარტყა ტყვია. — დგეხართ და გულდამშვიდებით შესცქერით მტრის დემონსტრაციას. საზენიტო ქვემეხებს რაღა მოუვიდათ, სად არიან? — დაიღრიალა ვერნერმა.

სწორედ ამ დროს დაიქუხა საზენიტო ქვემეხმა. ყუმბარა შავი ღრუბლივით გაიშალა სადღაც შორს, თვითმფრინავის უკან. მეორე უფრო შორს გასკდა. თვითმფრინავმა უფრო მაღლა აიწია და გაჰქრა.

— სწორედ დროზე გამოფხიზლდით! მარილი დააყარეთ კუდზე, მარილი! აქამდე გეძინათ თუ? — შეუტია მან სირბილით მოახლოებულ ფელდფებელს.

— ბატონო კაპიტანო, ნება მომეცით მოგახსენოთ, ჩვენი გვეგონა... მერე კი...

— სოფელში ყველა ქალმა გაიგო, ვისი იყო თვითმფრინავი, თქვენ კი სხვა რამეზე ფიქრობდით. მე თქვენ...

— პირველი თვითმფრინავია, ბატონო კაპიტანო, — შეეცადა თავის გამართლებას უნტერ-ოფიცერი.

— კრინტი! თქვენ არ გეკითხებიან! პირველი თვითმფრინავი! ბატარიაზე რომ ბომბს დაგიხეთქებს, ის იქნება პირველი თვითმფრინავი! რეგვნები!

კაპიტანი საკომენდანტოსაკენ გაემართა. იგი მთელი სხეულით კანკალებდა სიბრაზის გამო. წყეული დღე, წყეული დღე! — ფიქრობდა გულში ვერნერი.

— რაო, მამასახლისი ვერ იპოვნეთ?

შეშინებული ფელდფებელი მაგიდიდან წამოიჭრა.

— ბატონო კაპიტანო, არა გვქონდა ნაბრძანები განგვეგრძო ძებნა...

ვერნერმა მრისხანედ ჩაიფრუტუნა, მერე დაჯდა. რა თქმა უნდა, ასე იქნება, როცა რეგვენი რეგვენზე ზის, როცა არავინ არაფერზე არ ფიქრობს. პასუხისმგებლობა კი მხოლოდ მე უნდა დამეკისროს...

ვერნერს არაფრის გაკეთების ხალისი აღარა ჰქონდა. მას, მებრძოლ ოფიცერს, სამეურნეო საქმეებით ტვირთავენ, აიძულებენ წესრიგში მოიყვანოს ეს წყეული სოფელი. რისი მოწესრიგება შეიძლება აქ? ჯარი მოითხოვდა პურს, ხორცს, ცხიმს. მაგრამ საიდან? ეშმაკმა ბოლშევიკებმა ვერ კიდევ შემოდგომაზე გარეკეს კოლმეურნეობის პირუტყვი, ხოლო ის ძროხები, რაც აქ დახვდათ მოსახლეობაში, ძლივს ეყო პატარა რაზმს. ხოლო პური ან გაზიდული აღმოჩნდა, ან ისეა მიმალული, რომ მას ვერასგზით ვერ მიაგნებ.

— როგორ არიან მძევლები?

— სხედან, ბატონო კაპიტანო.

— საჭმელი მიეცით?

— არა... არ მიგვიცია, ბატონო კაპიტანო.

— წყალი?

— არც წყალი, — უფრო ხმადაბლა ჩაიდუდუნა ჯარისკაცმა.

— კარგია... ძალიან კარგი... არც ერთი ნატეხი პური, არც ერთი წვეთი წყალი! რაკი სოფელს არ უნდა, რომ მოგვცეს საჭმელი, არც იმათ მივსცემთ... უნდა ამოწყდნენ, რა გვენაღვლება, ამოწყდნენ... დიდი დანაკლისი არ იქნება....

არა, არ შეეძლო ქოხში ჯდომა. ისევ გარეთ გავიდა. წუთით გაიფიქრა, შინ შევივლიო, მაგრამ გაახსენდა რა პუსია, მოწყენამ შეიპყრო. გაემართა პოზიციისაკენ, სადაც არტილერია იდგა. ვერნერს უყვარდა არტილერია, თუმცა იგი არ იყო ამ დარგის სპეციალისტი. ვერნერმა გადასწყვიტა მცირე რამ ესწავლებინა საქვემეხო განაყოფისათვის.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანზე უკვე გაისმა მისი მკვეთრი ხმა. იძლეოდა ბრძანებას და აგინებდა ჯარისკაცებს.

— გადაირია! — შენიშნა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა კომენდანტურაში.

— როგორ არ უნდა გადაირიოს... პური არ არის, მამასახლისიც სადღაც გაექცა...

— შორს ვერსად გაიქცევა, ჩვენები დაიჭერენ...

— თუ ზურგში გაიქცა, — დასძინა მეორემ.

— ხოლო თუ წინ გაიქცა, ბოლშევიკები გაატყავებენ. სახარბიელო არაფერი მოელის.

— თუ სადმე გლეხებმა არ ჩაიგდეს ხელში და არ მიაძაღლეს.

ფელდფებელი შეტოკდა:

— რას როშავ? როგორ შეეძლოთ გლეხებს ჩაეძაღლებინათ? გვიან ღამემდე აქ იჯდა, შინ არც-კი დაბრუნებულა. ან რა ლაპარაკია ეგ? თქვენი საქმე აკეთეთ! — გაბრაზდა ფელდფებელი.

ჯარისკაცები გაჩუმდნენ. ფელდფებელმა კაპიტანზე ნაკლებად როდი იცოდა სილის გაწვნა.

— სად არის ნეიმანი?

— ხორცის საძებნელად წავიდა.

ფელდფებელმა მხრები აიჩეჩა.

— ხორცის საძებნელად... როგორ, არ იციან, სად არიან ძროხები?

— ძროხები თითქმის არსად არის, ბატონო ფელდფებელო. ბატონმა კაპიტანმა ხომ ათიოდე სული გადაგზავნა გუშინ შტაბში. ჩვენები ახლა ქათმების საძებნელად წავიდნენ...

* * *

ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ქოხებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკაკუნეს თუ არა, გროხაჩიხამ კარი გააღო, მოწყენით, მაგრამ გაბედულად მიაჩერდა თვალებში შესულთ. გოგონები ქოხის კუთხეში მიიმალნენ.

— რა გინდათ?

— ქათმები, ქათმები მოგვეცი.

— ქათმები არ არის, ყველა თქვენ შეყლაპეთ.

ეზოს მოედვნენ, საქათმეში შეიხედეს, ცარიელ თავლაშიც შეჰყვეს თავები, ფარდულში თივა გადაქექეს, ეგონათ იქ იყვნენ ქათმები. გროხაჩიხა ერთ ადგილზე იდგა, შესცქეროდა მათ ფუსფუსს და მხრებს იჩეჩდა.

— არაფერი არ არის, — წარმოსთქვა ჯარისკაცმა, რომელიც ამაოდ ჰქექავდა თივას.

ჯარისკაცები სხვაგან წავიდნენ, მსუნაგებივით დადიოდნენ კარი-კარს, ქოხიდან ქოხში...

— ქათმები, ქათმები მოგვეცით!

ერთადერთმა დედალმა, რომელიც მალიუჩიხამ ღუმელში დამალა, თავის საუბედუროდ, ცუდ დროს დაიკაკანა. გერმანელებმა უდიდესი სიხარულით გამოათრიეს ღუმელიდან. დედალი გაექცათ, შიშისგან დამფრთხალი ფრთების ფარფატით ეცა ფანჯარას და მინებს შეენარცხა.

— იმ მხრიდან შემოუარე, იმ მხრიდან! — ეძახდა ერთი ჯარისკაცი მეორეს.

დედალი აივანზე გაიჭრა. ეზოში გადაფრინდა. ჯარისკაცები დაედევნენ. დედალი გაშლილი ფრთებით მიფორთხავდა და აქეთ-იქით ჰყრიდა ფხვიერ თოვლს. ერთმა ჯარისკაცმა რევოლვერი ესროლა. სისხლში მოსვრილი დედალი თოვლზე დაეცა. ჯარისკაცმა ფეხში წაავლო ხელი და გამარჯვებულმა ჰაერში შეათამაშა მოკლული ქათამი.

განაგრძეს ძებნა. ეზოდან ეზოში გადადიოდნენ. ქოხებში შედიოდნენ. ქალები, მოჰკრავდნენ თუ არა თვალს შორიდან, ქათმებს მალავდნენ ღუმელებში, საწოლქვეშ, ბალიშებში, ბუმბულში, სხვენზე. გერმანელები კი ეძებდნენ, მშიერი ძაღლებივით სუნავდნენ, მაგრამ ნადავლი მაინც უმნიშვნელო იყო. ბოლოს, სათანადო ბრძანების მიუხედავად, მაინც გადასწყვიტეს, თავლიდან გამოეყვანათ ერთი ძროხა იმ მცირე რაოდენობიდან, რომელიც სოფელში დარჩენილიყო. ლოკუტიხა ცრემლად იღვრებოდა და სიმწრისაგან თითებს იმტვრევდა. მაგრამ ქალს ხელი ჰკრეს და ისე გადაისროლეს განზე, რომ თავი ძლივს შეიმაგრა.

— ჭრელავ! ჭრელავ!

ძროხა წაბლისფერი, წყლიანი თვალებით შესცქეროდა თავის პატრონს. მას თოკით მიათრევდნენ, მაგრამ იგი ეწინააღმდეგებოდა, არ უნდოდა წასვლა. თოვლის ციმციმი თვალს უბრმავებდა. არ უნდოდა გადასულიყო მაღალ ზღურბლზე, მაგრამ ძალას ატანდნენ, ამიტომ წინა ფეხებით წაიფორხილა და ჩაიკეცა. ერთმა ჯარისკაცმა ისე მაგრა მოქაჩა კუდით, რომ ძროხამ საცოდავად დაიბღავლა.

— მაკე ძროხაა, მაკე, — ყვიროდა მალიუჩიხა, — ხალხო, ადამიანებო, ეს რა ხდება ამ დღის სინათლეზე, ეს რას მოვესწარით! მაკე ძროხაა!

— ნუ ყვირი, დედა, — უთხრა მას უფროსმა ვაჟმა, ათი წლის სავკამ, რომელიც ბრაზისაგან შეკრული შუბლით შესცქეროდა გერმანელებს.

— რაღა უნდა გაჭამოთ, ჩემო ბავშვებო, ჩემო შვილებო, [illegible] უნდა გამოგკვებოთ? არაფერი აღარ დაგვრჩა, ერთადერთი ჭრელა [illegible] გვაჭამდა, ისიც მიჰყავთ. ოჰ, დაიხოცებიან ჩემი ბავშვები, შიმშილით დაიხოცებიან...

— ნუ ყვირი მეთქი, დედა! — უფრო მკაცრად შეუტია სავკამ.

როგორც იყო, ძროხა გადავიდა ზღურბლს. ძალით მიჰყავდათ, სცემდნენ. ლოკუტიხა ძროხას აედევნა, გვერდით მისდევდა. უნდოდა ერთხელ კიდევ შეხებოდა ხელით ოჯახის მარჩენალის გამობერილ ფერდებს. ლოკუტიხა გარბოდა, ფეხებში ედებოდა გრძელი კაბის კალთები. ტირილისაგან სახე წამოწითლებულს სრულიად დაავიწყდა გერმანელების იქ ყოფნა, ყველაფერი დაავიწყდა, მისდევდა ძროხას, ვიდრე ხელი არა ჰკრეს და თოვლში არ გადაისროლეს. სავკა ადგილიდან დაიძრა და ვაჟკაცის განიერი ნაბიჯებით დედასთან მივიდა.

— აკი გეუბნებოდი, დედა, თავი გაანებე მეთქი. რას უშველი? ადექი, როგორ შეიძლება ასეთ ყინვაში.

ქალი პირქვე იყო დამხობილი თოვლში და გულამომჯდარი ქვითინებდა. ბავშვური სუსტი ხელებით მაღლა სწევდა სავკა, უნდოდა ფეხზე წამოეყენებინა.

— რა გვეშველება, რა გვეშველება? რა უნდა ვქნათ ახლა? — ქვითინებდა კვლავ ქალი.

— ჩუმად, ჩუმად! — გაბრაზდა სავკა. — რამდენი ძროხა გადენეს, მაგრამ არავის ასეთი ყვირილი არ აუტეხნია.

— ხუთნი მყევხართ, შვილო, ხუთნი, რა უნდა გაჭამოთ, — თავს იმართლებდა ქალი.

— სხვებს კი რვა-რვა ჰყავდათ?

— ნუ მასწავლი ჭკუას! მაგრე რატომ ელაპარაკები დედას?

— უმჯობესია წამოხვიდე, ქოხში წამოდი, ნახე როგორ ყვირის ნიურკა, ლამის გასკდეს...

— ნიურკა, ნიურკა, შვილო, მართლა...

ქალი წამოდგა, კაბის ქობაზე შეყინული თოვლის ხრაშუნით გაემართა ქოხისაკენ. სავკა დაღლილი მამაკაცის მძიმე და ნელი ნაბიჯებით მიჰყვებოდა დედას.

ჯარისკაცთა ჯგუფი ძროხიანად სასოფლო საბჭოს შენობას მიეფარა. იქ, ფარდულში, გერმანელებს მოეწყოთ რაღაც სასაკლაოს მაგვარი. რამდენიმე წუთში გატყავებული და თავის ორთქლში გახვეული ძროხა თავქვე ეკიდა ფარდულის ძელზე.

ამასობაში ვერნერი უკვე დაღლილიყო მოედანზე განკარგულებების გაცემით და ჯარისკაცების გინებით. ახლა უკან ბრუნდებოდა საკომენდანტოში.

— ბატონო კაპიტანო, ნება მომეცით მოგახსენოთ: ძროხას რეკვიზიცია ვუყავით, — მოახსენა ფელდფებელმა.

კაპიტანმა ხელი ჩაიქნია. ამ სამეურნეო საქმეებმა თავი მოაბეზრეს. დღეს ძროხა, ხვალ ძროხა, მაგრამ რა იქნება ზეგ, მაზეგ, რამდენიმე დღის შემდეგ? სარდლობამ სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ნაწილებმა საკვები მოიმარაგოს იმ სოფლებში, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებულნი. ერთი თვეც არ

გასულიყო და სოფელი უკვე დარბეული და გაძარცული იყო. რაზმმა უკვე შესჭამა ყველა ბატი, ქათამი, იხვი, ღორი. დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე უბედური ძროხა. ეს იყო და ეს. რა იქნებოდა შემდეგ?

— რა ამბავია იქ, რამე სურსათი გამოგზავნეს თუ არა? — ეკითხა ვერნერმა.

— ღვინო და შოკოლადი, ბატონო კაპიტანო.

— ღვინისა და შოკოლადის გარდა?

— სხვა არაფერი, ბატონო კაპიტანო. გუშინწინ კიდევ გაგვახსენეს, ადგილობრივი რესურსებიდან უნდა მომარაგდეთო. ღვინო და შოკოლადი გამოგიგზავნოთ ბინაზე?

— გამოგზავნეთ, მაგრამ გზაზე არ შეყლაპონ.

— არა, ყველაფერი დაბეჭდილ ყუთშია.

ვერნერმა ფარაჯა შეიბნია, მერე თამბაქოს გახვევა დაიწყო, თან ფიქრს მიეცა...

— ჰო, მართლა, ჰაუზე...

— მესმის, ბატონო კაპიტანო!

— მომარაგება ყოველგვარი წესრიგის გარეშე სწარმოებს. დღეიდან მომარაგებაზე პასუხისმგებელი იქნებით თქვენ.

— მესმის, ბატონო კაპიტანო! — მიუგო ფელდფებელმა.

ფელდფებელს ბრძანებისაგან სახე მოეღრიცა. ვერნერი უკვე კარში იყო გასული.

— ბატონო კაპიტანო!

— რაო, რა არის კიდევ?

— ნებას მოგვცემთ მეზობელ სოფელში მოვახდინოთ რეკვიზიცია?

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა.

— არ შეიძლება! ის სოფლები სხვა ნაწილებისათვის არის განკუთვნილი. ძალიან კარგად იცით ეს!

— აქ უკვე, არაფერი არ არის, ბატონო კაპიტანო!

— ადვილი სათქმელია, არაფერი არ არის! თუ არ არის, უნდა მოძებნოთ, გესმით? ძებნა უნდა. კარგად თუ მოსძებნით, მონახავთ კიდეც!

კაპიტანი გავიდა, თან კარი გაიჯახუნა.

თავი მეშვიდე

პუსია სახლიდან გამოვიდა, გაუბედავად მიმოავლო ირგვლივ თვალები. გრძნობდა, რომ იმას, რასაც ახლა აკეთებდა, არავითარი აზრი არა ჰქონდა, მაგრამ კურტი თანდათან სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდა ამას, თან ბრაზობდა.

— ხომ შენი და არის? ნუ თუ არ შეგიძლია მოელაპარაკო ღვიძლ დას, დაიყოლიო! მაგრამ არ გინდა — ისე, უბრალოდ, უმიზეზოდ! არა უშავს რა, მოვა დრო და მეც სამაგიეროს გადაგიხდი... მეც მომეცემა შემთხვევა არ გავაკეთო ის, რაც შენ სულითა და გულით მოგინდება...

პუსიას შეეშინდა. იგი ხომ დამოკიდებული იყო კურტისაგან? რა ჰქნას მერე, კურტმა რომ დასტოვოს აქ, ამ სოფელში, სადაც მის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი ყველანი?

პუსიამ ხელები ქურქის სახელოებში შეჰყო და გზას გაუდგა. მოსავალი საუბარი დასთან სრულიად უიმედო იყო. პუსიას არ შეეძლო ეთქვა კურტისათვის, რომ ერთხელ უკვე ჰქონდა საუბარი დასთან, თუ შეეძლებოდა, საუბრად ჩაითვალოს ჩხუბი და აყალმაყალი, რომელიც მოხდა მეგობრებს პუსიას ამ სოფელში ჩასვლისთანავე. ოლგამ ხომ მოურიდებლად, პირდაპირ სახეზე შეაფურთხა მას, ხოლო ერთადერთი, რაც პუსიამ გაიგო მისგან, ეს იყო გაბრაზების დროს წამოსროლილი სიტყვა ხევში დაგდებული მოკლული ვასიას შესახებ. ოლგას უნდოდა გაელანძღა პუსია, შეერცხვინა იმის გამო, რომ იგი ცხოვრობდა იმ ქალის ქოხში, რომელსაც შვილი ომში დაეღუპა. ჰმ, რა დამოკიდებულება აქვს ამას პუსიასთან? ოლგას აზრით კი ჰქონდა დამოკიდებულება. ამიტომ იყო, რომ ოლგამ დაუყვირა მას. პუსია უსიტყვოდ გაშორდა, წავიდა. ეს იყო და ეს მთელი საუბარი. მაშ როგორღა უნდა წავიდეს ახლა მასთან, როგორ უნდა ეჩვენოს, რაზე ელაპარაკოს, რა უთხრას?

თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ გზისპირად ჩამწკრივებული ხეების შეჭირხლული ტოტები, თოვლი კიაფობდა, მისი შუქი კრთოდა, ციმციმებდა მზეზე, თვალებს ღლიდა მკვეთრად მოელვარე, ხასხასა სხივი.

პუსიამ ამოიოხრა. მოაგონდა სერიოჟა. არა, სერიოჟა არასოდეს არ უყვიროდა, არასოდეს არა ლანძღავდა მას, მხოლოდ ამოიხვნეშავდა და ფიქრს მიეცემოდა, როცა გაბრაზდებოდა ხოლმე. მაგრამ რა საჭიროა სერიოჟას მოგონება ახლა, როცა მისი ქმარია გერმანელი ოფიცერი კურტ ვერნერი.

პუსია ბრაზმა შეიპყრო. როგორ ჰბედავს? უკვე გვიანღა იყო. პუსიამ იცოდა, რომ კურტი ბედავდა ამას და ვერაფერსაც ეუბნებოდა, ვერაფრით ვერ უწევდა წინააღმდეგობას. პუსია ისევე ეექცეოდა კურტს, როგორც სერიოჟას, მაშასადამე პუსია არ არის დამნაშავე ამ შელაპარაკებაში. კურტი და სერიოჟა სულ სხვადასხვანი არიან, სრულიად არა ჰგვანან ერთმანეთს.

უკვე ახლოს არის ქოხი, სადაც ოლგა ცხოვრობს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი დარჩა. როგორ მოიქცეს? დააკაკუნოს და შევიდეს? არა, ეს შეუძლებელია! პუსია გაუბედავად შეჩერდა რამდენიმე წუთით. თბილი ქურქისა და თბილი ფეხსაცმელების მიუხედავად, ფეხის ფრჩხილები წააძრო ყინვამ, ისევ უკან გამობრუნდა. დე, რაც უნდა ისა ჰქნას კურტმა — იყვიროს, გაბრაზდეს. არავითარი აზრი არა აქვს იმას, რომ პუსიამ კიდევ ერთხელ მოისმინოს ოლგას ლანძღვა-გინება! რაიმე შედეგს რომ გამოიღებდეს, კიდევ კარგი, მაგრამ პუსიამ იცის, რომ არაფერი არ გამოვა ამ საუბრიდან. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ შეყოყმანდა. რა ჰქნას, როგორ მოიქცეს? უმჯობესია ოლგასაც ისე მოჰკლავდნენ, როგორც ოლენა მოჰკლეს. მაშინ არ იქნებოდა ასეთი გაწამაწია, აყალმაყალი. პუსიამ შეჰხედა სახლს, სადაც ოლგა ცხოვრობდა და უსიამოვნოდ აუძგერდა გული: სახლის კარი გაიღო, ვიღაცა გამოვიდა. პუსია დაიბნა მის დანახვაზე, თითქოს დანაშაულზე მიუსწრესო, ისე არეულად შედგა, ერთ ადგილას თოვლზე დაიწყო ფეხების ბაკუნი. ერთხანს ასე იდგა, მერე გაჰხედა სახლიდან გამოსულ ქალს. არა, ეს ოლგა კი არა — მისი ბინის პატრონი იყო. ქალი იდგა კართან, მზის შუქისთვის ხელი მიეჩრდილებინა და დაკვირვებით გასცქეროდა სივრცეს. მერე შეტრიალდა, ქოხის კარი ისევ გააღო და რაღაც დაიყვირა. უმალვე მის ირგვლივ ჯგუფად დადგნენ სხვები, პირველად გამოსული ქალის მსგავსად ყველამ ხელები მიიჩრდილეს თვალებზე თოვლისა და მზის მკვეთრად მო-

ციმციმე სხივების გამო და დაძაბული ყურადღებით მიაჩერდნენ ერთ მხარეს.

დაინახა თუ არა ქუჩაზე მოძრაობა, ფეოდოსია კრავჩუკიც ამოვიდა გარეთ. ისიც იმ მხარეს გასცქეროდა, საითაც სხვები. ერთიანად ... ძგერა შეუჩერდა, შეეკუმშა, მერე თითქოს ზარივით დარეკა გულმა. გზაზე ნელი ნაბიჯით მიემართებოდა ხალხის ჯგუფი. სოფელს უახლოვდებოდნენ. შემჭიდროებული რიგები მიეშურებოდნენ, მზეზე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ ფოლადის ხიშტები.

— გერმანელები მოდიან! — აჩოჩქოლდნენ ქოხების წინ.

— აქ ცოტანი იყვნენ, კიდევ გვემატებიან...

— რას ფიქრობენ ნეტა — თუ ჰგონიათ, რომ კიდევ რამეს იპოვნიან ჩვენთან საყლაპავს?

— ესენი გერმანელები არ არიან! — რაღაც გაჭიმული, მაგრამ მოწყვეტილი ხმით წარმოსთქვა ბანიუჩიხამ. — ჩემო კეთილებო, გეთაყვათ, კარგად შეხედეთ, ესენი გერმანელები არ არიან!

— ჩვენები არიან, ღმერთო, შენ შეგვიწყალე! ჩვენები მოდიან!

— ქალებო, შეხედეთ, კარგად შეხედეთ. როგორ, განა ასე დადიან ჩვენები? დღისით მზისით, განა ასე გაიშლებიან გზაზე?

— დედა, ქუდებზე ვარსკვლავები აქვთ! — აღტაცებით წამოიძახა გრიშა ბანიუკმა.

— რას ამბობ! კარგად ჰხედავ?

მოკაშკაშე შუქი თვალებს სჭრიდა, ძნელი იყო დანახვა. დაძაბულად გასცქეროდნენ, უნდოდათ კარგად გაერჩიათ მოახლოვებულები.

— ჩვენები არიან? გერმანელები? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— ვინ ჩვენები? გრიშკას მოეჩვენა, შეჰხედეთ: გერმანელები მშვიდად დგანან სადარაჯოზე, სროლასაც არ აპირობენ...

— არა, გრიშა მართალია, ჩვენებური ქუდები ჰხურავთ, — განაცხადა ალექსანდრემ, — ჩვენებური ქუდები ჰხურავთ...

— ჩვენებური?

— მხოლოდ სასიხარულო არაფერია. აბა, კარგად დააკვირდით...

მოსაუბრენი გაჩუმდნენ. ახლა უკვე აშკარად მოსჩანდა ყველაფერი. გზაზე წითელარმიელთა რაზმი მოდიოდა. თუმცა, რომ ითქვას, კი არ მოდიოდა — მოიზლაზნებოდა დაღლილ-დაქანცული. გვერდით მოსდევდნენ შეიარაღებული გერმანელები...

— ჩვენები მოჰყავთ, ტყვეები! — გაისმა ვიღაცის შეჭირვებული ხმა...

— ჩვენები მოჰყავთ...

ქუჩაზე სულ უფრო გროვდებოდა ხალხი. რაღაც საშინელების მოლანდებით გაოცებულნი შესცქეროდნენ მოახლოვებულ რაზმს. ნათლად ჰხედავდნენ, რომ ტყვეები ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. გერმანელი ჯარისკაცები უხეშად ერეკებოდნენ მათ.

— ღმერთო, მოწყალეო, დაჭრილებიც მოჰყავთ...

— სულ სისხლში არიან შესვრილნი! აბა დააკვირდი, სანია...

რაზმის გვერდით მომყოლმა გერმანელმა მრისხანედ და დამუქრებით დაიღრიალა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია. ხალხი სულ უფრო მოუთმენლად, სულ უფრო დაძაბული ყურადღებით შესცქეროდა უკვე მოახლოვებულ ტყვეებს...

— ღმერთო, მოწყალეო...

ისინი უკვე სოფელში შემოვიდნენ. ახლა უკვე სულ ახლო მანძილზე შეეძლოთ დაენახათ ტყვეების გაწამებული, გადაფითრებული და დალურჯებული სახეები... მეორე რიგში მომავალი დაჭრილი წითელარმიელი ძლივს მიათრევდა ფეხებს, მთვრალსავით ბორძიკობდა, ისე იყო დალეწილი...

— ჰეი, შენ! — უყვიროდა მას გერმანელი ჯარისკაცი. ამ ყვირილზე დაჭრილი უმალვე გასწორდებოდა ხოლმე, ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა რაზმს, სხვებსავით ევლო. მაგრამ თავს ვერ იმაგრებდა, ბორძიკობდა, უნდა დაცემულიყო, მაგრამ გვერდით მომყოლმა რომელიღაც ამხანაგმა შეაკავა. მიმშველებელს უმალვე ხელზე კონდახი ჩაარტყა გერმანელმა ჯარისკაცმა. წითელარმიელს უსიცოცხლოდ, მოტეხილ ტოტსავით, დაეკიდა მკლავი...

— ღმერთო, მოწყალეო...

ტყვეები ძლივს მიათრევდნენ დაჭრილსა და დაწყლულებულ ფეხებს, თოვლზე სტოვებდნენ სისხლიან ნაკვალებს. წითელარმიელები ეცემოდნენ, ისევ დგებოდნენ ხელებზე დაყრდნობილნი. გერმანელები კონდახებს ურტყამდნენ მათ.

სხვებთან ერთად პუსიაც ადგა ხალხში და შესცქეროდა ამ შემაძრწუნებელ სურათს. იგი ხედავდა გამხდარს, გადაფითრებულს, განაწამებ სახეებს, ციებით შეპყრობილივით აწითლებულ მოელვარე თვალებს. იგი ჰხედავდა ჭრილობებს, რომლებიც შეეხვიათ უბრალო ჩვრებით და რომლებზედაც მიმხმარიყო დაკვეთილი სისხლი. პუსია ხედავდა მოყინულ ფეხებს, საშინლად დაწყლულებულ ფეხებს და მაინც მისთვის ჩვეული, უაზრო ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— ნუ იცინი! — ვიღაცამ ყურში მრისხანედ ჩასძახა მას. პუსიას შეეშინდა, განზე გადახტა. ეს იყო ოლგა. მას სიმწარისაგან ტუჩები მოეკუმა, შუბლი შეეკრა, მუშტები მოეკუმშა და ასე მისჩერებოდა გზაზე მიმავალ ტყვეებს. ანაზდად ოლგას თვალებზე აეფარა უჩვეულო წითელი ნისლი და ამ ნისლში გარკვევით დაინახა დის წვრილი, მოგრძო სახე, თან ქურქის აწეულ საყელოზე საყურეების ციმციმსა და მის მომღიმარ ტუჩებს შეასწრო თვალი.

— ნუ იცინი!!

პუსიამ უკან დაიხია. ახლოს, სულ ახლოს დაინახა ოლგას მრისხანებისაგან ფართოდ გახელილი თვალები და ბრაზით ატოკებული ტუჩები.

— მე არ ვიცინი! — მოწყვეტით მიუგო პუსიამ.

— იცინი!!... — შეჰყვირა მას ოლგამ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სილა გაარტყა სახეზე ოფიცრის საყვარელს. პუსიამ ლეკვსავით დაიწკმუტუნა, მოიკუნტა, ატირდა, სირბილით გაექანა შინისაკენ, ბორძიკობდა გზა და გზა, ფეხებში ედებოდა ქურქის გრძელი კალთები, თან სახეზე იფარებდა ხელს, ეტყობოდა სტკივოდა.

ტყვეები კი სულ მიდიოდნენ. აი ისინი უკვე გაუთანაბრდნენ ჯგუფად დამდგარ ხალხს. დაჭრილი წითელარმიელები სიცხისაგან აწითლებული თვალებით შესცქეროდნენ ქოხების წინ ჯგუფად დამდგარ ქალებს.

— პური! — წამოიძახა ერთმა წითელარმიელმა. ამის თქმა და თავზე მოხვდა მას კონდახი. მაგრამ იმავე წუთში ასევე წამოიძახა მეორე წითელარმიელმაც:

— პური... ერთი კვირაა არაფერი გვიჭამია...

— ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, — დაიწრიალა ბანიუჩიხამ.

ყველანი სწრაფად შევარდნენ ქოხებში: ეცნენ განჯინებს, საკუჭნაოებს, აკანკალებული ხელებით იღებდნენ ფუთებში, ქოთნებში, ...ების უკან გადამალულ მთელს მარაგს, რაც კი გააჩნდათ...

— მოიტათ, ჩქარა მოიტათ, ღმერთო მოწყალეო!.. ო, ღმერთო!.. ჩქარა, ჩქარა!..

ყველაზე ადრე ბანიუჩიხა გამოვარდა ქოხიდან. გერმანელ ჯარისკაცებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე გაექანა წითელარმიელისაკენ. ხელში ეჭირა პური, უკანასკნელი პური, რომელსაც ბავშვებისათვის ინახავდა...

— შორს!—დაიღრიალა გერმანელმა ჯარისკაცმა. ბანიუჩიხას არაფერი არ ესმოდა, არც არაფერს ხედავდა. გვერდი გაჰკრა ჯარისკაცს და შეეცადა დაჭრილ წითელარმიელისათვის გადაეცა პური.

— შორს! — გარეწარი ხმით დაიღრიალა გერმანელმა ჯარისკაცმა, მერე გაიქნია და მაგრად ჩაარტყა ქალს მკერდში. ბანიუჩიხა უსიტყვოდ დაეცა თოვლზე. გერმანელმა ფეხი ჰკრა და განზე გადაისროლა ძირს დავარდნილი პური. პური თხრილში ჩავარდა. ერთ-ერთი გამხდარი, ქანცმილეული წითელარმიელი დაედევნა პურს. გაისმა სროლა. ტყვე გზის პირას ჩაიკეცა.

ქალებმა არც კი დახედეს გონებადაკარგულ ბანიუჩიხას. ისინი მისდევდნენ ტყვეებს, ცდილობდნენ გერმანელების შეუმჩნევლად როგორმე მიეწოდებინათ, როგორმე ხელში მიეჩეჩებინათ წითელარმიელებისათვის შინ გამომცხვარი პური.

საკომენდანტოდან გამოეფინენ გერმანელი ჯარისკაცები.

— შორს! — ცოფიანი ხმით ჰყვიროდა ფელდფებელი. ჯარისკაცები დაერივნენ ქალებს. წარა-მარა ურტყამდნენ კონდახებს. ქალები ხელებს იფარებდნენ თავზე, ეცემოდნენ მუხლებზე, მაგრამ მაინც ცდილობდნენ პური როგორმე დაეგდოთ წითელარმიელების ფეხებთან, რომ მათ აეღოთ ის, ეჭამათ, შენაყრებულიყვნენ... ერთ-ერთი ტყვე დაიხარა პურის ასაღებად... ისევ დაიჭექა თოფმა, მოკლული წითელარმიელი ამხანაგების ფეხებთან დაეცა.

— მოქალაქენო, ნუ იზამთ, ამაოდ რად ეწევით ასეთ რისკს? ნუ იზამთ, არ გვინდა, — ყველა იქ მყოფთა გასაგონად, აკანკალებული ხმით განაცხადა ახალგაზრდა, დაჭრილმა წითელარმიელმა, რომელიც დიდის წვალებით, კოჭლობით მიჰყვებოდა რიგში თავის ამხანაგებს. — განზე მიდექით, ქალებო, განზე მიდექით, დედებო, დებო! სულ ერთია, არც ერთი ნაჭერი პურის აღების ნებას არ მოგვცემენ, ტყუილუბრალოდ რად უნდა დაიღუპოს ხალხი!

ხალხი ისედაც კარგად ხედავდა, რომ აქ არაფერი გავიდოდა. ორი მოკლული ტყვე წითელარმიელი გზაზე ეგდო. ბანიუჩიხა კი უკანასკნელ ძალღონეს იკრებდა და წვალებით დგებოდა მიწიდან. დანარჩენი ქალები იდგნენ გაშეშებულნი, ხელში პური ეჭირათ და ნაღვლიანად შესცქეროდნენ წითელარმიელებს, რომლებიც უიმედოდ გამოიყურებოდნენ პურისაკენ.

— საშა! — გასძახა ბანიუჩიხამ შვილს, — აქ ვერაფერს გავხდებით, შეაგროვე ყმაწვილები, გაიქეცით გზის მოსახვევისაკენ, იქ დაჭყარეთ პური, გერმანელები ვერ შეამჩნევენ, იქნებ ვინმე ჩვენიანმა ნაჭერი მაინც აიღოს!

თითქოს ქარმა დაუბერა და გადახვეტაო, ისე სწრაფად გაჰქრნენ. ქალები ქოხებისაკენ მიდგნენ, კარებთან ჩამწკრივდნენ, სტიროდნენ, ხილაბანდის,

წვერებს იგლეჯდნენ სიმწარის გამო და უსიტყვო მწუხარებაში ყოფნი უნუგეშოდ აქნევდნენ თავს.

— როგორა ხარ, როგორ გრძნობ თავს? — მზრუნველობით ეკითხებოდა ფროსია გროხაჩი ბანიუჩიხას, თან წყალს აწვდიდა და ფრთხილად უსრესდა საფეთქლებს.

ბანიუჩიხა წამოჯდა, თვალებზე ხელი მიიფარა, ტირილი დაიწყო.

— რა იყო, ძალიან გტკივა?

— არა, არა. რას ამბობ, ფროსია!?.

— ნუ სტირი... არაუშავს რა, დაწვები და გაგივლის.

— არა, რას სულელობ, განა იმიტომ ვტირი... გული ამერია, გაივლის, არა უშავს რა... ყური მიგდე, ფროსია... ახლა ვფიქრობ: ვაი თუ ჩემი პეტროც ამ დღეშია... მაშინ უმჯობესია პირველსავე ბრძოლაში დაიღუპოს... დე, ტანკმა გაიტანოს... უმჯობესია, გესმის?..

მოქანცული, მიმკვდარებული ხმით ეუბნებოდა იგი გოგონას და ტუჩი ზედ მის ტუჩთან მიეტანა. ფროსიამ ხელი მოუსვა ქალს.

— დამშვიდდი, დამშვიდდი...

— გესმის? თუ სხვაგვარად არ შეიძლება, უმჯობესია — ტყვია იკრას გულში, ხელყუმბარით აიფეთქოს თავი, მხოლოდ ასე ნუ იქნება, ასე ნუ იწვალებს, ასე არა, ასე...

— ცხადია! რა თქმა უნდა!.. წამოდექი, მე დაგეხმარები, თორემ აქ გაიყინები...

ბანიუჩიხა მძიმედ წამოდგა გოგონას მხარზე დაყრდნობით და ძლივს გადავიდა თავის ქოხში...

— გრიშა!

გრიშა დიდრონი, შეგნებული თვალებით შესცქეროდა დედას. ბანიუჩიხა კვნესით გადაეშვა საწოლზე. ყველაფერი სტკიოდა, გული ერეოდა, ყელზე აწვებოდა, მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა იგი...

— გრიშა, აქ მოდი!

ყმაწვილი საწოლის წინ დადგა.

— გრიშა, გესმის რას გეუბნები!

— მესმის... ჯერ ხომ არაფერი გითქვამს...

— ყური მიგდე, გრიშა... ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ თუ ოდესმე მოგიხდეს არჩევანის გაკეთება — სიკვდილი, ან გერმანელებთან ტყვეობა — სიკვდილი არჩიე!...

— ხომ არ გაგიჟდი, — შეწრიალდა ფროსია, — რას ეუბნები ხუთი წლის ბავშვს?!

შეშინებული ყმაწვილი ტიროდა.

— რას აშინებ ბავშვს, ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება დღეს, სრულიად გაუგებარი არის, ხოლო ვიდრე წამოიზრდება, გონში ჩავარდება, დავაჟკაცდება, აქ გერმანელების ხსენებაც არ იქნება...

ბანიუჩიხა ჩაფიქრდა.

— იქნებ, მართლა ასე მოხდეს! როგორი სამართლიანობა იქნება ამ ქვეყნად, თუ ამ ომის განმავლობაში ყველა ამ ძაღლი-მამაძაღლის ბუდეები არ დაანგრიეს...

ბანიუჩიხამ დაიკვნესა და ხელი იტაცა მუცელზე.

— ოი, ფროსკა, ოი... მაღებინებს...

— უმჯობესია, ამოგაღებინოს, ახლავე მოგიტან ცივ წყალს.

ფროსია ფუსფუსებდა, ვედროში ასველებდა ტილოს ნაჭერს. ბანიუჩიხა თვალს არ აშორებდა მას, თან სიმწარისაგან მოუთმენლად კბენდა. ანაზდად შვილის ნამტირალევ სახეს მოჰკრა თვალი.

— შენ რაღა გინდა? რა იყო? ერთი ამას დამიხედეთ, რა სათუთი ყოფილხარ... გეტყობა, პეტრეს დამსგავსებიხარ...

— რას ამბობ, ეს ხომ ჯერ პატარაა, შენ შეაშინე იგი და აი იტირა კიდეც... ისეთი რა მოხდა? ქმრისგან რაღა გინდა?

— არაფერი, რა უნდა მინდოდეს! მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში, ეყოფა თუ არა მას მოსაზრება, თუ ასეთი რამ შეემთხვა — თავი მოიკლას?...

— ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა.

— მე კი ვშიშობ... იცი როგორია?.. თვითონ ვერაფერს მიხვდება, ყოველთვის უნდა ურჩიო, სად როგორ უნდა მოიქცეს... ახლა კი ვინღა მისცემს რჩევა-დარიგებას იმ საბრალოს, იმას...

— ახლა იგი არმიაშია, უბრძანებენ და მორჩა, — მიუგო ფროსიამ, თან სველი ტილო დაადო ქალს მუცელზე, რომელზედაც განიერ ლურჯ ლაქად დასჩენოდა კონდახის ჩანარტყამი.

— ბრძანებას კი მისცემენ, მართალია, — სთქვა ბანიუჩიხამ.

— გრიშა, მოდი, პირს მოგბან, რას გევხარ! ტირილი არ უნდა, ნუ იტირებ... ხომ ხედავ, დედა წევს, გერმანელებმა მას კონდახი ჩაარტყეს და მაინც არ ტირის.

ყმაწვილი იდგა და დიდრონი თვალებით შესცქეროდა დედას. მარცხენა ხელის სალოკი თითი შეეყო ცხვირში და იღიტინებდა...

— შვილო, გამოიღე ცხვირიდან თითი! — გაბრაზდა ბანიუჩიხა. — მამა წითელარმიელი ჰყავს და ეს კი ცხვირში იყოფს თითს! — ისევ აკვნესდა ბანიუჩიხა.

— ოი, ფროსია, არც ერთი ნაჭერი პური, არც ერთი ნაჭერი პური არავის არ შეხვდა... არავის... ამოწყდებიან, დაიხოცებიან საწყლები, საბრალონი... რა ეშველებათ? წარმოგიდგენიათ ასეთი უღმერთობა — მშობლიურ სოფელში გაიარეს და ვერავინ მოახერხა დახმარებოდა, ვერავინ ვერ მოახერხა თუნდაც ლუკმა პური მაინც მიეწოდებინა... ვერაფერი აჭამეს, ვერაფერი ასვეს:.. მშობლიურ მიწაზე დაიღუპებიან... სად წაიყვანეს, სად გარეკეს?!...

— ამბობენ რუდაში ბანაკი არისო... ალბათ იქ...

— რუდამდე როგორ მიაღწევენ? სული არ ჩაჰყვებათ! ფეხზე ძლივს დგებიან. მერე იცი, რამდენი ვერსია რუდამდე? არა, ვერ მიაღწევენ, გზაზე ამოხოცავენ, ისე როგორც ის ორი მოჰკლეს აქ ჩვენს თვალწინ...

— ყმაწვილები გაიქცნენ სოფლის ბოლოსაკენ, რომ გზის მოსახვევზე დაჰყარონ პურები... როცა გაივლიან, აიღებენ ტყვეები. იქნებ გერმანელებმა ვერ შენიშნონ, იქნებ ვერ მიხვდნენ...

— ნეტა ისე მაინც დაჰყრიდნენ, როგორც საჭიროა... შუა გზაზე... ჩვენები ხომ წინ მიდიან, გერმანელები კი უკან მისდევენ...

— ყმაწვილები თითონ მოიფიქრებენ, ალბათ ისე გააკეთებენ, როგორც აჯობებს, — ამშვიდებდა მას ფროსია. — ოქრო ყმაწვილები გვყვანან, ოქრო! შენ ხომ კარგად იცი.

ბანიუჩიხამ ნელა გაიქნია თავი, მას უკვე ეძინებოდა, მთელს ხბეულში რაღაც არასასიამოვნო სისუსტე იგრძნო, გული ერეოდა. ბანიუჩიხას ყველაზე უფრო აწუხებდა იმ წითელარმიელის ავადმყოფური, ღრმად ჩავარდნილი, აწითლებული თვალების მოგონება, მოგონება მისი სწრაფი ... ცის სწრაფი მოძრაობისა საჭმელის ხელში ჩასაგდებად. ბანიუჩიხას მოაგონდა თუ როგორ დაიხარა იგი პურის ასაღებად და ვეღარ მოასწრო, ვერ მოახერხა ხელი დაევლო პურიხ ნაჭერისათვის.

— ოჰ!!.

— გტკივა? — შეწუხდა ფროსია.

— არა, არა... ნეტა ჩამეძინებოდეს...

— დაიძინე, ყველაფერს ძილი სჯობია, მაშინ უფრო ჩქარა გაგივლის ტკივილი, — მიუგო გოგონამ.

ბანიუჩიხამ თვალები დახუჭა. ამანაც ვერა უშველა რა. დახუჭული თვალების წინაშეც იდგა ახალგაზრდა წითელარმიელის უფერული სახე, რომელსაც სიკვდილის დაღი აჩნდა, ბანიუჩიხას დახუჭული თვალების წინ ელანდებოდა წითელარმიელის ქუდიდან ჩამოშლილი თმა... ბანიუჩიხას თვალწინ ედგა ამ სასიკვდილოდ განწირული, მოქანცული კაცის სახე, რომელიც გონებადაკარგული, მშიერი ადამიანის უაზრო თვალებით შესცქეროდა და ეპოტინებოდა შავი პურის ნაჭერს... ბანიუჩიხა დარწმუნდა, რომ მას არასოდეს არ დაავიწყდებოდა საშინელი სურათი თოვლში ფორთხვით მიმავალი ტყვე წითელარმიელებისა, რომლებიც აქა-იქ ეცემოდნენ. იგი დარწმუნდა, რომ არასოდეს არ დაავიწყდებოდა აგრეთვე ის ახალგაზრდა დაჭრილი წითელარმიელი, რომლისთვის ვერ მოახერხა პურის გადაცემა.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა პოლიო აბრამიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ნატრეშვილი

„დავითიანის“ ლიტერატურული წყაროები*)

ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან, შეიძლება დამოუკიდებლადაც, გურამიშვილს აახლოებენ ის საგალობლები, რომელნიც მას დაუწერია ღმერთისა, ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს სადიდებლად. ისეთი ეკზალტაცია, ისეთი ვედრება, იმდენი ცრემლია ამ ლექსებში, ლოცვას რომ მართლა ძალა ჰქონოდა, მარტო ეს ლექსები იკმარებდნენ ძველი საქართველოს გადასარჩენად დაღუპვისაგან. პოეტი ხშირად ძველი ჰიმნოგრაფების რელიგიურ ექსტაზამდე აღწევს. ზოგჯერ გურამიშვილის შემოქმედებაში მძაფრად ჩნდება შეუმღვრეველი, უდარდო და უნისლო მოლოდინი ნეტარებისა. ეს ანათესავებს მას იმ ძველ სასულიერო პოეტებთან, რომელთა შემოქმედებაშიაც ჯერ არ შეპარულიყო გულისმღრღნელი იჭვი და არ დაკარგულიყო რწმენა მიღმა ქვეყნისადმი. თითქო რაღაც უხილავი სულიერი ძაფია გაბმული ერთის მხრივ იოანე მტბევარს, მიქაელ მოდრეკილს, იოანე საბანისძეს და მეორეს მხრივ დავით გურამიშვილს შორის.

უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ როგორც პირველები, ისე მეორე დამოუკიდებლად მიდიოდნენ ერთ მსოფლშეგრძნობამდე ერთი საერთო წყაროს ზეგავლენით. მაგრამ გურამიშვილს, ახალი საუკუნეების პოეტს, აღარ აკმაყოფილებს ქრისტიანიზმის მოძღვრება.

პოეტი თვითონ გრძნობდა ამ წინააღმდეგობას და ამ ჩიხიდან იგი თითქოს ამ იდეურმა კონცეპციამ გამოიყვანა, რომელიც ვახტანგ მეექვსემ შეჰქმნა „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ.

ვახტანგმა სცადა ქრისტესა და რუსთაველის შერიგება.

საყვარელი ქრისტესა ჰქვიან და ამ საყვარელს ადიდებდა რუსთაველიო— ეს იყო დედააზრი ვახტანგის მონოგრაფიისა. ვახტანგის აზრით, „ვეფხის-ტყაოსანში“ მიჯნურისა და საყვარლის სახეებს ქვეშ ყველგან ქრისტე და ღვთისმშობელი იგულისხმებიან.

ასე ჰქმნიდა ის საღვთო მიჯნურობის კონცეპციას.

ამავე საფუძველზე გურამიშვილმა, დანტე ალიგიერის მსგავსად, დანტესაგან სავსებით დამოუკიდებლად შეჰქმნა მარადიული სიყვარულის სიმბოლო, სიყვარულისა, რომელიც მიწაზე იწყება, გადადის ციურ სფეროში და არასოდეს აღარ თავდება.

ეს კონცეპცია გურამიშვილმა მოგვცა თავის ლექსში: „სიმღერა დავითისა, ზუბოვკა“. ლექსის შინაარსი ასეთია:

უკრაინაში, სოფელ ზუბოვკის გზაზე პოეტს მშვენიერი ქალი შეჰხვდება. ეს ქალი შავი თვალწარბით, თეთრგვრემანი სახით და შავი ხალებით მიწი-

*) იხ. „მნათობი“, № 1.

ური სიცოცხლისა და სილამაზის განსახიერებაა. პოეტი დანახვისთანავე მოიხიბლება მისი ეშხით, მიუახლოვდება, საუბარს დაუწყებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვკითხე: მზეო, სადამ მოხვალ, საღ ხარ წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი;
შენთვის გული ქვად გარდმექცა, გახდა ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე მე შენი მწვავს ალი.
ხმა გამომცა, გაგულისდა, სიტყვა მითხრა ავი:
„ავო კაცო, ვით გბედე, შენ მე მთხოვე თავი?
ბულბულს ნაცვლად ვარდ-კოკობმა რად დაგისვა ყვავი“.
მით ავტირდი, ცრემლი ვღვარე, ზღვათა შესართავი,
მითხრა: „შენგნით ნუცა მსმია სიტყვა მაგის მეტი“,
აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი.
დავრეცრეცდი, გადავიქეც, დამეხვია რეტი.
შავებრალდი, თავს დამადგა, ვით ბნელს ნათლის სვეტი.
რა მოვბრუნდი, გაიხარა, ხელს მომკიდა ხელი,
ამაყენა, ასე მითხრა: „რათ შექმნილხარ ხელი?“
მე მივუთხარ: შენთვის გავხდი ასე ჭკვაზე თხელი,
შენ რომ მწყინობ, მით მედების გულსა ცეცხლი ცხელი.
მერმე ტკბილად დამიყოვა, კიდევ გამიცინა.
ასე მითხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა,
ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა,
კულავ სადმე ამოივლი, მე დაგხვდები წინა“.
საღ წავიდა, ვერა ვნახე ჩემი საყვარელი,
მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი.
მგ მის მონას ნუმც ამხდია მისგან საფარველი,
სად მიპირდეს, მომეშველოს, სხვას აღარას ველი.
დამპირდა, თქვა „კიდევ მოვალ“, აწ მე იმას ველი —
მისთვის ვტირი, ცრემლითა მაქვს უბე-კალთა სველი,
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი;
იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აჰა მისთვის გავმიჯნურდი, გული მისთვის ხურსა,
იმედი მაქვს, რასაცა ვთხოვ, მომცემს, არა შურსა,
უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.
ღვთისგან ვითხოვ არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთესს ვის ვიშოვნი, სილამაზით სრულსა;
ჩემი სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვნედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა,
აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა“.

ეს არის საოცარი გადასვლა რეალურიდან ფანტასტიურ სამყაროში. ლამაზი ქალი ციური ხსნის სიმბოლოდ იქცევა. ის თითქოს რეალური, მიწიური არსებობიდან გაჰაეროვანდა და სამოთხის სფეროში მოექცა. ლექსის ბოლოს ირკვევა, რომ ის ბეატრიჩესა და ლაურას მსგავსად მარადიული სულია და წუთიერი სტუმარი მიწისა. მხოლოდ ეს სული მეტისმეტად არის გაადამიანურებული.

ასკეტი ვერ აქცევდა მას თავის იდეალად.

ეს ლექსი ჰქმნის მთელ კონცეპციას გურამიშვილის შემოქმედებაში. ეს გამოხატავს იდეალს, რომელსაც პოეტი ეტრფის. ის არის მზეც, ლამაზი ქა-

ლიც და სულიერი უკვდავების სიმბოლოც. ის ხსნისა და გადარჩენის მახარობელია სწორედ იმიტომ, რომ ადამიანურად ლამაზია და ადამიანურად იტანჯება.

ეს წარმტაცი სიმბოლო არა ჰშორდება პოეტის გონებას. ხან ეფემერული მიმინოს სახით ეჩვენება პოეტს, ხან საფირონის სახელით იხსენიებს მას, ხანაც „უსასყიდლო მარგალიტს“ უწოდებს.

პოეტის ეს კონცეპცია ვერ აიხსნება მარტო ქართული ნიადაგით.

საშუალო საუკუნეების ევროპაში ფრიად გავრცელებული იყო ჟანრი ლეგენდისა, რომელიც გამოხატავდა ღვთისმშობელს, როგორც სატრფოს, რომელსაც რაინდი აირჩევდა თავის დანიშნულად, თავის მისტიურ საცოლედ და ფიცს დასდებდა — არასოდეს მისთვის არ ეღალატნა. ფიქრობენ, რომ ეს ლეგენდა წარმოიშვა ძველი ბერძნული მითოსიდან შეყვარებული ვენერის შესახებ. წარმართობასთან მებრძოლმა ქრისტიანობამ აიღო ეს ლეგენდა, გაათავისებურა, ხოლო ვენერას სახე ღვთისმშობლით შესცვალა. ამის შემდეგ ეს სიუჟეტი გადაიქცა მოხეტიალე სიუჟეტად — მოედვა მთელ ევროპას. ის საერთაშორისო მოტივად გადაიქცა. მადონა, ღვთისმშობელი აქციეს მიწიური და ზეციური ტრფობის საგნად.

უნდა ვიფიქროთ, რომ გურამიშვილი იცნობდა ამ ლეგენდას. მე-17 საუკუნის დასასრულსა და მე-18 საუკუნეში რუსეთსა და უკრაინაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა წიგნი „Великое зерцало“, რომელიც შეიცავდა სასულიერო, საერო და საყოფაცხოვრებო ხასიათის ნოველებს. პოლონეთსა და უკრაინაში ამ წიგნს იყენებდნენ საეკლესიო ქადაგების დროს, როგორც საილუსტრაციო მასალას. „ველიკოე ზერცალო“ რუსებმა სთარგმნეს პოლონურიდან, ხოლო პოლონური ორიგინალი წარმოსდგა ლათინური ლექსებიდან, რომლების სათაურიც იყო „Speculum magnum exemplorum“ და რომლებიც ძველი თქმულებებიდან და წიგნებიდან მე-17 საუკუნეში შეადგინა იეზუიტმა ბერმა იოანე მაირმა.

„ველიკოე ზერცალოში“ შეტანილია ერთი ნოველა, რომელიც მოგვითხრობს ღვთისმშობლისა და ვიღაც ჭაბუკის გამიჯნურებას. ეკლესიიდან დაბრუნებული ჭაბუკი ხვდება ვიღაც ლამაზ ქალს, რომელიც მშვენიერებით და კდემამოსილებით ყველა ქალს აღემატება. მიახლოებისას ქალი სამიჯნურო საუბარს გაუმართავს მხედარს და სამუდამო სიყვარულს დაჰპირდება. ვაჟი მიხვდება, რომ მის წინაშე ღვთისმშობელია.

გურამიშვილის ლექსთან ამ ნოველას აახლოებს ისიც, რომ ორივეგან, ლექსშიც და ნოველაშიც, შეხვედრა მიჯნურებისა გზაზე ხდება.

გურამიშვილი აუცილებლად იცნობდა ამ ნოველას. მისი ლექსის კონცეპცია უფრო ადამიანია, უფრო თავისუფალი და მიწიერი, ვიდრე ამას ვახტანგის მონოგრაფიის მსოფლმხედველობა იცნობდა დასაშვებად.

მაშასადამე, სხვა წყაროს არსებობაც უნდა ვიგულისხმოთ. ეს სხვა წყარო ჩვენის აზრით „ველიკოე ზერცალო“ უნდა ყოფილიყო.

დავით გურამიშვილის მთავარი თემა მეთვრამეტე საუკუნის საქართველო იყო. ამ ეპოქის დიდი პოლიტიკური და ნაციონალური კატასტროფები მან უმძაფრესი რეალისტური საღებავებით დახატა.

საქართველო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, გურამიშვილის წარმოდგენით, ვეებერთელა მინდორი იყო, სადაც კახელები აღმა ხნავდნენ და

ქართლელები დალმა ფარცხავდნენ, ერთნი გუთანს ფრთებს უკულმა ასხამ-დნენ, მეორენი ასევე მრუდე კაბდოს აკეთებდნენ, უკულმართად ფარცხავ-დნენ და უკულმართად სთესავდნენ. ამიტომ ამ მინდორზე ძველებურად ბა-რაქიანი ყანები აღარ ბიბინებდნენ, იფქლის ნაცვლად იქ ღვარძლი და ეკალ-ბაბულა ამოდიოდა. მტერი რომ შემოესეოდათ, მას შეერთებული ძალით ვეღარ უხვდებოდნენ, რადგან ერთმანეთთან ბრძოლაში იყვნენ გართულნი და სახრით სცემდნენ ერთმანეთს.

ძნელია მხატვრული სიტყვის ოსტატმა უფრო უკეთ და მკაფიოდ დაახა-სიათოს ის ეპოქა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ფეო-დალიზმის სახელით არის ცნობილი, ეპოქა, როცა ბრძოლა სამეფო აბსო-ლუტიზმისათვის მარცხით დამთავრდა და როცა ფეოდალურმა განკერძოებამ მთლად დაშალა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

დავით გურამიშვილის პირველი წიგნი მარტო მით როდია საინტერესო, რომ მას ქართულ ლიტერატურაში ახალი სტილი, ახალი სახეები, ქართული სინამ-დვილის და ყოფა-ცხოვრების რეალები შემოაქვს, მარტო იმით როდია საინ-ტერესო, რომ იქ, რაფინირებული, მაღალფარდოვანი აღმოსავლური სტილის ნაცვლად, პოეტი ქართლელი გლეხკაცის ენით საუბრობს, ოქსიხისა და ბროლ-ბადახშის ნაცვლად გუთნისა და ჯეჯილის სიმბოლოებს მიმართავს. ესეც თავისთავად ლიტერატურის განახლებისა და გახალხურების დიდი ნი-შანი იყო, მაგრამ უფრო მეტად საინტერესოა აქ პოეტის ისტორული კონ-ცეპცია, გამსჭვალული ღრმა და ფხიზელი რეალიზმით.

ამ რეალიზმმა პოეტის შეუმჩნევლად იჩინა თავი მის ნაწარმოებებში. ცხადია, გურამიშვილს თეორიულად არა ჰქონია გააზრებული დასრულებუ-ლი კონცეპცია საქართველოს ისტორიისა, მაგრამ საქმე ეს როდია. თვითონ სინამდვილემ მიიყვანა ის გარკვეულ ისტორიულ მოსაზრებათა საზღვრებამ-დე. მან მოგვცა ობიექტური სურათი სინამდვილისა, სურათი, სადაც სჩანდა ბნელი და ნათელი მხარეები ქართლის ბედისა, სადაც ნათლად სჩანდა, თუ რა იყო დამღუპველი ქვეყნისა. მართალია, პოეტი საქართველოს დაცემას ბიბ-ლიური ცოდვის მიწყვად სთვლის, მაგრამ სინამდვილის ის ანალიზი, რომელ-საც მისი პოემა იძლევა, ამ განყენებული თეოლოგიური აზრის ილუსტრაცია არ არის. მაშასადამე, მწერალი სტიქიურად მივიდა რეალიზმამდე, ქვეყნის ობიექტურ შემეცნებამდე. და ამ ვითარებაში ის ისტორიული სინამდვილის ანალიზის გასაოცარ უნარს იჩენს, როცა საქართველოს პოლიტიკური და ნა-ციონალური ტრაგედიის საფუძვლად და გამომწვევ მიზეზად ფეოდალურ დაქსაქსულობას მიიჩნევს.

სწორედ ასეც იყო.

როცა, ერთის მხრივ, ოტომანთა იმპერია, ხოლო მეორეს მხრივ — შაჰების ერანი თავის დაუსრულებელ ომებში წინა აზიაში ბატონობის განსამტკიცებ-ლად საქართველოს მიწა-წყალს ერთმანეთს ეცილებოდნენ, იყოფდნენ და ხშირად ნადავლის ხელახლად გადანაწილებას ახდენდნენ, — ასეთ პირობებ-ში ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დანაწილებული ქართველები კვლავ ეომებოდნენ ერთმანეთს. გარეშე მტრისათვის არაფერი იყო უფრო ხელსა-ყრელი, ვიდრე ეს გაუთავებელი შინაური ომები ფეოდალებსა თუ ქართლისა და კახეთის ბაგრატიონებს შორის.

ეკონომიური დაქსაქსულობის გამო საქართველოში შეიქმნა ისტორიული სიტუაცია, როცა ყოველი ცდა ჩვენი ქვეყნის გასაერთიანებლად წინასწარ განწირული იყო დასაღუპავად. ქვეყნის ხსნა კი მხოლოდ ნაციონალური გაერთიანებას, სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებას შეეძლო. [illegible] როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, ეს გაერთიანება შეუძლებელი გახდა. სად უნდა ეძებნა დასაყრდენი წერტილი მე-18 საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს? საქართველოს ირგვლივ ერტყნენ მტრული ძალები, რომელნიც მუდამ მარჯვე მომენტს ეძებდნენ შემოსაჭრელად, ხოლო ქვეყნის შიგნით მთლიანი სახელმწიფოებრივობის იდეას, ნაციონალური ერთიანობის იდეას ფეოდალების სახით მძლავრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

ასეთ უნუგეშო სანახაობას წარმოადგენდა ქართლი, როცა მეფე-ვახტანგ მეექვსემ მემკვიდრეობით ჩაიბარა აოხრებული და დარბეული ქვეყანა.

ამ თარიღიდან იწყებს ამბის მოთხრობას გურამიშვილის პოემა „ქართლის ჭირი“.

ეს არ არის პოემა ხელოვნური სიუჟეტით, ეს უფრო ლექსად თქმული მატიანეა. ესაა მხატვრული მოთხრობა, რომლის გმირიც არის არა ერთი პიროვნება, არამედ მთელი ქვეყანა, მთელი საქართველო. ცხადია, ეს არა ნიშნავს იმას, თითქოს მასში ცალკეული გმირები დაჩრდილულნი იყვნენ და არა სჩანდნენ. ასე, მაგალითად, პოემაში ნათლად იშლება სახე ვახტანგ მეექვსისა, კონსტანტინე მეფისა და სხვათა. პოემის თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი უმთავრესად პონტიკურ ურთიერთობის გარკვევას ისახავს მიზნად და ისე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს თავის „ბედი ქართლისაში“, გურამიშვილსაც უმთავრესად საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი აინტერესებს.

პოემის ყოველ სტრიქონში იგრძნობა ტრაგიკული პათოსი, გრძნობთ, რომ თქვენ ქართლის მატიანის სისხლიან ფურცლებსა ჰშლით.

ვისი ორიენტაცია უნდა აერჩიათ? ვის მხარეს წასულიყვნენ?

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და საქართველოს მესვეურთა მისწრაფებანი ერთმანეთს ემთხვეოდნენ. თუ ქართველებს ენატრებოდათ კავკასიაში რუსეთის პოლკების გადმოსვლა, რომელთაც ჩვენი ქვეყანა უნდა დაეცვათ გაძლიერებული მუსულმანური აგრესიისაგან და, თუ ვახტანგ მეექვსის ნათქვამს გავიმეორებთ, საქართველო ფოცხვერის ჭანგებისაგან უნდა გამოეგლიჯათ, მეორეს მხრივ, რუსეთის ტახტის მფლობელნი ოცნებობდნენ მტკიცედ დამკვიდრებულიყვნენ კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე.

მაგრამ პეტრე პირველის პოლიტიკა, რომლის მიზანსაც კავკასიის დაპყრობა შეადგენდა, ფრთხილი და ხშირად კომპრომისული იყო. ამ დახლართული პოლიტიკის ნიუანსებში ქართველები ხშირად ვერ ერკვეოდნენ, ვერ ერკვეოდნენ იმიტომ, რომ ცდილობდნენ რუსეთის ყველა დიპლომატური თუ სამხედრო ნაბიჯი ქრისტიანული სათნოების და ერთმორწმუნე ხალხის გადარჩენის თვალსაზრისით შეეფასებინათ.

ამ ილუზიებმა დაღუპეს ქართლიც და ვახტანგიც პეტრე პირველის 1722 წლის სპარსეთზე ლაშქრობის დროს.

ამ საკვანძო საკითხს ეხება გურამიშვილი თავის პოემაში.

პეტრე პირველმა ერანზე გალაშქრებისათვის მარჯვე დრო აირჩია. შაჰთამაზის მეფობის დროს ერანის სამხედრო ძლიერება დაეცა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მისგან წამხდარი საქმენი
სხვა მოგახსენო რალანი?
სამხრეთით აღძრა ოსმალო,
აღმოსავლეთით ავლანი;
ჩრდილოეთის მხარეს რუსეთმა
გილანით მისცა დავლანი,
დაუისტნით ქართლსა, კახეთსა
წაართო ყუბაშ-ყავლანი,
მით გასახმილდა წინწკალი,
ვრიგლად გარდიქცა სიონი,
მისგან შეირყა მეტეხი,
მისგან დაიქცა სიონი“.

პეტრე პირველის ლაშქრობის სტრატეგიულ გეგმაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ქართლის სამეფოს სამხედრო ძალების გამოყენების საკითხს. როცა პეტრემ 1720 წელს ასტრახანის გუბერნატორად არტემ ვოლინსკი გაგზავნა, ბუტკოვის ცნობის თანახმად, მას დაავალა მომავალ ომში ქართლის მეფე ვახტანგიც ჩაეთრია.

ამ წელს პეტრე პირველმა ჯერ ისევ ასტრახანიდან სპეციალური დესპანი გამოგზავნა საქართველოში. ეს ეპიზოდი გურამიშვილს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

საღამო ჟამს თბილისში სეიდაბადის კარიდან ცხენოსნები შემოვიდნენ და პირდაპირ ვახტანგის სასახლისაკენ გაემართნენ. ისინი პეტრე პირველის ელჩები იყვნენ. მათ ვახტანგს წერილი გადასცეს, რომელშიაც რუსეთის იმპერატორი ქართლის მეფეს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და სამხედრო კავშირსა სთავაზობდა. ვახტანგი ამ წერილმა ფრიად გაახარა. პოეტი ამბობს: როგორც დიდი სიცხით მაშვრალს გრილმა ნიავმა მოუბეროს, როგორც გაზაფხულის სითბომ ია და ვარდი გაფურჩქნოს, ასე მეფის გულსაც შვება მოეფინაო.

მაგრამ, როგორც გურამიშვილის პოემა გადმოგვცემს, ვახტანგის სიხარული ქართლის წარჩინებულებმა არ გაიზიარეს. ისინი აფრთხილებენ მეფეს, რომ ამდენი რყევა და სირბილი ისპაჰანიდან სტამბოლში, სტამბოლიდან პეტერბურგში, საქართველოს ხეირს არ დააყრის. ისინი აფრთხილებენ ვახტანგს, რომ როცა გარს იმდენი მტერი გვარტყია, რომ არა თუ ჯარს, ას მთას რომ მიაყენო, იმასაც-კი ხმლით გაჰკაფავენ, არ შეიძლება მათი უარესად გაღიზიანება. რუსეთის ხელმწიფეს ჩვენს დასახმარებლად ჯერ ხელი არ მოუწვდებაო. აფრთხილებდნენ ვახტანგს, რომ არ შეიძლება იყო ერთსა და იმავე დროს შაჰის სპასალარიც, რუსეთის იმპერატორის მეგობარიც და იმავე დროს ხონთქართან ძმობას სჩემობდეო.

„ჩვენს ჟკვაში ესე საქმენი
არ არის მოსაწონარი:
რა სამთა ცემა შაექნასთ,
ჩვენზე მათ შექმნან ონარი,
გარს მოგვეპიროს მუხრუჭი,
არსით ჩნდეს მოსაფონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან
გონებით მოსაგონარი“.

პოეტი თითქოს ობიექტიური მთხრობელის როლში გამოდის, მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ თვითონ ისიც ამ საკითხში ვახტანგის მხარეზეა. ამიტომაც არის, რომ ეს ეპოქა მას უფრო თავისებურად აქვს აღწერილი, ვიდრე ვახტანგს იმ წერილებში, რომლებსაც ის პეტრე პირველსა და არტემ ვოლინსკის უგზავნიდა.

მაგრამ გავყვეთ კვლავ პოეტის სიუჟეტს:

ვახტანგმა, პოემის მიხედვით, აღარავის მოუსმინა, აღარაფერი იძია, შეჰყარა ლაშქარი და განჯისაკენ გაემართა პეტრეს ჯართან შესახვედრად.

მაგრამ პეტრე პირველმა ლაშქრობაზე ხელი აიღო და ქართველები მარტონი მიატოვა განრისხებული მტრის წინაშე. ქართველები საშინელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ:

„ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე,
ვერ აჩვენეს სამსახური,
ყეენზედაც ავად დარჩნენ,
მათ დაკარგეს ორგნივ პური“.

ამ დრამატიზმით აღსავსე ისტორიულ მომენტში 1722 წლის სექტემბერს ვახტანგი შეშფოთებული სწერდა პეტრე პირველს:

„ჯარი შევყარეთ და განჯას მოვედით და ამის მომლოდინენი ვიყავით, რაიმე სადაც ხელმწიფის ბრძანება მოსულიყო, იქ ვხლებოდით“. „ყეენიც დაგვემდურა, — განაგრძობს ვახტანგი, — კახი-ბატონიც აგვშალა და ხონთქარიც წყენობს და იმუქრების“ („Переписка груз. царей с российскими государями“, 1861 г.).

იმავე წელს მეორე წერილში ვახტანგი სწერს:

„ჩვენთან წამოსვლა და ლეკის მტერობა რომ ებრძანა, წამოვედით და კარგა ხანია აქ ყარაბაღში ვდგევართ. ვინც ვინ აქათნი ლეკნი არიან, შიშით თავის სახლიდან ვერ დაიძრნენ. ერთი სულთანი არის, ისიც შემორიგებას გვეხვეწება, მაგრამ კახი-ბატონი რომ ჩვენთან ქიშპი და მტერი არის, ეს ზურგს აბამს. უნდა რაიმ ჩვენი სამსახური ხელმწიფესთან არ გამოაჩინოს, მაგრამ გვაქვს იმდენი ღვთისა და მაგახის ბედნიერებითა, რომ ამით არა შევაძლებინოთ რა: ჩვენ აქამდის შირვანსაც გამოვიდოდით, მაგრამ მაგათი ბრძანება არ მოგვივიდა, ის გვაგვიანებს: აწ ჩვენგან რჩევა და მოხსენება არ იკადრების, მაგრამ ვითამც ამ ალაგების ბნელადობა გვეთქმის, იმიტომ მოვახსენებთ. აქათ ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომ აქაური საქმეები დიაღ არეული არის და ერთი ისეთი არა გამოვიდეს რა, რომ აქეთური საქმე არ წახდეს. თუ ხელმწიფე ჯერ მანდაურის საქმისაგან მოუცლელი ბრძანდებოდეს და აქეთ წამობრძანება იმიტომ გვიანდებოდეს, ეს მაინც იქნას, ერთი მაგათი ასეთი ჯარი შირვანს მოვიდეს. აქიდან ჩვენ ვიქნებით, შევიყრებით და ყოველი საქმე ღვთით გარიგდების. ერევნამდის რაც ალაგია, დავიპერთ და ვეცდებით, რომ ერევანიც დავიპიროთ“ („Пер.“, стр. 142 — 143).

პასუხი მაინც არ ისმის. ვახტანგი ახლა ე. ვოლინსკის სწერს:

„ჩვენ ამდენი ხანი არის აქ ყარაბაღში მოვედით და ვდგევართ, ბედნიერის ხელმწიფისაგან ამბის მომლოდინენი ვართ“. („Пер.“, стр. 144).

ვახტანგ მეექვსეს ეს ნაბიჯი არც ირანმა და არც თურქეთმა არ აპატია:

„კახ-ბატონმა ყეენს დამაბეზღა და ხვანთქარსაცა, — სწერდა ვახტანგი. — ამაზე ორნივ გაგვიწყრნენ და ჯარები გამოგვისევესო“ („Пер.“, стр. 149).

1723 წლის მაისში ვახტანგი ისევ სწერს ა. ვოლინსკის:

„ეხლა თქვენის ძმობისაგან და მოწყალებისაგან მოველით, დიდმა ხელმწიფემ არ დაგვაგდოს და არა უგულებელსგვყოს, ამთენს მოგვეხმაროს. აქამდის რომ ფოცხვერის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ“.

და მართლაც ბაბრის ჭანგებისაგან ვეღარ გადარჩა საქართველო. როგორც კი შეასმინეს ირანის შაჰს—ვახტანგი გღალატობსო, მან ჩამოართვა ვახტანგს მეფობა და ქართლ-კახეთის მეფეს კონსტანტინეს მისცა. დავეფ. გურამიშვილი, ცოტა არ იყოს, თავისებურად გადმოგვცემს კონსტანტინესა და ვახტანგის ურთიერთობას. პოეტის გადმოცემით, პირველ ხანებში კონსტანტინეს არ უნდოდა დაჰყოლოდა ყეენის ნებას, მან იცოდა, რომ ტახტის ამ გადაცემას შეიძლებოდა ქართლისა და კახეთის შეჯახება და ძმათა სისხლისმღვრელი ომი მოჰყოლოდა. გურამიშვილის პოემაში კონსტანტინე უფრო კეთილშობილურ ფიგურად მოსჩანს, ვიდრე მას ვახტანგის წერილებიდან ვიცნობთ. როგორც გურამიშვილი გადმოგვცემს, კონსტანტინემ მეგობრული წერილი მოსწერა ვახტანგს, წერილში ორი წალმის კონა იყო დახატული და იმათ გარშემო აბრიალებული ცეცხლი ენთო. ეს სიმბოლო იყო იმისა, რომ ქართლსაც და კახეთსაც გარედან მტერი ერტყათ და საჭირო იყო არა შინაური ომი, არამედ გარეშე მტრის მოგერიება.

მატიანემ არაფერი იცის ამ წერილისა, ეს კი ცხადია, რომ ვახტანგი და კონსტანტინე მაინც აეშალნენ ერთმანეთს. კახეთის მეფემ გამოილაშქრა თბილისზე, ქართლელებმა დაამარცხეს იგი, მთელი ჯარი გაუნადგურეს და გააქციეს. კონსტანტინე მეორედ შემოესია თბილისს. ახლა მას ჭარელებიც ეხმარებოდნენ. თბილისი დაეცა. გაძარცულ, აოხრებულ ქალაქს ახლა თურქის სურასკირი, აზრუმის ფაშა შემოესია.

ქართლში თურქები დამკვიდრდნენ.

1724 წლის 12 ივლისს რუსეთმა და თურქეთმა კონსტანტინოპოლში საზავო ტრაქტატს ხელი მოაწერეს, რომლის ძალითაც რუსეთმა იცნო თურქეთის ჰეგემონია ამიერ-კავკასიაში. ამ ზავით თურქების ხელში რჩებოდა საქართველო, შირვანი, განჯა, ერევანი, ყარაბახი და ნაწილი ერანული აზერბაიჯანისა. ამ ტრაქტატის მიხედვით, საქართველო თურქეთის სულთანის სამფლობელოდ ცხადდებოდა.

ვახტანგს სამშობლოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. 1724 წელს ის პეტრე პირველმა რუსეთში მიიწვია. ვახტანგმა გადასწყვიტა წასულიყო რუსეთში, მაგრამ ქართველობა კვლავ არ ეთანხმებოდა მის გადაწყვეტილებას. იმდროინდელ განწყობილებას ნათლად გამოხატავს წერილი შანშე ქსნის ერისთავისა, რომელიც უკვე გამგზავრებულ მეფეს სწერდა:

„ნუ გვიზამ... ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას, არ გიჯობს, დამიჯერე... მამეც ეგ თქვენი შვილი, ამ სოფელსაც მე მთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგისი აქ ყოფნა და ჩვენცა... ეს სჯობია, ღმერთის მადლმა, და შენის პურმარილის მადლმა, დამიჯერეთ. თუ არა და თურმე საქართველოზე შვილისშვილამდე ხელაღებული ბრძანდებით: ეს არი, შეგვიტევია“ („Пер.“, стр. 174).

თვითონ ვახტანგიც სწერდა არჩილ მეფის ქალს დარეჯანს: „ქართველნი ბევრს გვეხვეწნენ არ წამოვსულიყავ და ან ერთი ჩემი შვილი დამეგდო: ეგებ მიმშველის გამოჩენამდე სულ არ წავხდეთო“ („Пер.“, стр. 161).

ასე რეალისტურად, ფხიზელი პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე აგებს თავის პოემას გურამიშვილი. მაგრამ მკითხველს მის წიგნში ამ რეალისტურ სიფხიზლესთან ერთად თვალში ჰხვდება მძიმე მისტიური განწყობილება, რომელიც ხშირად სჩრდილავს საგნის სწორად გაგების შესაძლებლობას, მით უმეტეს, ისინი რაღაც თავისებურ მისტიურ ჩრდილს აყენებენ საზოგადოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი ცხოვრების იმ პოეტურ შემეცნებას, რომელიც გურამიშვილის შემოქმედებაში გეხვდება.

რით უნდა აიხსნას გურამიშვილის შემოქმედების ეს თანხვედრა, ეს გადახლართვა რეალისტურსა და მისტიურს შორის?

აპოკალიპსში, მრავალ ლეგენდასა და მისტიკურ ზმანებას შორის, არის ერთი გასაოცარი ჩვენება: ქვიშიან სანაპიროზე სდგას იოანე მოციქული და ხედავს, როგორ ამოდის ზღვიდან რაღაც საშინელი მხეცი, „მსგავსი ვეფხისა“, „დიდად მეტყველი და მგმობარი“, ძლევამოსილად ედება ქვეყანას და ყველა ტომსა და ერს იმორჩილებს. ეს პირველ საუკუნეთა ქრისტიანების მისტიკური რწმენა იყო და როცა ისინი ამ მხეცზე ლაპარაკობდნენ, გულისხმობდნენ რომის იმპერიას, რომელიც სჩაგრავდა მათ და დაუზოგავად აწამებდა. ამ საფუძველზე პირველმა ქრისტიანებმა შეჰქმნეს სიმბოლოები და იგავები, რომლებიც გადაეცნენ საუკუნეებს და ყოველთვის ახალ შინაარსს იღებდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ისტორიული სინამდვლე. მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში ეს ძველი ქრისტიანული მისტიციზმი კვლავ გაცოცხლდა.

გასაგებიც არის. მისტიციზმი, როგორც მსოფლმხედველობა, ღვიძლი შვილია საზოგადოებრივ უბედურებათა ეპოქისა. ნაციონალური უბედურება, და მძიმე, სულის შემხუთველი ფსიქოლოგიური ატმოსფერა იყო მიზეზი იმისა, რომ მე-18 საუკუნის ადამიანების წარმოსახვა ხშირად კოშმარული იყო. ვახტანგი ასახელებს თავის თანამედროვეებს, რომელნიც თურმე საშინელის ფიცით ირწმუნებოდნენ: ჩვენი თვალით ვნახეთ, რომ იმათი საფლავებიდან, ვინც მოუქცევლად შოკვდნენ, ღამ-ღამობით ძაღლის ლეკვები ამოდიან და ყეფით ქვეყანას იკლებენო.

დავით გურამიშვილიც თავის პოემაში რაღაც ფანტასტიურ ნადირს აგვიწერს, რომელიც საქართველოს შემოსევია და ანადგურებს. ეს მხეცი, პოეტის თქმით, ხმალ-კაპარჭს არ ერიდებოდა, მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს სჭამდა და მკვდრებს იღებდა საფლავიდან.

ცხადია, პოეტისათვის ეს მხეცი ოტომანთა იმპერიის სიმბოლო იყო.

ამ იგავისებურ სტილს პოეტი ძალიან ხშირად მიმართავს. არა ერთგზის უბრუნდება ის ძველი და ახალი აღთქმის ლეგენდებს, რათა მათი საშუალებით უფრო უკეთ წარმოგვიდგინოს ქართლის ისტორიული ტრაგედია. ცდილობს ამ ძველ ლეგენდებს ახალი სიცოცხლე მისცეს, ახალი განათებით გვიჩვენოს ისინი. ამ ლეგენდებიდან პოეტი საგანგებოდ ირჩევს იმ ეპიზოდებს, სადაც ტანჯვა და წამება იყო გამოთქმული და გამოხატული. ამ მხრივ მისთვის ყველაზე საყვარელი ეპიზოდი იყო გოლგოთის ტრაგედია. პოეტი ამ თემას არა ერთგზის ეხება. ამ თემას მიუძღვნა მან „უკვდავების წყაროს ამბავი“, „ჯვარცმის ამბავი“, „ტირილი ღვთისმშობლისა“, „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“, „ვა, რა დიდი მაქვს მოწყენა“ და სხვა. ამ ტანჯვაში მას სურს თავისი ქვეყნის წამება დაინახოს. აღდგომა და განახლება კი იმიტომ არ ახსოვს, რომ მის სამშობლოში არაფერი აღდგენილა და არ განახლებულა, სიცოცხლე ჭკნობის და გლოვის ძაძებში იყო ირგვლივ გამოხვეული. შემთხვევითი არ არის, რომ გურამიშვილი ქრისტესა და ვახტანგ მეექვსეს ერთ სიმაღლეზე აყენებს და ერთად ადიდებს:

„ორთა მათ ჩემთა უფალთა,
ერთად უხსენე გვარია,
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ,
შტოდ ახლოს მონაგვარია.
ერთი დავითის ძედ თქმული,
რომელმან ივნო უვარია,
მეორე ვახტანგ მეხუთე,
ქართველთა მეფედ მჯდარია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საფუძველზე აგებს პოეტი თავის ისტორიის კონცეპციას. ის ცდილობს რაღაც შინაგანი კავშირი დაინახოს ქრისტიანობის წახდენასა და ვახტანგ მეექვსის განდევნას შორის.

აქიტომ იხსენიებს ასე ხშირად იგი ბაბილონის გოდოლს და ლექსებში ეეედრება ქრისტეს — აღადგინოს ქვეყანა, როგორც ლაზარე, რომელიც ოთხ დღეს საფლავში იწვა და იხრწნებოდა.

მდიდარი და ძლიერია პოეტის ფანტაზია. ის ხშირად მისდევს ხან შავბნელ, ხან ბრწყინვალე სანახაობებს, რომლებსაც მისი წარმოდგენა მოაჩვენებს. მას ხან ქრისტე ელანდება, რომელიც ჯვარზეა გაკრული და რომლისათვის ფრჩხილებში ლერწამი გაუყრიათ, ხან დედა ქრისტესი, რომელიც დასტირის შვილის საფლავს, ხან ბიბლიის ეპიზოდები, სადაც იგავებით და საკუთარი ტანჯვით ასწავლიან ადამიანს წუთისოფლის ბნელი ლაბირინტიდან გასასვლელ გზას.

და თუ ხანდისხან, წუთიერად, პოეტის თვალწინ ცის მუქ-ტრედისფერ თაღზე თითქოს ნათლად გადაიხსნება ხოლმე მიუწვდომელი, გამოუთქმელი ბრწყინვალე ჰარმონიის ქვეყანა, ის ისევ ჩქარა ჰქრება და კვლავ საშინელი სულიერი სიბნელე მოიცავს ყველაფერს. მისთვის ჰქრება მზეც, ქვეყნის სილამაზეც, რადგან ორი დიდი ტრაგედია ბრუნავს პოეტის სულში — ტრაგედია ფილოსოფიური და ტრაგედია ნაციონალური, სიცოცხლის ტრაგედია. ამ დასკვნამდე ის ხანგრძლივმა და ღრმა სულიერმა კრიზისმა მიიყვანა.

დავით გურამიშვილის პოეზია ერთი გრძელი სამგლოვიარო ჰიმნია, სადაც პოეტმა გამოიტირა თავისი ქვეყანა, გამოიტირა ადამიანის უმწეობა სიკვდილის საზარელი აჩრდილის წინაშე. ის გვახედებს ადამიანის სულის უძირო უფსკრულში, რომელიც სავსეა დარდითა და ნაღვლით. ეს არ არის წუთიერი განწყობილება. უნდა მოიძებნოს ამ პესიმიზმის, ამ უკმაყოფილების პრინციპული, ფილოსოფიური საფუძველი. ცხადია, რომ პესიმიზმი პოეტისათვის ლიტერატურული გატაცება არა ყოფილა. ეს იყო დანასკვი ყოველივე იმისა, რაც ცხოვრებამ აჩვენა, ამასთან რაც უფრო შედის პოეტი ხანში, მით უფრო მძიმდება ეს სევდა.

პოეტის სულიერი ევოლუციის ამოცნობის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსი „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“. ამ ლექსის მგზნებარე ოპტიმიზმი, სიმხნევითა და სიძლიერით. სავსე სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ, რომ პოეტი მას სწერდა მაშინ, როცა მისი დიდი იმედები ჯერ არ დაღუპულიყვნენ, როცა მას ჯერ კიდევ არა ჰქონდა გული გამეხილი საწუთროსა და ქვეყნის სიმწარისა და ვერაგობის გამო.

ამ ლექსში პოეტს ადამიანის გაღვიძებული ცხოვრების, მოქმედებისა და ბრძოლის სიმბოლოდ მოუსვენარი და მჩქეფარე მთის წყარო აუღია. ადა-

მიანი მხნე უნდა იყოსო, — ამბობს ის: — ძლიერი, დაუდგრომელი და ბედთან მებრძოლი, როგორც მთის მდინარე, რომელიც მთებსა და კლდეებს ჰხეთქავს და ბრძოლით მიიკვლევს გზას. მოქმედებისა და ბრძოლის ეს ოპტიმისტური ფილოსოფია პოეტმა დაუპირისპირა მკვდარ ცხოვრებას, ბედთან შერიგებას, „ძალმოკლებულ მცონარეობას“, რომელიც მდორე მდინარეს შეადარა. პოეტმა დაჰგმო ზანტი და უმოძრაო „ყოფა“, „ყურმძიმე“, ლაფში ჩაფლული კაცის ცხოვრება, რომელიც პირუტყვის ცხოვრებად იქცევა.

მაგრამ მძიმე წლებმა, სამშობლოს დაკარგვამ პოეტის ბუნებაში ამ ოპტიმიზმის შუქი მთლიანად ჩააქრეს. თითქოს ქრისტიანობას ის უნდა შეერიგებინა ხვედრთან, მწარე ცხოვრებასთან. მაგრამ არც ეს მომხდარა. ქრისტიანობამ ვერ დაჩრდილა მის შეგნებაში სიყვარული წუთისოფლის სილამაზისადმი, ვერ ააღებინა მას ამ სიყვარულზე ხელი, სანუგეშო და სანაცვლო ვერაფერი უჩვენა. ვერც ქრისტიანთა წამებული ღმერთის სახემ, რომელსაც თაყვანსა სცემს, როგორც მზეს, ვერც ღვთისმშობლის აჩრდილმა, რომელსაც უსასყიდლო მარგალიტს ეძახის, გურამაშვილი ვერ დაამშვიდა. მის პოეზიაში ამ მხრივ შეურიგებელი წინააღმდეგობა ჩნდება.

მართალია, არის წუთები, როცა ის ურიგდება ზეცას, მაგრამ არასოდეს არ ისვენებს, არა წყნარდება მის ბუნებაში მეორე ადამიანი. ამ უკანასკნელს საღვთო ბაღნარსა და ღვთიურ მიჯნურობას ისევ მიწიური ქვეყანა ურჩევნია:

„აწ მე საერო წალკოტი
მგონია პატიოსანი,
მიყვარს და მალ-მალ მსურიან
მისთა ყვავილთა ყნოსანი,
გავშორდი საღვთოს ბაღნართა,
ვთმე მის ბულბულთა ისანი,
მივჰყევ საწუთროს ზღაპართა,
შევიქენ არაკოსანი“.

მას უყვარს წუთისოფელი და უგემნია მისი სიხარული. „მეც ვიყავ სოფელს, — ამბობს ის: — განცხრომასა და შვებასა, მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასაო“. მეორე ლექსში ამბობს, რომ სიჭაბუკის გაზაფხულზე ავ დროებათა ჯავრი არ ვიცოდი, ყოველთვის იმედიანად ვიყავ, არაფერზე არა ვნაღვლობდი, ბაღში ვიჯექი მასთან ერთად, ვინც მიყვარდა, და ყვავილთა ჭვრეტით ვხარობდიო.

მას უყვარს მთელი ბუნება: მზიანი დღეები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, დამშვიდებული მზის მყუდროება, — ეს არის მისთვის ყველაზე ძვირფასი საუნჯე.

მაგრამ უცებ მისი გონების თვალი, რომელიც სიხარულით ევლებოდა ქვეყანას, ჰხვდება რაღაც მტრულს, რაღაც გარეშე ძალას — ჩნდება რაღაც სიცარიელე, რაღაც სიბნელე, რომელიც სამუდამოდ წაართმევს მას მზერას და ქვეყანასაც — ეს სიკვდილია:

„ვაი, თუ მოვკვდე ცოდვილი,
კაცი ავი ზნით მე ზრდილი,
წამერთოს დღენი მზიანი,
ღამენი ცა მოწმენდილი.
მდგომარეს ზღვისა ჭვრეტანი,
ცა ვარსკვლავებით ჭედილი“.

აქედან სჩანს, რომ პოეტს აღარ შეუძლიან ძველი ქრისტიანების მსგავსად თავი დაიმშვიდოს საიქიოს უკვდავებით. მას არ შეუძლიან შეურიგდეს სიკვდილის აზრს, შეეჩვიოს მას, როგორც ეჩვეოდნენ ესპანელი ასკეტები, რომელნიც ყოველ ღამეს კუბოში წვებოდნენ და ისე იძინებდნენ, რომ თავიანთ მეორე შეჭრიგებოდნენ სიკვდილის აზრს, შესჩვეოდნენ მას, თითქოს სასურველ და სანატრელ წუთად მიაჩნდათ მისი მიახლოვება.

განა ძველ ქართულ ლიტერატურაში საუკუნეების მანძილზე არ ისმოდა ღაღადება იმისი, რომ სიკვდილი ადამიანის ხსნაა? განა არ ამტკიცებდნენ, რომ წუთისოფელი მარტო ცოდვისა და წაწყმედის სამყოფელია?

მაგრამ გურამიშვილი ამ გზას ვეღარ გაჰყვება. თვრამეტი შფოთიანი საუკუნის განმავლობაში ეს მოძღვრება დაძველდა, თითქოს გამკრთალდა მისი შარავანდედი. ვერ გაჰყვება ამ გზას, მაგრამ ვერც ახალი გზა უპოვნია. ის იბნევა ამ ბუნებაში და აღარ იცის, არის თუ არა სადმე სიმართლე, არის თუ არა წმინდა და მაღალი, თუ იგი მოკვდა დედამიწაზე. ბნელმა სიკვდილმა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, ეგებ აქაც იჩინა თავისი შეუბრალებლობა.

ერთ ლექსში პოეტი სწერს:

„ამისთვისა ვარ მოწყენით,
ვსტირი და არ მემღერების.
პირს შემღები არს სიკვდილი,
არავის დაეფერების“.

ვკითხულობთ ამ ლექსებს და ვგრძნობთ, რომ პოეტს არა სწამს ქრისტიანული დოგმატი სულის უკვდავებაზე, არა სჯერა და არ ახსოვს საიქიოს ჯილდო სააქაოს ტანჯვისა და მოთმინებისათვის, მისი ტკივილების მალამოდ ზეციური ნუგეში არ გამოდგება.

ეს არის ის დიდი სულიერი ტრაგედია, რომლითაც აღსავსეა გურამიშვილის პოეზია.

პლეხანოვი სწერდა ტოლსტოის შესახებ:

... მას არ შეეძლო, ძველი ქრისტიანების მსგავსად, თავი დაემშვიდებინა საიქიოს უკვდავების შესახებ ფიქრით. არა, ასეთი უკვდავება მისთვის ძალიან ნაკლებად მიმზიდველი იყო. მას უნდოდა ისეთი უკვდავება, რომლის დროსაც მარად იარსებებდა წინააღმდეგობა პირად „მესა“ და ბუნების ლამაზ „არა მეს“ შორის... მოკლედ, მისთვის არაფერი არ იყო სანუგეშო ქრისტიანულ აზრებში სულის უკვდავების შესახებ: მას სხეულის უკვდავება უნდოდა... ტოლსტოი ყველაზე ძლიერად შიშს სიკვდილის წინაშე განიცდიდა სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად ტკბებოდა ბუნებასთან თავისი მთლიანობის შეგნებით“. [1]

ეს სიტყვები მთლიანად შეიძლება განმეორებულ იქნას გურამიშვილის შესახებ.

არსად ისე მკაფიოდ არა სჩანს გურამიშვილის სიყვარული მიწიური ცხოვრებისადმი, როგორც იმ ლექსებში, სადაც ის საწუთროსა და სიკვდილს ებრძვის და ეკამათება. არ მოსწონს მას წუთისოფელი სწორედ იმიტომ, რომ აქაც ხანგრძლივი და დაურღვეველი არ არის ადამიანის ბედნიერება. საწუთრო ეუბნება კაცს:

---

[1]) Г. В. Плеханов: Сочинения. т. XXIV, стр. 251-252-253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაც მიამების, გაამებ,
გემრიელს გაჭმევ, გასმეო;
მრავალ რიგს ფერად-ფერადსა
თავს გხურავ, ტანზე გაცმეო.
მოგიწვენ თვალად ლამაზსა
ქალსა თუ დედაკაცს მეო,
ახლა თქვენ ბრძანეთ, მეფეო,
თქვენ მიწყალობეთ რაც მეო“.

მაგრამ აი კაცის პასუხი:

„კაცმან მიუგო: ვალალა
შენსა ცივსა და თბილებსა,
ახლა მეც ვიტყვი პასუხსა
მაგ სიტყვის გასაწბილებსა;
მაკვეხებ ფერად საცმელთა,
ოქროსა, ვერცხლის ღილებსა,
აწ დაგდგომია თვალები
ზეუკამია მღილებსა.
სულ დაჰგლეჯია, დამცვდარა,
გვანან ძაღლთ დაღერღილებსა,
სულ დამიხოცე მოყვასნი,
ერთიც არ დაღინღილებსა“.

და პოეტის წინაშე იჭრებიან კითხვები, რომელთა პასუხსაც მას საღვთო წერილი ველარ მისცემს: რა საჭიროა სიკვდილი, როცა სიცოცხლე არსებობს? რატომ უნდა იყოს მარადიული ძილი, როცა სიფხიზლე არსებობს? მაგრამ არ არის ქვეყანა მუდამ დღესავით ბრწყინვალე, მუდამ სიხარულით სავსე. რატომ უნდა მოსდევდეს წუთიერ სიხარულს ბნელი წყვდიადი სამარისა, ვინ მოაწყო ასე უმსგავსად და უმადურად ეს ქვეყანა?

და თუ ადამიანი მიწა და ტალახია, რომელსაც ისევ მიწა შესჭამს, რაღა საჭირო იყო ამ ქვეყნად დაბადება?

„ნეტავი ისევ მიწადა
მე ვყოფილიყავ, არ კაცად“.

ეს არის პიროვნების აჯანყება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო არა მარტო გურამიშვილის პოეზიისათვის, არამედ მთელი რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქისთვის. სინამდვილეში ეს ღმერთთან ბრძოლაა, რომელმაც, პოეტის აზრით, ასე უმსგავსოდ მოაწყო ქვეყანა. მოხუცი პოეტი, როგორც იობი, ღმერთს გაბედულად ეკითხება და წუთისოფელს უწუნებს. ხშირად ეს რაღაც იდუმალი იჭვია, ეგებ თვით პოეტისათვისაც არა ბოლომდე ნათელი, მაგრამ ის მაინც სტანჯავს მას. გრძნობს თვითონაც, რომ ქრისტიანული უკვდავების იდეა არ არის წარმტაცი და დამაჯერებელი. ამიტომ იგრძნობა აქ სკეპტიციზმი, გამოუთქმელი სკეპტიციზმი, რომელსაც პოეტი თავის თავსაც უმალავს, თავის ლექსსაც არ ანდობს, მაგრამ ის მაინც სჩანს სადღაც სტრიქონებს შორის.

ევიწროება მას ქრისტიანულ დოგმატის ჩარჩოები, ფართო ქვეყანა უნდა, გაშლილი სივრცე, სიცოცხლე და კაცური, ადამიანური ნეტარება.

იცის, რომ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად იგიც გაჰქრება, ამიტომაც ისევ ამ ქვეყნიურ უკვდავებაზე ზრუნავს. ეს მისწრაფება ნათლად სჩანს მის ლექსებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მომხსენებელი არ მრჩების,
მაშფოთებს, ეს მაღონებსა,
ცოდვილს მუხრუჭით შეკრულსა,
ვამე, ვინ მომიგონებსა.
თუ არ შევკრეფ და არ უძღვნი
ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალი არვის ვახსოვარ,
მკვდარს ვინღა მომიგონებსა“.

მოსაგონებლად უტოვებს შთამომავლობას თავის ლექსებს, ადგენს სარწყავი არხისა და წისქვილის პროექტებს, რომ მხვნელსა და მთესველს შეღავათი მიეცეს, რომ გლეხიკაცი გვალვას ადვილად გაუმკლავდეს, უხვი ჭირნახული მოიყვანოს და გურამიშვილის სახელი მადლობით მოიხსენიოს.

აი მარტო აქ არის უკვდავება, ეს-ღაა იმედი, რომ ცუდად არ ჩაივლის განწირული სულისკვეთება და მოძმეს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილდება. ყველაფერი ეს მას ოდესმე წინ დახვდება. და ამით, ამ ლექსებით და მოქალაქეობრივი ღვაწლით დასჩრდილავს იგი მარადიულ არყოფნას.

წისქვილისა და არხების მოხაზულობანი მან თავის ლექსების წიგნში შეიტანა. მისთვის ესეც ისეთივე მოქალაქეობრივი ღვაწლი იყო, როგორც პოეზია.

ციცერონის დროს ბერძენთა მგოსანი მიესალმებოდა ხორბლის დასაფქვავად წყლის წისქვილის გამოგონებას, როგორც მონების განმათავისუფლებელ მოვლენას.

გურამიშვილის ანდერძშიაც ეს ძველი რომანტიზმი ბრწყინავს და ანათებს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ჭუთათელი — „მებრძოლები"

„ფედერაცია", 1942 წ.

ალ. ჭუთათელი ცნობილია ჩვენს მწერლობაში თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი, ნათელი რეალისტური სტილით; ცხადია სარეცენზიო წიგნის მოთხრობებიც ამ მხრივ ავტორისათვის გადახვევას არ წარმოადგენს. ისინი ინარჩუნებენ მწერლის დამახასიათებელ რეალისტურ მანერას და ცოცხლად გადმოგვცემენ ჩვენი ქვეყნის ადამიანების ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს. თავის რომანში „პირისპირ" მწერალმა — სოციალური და პირადი ყოფის გადაბლართვაში, ხალხის მასების მოძრაობაში, შეგნებულ რევოლუციურ ძიებაში და ცალკე ადამიანების თუ მთელი ჯგუფების საქმიანობაში — გვიჩვენა ვითარება ჩვენი ცხოვრების ახლო ისტორიისა, გვიჩვენა კანონზომიერი სვლა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შესაძლო სახეთა რთულ სისტემაში ჩამოეყალიბებინა ობიექტური ვითარება კლასობრივი ბრძოლისა; ამ გზით მან შეჰქმნა წინარევოლუციური ეპოქის ეპოპეია, სადაც ადამიანები სჩანან მთელი სიგრძე-სიგანით, მთელი სულიერი სიღრმითა და გაქანებით. ცხადია სარეცენზიო წიგნის მოთხრობები ასეთ ამოცანას ვერ დასახავენ და ეს არც არის ნოველის თუ პატარა მოთხრობის ფუნქცია. აქ მთავარია ერთ რომელიმე დამახასიათებელ ეპიზოდზე მწერალმა გვიჩვენოს ტიპიური ნიშანი ადამიანური საქციელისა, ორიოდე ხაზის მოსმით გვაჩვენოს ადამიანი, გვაჩვენოს ნათლად, ისე, რომ მკითხველს ღრმად ჩაეჭრას მეხსიერებაში მოთხრობის პერსონაჟის ყოფითი თუ ფსიქოლოგიური თავისებურება.

სარეცენზიო მოთხრობების კრებულში ავტორს შეუტანია ერთი ნაწყვეტი („ყვირილაზე") თავისი რომანიდან „პირისპირ", რომანის შესახებ ჩვენ ზემოდ ვლაპარაკობდით. ამ ნაწყვეტის შეტანა კრებულში გამართლებულია უმთავრესად თემატიური მოსაზრებით. რომანის ამ ნაწყვეტში ლაპარაკია ვილჰელმ მეორის საოკუპაციო ჯარების თარეშისა და თვითნებობის შესახებ მენშევიკურ საქართველოში.

ავტორი იწყებს ამბის მოთხრობას იმით, თუ რა მძულვარებით და აღშფოთებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები გერმანიის საოკუპაციო ჯარის სარდლობის პირველსავე ნაბიჯებს, როცა გერმანელი დამპყრობელები საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაერიენ და მენშევიკურ მთავრობას წინადადება მისცეს, რათა გლეხკაცობას გადეხადა მემამულეთათვის მოსავლის ღალა; გერმანული ჯარების შემოსვლისთანავე რეაქციის სუსხმა კიდევ უფრო მძაფრად დაჰბერა და უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მენშევიკების მიერ ისედაც დაჩაგრული და წელში გაწყვეტილი მშრომელი მოსახლეობა. სწორედ ამ საფუძველზე ქართველმა მშრომელმა ხალხმა დაიწყო მძაფრი პარტიზანული მოძრაობა მენშევიკური გვარდიისა და დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ. ავტორი აღწერს ერთ-ერთი ბოლშევიკური პარტიზანული რაზმის გმირულ ბრძოლას. მას სათავეში უდგანან ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკი ჯარისკაცები, რომელთაც დარაზმეს და შეტევაზე წაიყვანეს ხალხის მასები, რათა დაემარცხებინათ მოღალატე მენშევიკები და საქართველოდან გაეძევებინათ გერმანელი ოკუპანტები.

„ექიმი და შოფერი", „პარტიზანები", „ხიდთან", „ქოჩორა მამლის ამბავი" და „მენავე" გვიხატავენ ბელორუსიის ხალხის ცხოვრებას სამამულო ომის დაწყებამდე და ომის პერიოდში. ერთ დამახასიათებელ მხატვრულ ხერხს მიმართავს აქ მწერალი — მისი თითოეული მოთხრობა, ცხადია, წარმოადგენს დამთავრებულ ნაწარმოებს, მაგრამ ამავე დროს ამ ციკლის ყველა მოთხრობები მაინც დაკავშირებული არიან ერთიმეორესთან. ეს იმიტომ, რომ მისი მოთხრობების პერსონაჟები, ესა თუ ის ადამიანები მოქმედებენ მთელ ციკლში, მეორდებიან, — მეორე, მესამე მოთხრობაშიაც ისევ ნაცნობ გმირებსა ვხედავთ — შეცვლილია მხოლოდ გარემოცვა და სათავგადასავალო ამბავი. ეს ცნობილი ხერხია ლიტერატურის ისტორიაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ ბელეტრისტიკაში მას მხოლოდ ალ. ჭუთათელი მიმართავს; ამას მეტი სიცოცხლე, მეტი ინტერესი და კანონზომიერება შეაქვს მხატვრულ ნაწარმოებში. ამის ნათელ ილუსტრაციას სარეცენზიო წიგნის მოთხრობები წარმოადგენენ. მათში ნათლად სჩანს ფაშისტი დამპყრობელების მიერ გადამწვარი და გადაბუგული ბელორუსია, მასში სჩანან სახელგანთქმული ბელორუსი პარტი-

ზანები, რომელნიც იარაღით ხელში ანადგურებენ შემოსეულ დამპყრობელებს და თავგანწირულად იბრძვიან მშობლიური მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად.

მოთხრობებში კარგად არის დაცული ადგილის კოლორიტი, ნათლად არის ნაჩვენები საბჭოთა ადამიანების გმირული სულისკვეთება. წიგნს ბოლოს დართული აქვს ნარკვევი „ლენინგრადი". მასში მწერალს უცდია მოკლედ გადმოეცა ლენინგრადის წარსული და აწმყოს სურათები. ნარკვევი საინტერესოდ არის დაწერილი და საბჭოთა მასობრივი მკითხველისათვის ბევრ საჭირო და სასარგებლო ცნობას შეიცავს.

ნ — ი.

რაჟდენ გვეტაძე — „ლექსები"

საგლიტგამის გამოცემა, 1942 წელი.

ლექსების ყოველი ახალი წიგნი საინტერესო და საყურადღებოა ან იმით, რომ ეს წიგნი გამოხატავს თვისობრივად ახალ ეტაპს პოეტის შემოქმედების ევოლუციაში, ან კიდევ იმით, რომ წიგნი თვალწინ წარმოგვიდგენს — დამახასიათებელი ნიმუშების ჩვენების გზით — პოეტის შემოქმედების განვლილ საფეხურებს. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ხდის საინტერესოდ პოეტ რ. გვეტაძის ლექსების წიგნს, რომელიც გასულ წელს გამოსცა საბლიტგამმა. ამ წიგნში შეკრებილია გვეტაძის შემოქმედების დამახასიათებელი, რჩეული ნიმუშები, რომელიც ავტორს დაუწერია თავისი პოეტური სიჭაბუკის წლებიდან დღევანდლამდე.

„მერკვილაძის დები" ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარული სიუჟეტური ლექსია, რომელიც მკითხველს იტაცებს თავისი წრფელი ლირიზმით და ორიგინალური სახეებით. ეს ბავშვობისა და ბავშვობაში გაგონილი რომანტიული ამბავის ერთგვარი გულთბილი გახსენებაა. აქ არის, მართალია გაკვრით, ნაჩვენები ქართველი ქალის მონაწილეობა რევოლუციის წინადროინდელ პარტიზანულ ბრძოლაში. ნაჩვენებია ძლიერი სული ქართველი ქალისა, რომელიც ძმებთან ერთად თოფით ხელში ებრძვის ბნელი თვითმპყრობელური რეაქციის ძალებს.

სარეცენზიო ლექსების კრებულის ძირითადი მასალა ეხება ჩვენი თანამედროვეობის თემებს — აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია ლექსები ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს შესახებ. ეს ლექსებია „სტალინის სურათს", „ვინც მზესავით ანათებს" და „პირველი დეპუტატი".

პოეტს, როგორც გულწრფელ საბჭოთა პატრიოტს, ღრმად სწამს სტალინის დიადი საქმის გამარჯვება, ეს ნათელი რწმენა მეტ ძალას და სინათლეს, მეტ დამაჯერებლობას აძლევს მის ლექსს.

ამას მოსდევს ლექსების ციკლი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შესახებ. პოეტის ლექსებში გამოხმაურება ჰპოვეს ქართველი ხალხის საამაყო შვილების — მფრინავ ალექსანდრე წურწუმიას და წითელარმიელ შალამბერიძის გმირულმა ბრძოლამ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ურდოს წინააღმდეგ.

კრებულში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს რ. გვეტაძის ლექსები შვილის შესახებ, რომელიც ამჟამად სამამულო ომის ფრონტზე იმყოფება. ეს ლექსებია „შვილის წერილი" და „ნოდარის მეორე წერილი". ამ ლექსებში შვილისადმი სიყვარული ორგანიულად ჩაქსოვილი და გაერთიანებულია ჩვენი დიდი სამშობლოსადმი სიყვარულთან. ეს ლექსები დაწერილია უაღრესი მღელვარებით და ლირიული პათოსით.

ამავე კრებულში მოთავსებულია შედარებით მოზრდილი ნაწარმოებები: „ოქროს ვერძი" (1937 წ.), „მახაჯირები" (1940 წ.) და „ლელა" (1941 წელი).

გ. ნ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა	3
გ. სტურუა — დიდი ნაციონალური დღესასწაული	9

მხატვრული ლიტერატურა

ალ. აბაშელი — სტალინგრადი	13
გ. ლეონიძე — ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა	15
ლეო ქიაჩელი — წინამორბედნი	16
გრ. ჩიქოვანი — მეორედ შეხვედრა	22
ი. ლისაშვილი — სიკოცხლისათვის	42
გ. ცაგარელი — დონაურის ხმალი	72
ა. კორნეიჩუკი — ფრონტი	86
ვ. ვასილევსკაია — ცისარტყელა	113

ლიტერატურის ისტორია

გ. ნატროშვილი — „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროები	145

ბიბლიოგრაფია

გ. მ — ე — რაჟდენ გვეტაძე — „ლექსები“	159
მკითხველი — სერგო კლდიაშვილი — „ომის კანონი“	161

ფასი 4 მან.

Ж/134

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ